ადამიანის უფლებების საჯელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ

ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ

ეს სახელმძღვანელო თავდაპირველად გამოქვეყნდა 2016 წელს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ სახელწოდებით the Human Rights Handbook on Policing Assemblies. ეს ქართული ვერსია არის არაოფიციალური თარგმანი, მომზადებული და გამოცემული ODIHR- ის მხარდაჭერით. მასში ასახული მოსაზრებები და ინფორმაცია აუცილებლად არ გამოხატავს ODIHR- ის პოლიტიკას და პოზიციას. ტექსტში განსახვავებების არსებობის შემთხვევაში იხილეთ ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც არის საბოლოო და ოფიციალური ვერსია.

შინაარსი

სამადლობელი სიტყვა 5
წინასიტყვაობა 8
შესავალი 10

ნაწილი I
განმარტებები, პრინციპები და
პოლიტიკა 13
თავი 1. მშვიდობიანი შეკრების
უფლება..... 14
შეკრებების სახეობები 17
ძალადობა და შეკრებები..... 20
შეკრებების შეზღუდვა..... 21
შეკრების აკრძალვა..... 26
ხარჯები..... 26

თავი 2. შეკრებების დროს
პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის
ძირითადი პრინციპები..... 27
პოლიციის მიერ საკუთარი
მოვალეობების დემოკრატიულად
შესრულება 27
მონაწილეების ქცევის გაგება..... 29
შეკრებების დროს პოლიციის მიერ
წესრიგის დაცვის პრინციპები 30
ცოდნა 31
ფასილიტაცია (ხელშეწყობა)..... 31
კომუნიკაცია..... 32
დიფერენცირება 33
შედეგები 34
პრინციპების ზოგადი გამოყენება .. 34
მრავალფეროვნება და
თანასწორობა 35
ძალის გამოყენება როგორც
უკანასკნელი საშუალება..... 37
პოლიცია და მედია 41

თავი 3. გადაწყვეტილებების
მიღება და რისკების შეფასება..... 44
გადაწყვეტილებების მიღების
მოდელი 45
რისკების შეფასება..... 49

ნაწილი II
შეკრების წინ: ორგანიზება და
დაგეგმარება..... 51
თავი 4. სამეთაურო სტრუქტურა 52
სტრატეგიული მეთაური..... 54
საოპერაციო მეთაური..... 57
ტაქტიკური მეთაური..... 59
მოვალეობები და
პასუხისმგებლობები..... 62

თავი 5. სტრატეგიული
დაგეგმვის ეტაპი 63
ცოდნა 63
ხელშეწყობა..... 64
კომუნიკაცია..... 65
დიფერენციაცია 69
რისკების შეფასება..... 70
სტრატეგიული განზრახვები 70

თავი 6. საოპერაციო დაგეგმვის ეტაპი 75
ცოდნა 76
რისკების შეფასება 77
ხელშეწყობა 79
კომუნიკაცია 81
დიფერენციაცია 82
გაუთვალისწინებელი შემთხვევები 83
საოპერაციო ვარიანტები 84
პოლიციის დანაყოფები 86
რესურსები და აღჭურვილობა 93
იარაღი 97

თავი 7. ტაქტიკის დაგეგმვის ეტაპი 109
ცოდნა 109
ფასილიტაცია 110
კომუნიკაცია 113
დიფერენციაცია 115

ნაწილი III
შეკრებების დროს 117
თავი 8. მშვიდობიანი შეკრებების ხელშეწყობა 118
ცოდნა 118
ფასილიტაცია 119
კომუნიკაცია 120
დიფერენციაცია 122
პოლიციის ქცევა 122
სპონტანური შეკრებები 123
შეკრების მონაწილეებისთვის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობის მიცემა 126

თავი 9. არეულობის და ძალადობის მართვა 129
დეესკალაცია 130
შეკავება 131
შეკრების დაშლა 133

ნაწილი IV
შეკრების შემდეგ 137

თავი 10. პრაქტიკული საკითხების მოგვარება 138
რესურსების მართვა 138
ძალის გამოყენების აღრიცხვა 139
პოლიციელთა დაშავება 139
აღჭურვილობის დაბრუნება 140
დაკავებულები 140

თავი 11. მომხდარის დეტალური შეჯამება და მიღებული გაკვეთილები 143
შეჯამების სახეობები 143
მიღებული გაკვეთილები 147
დანართი 153

ტერმინების განმარტება 153
შეკრებამდე, შეკრების დროს და მის შემდეგ სხვადასხვა სამეთაურო რგოლების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მ იმოხილვა 155
გამოყენებული ლიტერატურა და სხვა სასარგებლო ბმულები .. 159

სამადლობელი სიტყვა

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (ODIHR) სურს მადლობა გადაუხადოს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის საკითხებში საერთაშორისო მრჩეველს ალან ჯოუნსს (გაერთიანებული სამეფო), რომლის ცოდნამ, უნარებმა და ჩართულობამ „ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ“ – ის მომზადებისას არსებითი როლი შეასრულა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს და ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტის პოლიციის საკითხებში სტრატეგიულ განყოფილებას (TNTD/SPMU) ასევე სურს მადლობა გადაუხადოს შეკრების თავისუფლების საკითხებში ექსპერტთა პანელს და სხვა ექსპერტებს, რომლებმაც ამ სახელმძღვანელოს მომზადებისას თავიანთი შენიშვნები და მოსაზრება გაგვიზიარეს, ესენია:

ოტო ადანგი, ნიდერლანდების პოლიციის აკადემიის საზოგადოებრივი წესრიგის მართვის განყოფილების თავმჯდომარე, ნიდერლანდები;

ანია ბინერტი, „ემნესთი ინთერნეშენელის“ ჰოლანდიის განყოფილება, პოლიციისა და ადამიანის უფლებების პროგრამა, ნიდერლანდები; შეკრების თავისუფლების საკითხებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ექსპერტთა პანელის წევრი;

თომას კასარი, გერმანიის პოლიციის ადგილზე განლაგების დეპარტამენტის ეროვნული პოლიციის ბიურო, გერმანია;

იან ჩაპელი, მეტროპოლიტიცს პოლიცია, უფროსი პოლიციის ოფიცერი (გადამდგარი), გაერთიანებული სამეფო;

დევიდ გოლდბერგერი, ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის სამართლის საპატიო პროფესორი, ა.შ.შ, შეკრების თავისუფლების საკითხებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ექსპერტთა პანელის წევრი;

მაიკლ ჰამილტონი, აღმოსავლეთ ანგლიის უნივერსიტეტის უფროსი ლექტორი საზოგადოებრივი პროტესტის სამართლის საკითხებში, გაერთიანებული სამეფო, შეკრების თავისუფლების საკითხებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ექსპერტთა პანელის წევრი;

ედი ჰენრიკსი, საერთაშორისო ექსპერტი პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის საკითხებში, ბელგია;

სალი ჯექსონი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ერთად დგომა" – ს ექსპერტი გენდერის საკითხებში, გაერთიანებული სამეფო;

ნილ ჯარმენი, კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, გაერთიანებული სამეფო, შეკრების თავისუფლების საკითხებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ექსპერტთა პანელის წევრი;

ანდრე კონცე, გერმანიის პოლიციის უნივერსიტეტის საპოლიციო მეცნიერების და შემდგომი სწავლების ოფისი, გერმანია;

კატარჟინა ლოპუჟინსკა, ეროვნული პოლიციის ოპერაციებისა და კრიზისების მართვის სამეთაურო ოფისი, პოლონეთი;

მანუელ აუგუსტო მაგინა და სილვა, პორტუგალიის პოლიციის უფროსი,პორტუგალია;

ზორან მიშიცი, სერბეთის პოლიციის უნიფორმიანი პოლიციის დირექტორატის ხელძღვანელის ასისტენტი, სერბეთი;

ანეკე ოსე, კონსულტანტი პოლიციის და ადამიანის უფლებების საკითხებში, კენია;

სერგეი ოსტაფი, ადამიანის უფლებების რესურს ცენტრის (CReDO) დირექტორი, მოლდოვა, შეკრების თავისუფლების საკითხებში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ექსპერტთა პანელის წევრი;

რალფ პრაისი, ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტის პოლიციის უფროსის ოფისის იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე, ა.შ.შ.;

მარტინა შრაიბერი, ექსპერტი საზოგადოებრივი წესრიგის მართვის და ხალხის მასების დინამიკის საკითხებში, გერმანია;

ჟილბერ სინისკალკო, საფრანგეთის ეროვნული პოლიციის მეთაური, საფრანგეთი;

მარტინ სვენსონი, შვედეთის ეროვნული პოლიცია, მალმო, შვედეთი; და

გარი უაითი, Ineqe Group-ის ოპერაციების დირექტორი, გაერთიანებული სამეფო.

წინასიტყვაობა

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტშია აღბეჭდილი, მათ შორისაა ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტი. აღნიშნული უფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს, იგი ყველას აძლევს საჯაროდ ისეთი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას, რომლებიც შესაძლოა განსხვავებული ან არაპოპულარული იყოს. სახელმწიფოებს ამ უფლების პატივისცემის, დაცვის და სრული აღსრულების ვალდებულება აქვთ. მშვიდობიანი შეკრების უფლება გარანტირებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეკრება მშვიდობიან ხასიათს ატარებს. არაკანონიერი, მაგრამ მშვიდობიანი შეკრებები, როდესაც ორგანიზატორებს ან შეკრების მონაწილეებს შესაძლოა გარკვეული იურიდიული მოთხოვნები არ აქვთ შესრულებული, დაცვის იმავე დონით უნდა სარგებლობდნენ რომლითაც ყველა სხვა მშვიდობიანი შეკრება.

შეკრებების ხელშეწყობის კუთხით პოლიციის როლი უმნიშვნელოვანესია. პოლიცია, რომელიც სახელისუფლო ძალაუფლების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა, სახელმწიფოს მიერ კანონის უზენაესობისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მზაობის დემონსტრირებას ახდენს. პოლიციამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა მშვიდობიან შეკრებას, მათ შორის სპონტანურ და ერთდროულად მიმდიანრე შეკრებებსა და კონტრდემონსტრაციებს და დაიცვას შეკრებების მონაწილეები; ამავდროულად, პოლიციამ მათ საკუთარი შეხედულებების მათი მიზნობრივი აუდიტორიის თვალთახედვის არეალში თავისუფლად გამოხატვის საშუალება უნდა მისცეს. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია შეკრებების დროს წესრიგის დაცვის კუთხით პოლიციელთა მენტალიტეტის ცვლილების ხელშეწყობა – როგორც პოლიციის მიერ შეკრებების პოტენციურად სახიფათო მოვლენებად აღქმა, ასევე მათ მიერ შეკრებების და მანიფესტაციების ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან უფლებად აღქმა, რომელიც უნდა იქნას პატივცემული და დაცული. რეალურად, შეკრებების უმრავლესობა მშვიდობიანია და საზოგადოებრივი წესრიგის კუთხით განსაკუთრებულ გამოწვევებს არ წარმოადგენს. თუმცა, უმნიშვნელოვანესია, რომ პოლიცია კარგად

იყოს მომზადებული და გაწრთვნილი შეკრებებთან დაკავშირებული ნებისმიერი კონფლიქტის აღსაკვეთად და ასევე შესაძლო დაძაბულობის დეესკალაციისთვის.

წინამდებარე სახელმძღვანელო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის იმ ფართო სამუშაოს ნაწილია, რომელიც ეუთოს წევრი ქვეყნების მიერ შეკრების თავისუფლების მიმართულებით აღებული ვალდებულებების შესრულებას ეხება. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებში საჯარო შეკრებებზე მონიტორინგს ახორციელებს და აქვეყნებს ანგარიშებს, რომლებშიც შესაბამისი მიგნებები და რეკომენდაციებია მოცემული, მათ შორის პოლიციის მიერ წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც „ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით“ (ვენეციის კომისია)-თან თანამშრომლობით იქნა გამოცემული, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ძირითად ეტალონად და შეფასების წყაროდ გამოიყენება. ამ ინსტრუმენტების შემუშავებისას ის დამოუკიდებელი ექსპერტები გვეხმარებოდნენ, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შეკრების თავისუფლების საკითხებში ექსპერტთა პანელის წევრები არიან. ჩვენ გავაგრძელებთ მათ გამოცდილებასა და ობიექტურობაზე დაყრდნობას კანონმდებლობის მიმოხილვისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროცესში შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით ეუთოს წევრ სახელმწიფოებში.

გარდა ამისა, წინამდებარე სახელმძღვანელო ავსებს წესრიგის დაცვის დემოკრატიულ პრინციპებთან და კარგ პრაქტიკასთან დაკავშირებული სახელმძღვანელობის სერიას, რომელიც ეუთოს ტრანსნაციონალური საფრთხეების დეპარტამენტში არსებული პოლიციის სტრატეგიული საკითხების ერთეულმა (TNTD/SPMU) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავა. იმედს გამოვთქვამ, რომ შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის მხრივ წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული კარგი პრაქტიკა ფართოდ გავრცელდება და გამოყენებული იქნება ეუთოს წევრ სახელმწიფოებში.

მაიკლ ჯორჯ ლინკი
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის დირექტორი

შესავალი

პროტესტის გამოხატვის, დემონსტრაციის გამართვის, რაიმე მოვლენის/
თარიღის აღნიშვნის, გახსენების და ზოგადად ხელისუფლებისთვის
და სხვა მოქალაქეებისთვის კოლექტიურად საკუთარი მოსაზრებების
გადმოცემის მიზნით მშვიდობიანად შეკრების უფლება ფუნქციონალური
დემოკრატიული სისტემების საფუძველს წარმოადგენს. ის მჭიდრო
კავშირშია დემოკრატიისა და პლურალიზმის სხვა ქვაკუთხედებთან,
მაგალითად გამოხატვისა და გაერთიანების თავისუფლებებთან.
მშვიდობიანად შეკრების თავისუფლება ადამიანის უფლებებთან
დაკავშირებულ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტშია აღბეჭდილი,
მათ შორის ეს უფლება გარანტირებულია ევროპის 1990 წლის
კოპენჰაგენის დოკუმენტით.

მშვიდობიანად შეკრების უფლების ხელშეწყობა შესაძლოა რთული იყოს
ხელისუფლებისთვის. ეს განსაკუთრებით რთულია პოლიციისთვის,
რომელსაც შეკრების გამართვის ხელშეწყობის კუთხით უმთავრესი
პასუხისმგებლობა ეკისრება, ამავე დროს პოლიცია ვალდებულია
უზრუნველყოს, რომ სხვა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების
არაპროპორციულად შეზღუდვა არ მოხდეს და რომ საზოგადოებრივი
წესრიგი დაცული იყოს.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს პოლიციას
მშვიდობიანი შეკრების უფლების აღსრულების ხელშეწყობაში.
აღნიშნული სახელმძღვანელო ძირითადად ევროპის წევრ
სახელმწიფოებში მომუშავე პოლიციის იმ თანამშრომლებისთვის შეიქმნა,
რომლებსაც საჯარო შეკრებების დროს წესრიგის დაცვის კუთხით
ყველა რანგზე სამეთაურო პასუხისმგებლობები აკისრიათ. წინამდებარე
სახელმძღვანელოში მოცემულია წინდახედული და პროპორციული
მიდგომები და ფრთხილი საპოლიციო სამუშაოს ძირითადი ეტაპები და
პრინციპები, რომელთა მთავარი მიზანი მშვიდობიანი შეკრების უფლების
ხელშეწყობა წარმოადგენს. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია
ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს შეკრებების დროს
ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის
მოთხოვნებისა და ევროპის წევრ სახელმწიფოებში არსებული კარგი
პრაქტიკის საფუძველზე წესრიგის წარმატებით დაცვა. მართალია

სახელმძღვანელოში ძირითადი აქცენტი „შეკრებებზეა“ გაკეთებული, ამ ნაშრომში მოცემული ინფორმაცია და რეკომენდირებული პრაქტიკა ასევე სხვა ტიპის ღონისძიებებისთვისაც არის შესაბამისი (მაგალითად სახელმწიფო ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები და ა.შ.).

წინამდებარე პუბლიკაციაში განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული პოლიციის მიერ კონკრეტული შეკრების/ღონისძიების წინ დაგეგმარებასა და მომზადებისთვის დროისა და რესურსების გამოყოფის მნიშვნელობაზე. ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ღონისძიება ორგანიზატორების სურვილისამებრ გაიმართება და ამავე დროს სხვების უფლებები და თავისუფლებები მინიმალურად იქნება შეზღუდული. ამგვარ მიდგომას ძალადობის ან საზოგადოებრივი არეულობის რისკის შემცირება და პოლიციისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა შეუძლია. წინამდებარე ნაშრომი ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა – ცოდნას, კომუნიკაციას, ფასილიტაციას (ხელშეწყობას) და დიფერენციაციას – ეს ის პრინციპებია, რომლებიც პოლიციამ საჯარო ღონისძიებებისთვის მზადების ყველა ეტაპზე უნდა გაითვალისწინოს იმისთვის, რომ კონფლიქტის აცილება და შემცირება მოხდეს.

წინამდებარე სახელმძღვანელო პოლიციის მეთაურებს საზოგადოების ჩართულობისა და დაგეგმარების პროცესზე აწვდის ინფორმაციას. მასში აღწერილია სამეთაურო როლები და პასუხისმგებლობები და განხილულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. სახელმძღვანელოში საუბარია სხვადასხვა ტიპის შეკრებების დროს წესრიგის დაცვის მეთოდებზე და შეკრების ცალკეული მონაწილეების თუ ჯგუფების ქცევასთან დაკავშირებულ ტაქტიკაზე. სახელმძღვანელოში ასევე საუბარია პოლიციის მიერ წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ განზრახვებზე და ამოცანებზე და მიმოხილულია პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პარამეტრები, რომლებიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში ჯდება.

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს წინასწარ დაგეგმილ და სპონტანურ შეკრებებს და ხელმძღვანელობას იძლევა ამგვარი ღონისძიებებისთვის მომზადებასა და მათი ხელშეწყობისთვის. სახელმძღვანელოში საუბარია შეკრების შემდგომ პრაქტიკაზე და მის სტრუქტურაზე და ასევე ანგარიშების მომზადებისა და ჩაბარების პროცესზე, რაც პოლიციის მუშაობის გაუმჯობესებისა და მომავალში საპოლიციო სამუშაოში კარგი პრაქტიკის ინტეგრაციის საშუალებას იძლევა. სახელმძღვანელოში აღწერილი ბევრი მიდგომა შესაძლოა ნაცნობი იყოს ზოგიერთი ქვეყნის სამართალდამცავი

სტრუქტურებისთვის, თუმცა ზოგ სხვა ქვეყანაში ეს მიდგომები შესაძლოა ნაკლებად იყოს გამოყენებული. ამავე დროს, ყველა აღწერილი მიდგომა ეუთოს სხვადასხვა წევრ ქვეყანაში შეკრებების დროს წესრიგის დაცვის კუთხით არსებული კარგი პრაქტიკის ანარეკლია, რომელიც წესრიგის დაცვის დემოკრატიულ პრინციპებს ეყრდნობა და შესაბამისად რეგიონის მასშტაბით პოლიციის სტრუქტურებში მათი დანერგვა დიდ სირთულეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. წინამდებარე სახელმძღვანელო მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პოლიციის მეთაურების მიერ იქნა მომზადებული. სახელმძღვანელომ სხვა მაღალი თანამდებობის პოლიციის ოფიცრებისა და შეკრების თავისუფლების და ადამიანის უფლებების სფეროში გამოცდილების მქონე ექსპერტების რამდენიმეეტაპიანი შემოწმება გაიარა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკანონმდებლო და სხვა სახის აქტიურ დახმარებას უწევს, იმისთვის, რომ საჯარო შეკრებები ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად იქნას რეგულირებული და დაცული. წინამდებარე სახელმძღვანელო ამ სამუშაოს ნაწილია, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებისთვის მათ მიერ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების კუთხით აღებული ვალდებულებების განხორციელებაში დაეხმარება. წინამდებარე სახელმძღვანელოს თან ერთვის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ ორგანიზებული სწავლება, რომლის მიზანია პოლიციისთვის დახმარების გაწევა შეკრებებისთვის მომზადებისა და მათი გამართვის დროს წესრიგის დაცვის კუთხით, ამის მიღწევა კი პოლიციის მეთაურებისთვის თავდაპირველი და სამუშაოს ადგილზე შემდგომი რეგულარული სწავლებით უნდა მოხდეს.

ნაწილი I

განმარტებები, პრინციპები და პოლიტიკა

თავი 1. მშვიდობიანი შეკრების უფლება

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და შესაბამისად ის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ქვაკუთხედად ითვლება. წინამდებარე განყოფილებაში ზოგიერთი ის საბაზისო პრინციპია აღწერილი, რომლებიც აღნიშნულ უფლებას უდევს საფუძლვად და ასევე მოიცავს საჯარო შეკრებების დროს წესრიგის დაცვის კუთხით პოლიციის ძირითად მოვალეობებს.

მშვიდობიანი შეკრების უფლება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საერთაშორისო ინსტრუმენტშია შესული, კერძოდ:

- ადამიანის უფლებების საყოველთა დეკლარაცია, მუხლი 20(1948 წ.);
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 21 (1966 წ.);
- ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების შესახებ, მუხლი 11 (1950 წ.); და
- გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 15 (1989 წ.).

ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის ფარგლებში ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა მშვიდობიანი შეკრებისა და დემონსტრაციის უფლების პატივისცემის ვალდებულება აიღეს.

მშვიდობიანი შეკრების უფლება ყველა ადამიანს და ჯგუფს, არარეგისტრირებულ გაერთიანებებს, იურიდიულ პირებს და კორპორატიულ ორგანოებს მოიცავს. აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია, რომელიც ეყრდნობა რასას, კანის ფერს, სქესს, ენას, რელიგიას, პოლიტიკურ ან სხვა მოსაზრებებს, ეროვნულ თუ სოციალურ წარმომავლობას, ქონებას, დაბადების ადგილს თუ სხვა სტატუსს. ნებისმიერ ამ ფაქტორზე დაყრდნობით განხორციელებული დისკრიმინაცია, რომელიც ადამიანების მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღდუვაზეა მიმართული, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევად იქნება ჩათვლილი.

თუმცა საერთაშორისო ინსტრუმენტებში შეკრების უფლების ზოგადი პრინციპია აღწერილი, ეს უფლება ასევე არის გამაგრებული ეროვნული კონსტიტუციით და გარდა ამისა განმარტებული ადგილობრივი კანონმდებლობით და რეგულაციებით, რის შედეგადაც შეკრების უფლების ხელშეწყობასთან დაკავშირებული კონკრეტული პროცედურების დეტალური აღწერა ხდება.

ევროპის/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ ერთობლივად მომზადებულ „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპებში“ (რომელიც ამიერიდან „სახელმძღვანელო პრინციპებად“ იქნება მოხსენიებული) მოცემულ განმარტებაში[1].

ხაზგასმულია, რომ შეკრებები წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია რაღაცის შესახებ ვინმესთვის გარკვეული გზავნილის გადაცემა. მართალია ჩვეულებრივ შეკრებებს დროებითი ხასიათი აქვთ, ისინი შესაძლოა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდნენ, მიიღონ ნახევრად პერმანენტული ხასიათი და რამდენიმე თვე გაგრძელდეს. მართალია შეკრებების კონკრეტული ფორმები განსაკუთრებულ მარეგულირებელ ზომებს საჭიროებდნენ, მშვიდობიანი შეკრების ყველა ფორმა, იქნება ეს მიტინგი თუ მოძრავი შეკრება, ხელშეწყობილი უნდა იქნას.

შეკრებებს მრავალი სხვადასხვა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეთ, მათ შორის რაღაცის ზეიმი, გახსენება და/ან გაპროტესტება. მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობა გზავნილის კოლექტიურად გადაცემის ან აზრის გამოხატვის საშუალებაა; ამაში შედის მრავალფეროვანი, კრიტიკული, რადიკალური, არაპოპულარული ან უმცირესობებაში მყოფი ჯგუფების აზრების გახმოვანება. ამგვარი რადიკალური და არაპოპულარული შეხედულებების გამოხატვას თემის სხვა წევრების გარკვეული დონის შეურაცხყოფა შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ამის მიუხედავად ამგვარი აზრების გამოხატვა დაცული და ხელშეწყობილი უნდა იყოს თუ რა თქმა უნდა შეკრების მონაწილეთა ქმედებები მშვიდობიან ჩარჩოებში რჩება.

ბევრმა შეკრებამ ასევე ჩვეული აქტივობების გარკვეული შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს; შეკრების მონაწილეებმა შეიძლება დაიკავონ გზები, გამზირები ან ზეგავლენა მოახდინონ საგზაო მოძრაობაზე, ფეხით მოსიარულეებზე და საქმიან წრეზე. ფუნდამენტური თავისუფლებებით სარგებლობის შედეგად გამოწვეულ ამგვარ შეფერხებაზე რეაგირება უნდა იყოს ტოლერანტული. უნდა გავიაზროთ, რომ საჯარო სივრცეები ისევეა განკუთვნილი ადამიანთა შეკრებისთვის როგორც სხვა ტიპის აქტივობებისთვის, შესაბამისად შეკრების უფლება ხელშეწყობილი უნდა იქნას.

---

1 სახელმძღვანელო პრინციპები მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ, მეორე გამოცემა (ვარშავა: ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი/ვენეციის კომისია, 2010 წ.) <http://www.osce.org/odihr/73405>.

მშვიდობიანი შეკრების უფლება კულტურული და სოციალური ნორმებისა და ფასეულობების შენარჩუნების და განვითარების და ასევე მათი ეჭვის ქვეშ დაყენების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. აღნიშნული უფლება მნიშვნელოვანია უმცირესობების იდენტობის შენარჩუნებისა და გამოხატვისთვის და მთავრობების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის. მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვა უმნიშვნელოვანესია ტოლერანტული და პლურალისტული საზოგადოების შესაქმნელად, რომელშიც სხვადასხვა ჯგუფებს ერთად მშვიდად თანაარსებობა შეუძლიათ.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო პრინციპები ნათლად მიუთითებს, რომ სახელმწიფოს და მის წარმომადგენლებს აქვთ ვალდებულება და პასუხისმგებლობა პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის ყველა უფლება. ამაში შედის:

- ადამიანთა უფლებების შეზღუდვისგან თავის შეკავების ვალდებულება („ნეგატიური“ ვალდებულება) და
- ადამიანთა უფლებების დასაცავად და ხელშესაწყობად ყველა აუცილებელი ზომის მიღების ვალდებულება („დადებითი“ ვალდებულება).

შეკრების უფლებით სარგებლობის შემთხვევაში აღნიშნული უფლების დაცვისა და მისი ხელშეწყობის კუთხით მთავარი პასუხისმგებლობა პოლიციას აკისრია, რადგან ეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მხრივ მთავარ სტრუქტურას წარმოადგენს. ამაში შედის ისეთი მშვიდობიანი შეკრებების დაცვა, რომლებიც სხვა ჯგუფების პროვოცირებას და მათი გრძნობების შეურაცხყოფას ახდენენ და ასევე ისეთი შეკრებების დაცვა, რომლებსაც ჩვეული (რუტინული) აქტივობების და შესაბამისად აქციაში არ მონაწილე პირთა ცხოვრების გარკვეულ დონეზე შეფერხება შეუძლიათ. როდესაც მშვიდობიანი საპროტესტო აქცია სხვა ადამიანების უფლებებზე და თავისუფლებებზე ახდენს ზეგავლენას, ამ უფლებებისა და შეკრების თავისუფლების ერთმანეთთან დაბალანსება ხშირად პოლიციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს.

შეკრების თავისუფლება მშვიდობიანად შეკრების უფლებას გულისხმობს. შეკრების უფლებით სარგებლობისას ძალადობრივი ქმედებების განხორციელების უფლება არ არსებობს. თუ კონკრეტული პირი შეკრებაში მონაწილეობის დროს ძალადობრივად იქცევა, მაშინ ეს პირი ადამიანის დაცული უფლებით აღარ სარგებლობს. თუმცა, კონკრეტული აქციის რამდენიმე მონაწილის მიერ განხორციელებული ძალადობრივი აქტები აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ ამას ზეგავლენა უნდა ჰქონდეს აქციის დანარჩენი მშვიდობიანი მონაწილეების შეკრების უფლებაზე.

მართალია მშვიდობიანი შეკრების უფლება შეიძლება მოიცავდეს ისეთ ქმედებებს ან სიტყვებს, რომლებიც ვინმესთვის შეურაცხმყოფელი შეიძლება იყოს, ისეთი შეკრებები ან ქმედებები, რომელთა მიზანია სხვათა დაშინება, შეწუხება ან მუქარის განხორციელება, შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელ და პროპორციულ შეზღუდვებს ან აკრძალვებს დაექვემდებარონ.

უნდა აღინიშნოს რომ იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა შეკრების ორგანიზატორმა ან კონკრეტულმა მონაწილემ შეკრებებთან დაკავშირებით არსებული იურიდიული მოთხოვნები დაარღვიონ, მხოლოდ ეს გარემოება არ ანთავისუფლებს პოლიციას მის მოვალეობისგან დაიცვას და ხელი შეუწყოს შეკრებას, რომელიც მშვიდობიან ხასიათს ინარჩუნებს. შეკრებებთან დაკავშირებით არსებული იურიდიული მოთხოვნების დარღვევა შესაბამისი დამრღვევების მიმართ პროპორციული სანქციების დაწესებით შეიძლება იქნას დასჯილი.

შეკრებების სახეობები

საჯარო შეკრებების მრავალი სხვადასხვა ფორმა არსებობს, რომლებიც მშვიდობიანი შეკრების უფლებით არის დაფარული. ამაში შედის შეხვედრები, მიტინგები, პიკეტები, დემონსტრაციები, მარშები, მსვლელობები, აღლუმები და ფლეშ-მობები.

მშვიდობიანი შეკრება: შეკრება მშვიდობიანად უნდა ჩაითვალოს თუ მისმა ორგანიზატორებმა მშვიდობიანი განზრახვები გააჟღერეს და აქციის მონაწილეთა ქცევა არაძალადობრივია. წინასწარ დაშვების სახით უნდა მივიღოთ მოცემულობა, რომ აქციის მონაწილეებს/ორგანიზატორებს მშვიდობიანი განზრახვა ექნებათ და შესაბამისად მოიქცევიან, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სახეზეა აშკარა და ხილული მტკიცებულება, რომ ორგანიზატორები ან მონაწილეები ძალადობის გარდაუვალად გამოყენებას, ძალადობისკენ მოწოდებას ან მის გამოწვევას აპირებენ. ტერმინ „მშვიდობიანში“ იგულისხმება გამომხატველი ქცევა, რომელიც შეიძლება აღიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს ვინმეს ან ისეთ ქცევასაც კი, რომელიც დროებით აფერხებს ან ხელს უშლის მესამე მხარის აქტივობებს.[2] შეკრება უნდა ჩაითვალოს მშვიდობიანად და შესაბამისად მას ხელისუფლების ორგანოებისგან უნდა ჰქონდეს ხელშეწყობა მაშინაც

2 იხილეთ ზემოთ.

კი თუ აქციის ორგანიზატორებს ყველა იურიდიული მოთხოვნა არ აქვთ დაკმაყოფილებული. ამგვარი მოთხოვნების არდაკმაყოფილება არ უნდა გახდეს შეკრებისთვის ხელის შეშლის, მისი დაშლის ან მისი აღკვეთის საფუძველი.

ისეთი აქციები, რომლებზეც ხდება სიძულვილის, ძალადობის ან ომისკენ მოწოდება, რომელთა მიზანია სხვათა უფლებების შენგებულად შეზღუდვა ან უარყოფა ან რომლებიც მიმართულია სხვათა დაშინებაზე, შეწუხებაზე ან სხვათა მიმართ მუქარის განხორციელებაზე, შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევით, დაცული შეკრებების კატეგორიას არ განეკუთვნებიან. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლის მიხედვით: „ომის ნებისმიერი პროპაგანდა აკრძალული უნდა იყოს კანონით; გარდა ამისა, ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის მხარდაჭერა, რაც დისკრიმინაციის, მტრული ურთიერთობების ან ძალადობის გაღვივებას გულისხმობს, კანონით უნდა იყოს აკრძალული.“[3]

ხელისუფლებას და პოლიციას უნდა ახსოვდეთ, რომ შეკრების უფლება ინდივიდუალურ უფლებას წარმოადგენს და ცალკეული პირების ან პირთა მცირე ჯგუფების სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესიის ან ძალადობის აქტები იმ ადამიანთა შეკრების უფლებას არ აბათილებს, რომლებიც მშვიდობიან ქცევას აგრძელებენ. იმ შემთხვევაში თუ მშვიდობიანი შეკრების ქმედებები ზეგავლენას ახდენს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებზე, ხელისუფლებამ ამ საკითხზე რეაგირებისას ყველა მხარის უფლებებისა და თავისუფლებების დაბალანსება უნდა მოახდინოს. ეუთოს ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში, ამგვარი უფლებამოსილება პოლიციას გააჩნია, ხოლო ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეს უფლებამოსილება ადგილობრივი ხელისუფლების ან სასამართლოს ორგანოებს მიეკუთვნებათ, რომლებიც ამ სხვადასხვა ინტერესების დაბალანსებას ახდენენ.

სპონტანური შეკრება: ეს არის შეკრება, რომელიც იმართება რაიმე ინციდენტის ან მოვლენის შედეგად, ამ დროს ხელისუფლების წინასწარ ინფორმირებასთან დაკავშირებული იურიდიული მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია; შეკრებები რომლებსაც ოფიციალური ორგანიზატორები არ ჰყავთ ასევე შეიძლება ჩაითვალოს სპონტანურ შეკრებებად. ამგვარი აქციები ხშირად მათი გამომწვევი მოვლენიდან

3 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, (ნიუ-იორკი: გაეროს გენერალური ასამბლეა, 1966 წ.), რეზოლუცია 2200A (XXI) ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ.

მალევე იმართება და მათი გამართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია, რადგან წინასწარი გაფრთხილებისთვის საჭირო პერიოდს შესაბამისი გზავნილის ეფექტურად გამოხატვის შესუსტება ან პრევენცია შეუძლია.

იმ დროს როცა ტერმინი „სპონტანური“ არ გამორიცხავს შეკრების ორგანიზატორის არსებობას, სპონტანური აქციები ასევე გულისხმობს ისეთ შეკრებებს, რომლებსაც კონკრეტული ორგანიზატორები არ ჰყავთ. ადამიანთა ჯგუფის კონკრეტულ ადგილზე წინასწარი განცხადების ან მოწვევის გარეშე შეკრება ამგვარი შეკრების მაგალითია. ასეთი აქციები ხშირად კონკრეტული ამბის ან ინფორმაციის შედეგია, რომელიც ვრცელდება რაიმე საყურადღებო მოვლენის შესახებ (მაგალითად უცხო ქვეყნის მეთაურის ვიზიტი) მომზადებული ახალი ამბების, და ასევე სულ უფრო და უფრო ხშირ შემთხვევებში სოციალური მედიის მეშვეობით. შეკრების მონაწილეთა რაოდენობა გამვლელების შედეგად შეიძლება გაიზაროდს, რომლებმაც შეიძლება გადაწყვიტონ შეუერთდნენ შეკრებას, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ როგორც კი აქციის მონაწილეები დაიწყებენ შეკრებას, სწრაფი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით ხალხის შემდგომი მობილიზებაც მოხდეს (მაგალითად ტელეფონით, ტექსტური შეტყობინებებით, ზეპირსიტყვიერად, ინტერნეტის და სოციალური მედიის მეშვეობით და ა.შ.). ცალკე აღებული ამგვარი კომუნიკაცია არ უნდა ჩაითვალოს აღნიშნული შეკრების წინასწარ ორგანიზების მტკიცებულებად. როდესაც ერთ დემონსტრანტს სხვა ადამიანი ან ადამიანები უერთდებიან, ასეთი შეკრებაც სპონტანურ შეკრებად უნდა იქნას აღქმული. სპონტანურ შეკრებას, იმ შემთხვევაში თუ ის „მშვიდობიანი შეკრების“ განსაზღვრებაში ჯდება, დაცვის იმავე დონე უნდა ჰქონდეს, რომლითაც ის შეკრებები სარგებლობენ, რომელთა ორგანიზატორებმა ხელისუფლების ორგანოები წინასწარ გააფრთხილეს.

სინქრონული შეკრებები: იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლების შესაბამისი ორგანო ერთი და იმავე ადგილას და დროს ორი ან მეტი ერთმანეთთან კავშირში არ მყოფი შეკრების გამართვის შესახებ შეტყობინებას მიიღებს, ყველა ეს შეკრება მაქსიმალურად უნდა იყოს ხელშეწყობილი. კონკრეტული შეკრების მხოლოდ იმის გამო აკრძალვა რომ იგი სხვა აქციის ადგილს და დროს ემთხვევა სავარაუდოდ არაპროპორციული რეაგირების ტოლფასი იქნება იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია რომ ორივე ამ აქციის ხელშეწყობა მოხდეს. დისკრიმინაციის გამორიცხვის პრინციპი ასევე მოითხოვს, რომ დაახლოებით ერთი და იგივე ტიპის აქციები სხვადასხვანაირი დონის შეზღუდვებს არ დაექვემდებარონ. სწორედ ამ დროს პოლიციასა და ორგანიზატორებს შორის გამართულ

დიალოგს რისკის შემცირება და პრობლემების გადაწყვეტა დაგეგმარების ადრეულ ეტაპებზე შეუძლია.

თუ ორივე შეკრების ერთდროულად ხელშეწყობა შეუძლებელია, მაშინ იმ აქციის გამართვას უნდა შეეწყოს ხელი, რომლის შესახებ ოფიციალური შეტყობინება უფრო ადრე იქნა შემოტანილი, ხოლო სხვა აქცია ამ ადგილის სიახლოვეს ან ორგანიზატორებისთვის მისაღებ სხვა დროს უნდა გაიმართოს. შეკრების სხვა ადგილზე გადატანის ან გადადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ბევრი ფაქტორი უნდა იქნას გათვალისწინებული: შეკრებების სიდიდე, გამოყენებული იქნება თუ არა ავტომობილები და ხმის გამაძლიერებელი აპარატურა და ა.შ. გარდა ამისა, უნდა გაირკვეს ამ ორ აქციის მონაწილეებს შორის ადრე ძალადობრივ შეტაკებებს ჰქონია თუ არა ადგილი იმისთვის, რომ ყველა მხარის უსაფრთხოება იქნას უზრუნველყოფილი და ამავე დროს მათი შეკრების უფლება იქნას ხელშეწყობილი.

კონტრაქცია: ეს სინქრონულად გამართული შეკრების განსაკუთრებული ფორმაა, რომლის მონაწილეებს სხვა შეკრების ფარგლებში გამოხატული შეხედულებების გაპროტესტება სურთ. ხაზგასასმელია სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას და ხელი შეუწყოს ყველა აქციას, მათ შორის კონტრდემონსტრაციასაც. სახელმწიფომ შესაბამისი რაოდენობის პოლიციელები უნდა გამოყოს ამგვარი ერთდროულად მიმდინარე აქციების ხელშესაწყობად, რომლებიც, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ერთმანეთის თვალთახედვის არეალში უნდა გაიმართოს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონტრაქციის ჩატარების უფლება არ გულისხმობს სხვებისთვის შეკრების უფლების შეზღუდვას. შესაძლოა არსებობდეს ისეთი გარემოებები, რომელთა ფარგლებშიც ხელისუფლება კანონიერად ზღუდავს კონტრაქციის მონაწილეების შეკრების უფლებას იმ აქციის თვალთახედვის არეალში, რომელსაც ისინი აპროტესტებენ, რათა ამ უკანასკნელის მონაწილეთა შეკრების უფლება იქნას დაცული.

ძალადობა და შეკრებები

შეკრების უფლება მშვიდობიანად შეკრების უფლებას გულისხმობს. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა იქნას ხაზგასმული, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფის ძალადობრივი ქმედებები სხვების მშვიდობიანი ქცევისგან უნდა იქნას განსხვავებული და ამ ქმედებებმა არ უნდა გააბათილოს იმ ადამიანთა შეკრების უფლება, რომლებიც აქციას მშვიდობიანად აგრძელებენ.

თუ ცალკეული პირები ან ადამიანთა მცირე ჯგუფები შეკრების დროს ფიზიკურ ძალადობას მიმართავენ, პოლიციამ ყოველთვის უნდა უზრუნველყოს, რომ მისი რეაგირება იყოს პროპორციული და მიმართული მათზე ვინც ძალადობრივ ქმედებებშია ჩართული და არა მთლიანად აქციის მონაწილეებზე. ეს ასე უნდა ხდებოდეს იმისდა მიუხედავად ძალადობა პოლიციის, ცალკეული პირების, ქონების, შეკრების მონაწილეების თუ იმ ადამიანების წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებიც აქციის მოწინააღმდეგეებად აღიქმებიან.

პოლიციას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ შეკრების მონაწილეების წინააღმდეგ ძალის ნებისმიერ გამოყენებას შესაძლოა მონაწილეთა აგრესიული რეაქცია მოჰყვეს, რაც მხოლოდ სიტუაციის ესკალაციას შეუწყობს ხელს. ამის გამო, პოლიციის განზრახვა და დაგეგმილი ქმედებები ღიად უნდა იქნას ახსნილი აქციის მონაწილეებისთვის. იქ სადაც ეს შესაძლებელია, ძალის გამოყენებას შესაბამისი სიტყვიერი გაფრთხილება უნდა უძღვოდეს წინ.

პოლიცია მუდამ ყურადღებით უნდა იყოს შეკრებებში მონაწილე კონკრეტული ჯგუფების წევრთა მიმართ შესაძლო აგრესიის გამოვლინებასთან დაკავშირებით, გამოწვეული ადამიანთა სქესის, ასაკის, შეზღუდული უნარების, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, ეროვნები ან სექსუალური ორიენტაციი გამო; ეს ყურადღება საჭიროა იმისთვის, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობა აქციების ყველა მონაწილისთვის იყოს უზრუნველყოფილი.

შეკრებების შეზღუდვა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დაიცვას და ხელი შეუწყოს მშვიდობიანი შეკრების უფლება არ ნიშნავს იმას, რომ მშვიდობიანი შეკრებების შეზღუდვა ან გონივრულ ფარგლებში და კანონიერად რეგულირება არ შეიძლება მაშინ როცა ამას ეროვნულ უშიშროებასთან ან საზოგადოების უსაფრთხოებასთან, საზოგადოებრივ წესრიგთან, ჯანდაცვასთან ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებული გარემოებები ითხოვს. თუმცა ყველა ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეზღუდვები კონკრეტულ სოციალურ საჭიროებაზე მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 21-ე მუხლი შეკრების შეზღუდვის საფუძვლებს განსაზღვრავს:

"ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუწესდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობრივი ნორმების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად."[4]

შეზღუდვები შეკრების გამართვამდე და/ან მის მიმდინარეობისას შეიძლება დაწესდეს. ზოგიერთ ქვეყანაში პოლიცია შეიძლება იყოს პასუხისმგებელი, რომ შეზღუდვები შეკრების დაწყებამდე დააწესოს, ხოლო ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ამისი უფლებამოსილება სხვა ორგანოებს გააჩნიათ, მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ან სასამართლოები. ეუთოს ყველა სახელმწიფოში პოლიციას შეკრების მიმდინარეობისას გონივრული შეზღუდვების დაწესების უფლება აქვს, თუმცა დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა ყოველთვის კანონიერი, აუცილებელი და ზომიერი უნდა იყოს.

შეკრების გამართვასთან დაკავშირებით შეზღუდვების დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პოლიციის ორგანოებმა სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემული შემდეგი ძირითადი პრინციპები უნდა გაითვალისწინოს.[5]

შეკრებების მხარდამჭერი პრეზუმპცია: მშვიდობიანი შეკრების უფლება ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, შესაბამისად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ უფლებით სარგებლობა რეგულირების გარეშე უნდა ხდებოდეს. ნებისმიერი რამ, რაც კანონით პირდაპირ არ არის აკრძალული უნდა ჩაითვალოს დასაშვებად და მათ ვინც შეკრება სურთ ამისთვის ნებართვის აღება არ უნდა ევალებოდეთ. ამ თავისუფლების მხარდამჭერი დაშვება ნათლად და პირდაპირ უნდა იყოს გამოხატული კანონში.

მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობის და დაცვის პოზიტიური ვალდებულება: სახელმწიფომ ადეკვატური მექანიზმები და პროცედურები უნდა შექმნას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობა პრაქტიკაში ხდებოდეს და ის არ ექვემდებარებოდეს ზედმეტ ბიუროკრატიულ რეგულირებას. კონკრეტულად, სახელმწიფო ყოველთვის უნდა ეცადოს ხელი შეუწყოს და დაიცვას საჯარო შეკრებები ორგანიზატორებისთვის

---

4 იხილეთ ზემოთ

5 მშვიდობიანი შეკრების სახელმძღვანელო პრინციპები, ციტირებულ ნამუშევარში: შენიშვნა .

მისაღებ დროს, ადგილას და ფორმატში; გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი შეკრების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ხელი არ შეეშალოს.

კანონიერება: ნებისმიერი შეზღუდვა კანონის ფორმალურ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებს შეესაბამებოდეს. კარგად შედგენილი კანონმდებლობა ძალზედ მნიშვნელოვანია ხელისუფლებისთვის დაწესებული უფლებების საზღვრების დასადგენად. ნებისმიერი კანონი ადამიანის უფლებების მიმართულებით საერთაშორისო დონეზე არსებულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს და საკმარისად ზუსტი უნდა იყოს იმისთვის, რომ კონკრეტულმა პირმა შეძლოს იმის განსაზღვრა არღვევს თუ არა კანონს მისი ქმედება და ასევე იმის დადგენა თუ რა სავარაუდო შედეგები მოჰყვება მის მიერ ამ კანონის დარღვევას. გარდა ამისა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ღონისძიების დროს დაწესებული შეზღუდვები კანონის სრულ შესაბამისობაში იყოს და ჯდებოდეს არსებული იურისპრუდენციის ფარგლებში. და ბოლოს, შეკრებების შემდეგ კანონით გაუთვალისწინებელი სანქციებისა და სასჯელების გამოყენება დაუშვებელია.

პროპორციულობა: შეკრების გამართვის დროსთან, ადგილთან და ფორმატთან დაკავშირებით დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს პროპორციული. ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროცესში ხელისუფლებამ ყოველთვის უპირატესობა უნდა მიანიჭოს ზომებს, რომელიც მცირე მაშტაბის ინტერვენციას მოითხოვს. პროპორციულობის პრინციპის მიხედვით, ხელისუფლებამ არ უნდა დააწესოს ისეთი შეზღუდვები, რომლებიც ფუნდამენტურად შეცვლის კონკრეტული ღონისძიების ხასიათს, მაგალითად შეკრების ქალაქის ცენტრიდან გადატანა ან მიზნობრივი აუდიტორიის თვალთახედვის არეალში კონკრეტული შეკრების გამართვის აკრძალვა.

აუცილებლობა: დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრების უფლებით სარგებლობაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს ეროვნული უშიშროების ან საზოგადოების უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოების ჯანმრთელობის ან ზნეობრივი ნორმების დაცვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. აუცილებლობის ტესტი, კონკრეტულ გარემოებებში, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობის დადასტურებას მოითხოვს.

შეტყობინება: ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული საერთაშორისო სამართლით ქვეყნის კანონდმებლობაში შეკრების გამართვის შესახებ წინასწარი შეტყობინების ვალდებულება არ არსებობს. მართლაც, ღია საზოგადოებაში, შეკრებების მრავალი სახეობა ოფიციალურ რეგულირებას არ ექვემდებარება. ამიტომ, წინასწარი შეტყობინება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს აუცილებელი როდესაც მისი მიზანია სახელმწიფოსთვის ყველა იმ აუცილებელი ზომის გატარების საშუალების მიცემა, რომლითაც შეკრების უფლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოების უსაფრთხოების, საზოგადოების ჯანმრთელობის ან ზნეობრივი ნორმების და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა მოხდება. ნებისმიერი ასეთი იურიდიული რეგულირების ფარგლებში შეკრების ორგანიზატორებს მათი განზრახვის შესახებ განცხადების და არა ნებართვის მიღების თხოვნის შემოტანა უნდა ევალებოდეთ.

შეტყობინების პროცესი არ უნდა იყოს გაწელილი ან ბიუროკრატიული, და ამასთან შეტყობინებასთან დაკავშირებით პასუხის მიღების პერიოდი ზედმეტად გრძელი. რეალურად, შეტყობინების პერიოდი იმისთვის უნდა იქნას დაწესებული, რომ:

ა. შესაბამის ორგანოებს საკუთარი პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი დრო მიეცეთ, რათა მათ აუცილებელი გეგმების შედგენა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება შეძლონ; და

ბ. კონკრეტული შეზღუდვის გასაჩივრების შემთხვევაში არსებობდეს სასამართლოსთვის მიმართვის ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისთვის საჭირო დრო.

თუ ხელისუფლების შესაბამისი ორგანო დროულად არ გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას შეტყობინებასთან დაკავშირებით, მაშინ შეკრების ორგანიზატორებმა უნდა ჩათვალონ, რომ მათ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეუძლიათ გააგრძელონ თავიანთი შეკრებისთვის მზადება შეტყობინებაში მოცემული პირობების მიხედვით.

ზოგადად, იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლება იქნას გარანტირებული, შეზღუდვები არ უნდა შეეხოს იმ გზავნილის შინაარს, რომლის გადმოცემაც კონკრეტული შეკრების მონაწილეები ცდილობენ.[6] პოლიციას შეიძლება მოუწიოს ისეთ გამოსვლებზე რეაგირების

6 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი.

მოხდენა, რომლებიც დისკრიმინაციის, დაპირისპირების ან ძალადობის გაღვივებაზეა მიმართული. თუმცა, პოლიციელებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვავონ აქციის ის მონაწილეები, რომლებიც ამგვარ მოწოდებებს იყენებენ აქციის იმ მონაწილეებისგან, რომელთა მშვიდობიანი შეკრების უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვა არ უნდა მოხდეს. ამავე დროს, გასნაკუთრებით ფართომასშტაბიანი ოპერაციების ან განსაკუთრებით საკამათო სახის ღონისძიებების დროს, თითოეული პოლიციელის მიერ ინდივიდუალური ქმედებების განხორციელების მაგივრად, კონკრეტული ქმედებების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება პოლიციის სამეთაურო სტრუქტურიდან უნდა მოდიოდეს და შესაბამისი გეგმები წინასწარ უნდა იყოს მომზადებული. პოლიციამ ამგვარ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა უნდა შეიმუშავოს; კონკრეტულად, ცნობილი უნდა იყოს ვის აქვს აქციის მსვლელობაში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება და რა ტიპის ტექსტები ან სლოგანები მოითხოვს პოლიციის მიერ მოქმედებას. ზოგიერთ ქვეყანაში, ამ მხრივ საზღვრების დადგენაში პროკურატურა მონაწილეობს.

თუმცა, შესაძლებელია კონკრეტული საჯარო შეკრებების დროის, ადგილის და ფორმატის რეგულირება იმისთვის, რომ ამგვარი შეკრებების შედეგად სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების არაგონივრულ ფარგლებში შეზღუდვა იქნას აღკვეთილი. აქ საუბარია ადამიანების მიერ საკუთარი შეხედულებების შეკრების მეშვეობით გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა ადამიანების უფლებების ზედმეტად შეზღუდვის თავიდან აცილებას შორის სწორი ბალანსის პოვნის აუცილებლობაზე.

როდესაც კონკრეტული შეკრების შეზღუდვისთვის კანონიერი საფუძვლები არსებობს, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული შეზღუდვები რაც შეიძლება მინიმალური იყოს და რომ აღნიშნული აქციისთვის ორგანიზატორებისთვის მისაღები ალტერნატიული დრო ან ადგილი იქნას გამოყოფილი. ნებისმიერი ალტერნატივა საშუალებას უნდა აძლევდეს აქციის მონაწილეებს,მათი გზავნილის ეფექტურად მიტანას იმ პირებისთვის ვისთვისაც ეს გზავნილია განკუთვნილი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქციის გამართვის ალტერნატიული ადგილი/დრო მიზნობრივი აუდიტორიის თვალთახედვის არეალში უნდა იყოს.

თუ შეკრების მონაწილეებს კონტრაქცია უპირისპირდება, რომლის მიზანს ადამიანთა მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვა წარმოადგენს, მაშინ ეს კონტრაქცია აღარ ითვლება ადამიანის უფლებების სფეროში არსებული საერთაშორისო სამართლის ფარგლებში დაცულად.

შეკრების აკრძალვა

შეკრების აკრძალვა მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას უნდა დაიშვებოდეს. ამ გარემოებებში იგულისხმება ისეთი მდგომარეობა, როდესაც დანაშაულის ჩადენის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მნიშვნელოვანი და რეალური საშიშროება და ეროვნული უშიშროებისადმი გარდაუვალი საფრთხე არსებობს ან როდესაც შეკრების მიზანს სიძულვილის ან ძალადობის გაღვივება, სხვათა დაშინება ან მუქარა ან სხვებისთვის მათი კანონიერი უფლებებით სარგებლობის შეგნებულად ხელის შეშლა წარმოადგენს.

ის რომ კონკრეტულ შეკრებას შესაძლოა ძალადობრივი კონტრაქცია დაუპირისპირდეს ან ეს შეკრება მისგან განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების შეტევის ობიექტი გახდეს, ამ მშვიდობიანი აქციის აკრძალვის საფუძველი არ უნდა გახდეს. ამ შემთხვევაში პოლიცია პასუხისმგებელია, რომ მშვიდობიანი შეკრება დაიცვას კონტრაქციის მონაწილეთა თავდასხმისგან ან ძალადობისგან.

კონკრეტულ ადგილზე ან კონკრეტულ პერიოდში ყველა შეკრების ერთიანად აკრძალვა სავარაუდოდ მშვიდობიანი შეკრების უფლების არაპროპორციული შეზღუდვა იქნება. თუ კონკრეტული აქციის აკრძალვა ან შეზღუდვა ხდება, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება უნდა არსებობდეს.

ხარჯები

შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარების ხარჯები (მათ შორის პოლიციის მიერ წესრიგის დაცვა და საგზაო მოძრაობის მართვა) მთლიანად ხელისუფლებამ უნდა დაფაროს. პოლიციის მიერ შეკრებების დროს წესრიგის დაცვის ხარჯებისთვის სახელმწიფომ რაიმე დამატებითი გადასახადები ან ფინანსური მოსაკრებლები არ უნდა დააწესოს. არაკომერციული საჯარო შეკრებების ორგანიზატორებს მათი ღონისძიების გასამართად საჯარო პასუხისმგებლობის დაზღვევის შეძენა არ უნდა ევალებოდეთ.

თავი 2. შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის ძირითადი პრინციპები

ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა თანამედროვე საპოლიციო სამუშაოს (მათ შორის საჯარო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის) საფუძველი უნდა იყოს. ამაში იგულისხმება იმის გააზრება, რომ პოლიციას აკისრია გონივრული და შესაბამისი ზომების მიღების პასუხისმგებლობა იმისთვის რომ ადამიანებს საკუთარი უფლებების გამოყენების საშუალება ჰქონდეთ; პოლიციას უნდა ესმოდეს, რომ იგი არ უნდა ჩაერიოს კონკრეტული შეკრების მსვლელობაში მაშინაც კი როდესაც ადამიანები ამას უკანონოდ ითხოვენ და რომ ის ყოველთვის მიუკერძოებლად უნდა მოქმედებდეს.

პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების დემოკრატიულად შესრულება

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების დემოკრატიულად შესრულების შესახებ7 რამდენიმე მთავარ პრინციპს უსვამს ხაზს, რომლებიც საპოლიციო სამუშაოს ყველა ფორმას უნდა ედოს საფუძვლად და რომლებიც შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვისადმი მიდგომის საფუძველს წარმოადგენს.

პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების დემოკრატიულად შესრულების მიზნის განხორციელება: პოლიცია ხელისუფლების ძალაუფლების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებაა, მისი მთავარი მოვალეობაა კანონიერების და წესრიგის დაცვა, ადამიანთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, მასთან ბრძოლა და საზოგადოებისთვის დახმარების და მომსახურების გაწევა.

კანონის უზენაესობის დაცვა: პოლიციამ ადგილობრივი კანონმდებლობისა და სამართალდამცავ ორგანოებთან დაკავშირებულ იმ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით უნდა იმოქმედოს, რომლებსაც ეუთოს წევრი ქვეყნები აღიარებენ. გარდა ამისა, პოლიციამ კანონის უზენაესობისადმი ერთგულება პრაქტიკაში უნდა აჩვენოს.

---

7 შეკრებების დროს დემოკრატიული საპოლიციო სამუშაოს განხორციელება (ვენა: ეუთოს უფროსი მრჩეველი პოლიციის საკითხებში, 2008 წ.) SPMU-ს პუბლიკაციების სერია, ტომი 1, მეორე გამოცემა, <http://www.osce.org/spmu/23804>.

პოლიციის ეთიკის კოდექსი და ადამიანის უფლებები: საზოგადოების ნდობის გასამართლებლად პოლიციამ პროფესიული ქცევის კოდექსი უნდა დაიცვას და პროფესიონალიზმისა და პატიოსნების დემონსტრირება უნდა მოახდინოს. სიცოცხლის დაცვა და შენარჩუნება პოლიციის მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

პოლიციის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა: პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების დემოკრატიულად შესრულება მოითხოვს, რომ პოლიცია იყოს (და საკუთარ თავს თვლიდეს) ანგარიშვალდებული მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების, სახელმწიფოსა და კანონის წინაშე. პოლიციის ქმედებები, მათ შორის კონკრეტული პოლიციელების ქცევა, საპოლიციო ოპერაციების სტრატეგიები, თანამდებობებზე დანიშვნის პროცედურები და ბიუჯეტის მართვა შემოწმებას და სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციის ზედახმედველობას უდნა ექვემდებარეობდეს.

გარდა ამისა, მოვალეობის დემოკრატიულად შესრულების მახასიათებელს იმის გააზრება წარმოადგენს, რომ ადამიანთა ნებართვის მიღება აუცილებელია. საზოგადოების მხარდაჭერის მიღების წინაპირობას საპოლიციო ოპერაციებისას გამჭვირვალობის სტანდარტების დაცვა წარმოადგენს; გარდა ამისა, საჭიროა იმ საზოგადოებასთან კომუნიკაციის და ურთიერთგაგების გაზრდა, რომელსაც პოლიცია ემსახურება და იცავს.

პოლიციის ორგანიზებასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხები: სახელმწიფოები ვალდებული არიან შექმნან სტრუქტურული და სამენეჯმენტო გარემო, რომელიც პოლიციას კანონის უზენაესობის, ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლის და ადამიანის უფლებების დადგენილი სტანდარტების ეფექტურად და სწრაფად განხორციელების საშუალებას მისცემს. ამაში შედის პოლიციის სამსახურებრივი იერარქია, ზედამხედველობასთან დაკავშირებული რეგულაციები, პოლიციის შემადგენლობა, პოლიციის თანამშრომელთა უფლებები და ადეკვატური რესურსებისა და სწავლების უზრუნველყოფა.

აღნიშნული საბაზისო პრინციპები დემოკრატიული საპოლიციო სამუშაოს ყველა ფორმას და კონკრეტულად საჯარო შეკრებების დროს წესრიგის დაცვას ეხება, ეს უკანასკნელი ფუნქცია საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე შეიძლება იყოს. შეკრებები შეიძლება იყოს აბსოლუტურად განსხვავებული მასშტაბის, ფორმატის, სიდიდის და დაძაბულობის ხარისხის მიხედვით. შეკრებებმა შეიძლება ხელი შეუშალონ ყოველდღიური ცხოვრების რიტმს და, შესაბამისად, უარყოფითად იმოქმედონ სხვების მიერ მათი უფლებების

განხორციელებაზე. ამიტომ პოლიციას სხვადასხვა ჯგუფებისა და ადამიანების ერთმანეთის საწინააღმდეგო მოთხოვნების დაბალანსება შეიძლება დასჭირდეს.

მონაწილეების ქცევის გაგება

მონაწილეთა ქცევის საბაზისო ცოდნა მნიშვნელოვან ფონს ქმნის იმის გასაგებად თუ როგორ შეიძლება შეკრებების დროს წესრიგის დაცვის განხორციელება. ეს ცოდნა იმ საფუძველს წარმოადგენს, რომელზეც ყველა დანარჩენი ქმედება უნდა იყოს დაფუძნებული, მათ შორის დაგეგმარება, განხორციელება და ანგარიშების ჩაბარება.

მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ იცოდეს სხვადასხვა სახის ჯგუფური ქცევა და შეეძლოს ამ ჯგუფების ამოცნობა მთლიანი შეკრების ფარგლებში; გარდა ამისა, მთელი შეკრების ერთნაირად აღქმის მაგივრად, პოლიციას უნდა შეეძლოს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების და მათი ქცევის ერთმანეთისგან განსხვავება და თითოეულ ქცევაზე შესაბამისად რეაგირება. შეკრების მიმდინარეობისას, ჯგუფის ფარგლებში, ინდივიდუალური ქცევა შეიძლება როგორც უკეთესობისკენ ისე უარესობისკენ შეიცვალოს. არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელსაც შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეს ადამიანთა ქცევაზე და ეს ფაქტორებია:

- კონკრეტული პირის გარშემო მყოფი სხვა ადამიანების ქცევა;
- კონკრეტული პირის პერსონალური შეხედულებები და სტანდარტები;
- იმის აღქმა, რომ იგი პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე;
- ის თუ რას თვლის კონკრეტული პირი მისაღებ ქცევად;
- კონკრეტული პირის ხასიათი (გაბრაზებული, ბედნიერი, გაწბილებული, შეშინებული ან აღელვებული); და
- ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკების მოხმარება.

რადგან ადამიანთა ქცევაზე ამდენი სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, არ არის გასაკვირი, რომ შეკრების მონაწილეები ყოველთვის ერთნაირად არ იქცევიან. ზოგიერთმა შეიძლება შეეცადოს იმის მიღწევა, რომ აქციის მონაწილეებმა სიმშვიდე შეინარჩუნონ და კანონი დაიცვან; ზოგიერთმა პირიქით შეიძლება ხელი შეუწყოს სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, ხოლო სხვებმა კონფრონტაციისკენ ან ძალადობისკენაც კი მოუწოდონ ადამიანებს. შეხვედრაზე შეიძლება წარმოიქმნას არეულობა ან ურჩი ქცევის ცალკეული კერა, ხოლო ამასთან ერთად უმრავლესობამ განაგრძოს მშვიდად მოქცევა და მხოლოდ მშვიდობიან შეკრებაში იყოს ჩართული.

პოლიციამ ყოველთვის უნდა მიაქციოს ყურადღება წესრიგის პროაქტიურად დაცვას, ვიდრე არეულობაზე რეაგირება. პოლიციის შესაბამისი მეთაური მუდმივად უნდა აკვირდებოდეს სიტუაციას შეკრების დინამიკის, გარე მაყურებლებისა და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კონტრაქციის მონაწილეების ქცევის შესაფასებას, რათა პოლიციამ საუკეთესოდ შეძლოს სიტუაციის მართვა მშვიდობიანი გარემოს და წესრიგის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება იმას გულისხმობდეს, რომ პოლიციამ მოქნილობა უნდა გამოიჩიონს შეკრების მიმართ დაწესებული ნებისმიერი იურიდიული შეზღუდვის და კანონის უმნიშვნელო დარღვევების მიმართ. ამ ორი მიმართულებით გამოჩენილმა ზედმეტად ხისტმა მიდგომამ შესაძლოა დაძაბულობის ზრდა და აქციის მონაწილეებისგან უფრო მტრული და აგრესიული რეაქციები გამოიწვიოს. იმ სიტუაციებშიც კი როდესაც ზოგიერთი მონაწილე სხვებს კონფრონტაციისკენ ან ძალადობისკენ მოუწოდებს, პოლიციამ უნდა შეძლოს ამგვარ მოწოდებებზე რეაგირების მოხდენა თუ პოლიციელებს ეხსომებათ რომ საჭიროა მონაწილეების ერთმანეთისგან განსხვავება, თუ პოლიციელები გამოიყენებენ თავიანთ ცოდნას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების და აქციაზე მყოფი ცალკეული პირების შესახებ და თუ პოლიცია შეინარჩუნებს დადებით ურთიერთობას ადამიანებთან და თავაზიანად და მოთმინებით იმოქმედებს.

შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის პრინციპები

ქვემოთ ჩამოთვლილმა ოთხმა მთავარმა პრინციპმა – ცოდნამ, ფასილიტაციამ (ხელშეწობა), კომუნიკაციამ და დიფერენციაციამ – პოლიციის ორგანოების მუშაობა უნდა განსაზღვროს მათ მიერ გამოწვევებზე რეაგირების კუთხით და ისინი პოლიციის მიერ ნებისმიერ შეკრებაზე რეაგირების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.[8] პოლიციის მეთაურებმა ეს ოთხი პრინციპი ოპერაციების დაგეგმვის, მომზადების, განხორციელების და ანგარიშების მიღების ყველა ეტაპზე უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ შეკრებების მშვიდობიანად ჩატარება იქნას უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპებით, შეკრებების დროს წესრიგის დაცვის ფარგლებში, ყველა რანგზე მომუშავე პოლიციის ოფიცერმა უნდა იხელმძღვანელოს.

---

8 ს. რეიქერი, ს. სტოტი, ჯ. დრური, ო. ადანგი, პ. ქრონინი და ა. ლივინგსტოუნი (S. Reicher, C. Stott, J. Drury, O. Adang, P. Cronin, and A. Livingstone), "ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა: პრინციპები და პრაქტიკა" (Knowledge Based Public Order Policing: Principles and Practice), საპოლიციო სამუშაოს განხორციელება *(Policing), ტომი 1, # 4,* 2007 წ., გვ. 403-415.

ცოდნა

შეკრებაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფების ცოდნა უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათთვის მისაღები ნორმების, ფასეულობების, ზრახვების და მიზნების შესახებ, ასევე მნიშვნელოვანია წარმოდგენა გვქონდეს რას მიიჩნევენ ისინი სწორად და მისაღებად, როგორი სტერეოტიპები და მოლოდინები აქვთ სხვა ჯგუფებთან მიმართებით, როგორია მათი ისტორია (მათ შორის მათ მიერ მანამდე ორგანიზებული შეკრებების ისტორია) და სხვა დეტალები, რომლებსაც სიმბოლოური მნიშვნელობა აქვთ.

ამგვარი ცოდნა პოლიციას ჯგუფების ინტერესებისა და მიზნების გაგებაში ეხმარება და მათი კანონიერი მიზნების ხელშეწყობის საშუალებას აძლევს. ამ ცოდნის მეშვეობით სამართალდამცავები ასევე იგებენ როგორი ტიპის ქმედებებს აღიქვამს ესა თუ ის ჯგუფი პოლიციის მხრიდან პროვოკაციულად, რასაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია.

ოპერაციის წინ პოლიციის მიერ ინფორმაციის შეგროვება იმ ჯგუფებისა და მათი მიზნების შესახებ მეტი მონაცემების მიღებაზე უნდა იყოს გამახვილებული, რომლებიც სავარაუდოდ შეკრებაში მიიღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, ეს პროცესი იმ პირების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უნდა იყოს მიმართული, რომლებიც პოტენციურად რისკის წყაროდ შეიძლება იქნას ჩათვლილი (სისხლისსამართლებლივი კუთხით ოპერატიული მონაცემების შეგროვება).

ფასილიტაცია (ხელშეწყობა)

პოლიციის სტრატეგიის უმთავრეს მიზანს მშვიდობიანი შეკრების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიერ მათი კანონეიერი ამოცანების მიღწევისკენ მიმართული ძალისხმევის ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს. ამ დროს მთავარი ვარაუდის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ იმ ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც შეკრებაში მიიღებს მონაწილეობას, მშვიდობიანი ზრახვები ექნებათ. პოლიციამ მონაწილეების ზრახვების იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს იმის დასადგენად თუ როგორ შეიძლება მათი განხორციელების ხელშეწყობა. პოლიციის მიერ შეკრების მონაწილეთა მიზნების მიღწევის გამარტივებით პოლიცია არა მხოლოდ ძალადობის აცილებას შეძლებს, არამედ შეკრების მონაწილეებისგან მხარდაჭერასაც მიიღებს, რაც არეულობის შესაძლებლობას შეამცირებს და პოლიციას ნებისმიერ სავარაუდო დარღვევებზე ეფექტურად რეაგირების საშუალებას მისცემს.

ეს თავის თავში გულისხმობს იმას, რომ უნდა არსებობდეს ინფორმაცია, რომელიც პოლიციას შეკრებაში მონაწილე ჯგუფების პრიორიტეტების დადგენის საშუალებას მისცემს; გარდა ამისა, ამ ინფორმაციის მეშვეობით პოლიციამ უნდა გადაწყვიტოს რა ტიპის საპოლიციო მიდგომები და ტაქტიკა უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ აღნიშნულმა ჯგუფებმა საკუთარ კანონიერ მიზნებს მიაღწიონ. გამოცდილება და კვლევები აჩვენებს, რომ შეზღუდვები და საკონტროლო ზომები ხშირად საკმარისი არ არის ხოლმე წესრიგის შენარჩუნებისთვის.

იმ შემთხვევაში თუ არსებობს ძალადობის ან არეულობის საფრთხე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეკრების ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის იმის ახსნა თუ რატომ არის შეზღუდვები აუცილებელი; ასევე მნიშვნელოვანია ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის ალტერნატიული გზების შეთავაზება, რათა მათ საკუთარი მიზნების მიღწევა შეძლონ.

კომუნიკაცია

პოლიციას, შეკრების ორგანიზატორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაცია ე.წ. „სიურპრიზების გარეშე“ პოლიტიკის ეგიდით უნდა წარიმართოს, რითაც შეკრების ყველა ეტაპზე ნდობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება უნდა მოხდეს, აქედან გამომდინარე აღნიშნული პოლიტიკა მთავარ პრევენციულ და დეესკალაციაზე მიმართულ ტაქტიკას წარმოადგენს.

პოლიცია აქტიურ კომუნიკაციაში უნდა შევიდეს, რათა ღონისძიებაში მონაწილეებთან ურთიერთობა ჩამოყალიბდეს და ამით მომავალში კონფლიქტის თავიდან აცილების საფუძველი შეიქმნას. გამოცდილება ნათლად მიუთითებს კონფლიქტის შექმნისა და განვითარების თავიდან აცილების კუთხით პოლიციის მხრიდან შეკრების მონაწილეებთან პატივისცემაზე დაფუძნებული და მშვიდი კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. კომუნიკაციას ადგილი უნდა ჰქონდეს ოპერაციის ყველა ეტაპზე, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მაშინ აქვს, როდესაც დაძაბულობის ზრდა იწყება. თუ შეზღუდვების დაწესება აუცილებელია, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ეცნობოთ ამის მიზეზების შესახებ, ასევე გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით და მათ ასევე ალტერნატივებიც უნდა შესთავაზონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ყველა პოლიციელს შეეძლოს კომუნიკაცია და მონაწილეებისა და საზოგადოების წევრების ინფორმირება კონკრეტული ღონისძიების დროს პოლიციის განზრახვების შესახებ.

პოლიციამ შეკრების ორგანიზატორებისთვის და მონაწილეებისთვის საკუთარი განზრახვების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად სხვადასხვა საშუალება უნდა გამოიყენოს, მაგალითად: შეკრების ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან პირდაპირ საუბარი, გადასატანი ხმის გამაძლიერებლების და მანქანებში ჩამონტაჟებული სპეციალური ხმის გამაძლიერებლების და ასევე მედიის (მათ შორსი სოციალური მედიის) გამოყენება. არავერბალური კომუნიკაცია, მაგალითად ის თუ როგორ იქცევა პოლიცია და რა აცვიათ პოლიციელებს, მათი უნიფორმა და აღჭურვილობა რომელიც მათ თან აქვთ ან რომლის დემონსტრირებას ახდენენ, ასევე მნიშვნელოვანია, რადგან ეს ყველაფერი გარკვეულ შეტობინებას აძლევს შეკრების მონაწილეებს და მთლიანად ადგილზე მყოფ ადამიანებს.

მრავალეთნიკურ საზოგადოებებში მნიშვნელოვანია, რომ პოლიციაში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები იყვნენ წარმოდგენილი, რომლებსაც კონკრეტული ჯგუფებისთვის გზავნილების გადაცემა შეეძლებათ.

დიფერენცირება

შეკრებების კონტექსტში მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს და პოტენციურად საფრთხის მატარებელ მიდგომას კონკრეტულ ჯგუფში შემავალი ყველა ადამიანის ერთნაირად აღქმა და მათ მიმართ ერთნაირი ქცევა წარმოადგენს. ადამიანებს შორის დიფერენცირების ერთ-ერთი საშუალებაა იმაზე დაკვირვება თუ როგორ იქცევა თითოეული მათგანი და არა იმ კატეგორიაზე კონცენტრირება რომელსაც ესა თუ ის პირი შეიძლება მიეკუთვნებოდეს.

ადამიანთა ჯგუფი თავიდანვე ერთგვაროვანი არასოდეს არ არის, თუმცა თუ მათ როგორც ერთ მთლიან ჯგუფს მოექცევიან, შესაძლოა ისინი მართლაც ერთგვაროვანად მოქცევა დაიწყონ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ იცოდეს თუ როგორი დაჯგუფებები მონაწილეობენ შეკრებაში და ის თუ როგორ სხვადასხვანაირად შეიძლება მოიქცნენ ისინი ან როგორი განსხვავებული რეაქციები შეიძლება ჰქონდეთ მათ. თუ კონკრეტული პირი კონფლიქტს წამოიწყებს, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის რეაგირების შედეგად კონფლიქტში სხვა პირების ჩათრევა არ მოხდეს.

კონკრეტულ ჯგუფში იმ პირების იდენტიფიცირებით და მათი შეკრების სხვა მშვიდობიანი მონაწილეებისგან სწრაფად იზოლირებით,

რომლებსაც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა შეუძლიათ, პოლიციას შეკრების მონაწილეთა ფართო სპექტრის პატივისცემისა და მხარდაჭერის მოპოვება შეუძლია. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ შეკრებები ბევრი სხვადასხვა ჯგუფებისგან შეიძლება შედგებოდეს, რომლებსაც განსხვავებული დღის წესრიგი და მიზნები შეიძლება ამოძრავებდეთ და რომლებსაც პოლიციის მიმართ სხვადასხვანაირი დამოკიდებულებები შეიძლება გააჩნდეთ.

შედეგები

თვითორგანიზება: კვლევები აჩვენებს, რომ ზემოთხსენებული პრინციპების გამოყენებით შესაძლებელია შეკრებების მონაწილეებში პოლიციის მიმართ უფრო დადებითი დამოკიდებულების წახალისება. ეს იმის გამო ხდება, რომ მონაწილეები ხედავენ, რომ პოლიცია სამართლიანად ცდილობს ხელი შეუწყოს მათ საკუთარი უფლებების გამოყენებას ამის შედეგად შესაძლებელია, რომ შეკრების მონაწილეებმა საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და თვითონ მოახდინონ რეაგირება ისეთი ცალკეული პირების ქმედებებზე, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ და ამით მათ შესაძლოა თვითონ შეუწყონ ხელი იმას, რომ მიმდინარე შეკრებამ სასურველ მიმართულებას არ გადაუხვიოს. როდესაც შეკრების მონაწილეები პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ, „ჩვენ მათ წინააღმდეგ“ დამოკიდებულება პოლიციასა და შეკრების მონაწილეებს შორის თავიდან არის ხოლმე აცილებული, რის შედეგად ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის მიღწევაა შესაძლებელი.

პრინციპების ზოგადი გამოყენება

ამ პრინციპების საფუძველზე წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილია ის თუ როგორ უნდა მიუდგნენ პოლიციის მეთაურები მშვიდობიანი შეკრებების დროს საპოლიციო სამუშაოს შესრულებას. თუმცა, მართალია სახელმძღვანელოს დანარჩენ ნაწილში ნაბიჯ-ნაბიჯ არის განხილული შეკრებების დაგეგმარების, მომზადების და ხელის შეწყობის სხვადასხვა ელემენტები, ასევე მნიშვნელოვანია იმ გარკვეული საკითხების უფრო დეტალურად ხაზგასმა, რომლებიც ზოგადად უნდა იქნას გათვალისწინებული. ეს საკითხებია: სპეციალური კატეგორიის ადამიანები, რომლებიც შეიძლება იღებდნენ მონაწილეობას შეკრებებში; პოლიციელების მიერ ძალის გამოყენება და მას მედიასთან ურთიერთობა.

მრავალფეროვნება და თანასწორობა

მშვიდობიანი შეკრების უფლება ყველას ეხება და პოლიციას ევალება საზოგადოების ყველა ჯგუფის მიერ შეკრების უფლების გამოყენების ხელშეწყობა, რათა ყველას შეეძლოს საზოგადოებრივ სივრცეებში სხვადასხვა სახით გამოხატოს თავისი მოსაზრება. თუმცა, კონკრეტული შეკრების ბუნება და მონაწილეების შემადგენლობა შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ არსებობს გარკვეული სახის ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ მათ მიერ მშვიდობიანი შეკრების ფუნდამენტური უფლების გამოყენების პროცესში.

იმის უზრუნველყოფა, რომ შეკრება უსაფრთხო და მშვიდობიან გარემოში ტარდებოდეს გულისხმობს იმას, რომ პოლიციამ უნდა იცოდეს იმ ადამიანთა სავარაუდო წრე, რომლებიც მასში მიიღებს მონაწილეობას, პოლიციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას თუ როგორ მოხდება სხვადასხვა ჯგუფების მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის ხელშეწყობა, რადგან ამისთვის საჭირო შეიძლება გახდეს შეკრებამდე, მის მიმდინარეობისას და მის შემდეგ შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებები; ასევე აუცილებელია, რომ შეკრების დროს წესრიგის დაცვაზე მომუშავე ყველა პოლიციელს შეეძლოს სხვადასხვა ჯგუფებისა და ცალკეული პირების ერთმანეთისგან დიფერენცირება.

ქალები: ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით "მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, მათ შორის საკანონმდებლოს, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და პროგრესი, მათ მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა განხორციელება და გამოიყენება მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე."[9] მართალია ქალები, როგორც ასეთი, მოწყვლად ჯგუფად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ყოფილა შემთხვევები როდესაც შეკრებების დროს კრიმინალების მიერ ქალთა იზოლირება, მათზე თავდასხმა და ასევე სექსუალური ძალადობა განხორციელდა. პოლიცია ყურადღებით უნდა იყოს ამგვარი შემთხვევების მიმართ და მზად უნდა იყოს დაიცვას ქალები. ხშირად ქალები უმცირესობაში არ არიან, პირიქით ისინი შეიძლება შეკრების მონაწილეებში რიცხობრივი უპირატესობითაც სარგებლობდნენ. თუმცა, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ქალთა

---

9 გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ნიუ იორკი: გაეროს გენერალური ასამბლეა, 1979 წ.), რეზოლუცია 34/180, <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/text/econvention.htm>.

საჭიროებები სპეციალურად არის გათვალისწიებული, უფრო მოსალოდნელია, რომ პოლიციის აღქმა და მომზადება დაფუძნებული იქნება იმ ვარაუდზე, რომ შეკრებაში უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ პოლიციამ ქალთა საჭიროებებიც შესაბამისად გაითვალისწინოს.

ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი პირები (LGBTI): LGBTI პირებს იგივე უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები გააჩნიათ როგორიც ნებისმიერ სხვა პირს, და ამ უფლებებს შორისაა შეკრებისა და გამოხატვის უფლება. LGBTI პირებს, მათ საზოგადოებაში გამოჩენის კუთხით, კვლავ უწევთ ხმამაღალი და ხშირად ძალადობრივი წინააღმდეგობის ატანა, ასეთ შემთხვევებს ბევრ ქვეყანაში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი. პოლიციამ საკმარისი რესურსები უნდა გამოყოს ამ პირების შეკრებების ხელშესაწყობად, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ჯგუფის შეკრებისას მოხდებოდა, და მონაწილეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბავშვები: ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-15 მუხლის მიხედვით „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის გაერთიანების თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებების უფლებას.“ [10] თუმცა, ბავშვთა შედარებით მცირე ფიზიკური ზომების გამო, ისინი გარკვეული შეკრებების კონტექსტში უფრო მოწყვლადი შეიძლება იყვნენ, ამიტომ პოლიციამ ეს უნდა გაითვალისწინოს საკუთარი საოპერაციო ვარიანტების განხილვისას.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები: გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ ხაზს უსვამს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის მიერ ადამიანის ყველა უფლებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულად და თანასწორად სარგებლობის ხელშეწყობის, დაცვის და უზრუნველყოფის“ საჭიროებას...,[11] გარდა ამისა, ამ კონვენციაში საუბარია ამ პირების მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა ადამიანებთან თანასწორობის საფუძველზე სრული და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფის საჭიროებაზე, განსაკუთრებით კი გამოხატვის თავისუფლების და პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფაზე. პოლიციის მიერ შეკრებების

---

10 ბავშვის უფლებების კონვენცია, (ნიუ იორკი, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1989 წ.), რეზოლუცია 44/25, <http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/crc.aspx>.

11 გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, (ნიუ-იორკი, გაეროს გენერალური ასამბლეა, 2006 წ.), რეზოლუცია 61/106. მუხლი 1, <http://www.un.org/disabilities/con- vention/conventionfull.shtml>.

დაგეგმვის და ხელშეწყობის პროცესში სამართალდამცავმა ორგანოებმა შეკრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობა და დასწრება უნდა გაითვალისწინონ.

ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სამოქალაქო პაქტის 27-ე მუხლის მიხედვით "ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობების წევრთა უფლება ისარგებლონ საკუთარი კულტურით, მისდევდნენ საკუთარ რელიგიას ან იყენებდნენ საკუთარ ენას, დაცულია".[12] ამავე დროს ამ დოკუმენტის მეორე მუხლის მიხედვით აღნიშნული პაქტით დაცული უფლებები ყველა ადამიანს განურჩევლად ეხება. შესაძლებელია საჭირო იყოს უმცირესობების ჯგუფებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი დაცვა ძალადობრივი წინააღმდეგობისგან, შეტევებისგან და თავდასხმებისგან. ამ ჯგუფების შეკრებების ხელშეწყობისას და დაცვისას პოლიციამ უნდა გაითვალისწინოს მათი მოწყვლადი მდგომარეობა.

ძალის გამოყენება როგორც უკანასკნელი საშუალება

შეკრებებთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოთქმული წუხილია ის, რომ შეკრებები ყოველდღიური რუტინის დარღვევას იწვევს და რომ შესაძლოა საჯარო სივრცეში დიდი რაოდენობით ადამიანების შეკრება არეულობაში ან ძალადობაში გადაიზარდოს. სინამდვილეში, საჯარო შეკრებების უდიდესი უმრავლესობა მშვიდობიანად ტარდება, მათ შედეგად ყოველდღიური რუტინის დარღვევა მინიმალურ დონეზე ხდება და თუ პოლიცია ზემოთხსენებულ ოთხ პრინციპს დაიცავს მაშინ იმის ალბათობა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის კიდევ უფრო გაიზრდება. თუ პოლიციას კარგი და ხარისხიანი ცოდნა აქვს შეკრების ორგანიზატორების მიზნებსა და განზრახვებზე, თუ პოლიცია შეკრებების ხელშეწყობაზე მიმართულ მიდგომას იყენებს, შეკრების ორგანიზატორებთან ამ განზრახვის კომუნიკაციას ახდენს და ყოველთვის ცდილობს, რომ სხვადასხვა მონაწილის ერთმანეთისგან დიფერენცირება მოახდინოს, მაშინ არეულობის რისკი და შესაძლებლობა მცირდება.

შეკრებების დროს პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულებისას საწყისი წერილი ყოველთვის ამ შეკრებების ხელშეწყობა უნდა იყოს, ამის მიღწევა კი დიალოგის, მოლაპარაკებებისა და

---

12 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ციტირებულ დოკუმენტში: შენიშვნა 3.

კომუნიკაციის სხვა ფორმების მეშვეობითაა შესაძლებელი. ამის მიუხედავად, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციას მაინც შეიძლება მოუწიოს ძალის გამოყენება. პოლიციის მიერ ძალის ნებისმიერი გამოყენება ყოველთვის გამონაკლისი უნდა იყოს და არა ნორმა. ძალის გამოყენების მაგივრად, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს დაძაბულობის მშვიდობიანად დეესკალაციის გზების ძიებას დიალოგის, დარწმუნების და მოლაპარაკების მეშვეობით.

ზოგ შემთხვევაში პოლიციამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ძალადობრივ ქცევაზე რეაგირებისთვის საჭიროა ძალის გამოყენება. წესრიგის აღდგენის მიზნით ძალის გამოყენება ყოველთვის პროპორციული და მინიმალური უნდა იყოს. ძალის ნებისმიერ გამოყენებას ან პოლიციელთა რაოდენობის ზრდას სიტუაციის დამშვიდებისთანავე სწრაფად უნდა მოჰყვეს ძალის გამოყენების შეწყვეტა და პოლიციელთა რაოდენობის შემცირება. შეკრებების დროს წესრიგის დაცვისას პოლიციის ორგანოებს ყოველთვის სხვადასხვა საშუალებების გამოყენება უნდა შეეძლოთ.

თუ პოლიცია გადაწყვეტს, რომ ძალის გამოყენების საჭიროება არსებობს, პოლიციელებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ მონაწილეთა მრავალფეროვნება და მათ შეკრებაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფების ერთმანეთისგან განსხვავება უნდა მოახდინონ. შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ ძალის გამოყენება არ უნდა მოხდეს, გარდა ამისა, მშვიდობიანი შეკრება ძალის გამოყენებით არ უნდა იქნას დაშლილი მაშინაც კი თუ ეს შეკრება უკანონოა ან იგი სხვა ადამიანთა საქმიანობის არაგონივრულ, თუმცა არასაფრთხისშემცველ შეფერხებას იწვევს. პოლიციამ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს ესკალაციის პოტენციური რისკი და კიდევ უფრო უარესი შედეგები, რომლებიც ძალის გამოყენების შედეგად შეიძლება დადგეს. გამჭვირვალობის გასაზრდელად და ნდობის შესანარჩუნებლად პოლიციამ ძალის გამოყენების განზრახვა წინასწარ უნდა აცნობოს და აუხსნას მისი მიზეზები შეკრების მონაწილეებს.

ადამიანის წინააღმდეგ ძალის ნებისმიერ გამოყენებას სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. სადაც კი ეს შესაძლებელია ძალის გამოყენება არ უნდა მოხდეს ბავშვების, ხანშიშესულების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების წინააღმდეგ; თუმცა თუ ძალის გამოყენების თავიდან აცილება შეუძლებელია, გამოყენებული ძალის დონე უნდა იყოს გარემოებების პროპორციული.

ზოგიერთ შემთხვევებში პოლიციას შეიძლება მოუხდეს ძალის გამოყენება შეკრების მონაწილეების დასაცავად თუ მათ წინააღმდეგ

აგრესიულად ან მტრულად განწყობილი კონტრაქციები მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევებში პოლიციამ ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს აგრესორები და აგრესიის სამიზნეები. მათ ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ მათ ევალებათ მშვიდობიანი შეკრების უფლებით მოსარგებლე ადამიანების უფლებების დაცვა.

1990 წელს მიღებული „გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ იმ ზოგად პრინციპებს აღწერს, რომელთა ფარგლებშიც უნდა მოხდეს ძალის გამოყენება, და რომელიც ყველა პოლიციელს ეხება. „ძირითად პრინციპებში“ ხაზგასმულია, რომ ძალის გამოყენება ყოველთვის უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს და არა ნორმა და რომ როდესაც ძალის გამოყენება ხდება, ის უნდა იყოს პროპორციული და მის მიზანს ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა უნდა წარმოადგენდეს.[13]

შეკრების დროს ძალის რაიმე სახით გამოყენების შესაძლებლობის განხილვამდე, პოლიციამ პირველ რიგში მისი აუცილებლობა უნდა განიხილოს. თუ რომელიმე ამოცანის მიღწევა მშვიდობიანი მეთოდებით არის შესაძლებელი, მაშინ ძალა არ უნდა იქნას გამოყენებული. გარდა ამისა, როდესაც ძალის გამოყენება ხდება, გათვალისწინებული უნდა იქნას მისი პროპორციულობა, რის მეშვეობითაც წესრიგის დაცვის კუთხით კანონიერი მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს. როდესაც ძალის გამოყენება შეკრებასთან დაკავშირებით ხდება, პოლიციის სამეთაურო გუნდს (სტრატეგიულ, საოპერაციო და ტაქტიკურ რანგებზე) უნდა შეეძლოს საზოგადოებისთვის იმის ახსნა თუ რა წარმოადგენდა წესრიგის დაცვის კუთხით მიზანს, რომლის მიღწევასაც პოლიცია ცდილობდა, მაგალითად ხელშეწყობა, შეზღუდვა, შეკავება ან დაშლა, და რატომ იყო ესა თუ ის ძალისმიერი ქმედება ამ პირობებში ყველაზე მისაღები არჩევანი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის სამეთაურო იერარქიებს შორის შეკრების დაგეგმარებისა და ხელშეწყობის პროცესში კომუნიკაცია და დიალოგი იქნას უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ძალის გამოყენების შესაძლებლობის განხილვა ხდება. უკანონო ბრძანებებს წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს.[14]

შეკრებების დროს ზოგადად ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა იქნას გამოყენებული გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც:

---

13 გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, (ჰავანა, გაეროს მერვე კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეებისადმი მოპყრობის შესახებ, 1990 წ.) <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/UseOfForceAndFirearms.aspx>.

14 „ძირითადი პრინციპების“ მუხლი 27, იხილეთ იქვე.

სამართალდამცველები საკუთარ თავს ან სხვა ადამიანებს იცავენ სიკვდილის ან სერიოზული დაშავების გარდაუვალი საფრთხისგან; სამართალდამცველები განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის ჩადენას აღკვეთენ, რომელშიც იგულისხმება სიცოცხლისადმი სერიოზული საფრთხე; სამართალდამცავები ამგვარი საფრთხის მატარებელი პირის დაკავებას ახდენენ, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევს, ან როდესაც სამართალდამცავები ამ პირის გაქცევას აღკვეთენ, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ნაკლებად ექსტრემალური საშუალებებით ამ მიზნების მიღწევა შეუძლებელია. ნებისმიერ შემთხვევაში, ცეცხლსასროლი იარაღის განზრახ ლეტალური მიზნით გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს როდესაც სიცოცლის დაცვის მიზნით ამისი თავიდან აცილება შეუძლებლია.[15] როდესაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება გარდაუვალია, აუცილებელია უნდა მოხდეს გაფრთხილება.[16] აგრესიული ბრბოს მიმართულებით ცეცხლის განურჩევლად გახსნა ხალხის მასის დაშლის ლეგიტიმურ და მისაღებ მეთოდს არასდროს არ წარმოადგენს.[17]

ამავე დროს, ბევრი ის საოპერაციო საშუალება, რომელიც პოლიციას გააჩნია, შესაძლოა ისეთივე ლეტალური შედეგების მომტანი იყოს როგორც ცეცხლსასროლი იარაღი, თუ მათი არასწორად ან შეუზღუდავად გამოყენება მოხდა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეკრებებზე მხოლოდ ისეთი პოლიციელები მუშაობდნენ, რომლებსაც შესაბამისი სწავლება აქვთ გავლილი. მათი სწავლება ეფექტური და დამოწმებული უნდა იყოს იმაში დასარწმუნებლად, რომ აღნიშნული ტრენინგები ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისი იყო. ადგილზე მუდმივად უნდა არსებობდეს სამეთაურო სტრუქტურები პოლიციის მიერ ზედმეტი რეაგირების ან ძალის არამართლზომიერად გამოყენების აღსაკვეთად. საჭიროა ადგილზე ნათელი უფლებამოსილებით აღჭურვილი შესაბამისი სამეთაურო იერარქიის არსებობა იმის უზრუნველყსაყოფად, რომ სერიოზული დაშავების ან სიკვდილის გამოწვევის მაღალი რისკის მქონე საოპერაციო საშუალებების მკაცრი კონტროლი ხდებოდეს; ამას გარდა, უნდა არსებობდეს საგამოძიებო ზომები იმისთვის, რომ პოლიციის მიერ ძალის სავარაუდოდ არამართლზომიერად გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის სრული და სამართლიანი გამოძიება იქნას უზრუნველყოფილი.

---

15 „ძირითადი პრინციპების“ მუხლი 9, იხილეთ იქვე.
16 „ძირითადი პრინციპების“ მუხლი 10, იხილეთ იქვე.
17 „ძირითადი პრინციპების“ მუხლი 14, იხილეთ იქვე.

ძალის ნებისმიერი გამოყენება შესაბამისი პოლიციელის მიერ უნდა იქნას აღრიცხული, უნდა არსებობდეს პროცედურები, რომელთა მეშვეობით ძალის გამოყენების შესახებ შესაბამის ზედამხედველ ოფიცრისთვის რაც შეიძლება სწრაფად შეტყობინება იქნას უზრუნველყოფილი. როდესაც ხდება ძალის გამოყენების გადაწყვეტილების მიღება, მეთაურმა უნდა აღრიცხოს მის მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზები და მისი შედეგები. როდესაც არის ეჭვი ან ბრალდება, რომ ძალის გამოყენება უკანონოდ მოხდა, მაშინ ამ ინციდენტის შესაბამისი გარემოებების სრული გამოძიება უნდა მოხდეს.

პოლიცია და მედია

დემოკრატიული საპოლიციო სამუშაოს ერთ-ერთ პრინციპს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა წარმოადგენს, ეს პრინციპი ხაზს უსვამს პოლიციის მიერ მოქალაქეებისა და მათი წარმომადგენლების და ასევე სახელმწიფოსა და კანონის წინაშე ანგარიშვალდებულების საჭიროებას. შეკრებების დროს პოლიციის მიერ ჩატარებული სამუშაოსთვის სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ გზას მედიის მუშაობა და მედიის მიერ პოლიციის ქმედებების და მოტივაციის გაშუქების, აღრიცხვის, ანალიზის და კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების შესაძლებლობის არსებობა წარმოადგენს.

მედიასთან მუშაობა ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს, მედიის მეშვეობით პოლიციას ფართო საზოგადოებისთვის და შეკრების მონაწილეებისთვის მის მიერ შეკრების ხელშესაწყობად დაგეგმილი ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეუძლია; გარდა ამისა, მედიის მეშვეობით პოლიციას შეუძლია ახსნას ის თუ როგორ აპირებს შეკრების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფას.

პოლიცია ყოველთვის უნდა აღიარებდეს ჟურნალისტების უფლებას დაესწრონ და გააშუქონ საჯარო შეკრებები. პოლიციას გააჩნია პოზიტიური ვალდებულება ხელი შეუწყოს ჟურნალისტების უფლებებს ამგვარ ღონისძიებებზე და ნეგატიური ვალდებულება ხელი არ შეუშალოს ან აღკვეთოს მედიის საქმიანობა. შეკრებების დროს ჟურნალისტებისთვის მუშაობის ხელშეწყობა პოლიციის ინტერესებში შედის: როდესაც ჟურნალისტებს მარტივი წვდომა აქვთ ღონისძიებაზე, უფრო მეტი შანსია, რომ მედიის მიერ პოლიციის ქმედებების გაშუქება უფრო პოზიტიურ ტონში მოხდება. ეს ასევე ხელს უწყობს ჟურნალისტებსა და პოლიციას შორის ნდობის ზრდას.

ეუთოს ანგარიში „მედიასთან მუშაობა პოლიტიკური დემონსტრაციების დროს“[18] საჯარო შეკრებების დროს პოლიციასა და ჟურნალისტებს შორის ურთიერთობის კუთხით სასურველ მოლოდინებს აღწერს:

1. სამართალდამცავებს კონსტიტუციური პასუხისმგებლობა აქვთ არ შეუშალონ ხელი ჟურნალისტების მუშაობას საჯარო დემონსტრაციების დროს. ჟურნალისტებს აქვთ უფლება პოლიციისგან სამართლიანი და თავშეკავებული მოპყრობის მოლოდინი ჰქონდეთ; და

2. მაღალჩინოსნები, რომლებიც პოლიციის ქცევაზე არიან პასუხისმგებელი, ვალდებული არიან უზრუნველყონ პოლიციელთა ადეკვატურად გაწრთვნა ჟურნალისტების როლისა და ფუნქციების და განსაკუთრებით მათი როლის შესახებ დემონსტრაციების დროს. პოლიციის მხრიდან ზედმეტი რეაგირების შემთხვევაში პოლიციის მხრიდან ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ქმედებები ცალკე უნდა იქნას განხილული, იმისდა მიუხედავად დემონსტრაცია სანქცირებული იყო თუ არა. პოლიციის მაღალჩინოსნების მხრიდან სწრაფი და ადეკვატური რეაგირება აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამგვარი ზედმეტი რეაგირება მომავალში არ გამეორდეს და მათ ძლიერი მინიშნება უნდა გააგზავნონ იმის შესახებ, რომ ამგვარი ქცევა არ იქნება მოთმენილი.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები საერთაშორისო მედია ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ ჟურნალისტებს ერთმანეთისგან არ ანსხვავებს. მედია საშუალებები სულ უფრო მეტად ეყრდნობიან მოყვარულ ჟურნალისტებს, რომლებიც მასალებს ნახევრადპროფესიონალური აღჭურვილობით და მობილური ტელეფონებითაც კი აგროვებენ და ბევრი მედია ორგანიზაცია ფართო საზოგადოებას ვიდეოების ჩაწერისკენ და მათ საიტებზე ატვირთვისკენ აქტიურად მოუწოდებს. ამიტომ პოლიციამ შეკრებებზე მყოფ მედიის ნებისმიერ წარმომადგენელს შესაბამისი პატივისცემით უნდა მოეპყროს და მედიის წარმომადგენლებისთვის ფორმალური აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტების თან ქონის ან ჩვენების სპეციალური მოთხოვნები არ უნდა არსებობდეს. ჟურნალისტების დაკავება არ უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ აქციის დაშლის ბრძანების გაცემის შემდეგ ისინი არ დატოვებენ ტერიტორიას, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ჟურნალისტების ადგილზე ყოფნა პოლიციის მუშაობას უშლის ხელს.

---

18 “მედიასთან მუშაობა პოლიტიკური დემონსტრაციების დროს; შენიშვნები და რეკომედნაციები სპეციალური ანგარიში (ვენა: ეუთო, 2007 წ.), <http://www.osce.org/fom/25744>.

ადამიანებს შეკრებების დროს მიმდინარე მოვლენების და აქტივობების ღიად ფოტო გადაღების ან სხვა სახით აღბეჭდვის უფლება აქვთ, რადგან ეს არის საჯარო ღონისძიებები, რომლებიც ღია საჯარო სივრცეში ტარდება. ამ უფლებაში ასევე შედის პოლიციის მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების აღბეჭდვაც. კანონიერების პრინციპები დაცული უნდა იქნას და ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციელების გადაღება კანონით არის აკრძალული. აქედან გამომდინარე, პოლიციელებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ შესაძლოა შეკრებების დროს მათი ციფრული საშუალებებით გადაღება ან ფოტო გადაღება მოხდეს. ყველა პოლიციელი ისე უნდა იქცეოდეს თითქოს მათი ქმედებები პირდაპირ ეთერში გადაიცემა და მათ გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სწავლება და უნდა იცოდნენ, რომ არ მოახდინონ ზედმეტი რეაგირება როდესაც ისინი მედიის ყურადღების ცენტრში ხვდებიან. ეუთოს ზემოთხსენებულ ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ:

3. ჟურნალისტების აღჭურვილობის კონფისკაციის, დაზიანების ან გაფუჭების თვითნებური მცდელობები, რომლებიც გაშუქებისთვის ხელის შეშლაზეა მიმართული, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და შესაბამისმა დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე. ხელისუფლების მიერ ბეჭდური მასალის, ვიდეოს, აუდიო კლიპების ან სხვა სახის მასალების კონფისკაცია პირდაპირი ცენზურის გამოვლინებაა და აქედან გამომდინარე ეს ქმედებები საერთაშორისო სტანდარტებით აკრძალულია. მედიის როლი, ფუნქციები, პასუხისმგებლობები და უფლებები იმ სამართალდამცავთა სწავლების შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, რომელთა მოვალეობებში ხალხის მასების მართვა შედის.

ამიტომ ნებისმიერი მცდელობა მოხდეს მედია პერსონალის უფლებების შეზღუდვა, მათ საქმიანობაში ჩარევა, მათი აღჭურვილობის დაზიანება ან კონფისკაცია, შესაძლებელია განიმარტოს როგორც ადამიანის უფლებების და დემოკრატიული საპოლიციო სამუშაოს ფუნდამენტური პრინციპების დარღვევა.

თავი 3. გადაწყვეტილებების მიღება და რისკების შეფასება

გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მშვიდობიანი შეკრებების დაგეგმვისა და ხელშეწყობის და ასევე პოლიციის ქმედებების პროპორციულობის და აუცილებლობის უზრუნველყოფის კუთხით უდიდეს როლს ასრულებს. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი წინა თავში აღწერილ ოთხ ძირითად პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს (ცოდნა, ხელშეწყობა, კომუნიკაცია და დიფერენციაცია). პრაქტიკისა და გამოყენების შედეგად გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ქვემოთმოყვანილი ძირითადი პრინციპები შეიძლება იქნას გამოყენებული პოლიციის ქმედებების სამართავად, იმისდამიუხედავად ეს ქმედებები გადაუდებელ ან მიმდინარე სიტუაციაზე რეაგირების სახით თუ ოპერაციის მოსამზადებელ და დაგეგმვის ფაზაში ხორციელდება.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ყოველთვის არსებული ცოდნის გათვალისწინებით იწყება იმისთვის, რომ რაც შეიძლება სრული სურათი იქნას მიღებული რეალური ან მოსალოდნელი სიტუაციის შესახებ და თავიდან იქნას აცილებული ნაჩქარევი გადაწყვეტილებები. ამაში შედის რისკების ანალიზი და სიტუაციის განვითარების სხვადასხვა სცენარების დადგენა. მას შემდეგ რაც კონკრეტულ სიტუაციაზე რეაგირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნება მიღებული, უნდა მოხდეს მიზნის დასახვა. მიზნის მისაღწევად ყოველთვის აუცილებელია სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა და ყველა ამ ორგანოს საკუთარი მოვალეობები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები უნდა ჰქონდეთ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ე.წ. „ქსელური ანალიზის“ ჩატარება იმის დასადგენად თუ რა კავშირშია ეს სამსახურები ერთმანეთთან და როგორ შეიძლება ინფორმაციის ყველაზე ეფექტურად გაცვლა. მას შემდეგ რაც ეს საკითხი იქნება დადგენილი, სამუშაო ჯგუფს სიტუაციაზე რეაგირების ვარიანტების განხილვა ღონისძიების ხელშეწყობაზე მიმართული სხვადასხვა ვარიანტების ფორმულირებით შეუძლია. ისევ და ისევ სხვადასხვა სცენარები უნდა იქნას შემუშავებული იმის გასათვალისწინებლად თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები კონკრეტულ ქმედებებთან და სხვადასხვა მონაწილეების მიერ სხვადასხვა პასუხებთან მიმართებით და ასევე რა პოტენციური რისკები შეიძლება არსებობდეს.

მთელი პროცესის მანძილზე მნიშვნელოვანია რეალურად მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება, ადგილზე მყოფი სხვადასხვა მონაწილეების ერთმანეთისგან განსხვავება და იმის შეფასება თუ რამდენად მოაქვს ამა თუ იმ საპოლიციო ქმედებას სასურველი შედეგები. მცდარია მოსაზრება, რომ შესაძლებელია ადამიანთა ქმედებების სრული კონტროლი, მაგრამ

ადამიანის ქცევისა და ურთიერთქმედების კარგი ცოდნის გამოყენებით შესაძლებელია მოვლენების პოზიტიურად ხელშეწყობა. ამ დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებენ და არჩევანს აკეთებენ. პროფესიონალური საპოლიციო სამუშაო კომუნიკაციას და დიალოგს ეფუძნება, გარდა ამისა, ამ მხრივ მნიშვნელოვანია დავარწმუნოთ ადამიანები მიიღონ კანონიერი გადაწყვეტილებები და მოიქცნენ კანონის შესაბამისად იმის მაგივრად რომ გამოვიყენოთ იძულების სხვადასხვა ფორმები. პროფესიონალური საპოლიციო სამუშაოს ფარგლებში ეს ყველაფერი უსაფრთხოდ და პასუხისმგებლიანად უნდა ხდებოდეს რათა ადამიანებს საკუთარი უფლებებით სარგებლობაში ხელი შევუწყოთ. უსაფრთხოებაში იგულისხმება როგორც პოლიციელების ისე საზოგადოების უსაფრთხოება, ხოლო პასუხისმგებლობაში იგულისხმება ის, რომ თქვენ ყოველთვის კანონის ძირითადი პრინციპების მიხედვით მოქმედებთ.

გადაწყვეტილებების მიღების მოდელი

გადაწყვეტილების მიღების ის მოდელი, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს დაედო საფუძვლად და რომელიც პოლიციის ორგანოების მიერ ყველანაირი ტიპის სიტუაციებში გამოიყენება, სქემატურად არის აღწერილი ქვემოთმოცემულ 1 სურათში. აღნიშნულ მოდელს ციკლის ფორმა აქვს და მასში შვიდი ელემენტი შედის. მოდელი ცოდნისა და აქტივობების მუდმივ მონიტორინგს ითხოვს. ექვსივე ეტაპი ადამიანის უფლებების სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. აღნიშნული მოდელი შეიძლება და უნდა იქნას გამოყენებული ყველა იერარქიის მქონე პოლიციის ხელმძღვანელების მიერ (შესაბამისი რანგის პასუხისმგებლობების მიხედვით) გადაწყვეტილებების მიღების ნებისმიერი პროცესის ფარგლებში.

გადაწყვეტილებების მიღების მოდელის შვიდი ელემენტია:

1. დაზვერვა: პირველი ფაზის განმავლობაში ხდება შესაბამისი სამართალდამცავებისთვის ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაციისა და ოპერატიული მონაცემების შემოწმება და მიმოხილვა (მაგალითად აქციის ადგილმდებარეობა, მონაწილეები, ადამიანები ვისზეც აქციამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს, ამ კონკრეტული ჯგუფის მიერ ადრე ორგანიზებული შეკრებების ანალიზი). ეს ცოდნის პრინციპის ელემენტია, რომელზეც საუბარი წინა თავში გვქონდა, მაგრამ ის ასევე კომუნიკაციის პრინციპსაც ეხება, რადგან ცოდნის შეგროვება, მიმდინარე პროცესის სახით, შეკრების ორგანიზატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული დიალოგისა და კომუნიკაციის ფარგლებში გაგრძელდება;

2. რისკები და საფრთხეები: მეორე ეტაპზე ხდება რისკებისა და საფრთხეების მიმოხილვა (მაგალითად შეკრების მონაწილეების, შეკრების ხელშემწყობების (პოლიცია ან სამაშველო სამსახურები) და ყველა იმ ადამიანის წინაშე არსებული რისკები და საფრთხეები, რომლებზეც შეკრება ზეგავლენას ახდენს) იმ ცოდნის საფუძველზე, რომელიც კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის მეშვეობით იქნა მიღებული. ეს პროცესი ითხოვს სხვადასხვა შესაძლო სცენარის ანალიზს და შესაძლო რისკებისა და საფრთხეების პროგნოზირებას;

3. სტრატეგიული განზრახვები: რისკებისა და საფრთხეების განხილვის შემდეგ პოლიციის მეთაური საპოლიციო ოპერაციის სტრატეგიულ განზრახვებს აყალიბებს და მის მუდმივად გადახედვას ახდენს;

4. საპოლიციო სამუშაოს ამოცანები და საგანგებო რეაგირება: ამის შემდეგ პოლიციის მეთაურმა ანალიზის საფუძველზე უნდა განსაზღვროს თუ რომელი ამოცანა დაეხმარება რათა უკეთ განახორციელოს თავისი სტრატეგიული მიზნები შეხვედრის ხელშეწობისთვის;

5. საოპერაციო ქმედების ვერსია: ამის შემდეგ პოლიციის მეთაური აანალიზებს რომელი შესაბამისი საპოლიციო ქმედების ვერსია შეძლებს სტრატეგიული განზრახვების საუკეთესოდ შესრულებას;

6. ქმედება და მიმოხილვა: ამ ციკლის მეექვსე ეტაპზე შესაბამისი ტაქტიკის გამოყენება ხდება. ამაში შეიძლება შედიოდეს სტრატეგიული ან საოპერაციო გეგმების ცვლილება ან ოპერაციის განმავლობაში ადგილზე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. გარდა ამისა, პოლიციის მეთაურს უკვე შეუძლია არსებული მტკიცებულებების მიმოხილვა და გადაწყვეტილებების მიღების ციკლის ახალი ფაზის დაწყება; და

7. აუცილებლობა და პროპორციულობა: ყველა ამ ეტაპზე პოლიციის მიდგომა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და აქედან გამომდინარე ეს მიდგომები უნდა იყოს პროპორციული, აუცილებელი; ასევე, მათში სასურველი მიზნების მისაღწევად საჭირო მინიმალური საპოლიციო ქმედებები უნდა იყოს გათვალისწინებული. ეს პრინციპები გადაწყვეტილებების მიღების სრულ პროცესს უნდა ედოს საფუძვლად.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე პოლიციის მეთაურები უნდა ეცადონ რომ ისინი მუშაობდნენ უახლესი ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი შეკრების მონაწილეებსა და სხვა

მონაწილეების ერთმანეთისგან განსხვავებაზე იყოს დაფუძნებული, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი მიმდინარე აქტივობების ხელშეწყობაზე იყოს მიმართული და რომ ისინი (პოლიციის მეთაურები) შესაბამის ადამიანებს, იქნება ეს სხვა პოლიციელები, შეკრების ორგანიზატორები, სხვა ადგილზე მყოფი პირები თუ ფართო საზოგადოებრიობა, ეფექტურად აცნობდნენ საკუთარ გადაწყვეტილებებს.

მართალია წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი პოლიციის მეთაურების მიერ გადაწყვეტილებების მიღებას ეხება, ამ მოდელის საბაზისო სტრუქტურა ყველა პოლიციელის პრაქტიკის გასამდიდრებლად უნდა იქნას გამოყენებული – საუბარია სხვადასხვა იერარქიის მომუშავე პოლიციელებზე და ასევე იმ სამართალდამცავებზე, რომლებიც ქუჩაში შეკრებების დროს დამოუკიდებლად მუშაობენ.

სურათი 1: გადაწყვეტილებების მიღების მოდელის ციკლი



გადაწყვეტილებების მიღების მოდელი შეკრების მომზადებისა და დაგეგმვის ეტაპებზე და ასევე ყველა სახის და სიდიდის შეკრებასთან დაკავშირებული ტაქტიკური აქტივობების სხვადასხვა ეტაპზე უნდა იქნას გამოყენებული, იმისდამიუხედავად ამ შეკრებების შესახებ შესაბამისი ორგანოების წინასწარ გაფრთხილება მოხდა თუ არა. როგორც ზევით ვახსენეთ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ოთხი ძირითადი პრინციპი: ცოდნა, ხელშეწყობა, კომუნიკაცია და დიფერენციაცია უნდა იქნას გათვალისწინებული.

თუ ღონისძიების განმავლობაში პოლიციის გეგმების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება (მაგალითად კონკრეტული აუცილებლობიდან გამომდინარე შეკრების შეზღუდვის ან კონკრეტულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ გადაწყვეტილებები), მნიშვნელოვანია, რომ ეს გადაწყვეტილება შეკრების ორგანიზატორებს ეცნობოთ და შეზღუდვების დაწესება შეკრების მონაწილეების ნებართვით და, სადაც ეს შესაძლებელია. მათთან დიალოგის მეშვეობით მოხდეს

თუ შეკრებაში მონაწილეთა უფლებების შეზღუდვის, ძალის გამოყენების ან ადამიანების ნებისმიერ სხვა უფლებებთან და თავისუფლებებთან (მაგალითად ფარული აგენტების გამოყენება, რაც პირადი ცხოვრების უფლებაზე ზეგავლენას ახდენს) დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მაშინ ამ გადაწყვეტილების ზუსტი და გამჭვირვალე წერილობითი აღრიცხვა უნდა მოხდეს და ამ წერილობით დოკუმენტში პოლიციის ის ოფიცერი უნდა იყოს მითითებული, რომელიც ამ გადაწყვეტილებას იღებს. ყველა ასეთი გადაწყვეტილება ოპერაციის შემდგომ გამართულ საერთო შეჯამების პროცესში უნდა იქნას განხილული და ასევე პოლიციის ქმედებების ნებისმიერი მოკვლევის ფარგლებში წარმოდგენილი.

გადაწყვეტილებების მიღების და გადაწყვეტილებების უკან არსებული პროცესი, (განსაკუთრებით ეს იმ გადაწყვეტილებებს ეხება, რომლებიც ადამიანის უფლებებზე ახდენს ზეგავლენას) წერილობით უნდა იყოს აღრიცხული, რათა მოგვიანებით მათი შემოწმება იყოს შესაძლებელი. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ რანგზე პოლიციამ მიუთითოს იმ ინფორმაციაზე, რომლის საფუძველზე ხდებოდა მოქმედება, აჩვენოს რის მიღწევას ცდილობდნენ სამართალდამცავები, რა ვარიანტებს განიხილავდნენ, როდის იყო სხვადასხვა ვარიანტის განხილვის დრო, რა ნაბიჯები იქნა გადადგმული, და ბოლოს, რა შედეგები იქნა მიღწეული.

რისკების შეფასება

რისკების შეფასება გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შემადგენელი ნაწილია საჯარო შეკრებების დაგეგმვის, მომზადების და ხელშეწყობის ყველა ეტაპზე.

ცოდნა ამ შეფასების პროცესის ქვაკუთხედია, და ოპერატიული მონაცემების შეგროვების შედეგია. კონკრეტული ღონისძიებისთვის გამოყოფილი ოპერატიული მონაცემების დანაყოფი ამ ღონისძიების დამგეგმავი პირების და მხარდამჭერების (და ასევე პოტენციურად მოწინააღმდეგეების) კვლევას და შეფასებას ახდენს; გარდა ამისა, ხდება მსგავსი, მანამდე ჩატარებული, ღონისძიებების შეფასება და ამ ყველაფრის შედეგად პოლიციის მეთაურებს კონკრეტულ შეკრებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების სათანადოდ შეფასების საშუალება ეძლევათ.

არსებობს კონკრეტულ ღონისძიებასთან, მის მონაწილეებთან, მის შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ პირებთან და მის ხელშემწყობებთან (მაგალითად პოლიცია ან სამაშველო სამსახურები) დაკავშირებული რისკების შეფასების რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთ პრაქტიკულ და ნაყოფიერ მიდგომას გარკვეული რაოდენობის პოტენციური (ალტერნატიული) სცენარის და ამ სცენარებთან დაკავშირებული რისკების (შეკრების მონაწილეების, შეკრების შედეგად ზეგავლენის ქვეშ მოქცეული პირების და მის ხელშემწყობების წინაშე არსებული რისკები) იდენტიფიცირება წარმოადგენს.

პოლიციის მეთაურებმა კონკრეტული რისკის მონახაზი უნდა მოამზადონ (მაგალითად ადგილზე მოსალოდნელზე გაცილებით უფრო მეტი მონაწილის გამოჩენასთან დაკავშირებული რისკები ან კონტრაქციის მონაწილეებთან დაკავშირებული რისკები) და უნდა განსაზღვრონ ამ რისკებთან გამკლავების გზები. წინასწარი ზომები უნდა იქნას მიღებული განსაკუთრებული სიტუაციებისთვის და ყველაზე ცუდი სცენარებისთვის (მაგალითად ამინდის უეცრად გაფუჭება).

გადაწყვეტილებების მიღების მოდელის შესაბამისად, უნდა მოხდეს რისკების და საფრთხეების იდენტიფიცირება სტრატეგიული განზრახვების, პოლიციის ამოცანების და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის წინასწარი ზომების ფორმულირებამდე. სხვადასხვა საოპერაციო ვარიანტების შერჩევისას რისკების და საფრთხეების გათვალისწინებაც უნდა მოხდეს, ამავე დროს ამ საოპერაციო

ვარიანტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებაც საჭიროა. შეკრების მიმდინარეობისას რისკები და საფრთხეები იცვლება, რის გამოც შეკრების განმავლობაში რისკების დინამიური შეფასებაა საჭირო.[19]

19 სტოტი და ადანგი "ევროკავშირში პოლიციის მიერ საერთაშორისო დონის საფეხბურთო მატჩებზე წესრიგის დაცვა: რისკის ცოდნა და მართვა" (ლივერპული, 2009 წ.), <http://www.aca – demia.edu/3012119/Policing_Football_Matches_with_an_International_ Dimension_ in_the_European_Union_understanding_and_managing_risk>.

ნაწილი II

შეკრების წინ: ორგანიზება და დაგეგმარება

თავი 4. სამეთაურო სტრუქტურა

პოლიცია ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვისა და შეკრებების მოწესრიგებულად ჩატარების უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა პოლიციის მოქმედების ბუნება, მასშტაბი და დრო კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობასა და პროცედურებზეა დამოკიდებული. ზოგიერთ ქვეყანაში პოლიციისთვის ნებისმიერი შეკრების შესახებ წინასწარ შეტყობინების ვალდებულება არსებობს და სამართალდამცავ ორგანოებს ამგვარ ღონისძიებებზე შეზღუდვების დაწესების უფლებაც გააჩნიათ, თუმცა ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ამგვარი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა მუნიციპალურ ან სხვა ორგანოებს აქვთ და ამ შემთხვევაში პოლიციის როლი ძირითადად ამ სხვა ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში და ამავე დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში გამოიხატება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი შეკრება ზედმეტად ფორმალური სამეთაურო სტრუქტურის არსებობას ან რთული საპოლიციო ოპერაციების დაგეგმვას (საუბარია ყოველდღიურ საპოლიციო ოპერაციებზე რთულ ღონისძიებებზე) არ საჭიროებს და ამ დროს ადგილზე პოლიციელთა ძალიან მცირე რაოდენობის ადგილზე არსებობაც საკმარისია. იმ შემთხვევაში როდესაც შეკრება მცირერიცხოვანია, მის შედეგად საგზაო მოძრაობის ან სხვების უფლებების მინიმალური შეფერხებაა მხოლოდ მოსალოდნელი, იგი არ არის საკამათო ლოზუნგების შემცველი და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მან რაიმე წინააღმდეგობა გამოიწვიოს, მაშინ პოლიციამ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ქვემოთმოყვანილი სამეთაურო სტრუქტურის მხოლოდ ნაწილი გამოიყენოს. თუმცა, წინამდებარე თავში მოყვანილი მთავარი პრინციპები წესრიგის დაცვის ოპერაციებში ყველა შეკრების დროს უნდა იქნას გამოყენებული.

სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებიც შეკრების უსაფრთხოებაზე ზრუნავენ, ერთიანი სამეთაურო ჯაჭვი უნდა გააჩნდეთ, რათა ყოველთვის შესაძლებელი იყოს იმის დადგენა თუ რომელი მეთაურია საბოლოო ჯამში პასუხისმგებელი პოლიციელების მიერ განხორციელებული ქმედებებისა თუ შეცდომების გამო. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ერთი და იმავე ოპერაციაში სხვადასხვა სამართალდამცავი სტრუქტურა, სხვადასხვა გეოგრაფიული დანაყოფებიდან მოვლენილი პოლიციელები და/ან სხვადასხვა სააგენტოებია ჩართული, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტრატეგიული გეგმის შესრულება, ეფექტური კოორდინაცია და პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულების ნათელი კონტურები. ნათელი სამეთაურო სტრუქტურის ჩამოყალიბებას არსებითი მნიშვნელობა აქვს შეკრებების

დროს წესრიგის დაცვის კუთხით იმისდამიუხედავად საქმე წინასწარ დაგეგმილ თუ სპონტანურ ღონისძიებას ეხება. სამეთაურო ერთიანობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ თითოეულმა ადამიანმა, რომელსაც სამეთაურო ან საზედამხედველო ფუნქციები გააჩნია, იცოდეს:

- ვის უნდა აბარებდეს ანგარიშებს;
- საკუთარი როლი, მოვალეობები და ამოცანები;
- რა რესურსებია გამოყოფილი და ხელმისაწვდომი;
- მისი გეოგრაფიული ან სამოქმედო არეალი.

შესაძლებელია სამი კონკრეტული სამეთაურო რანგის გამოყოფა: უმაღლესი სამეთაურო რანგი, რომელსაც „სტრატეგიული“ რგოლი ეწოდება (ამ რანგზე ოპერაციების ზოგადი ხელმძღვანელობა ხდება), საშუალო სამეთაურო რანგი, რომელსაც „საოპერაციო“ რგოლი ეწოდება (რომლის მიზანია ზოგადი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში კონკრეტული საპოლიციო ამოცანების შემუშავება) და ქვედა სამეთაურო რანგი, რომელსაც „ტაქტიკური“ რგოლი ეწოდება (რომელიც კონკრეტულ საპოლიციო ქმედებებს ახორციელებს).[20] ხანდახან ამ სისტემას „ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს“ სამეთაურო სტრუქტურას უწოდებენ. იმ დროს როცა ერთი სტრატეგიული მეთაური ყოველთვის უნდა არსებობდეს, ზოგჯერ შესაძლებელია ერთზე მეტი საოპერაციო მეთაურის ყოლა გახდეს საჭირო, გარდა ამისა, ადგილზე ხშირად გარკვეული რაოდენობის ტაქტიკური მეთაურებიც მუშაობენ. პოლიციის ის ოფიცრები, რომლებიც შეკრების დროს წესრიგის დაცვის კუთხით სამეთაურო ფუნქციებს ასრულებენ, ყოველთვის შესაბამისად უნდა იყვნენ გაწრთვნილი და მათ აღნიშნული ფუნქციების შესაბამისი უფლებამოსილება უნდა გააჩნდეთ.

სურათი 2: სამეთაურო სტრუქტურა

სამეთაურო რანგი	**პასუხისმგებლობა**
უფროსი	სტრატეგიული
საშუალო	საოპერაციო
უმცროსი	ტაქტიკური

20 “გაეროს სამშვიდობო ოპერაციების ფარგლებში ჩამოყალიბებული საპოლიციო დანაყოფები“, გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი, 2013 წ., Ref.2009. 32, http://www.un.org/en/ peacekeeping/sites/police/documents/formed_police_unit_policy_032010.pdf. სამი სამეთაურო რანგის ერთმანეთისგან ამგვარი განსხვავება გაეროს პოლიტიკას შეესაბამება, თუმცა ეუთოს წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში „ტაქტიკური“ და „საოპერაციო“ რანგები „ერთმანეთს უცვლიან ადგილებს“ (რაც ტერმინოლოგიის კუთხით არსებული განსხვავებების შედეგია). თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, წინამდებარე საზელმძღვანელოში გაეროში მოქმედი ტერმინოლოგიაა გამოყენებული.

სამართალდამცავ სტრუქტურებში სხვადასხვა წოდებითი სტრუქტურები და პასუხისმგებლობები შეიძლება არსებობდეს, მაგრამ წინამდებარე დოკუმენტში სამეთაურო სტრუქტურა როლებისა და მოვალეობების და არა წოდებების მიხედვით არის აღწერილი. რამდენადაც ეს შესაძლებელია, გადაწყვეტილებების მიღება ყველაზე ქვედა რანგზე, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის ფარგლებში, უნდა ხდებოდეს.

ევროპის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში საპოლიციო მუშაობის სტილი უფრო საზოგადოებაზე ორიენტირებულია და სხვადასხვა წოდების ოფიცრებს კონკრეტული კონტექსტისა და გარემოებების მიხედვით გარკვეული ხარისხის ავტონომიურობა და დისკრეცია გააჩნია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების კუთხით. ამ მიდგომას ხშირად „პოლიციის ურთიერთობას ადგილობრივ საზოგადოებასთან“ უწოდებენ ხოლმე. ევროპის წევრ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში კი საპოლიციო საქმიანობა უფრო მკაცრად კონტროლდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ და ამ სტილს „სამართალდაცვა პოლიციის მიერ ადგილობრივ საზოგადოებაში“ უწოდებენ. ამ ბოლო შემთხვევაში, სამეთაურო სტრუქტურა უფრო სამხედრო ორგანიზაციის მსგავსია ხოლმე და გადაწყვეტილებების მიღება წოდებრივი სტრუქტურის შესაბამისად ხდება.

სტრატეგიული მეთაური

სტრატეგიული მეთაური პოლიციის უფროსი ოფიცერია, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის, საპოლიციო სტილისა და მედია სტრატეგიის შემუშავებაზე და ასევე ღონისძიებისთვის აუცილებელი რესურსების გამოყოფაზე. კომპლექსური შეკრების დროს სტრატეგიული მეთაურის ფუნქციების შემსრულებელი პირი სამართალდამცავი ორგანოს აღმასრულებელ რანგზე უნდა მუშაობდეს და მას პოლიციის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის გაკონტროლების საშუალება უნდა ჰქონდეს.

სტრატეგიული მეთაური პასუხისმგებელია წერილობითი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე, რომელშიც შეკრებასთან დაკავშირებით პოლიციის სტრატეგიული განზრახვები უნდა იყოს ჩამოყალიბებული (მაგალითად მშვიდობიანი შეკრებების ხელშეწყობა, საგზაო მოძრაობის შეფერხების მინიმუმამდე დაყვანა, სერიოზული დანაშაულებების ჩადენაში ეჭვმიტანილთა დაკავება).

სტრატეგიულმა მეთაურმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსების გამოყოფა იმისთვის, რომ შეკრების დროს პოლიციამ წესრიგის დაცვა

შეძლოს. თუ რესურსები შეზღუდულია და მათი გამოყენება ორ ან მეტი მიმართულებითაა საჭირო, მაშინ მან უნდა გადაწყვიტოს სად სჯობს ამ რესურსების გამოყენება მთლიანი საპოლიციო სამუშაოს ხელშესაწყობად. სტრატეგიულ მეთაურს ასევე გარკვეული საოპერაციო ვარიანტების გამოყენებაზე შეზღუდვების დაწესება შეუძლია, რადგან შესაძლოა მას არ სურდეს გარკვეული ვარიანტების გამოყენება ან პირიქით მისი აზრით გარკვეული ქმედებების დაგეგვმის უფლება მხოლოდ სტრატეგიულ დონეზე უნდა არსებობდეს. მაგალითად, შეკრების დაშლის გადაწყვეტილებისთვის შესაძლებელია სტრატეგიული მეთაურის ნებართვა იყოს აუცილებელი.

შეკრების დაწყების შემდეგ სტრატეგიულმა მეთაურმა ოპერაციაზე ზედამხედველობა შესაბამისი ადგილმდებარეობიდან, რომელიც შეკრების ადგილიდან მოშორებითაა, უნდა განახორციელოს. სტრატეგიულ მეთაურს მთლიანი ღონისძიების ზედამხედველობა და არა კონკრეტულ პრობლემებზე კონცენტრირება სჭირდება, მისი შეკრების ადგილზე ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს დაბნეულობა იმის შესახებ თუ ვინ არის კონკრეტულ ფუნქციებზე პასუხისმგებელი.

სტრატეგიული მეთაური პასუხისმგებელია საოპერაციო მეთაურების ფიზიკური გამძლეობის უზრუნველყოფაზე, რისთვისაც დროში გაწელილი ღონისძიებების დროს აღნიშნულ მეთაურებს დასვენების საშუალება უნდა მიეცეთ. სტრატეგიულმა მეთაურმა ასევე საოპერაციო მეთაურის გეგმები უნდა დაამტკიცოს.

სტრატეგიული მეთაური (ან ზოგიერთ შემთხვევაში საოპერაციო მეთაური – გააჩნია კონკრეტულ შეკრებას) ან მათი წარმომადგენლები შეკრების ორგანიზატორებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ადრეული ეტაპიდანვე უნდა თანამშრომლობდნენ, რათა მათ შორის კონტაქტები და კომუნიკაციის ხაზები დაწესდეს და მათ კონკრეტული დღის სასურველი შედეგები ერთად დაგეგმონ.

სტრატეგიულმა მეთაურმა:

- უნდა შეიმუშავოს სტრატეგიული გეგმა, საპოლიციო სამუშაოს სტილი და მედია სტრატეგია, და მოახდინოს ამ ყველაფრის საოპერაციო მეთაურისთვის(ებისთვის) კომუნიკაცია;
- უნდა დაამტკიცოს და გამოყოს რესურსები;
- უნდა შექმნას კარგად ინტეგრირებული ხალხის მასის მართვის სამეთაურო სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ ფუნქციას, მათ შორის ოპერატიულ მონაცემებს, გამოძიებებს და მხარდამჭერ ფუნქციებს;

- უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილებების ამსახველი დოკუმენტაციის (ჟურნალის) წარმოება;
- უნდა ითანამშრომლოს შეკრების ორგანიზატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- უნდა დაამტკიცოს საოპერაციო მეთაურის(ების) გეგმა(ები);
- გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისად უნდა მიიღოს და ამისთვის უნდა გამოიყენოს პროცესი, რომელშიც ოპერატიული მონაცემები, რისკები და ხელთ არსებული ვარიანტები იქნება გათვალისწინებული; გარდა ამისა, მან ამ ყველაფრის წერილობით აღრიცხვა უნდა უზრუნველყოს;
- უნდა დარჩეს ცენტრალურ სამეთაურო ადგილზე და ჰქონდეს მთელი ოპერაციის ზედამხედველობის საშუალება (იმის უზრუნველსაყოფად, რომ ღონისძიების მიმდინარეობასთან ერთად სტრატეგიული განზრახვები ამ ღონისძიებას შეესაბამება).

სტრატეგიული მეთაურის მხარდაჭერა: იმისთვის, რომ სტრატეგიულ მეთაურს შეკრებაზე (დიდი შეკრებების ხელშეწყობისთვის მზადებისას) და პოლიციის აქტივებზე ზედამხედველობის საშუალება ჰქონდეს, იგი შეკრების ადგილისგან მოშორებით, შესაბამისი სახის შენობაში უნდა იმყოფებოდეს და მას საოპერაციო მეთაურთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება გააჩნდეს. სამეთაურო ცენტრში უნდა მუშაობდნენ რადიო ოპერატორები, ტელეფონის ზარებზე მოპასუხე პირები, სპციალიზირებული მრჩეველები (როდესაც ამისი საჭიროებაა), ოპერატიულ მონაცემებზე მომუშავე ოფიცრები, ჩანაწერების მწარმოებელი პირები, მედია ოფიცერი და შესაძლოა ასევე სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, რომლებსაც იგივე პოზიციები უკავიათ თავიანთ ორგანიზაციებში (მაგალითად სახანძრო სამსახური, სასწრაფო დახმარება, ადგილობრივი მუნციპალიტეტი და ა.შ.).

სამეთაურო ცენტრს ასევე უნდა გააჩნდეს:

- საკმარისი რაოდენობის ტელეფონები;
- რამდენიმე რაცია (სატელეფონო ხაზების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში);
- მოვლენების ამსახველი ჟურნალი;
- სათვალთვალო კამერები;
- რუკები და რუკების შექმნის სისტემა;
- საოპერაციო გეგმა;
- გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის განკუთვნილი ზომები;
- ცალკე სათათბირო ოთახი (და/ან შეხვედრების ოთახი);

- ყველა შესაძლო აუდიო-ვიდეო მონიტორინგის საშუალებებზე წვდომა (მაგალითად ვერტმფრენი, უპილოტო საფრენი აპარატი);
- მობილური კავშირი;
- შესაბამისი სატელეფონო ნომრებისა და სახმობი სიგნალების სია.

შეკრებების უმრავლესობისთვის სპეციალურად აღჭურვილი საკონტროლო ცენტრების და განსაკუთრებული რესურსების გამოყოფა საჭირო არ არის. თუმცა, ზემოთხსენებული საშუალებების ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისთვის (ან მნიშვნელოვანი საპოლიციო რესურსების მომთხოვნი ღონისძიებებისთვის) გამოყენება კარგ პრაქტიკას წარმოადგენს.

საოპერაციო მეთაური

საოპერაციო მეთაურები უფროსი მეთაურის სტრატეგიული განზრახვების განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელი. ამაში შედის შეკრებისთვის პრაქტიკული გეგმების მომზადება, საოპერაციო გეგმის შექმნა, პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ადგილზე განლაგება, და ასევე ღონისძიების დროს რესურსების მართვა. ყველაზე მცირემასშტაბიანი ღონისძიებების გარდა, საოპერაციო მეთაურები ზოგადად შეკრების ადგილისგან მოშორებით უნდა იყვნენ განლაგებული. თუ ფართომასშტაბიანი ღონისძიების ფარგლებში ისინი ადგილზე იმყოფებიან, არსებობს იმის საფრთხე, რომ ისინი კონკრეტული პრობლემების და საკითხების გადაჭრაში ჩაერთვებიან და მთლიანი ღონისძიების მიმდინარეობას აღარ მიაქცევენ ყურადღებას. ამან ასევე ტაქტიკური მეთაურების დაბნეულობა შეიძლება გამოიწვიოს, რომლებიც შეიძლება ვერ მიხვდნენ ვინ არის კონკრეტული ფუნქციის განხორციელებაზე ან კონკრეტული სექტორის კონტროლზე პასუხისმგებელი.

ფართომასშტაბიანი, კომპლექსური ან გრძელვადიანი ღონისძიებებისთვის ან იმ აქციებისთვის, რომლებიც დიდ ტერიტორიაზე ტარდება, შესაძლოა ერთზე მეტი საოპერაციო მეთაურის გამოყოფის საჭიროება წარმოიშვას. თუ ერთზე მეტი საოპერაციო მეთაურის გამოყენების გადაწყვეტილება იქნა მიღებული, სტრატეგიული მეთაური უნდა დარწმუნდეს, რომ შემდეგი პირობები დაკმაყოფილებულია:

- ნათელი და ყველასთვის გასაგები სამეთაურო პროტოკოლების არსებობა, რომლებშიც სამეთაურო სტრუქტურა და პასუხისმგებლობებია აღწერილი;

- სამეთაურო სტრუქტურაში საოპერაციო დონეზე ნაპრალების გამორიცხვა, რათა სტრატეგიული მეთაურის საოპერაციო დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა იქნას თავიდან აცილებული;
- კომუნიკაციის ხაზების მუშაობა და პასუხისმგებლობების ნათლად განაწილება;
- თითოეული საოპერაციო მეთაური საკმარისად გაწრთვნილი და კომპეტენტურია მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

საოპერაციო მეთაურმა:

- შეკრების დროს პოლიციის მუშაობის საოპერაციო გეგმის შემუშავება, მიმოხილვა და კოორდინირება უნდა მოახდინოს;
- ადგილზე საოპერაციო სამეთაურო რგოლისთვის სამეთაურო სტრუქტურა უნდა ჩამოაყალიბოს;
- უნდა აწარმოოს კომუნიკაცია სტრატეგიულ მეთაურთან იმისთვის, რომ გეგმის სტრატეგიულ განზრახვებთან შესაბამისობა იქნას უზრუნველყოფილი;
- გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისად უნდა მიიღოს და ამისთვის უნდა გამოიყენოს პროცესი, რომელშიც ოპერატიული მონაცემები, რისკები და ხელთ არსებული ვარიანტები იქნება გათვალისწინებული; გარდა ამისა, მან ამ ყველაფრის წერილობით აღრიცხვა უნდა უზრუნველყოს;
- უნდა დარჩეს ცენტრალურ სამეთაურო პოსტზე, რათა მან ოპერაციის ნებისმიერ ასპექტზე პასუხისმგებლობის აღება შეძლოს;
- უნდა გააცნოს გეგმა ტაქტიკურ მეთაურებს და თუ ღონისძიების მიმდინარეობისას გეგმა შეიცვლება, მათთვის შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა უნდა მოახდინოს;
- უნდა იყოს პასუხისმგებელი იმის უზრუნველყოფაზე, რომ ტაქტიკური მეთაურების ქმედებები სტრატეგიულ განზრახვებს და საოპერაციო გეგმას შეესაბამება;
- უნდა იყოს პასუხისმგებელი იმაზე, რომ ყველა პოლიციელი იყოს ინფორმირებული სტრატეგიული განზრახვებისა და მათი კონკრეტული როლების შესახებ, მათ შორის მათ მოვალეობებთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ;
- უნდა იყოს პასუხისმგებელი სხვადასხვა საოპერაციო ვარიანტების შემუშავებაზე;
- უნდა უზრუნველყოს, რომ ადგილზე განლაგებული პოლიციელების რაოდენობა არსებული ოპერატიული მონაცემებით დადგენილი საფრთხის დონის შესაბამისია.

საოპერაციო მეთაურის მხარდაჭერა: იმისთვის რომ საოპერაციო მეთაურს აქციის ზოგადი ზედამხედველობის საშუალება ჰქონდეს, იგი ღონისძიებიდან მოშორებით, თუმცა ისეთ ადგილას უნდა იმყოფებოდეს საიდანაც ის იქ მყოფ სამართალდამცავებთან პირდაპირ კომუნიკაციას შეძლებს და საიდანაც მას ყველა შესაბამისი გადაწყვეტილების აღრიცხვის შესაძლებლობა ექნება. საოპერაციო მეთაურმა საკონტროლო ცენტრის სატელეფონო და რადიო ოპერატორებით, სპეციალისტი მრჩეველებით (როდესაც ამისი საჭიროება არსებობს), ოპერატიულ მონაცემებზე მომუშავე ოფიცრებით, ჩანაწერების აღმრიცხველი პირებით, მედიის და სხვა ძირითადი ორგანიზაციების (მაგალითად სახანძრო სამსახური, სასწრაფო დახმარება, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები) წარმომადგენლებით დაკომპლექტების შესაძლებლობა უნდა განიხილოს.

ზოგიერთ ქვეყანაში პოლიცია ამ მიზნით ავტობუსებს იყენებს, სადაც ექვსამდე პოლიციის ოფიცრის (მათ შორის საოპერაციო მეთაურის, მედია ოფიცრის და რადიო ოპერატორების) განთავსებაა შესაძლებელი. აღნიშნული ავტობუსები საკომუნიკაციო ცენტრების ფუნქციებს ასრულებენ (ისინი შესაბამისად არიან აღჭურვილი); საპოლიციო ოპერაციების დროს ეს ავტობუსები სამართალდამცავებს გარკვეულ მოქნილობას ანიჭებენ.

საოპერაციო სამეთაურო ცენტრს უნდა გააჩნდეს:

- საკმარისი რაოდენობის ტელეფონები;
- რამდენიმე რაცია (სატელეფონო ხაზების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევისთვის);
- მოვლენების ამსახველი ჟურნალი;
- სათვალთვალო კამერები;
- რუკები და რუკების შექმნის სისტემა;
- საოპერაციო გეგმა;
- გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის განკუთვნილი ზომები;
- ცალკე სათათბირო ოთახი (და/ან შეხვედრების ოთახი);
- მობილური კავშირი;

შესაბამისი სატელეფონო ნომრებისა და სახმობი სიგნალების სია.

ტაქტიკური მეთაური

ტაქტიკური მეთაურების მოვალეობას კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაში განლაგებული საპოლიციო რესურსების კონტროლი წარმოადგენს, მათ ასევე კონკრეტულ ფუნქციებზე

ან ადგილზე განლაგებულ სპეციალურ აქტივებზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა. ისინი ანგარიშს აბარებენ საოპერაციო მეთაურს, მათ სპეციფიკური ამოცანების ან მოვალეობების ზედამხედველობა ევალებათ და ისინი გარკვეული რაოდენობის პოლიციელებს აკონტროლებენ. არსებობს ტაქტიკური მეთაურობის ორი სახეობა: გეოგრაფიული და ფუნქციური.

- გეოგრაფიული მეთაური საოპერაციო მეთაურის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ ლოკაციაზე ან ზონაზეა პასუხისმგებელი. გეოგრაფიული მეთაური გარკვეული რაოდენობის პოლიციელებს ხელმძღვანელობს და მას სხვადასხვა სახის საოპერაციო ვარიანტების განხორციელება შეუძლია. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ კონკრეტული პოლიციელებისთვის ამ ვარიანტების გამოყენების ნებართვის მიცემამდე ამის საოპერაციო პირობები არსებობდეს. გეოგრაფიული მეთაური ასევე პასუხისმგებელია ამ ნებართვის გაუქმებაზე როდესაც ამისი საჭიროება აღარ არსებობს.
- ფუნქციურ მეთაურს იგივე პასუხისმგებლობები აქვს რაც გეოგრაფიულს. თუმცა იმის მაგივრად რომ კონკრეტულ ფიზიკურ არეალზე იყოს პასუხისმგებელი, მას კონკრეტული ფუნქციები აკისრია. ამის მაგალითებია:

  – *უბნის მეთაურები:* აღნიშნული მეთაურები და მათი დამხმარე ოფიცრები პასუხისმგებელი არიან შეკრების ორგანიზატორებს, მათ წარმომადგენლებსა და საოპერაციო მეთაურს შორის დიალოგის ხაზის უზრუნველყოფაზე შეკრების დაწყებამდე, მის განმავლობაში და მის შემდეგ. ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან მთლიანად საზოგადოებასთან მუშაობაზე და მათ ჩართულობაზე;

  – *საგზაო მოძრაობაზე პასუხისმგებელი მეთაურები:* ეს მეთაურები და მათი დამხმარე ოფიცრები შეკრების გარშემო საგზაო მოძრაობის თავისუფლად ფუნქციონირებაზე არიან პასუხისმგებელი. მათ მოძრაობის გადამისამართება ან შეჩერება შეუძლიათ, საჭიროების მიხედვით, და ისინი უზრუნველყოფენ იმას, რომ შეკრების დასრულების შემდგომ აღნიშნული ტერიტორია რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეს ჩვეულ რიტმს;

  – *კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი მეთაურები:* აღნიშნული მეთაურები და მათი დამხმარე ოფიცრები პასუხისმგებელი არიან საკონტროლო და სამეთაურო ცენტრის დაკომპლექტებაზე, რომლის მეშვეობითაც საპოლიციო ოპერაციის მხარდაჭერა ხორციელდება. ამ როლის შემსრულებელი მეთაური საპოლიციო აღჭურვილობის გამოყენებაში, სამაშველო სამსახურებთან

კომუნიკაციის მეთოდებში, რუკების შემდგენი კომპიუტერული პროგრამების და კამერების მართვაში დახელოვნებული უნდა იყოს, მას ასევე უნდა შეეძლოს სოციალური მედიის (მაგალითად "თვითერის") მონიტორინგი და კომუნიკაციის ინსტრუმენტად გამოყენება, რათა მისი მეშვეობით საპოლიციო ოპერაციას შეუწყოს ხელი;

– *დანაშაულთან მებრძოლი მეთაურები:* ეს მეთაურები და მათი დამხმარე ოფიცრები პასუხისმგებლები არიან შეკრების დროს მომხდარ ყველა დანაშაულის გამოძიებაზე და ყველა დაკავებულის სისტემაში გატარების ზედამხედველობაზე. სტრატეგიულმა მეთაურმა აქციის დაწყებამდე შეკრებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიების და დაკავებულთა სამართლებლივი დევნის პოლიტიკის პარამეტრები უნდა განსაზღვროს;

– ფუნქციური ტაქტიკური მეთაურების სხვა სახეობებია ე.წ. „დიალოგის დანაყოფები" რომლებიც სპეციფიკურ აღჭურვილობაზე არიან პასუხისმგებელი (მაგალითად ცეცხლსასროლი იარაღის დანაყოფები ან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი დანაყოფები) ან მედიასთან ურთიერთობის ოფიცრები.

ტაქტიკურ მეთაურებს შემდეგი მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრიათ:

- სტრატეგიული მიზნის და საპოლიციო ოპერაციის ამოცანების კარგად ცოდნა;
- საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში საპოლიციო სამუშაოს ტაქტიკის განხორციელება საოპერაციო მეთაურის მოთხოვნების შესაბამისად (და გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სამეთაურო პროტოკოლთან შეთანხმებული წინასწარი ზომების შესაბამისად);
- მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება და მის პასუხისმგებლობაში შემავალ ტერიტორიაზე მყოფი პოლიციელებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და ოპერაციის დროს მათი ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
- ნებისმიერ დროს საკუთარი მოვალეობების შესრულებისთვის შესაბამისი უნარების ქონა;
- ყველა შესაბამისი ინფორმაციის საოპერაციო მეთაურისთვის მიწოდების უზრუნველყოფა, როგორც საჭიროება მოითხოვს.

ტაქტიკურმა მეთაურებმა უნდა უზრუნველყონ რომ მათ და მათმა პერსონალმა სტრატეგიული განზრახვებისა და საოპერაციო გეგმის მიხედვით იმოქმედონ. მათ უნდა უზრუნველყონ ყველა ოფიცრისთვის

ამ ინფორმაციის მიწოდება ოპერაციის პირველი ეტაპის დაწყებამდე, ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან ღონისძიების შემდეგ პერსონალისგან ანგარიშების მიღებაზე და მათთან ერთად ოპერაციის მოკლედ შეჯამებაზე.

ტაქტიკურმა მეთაურმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის საოპერაციო მეთაურისთვის მიწოდება და ასევე შესაბამისი ახალი ინფორმაციის იმ ოფიცრებისთვის მიწოდება, რომლებიც მის საკონტროლო არეალში ან მასთან ახლოს იმყოფებიან. ტაქტიკური მეთაური ყოველთვის აგებს პასუხს მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელების ქცევაზე.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები

თითოეულ სამეთაურო რგოლს თავისი გამოკვეთილი მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრია შეკრებისთვის მომზადების ეტაპზე და ასევე შეკრების ხელშეწყობისა და პოლიციელებისგან ღონისძიების შემდგომი ანგარიშების მიღების კუთხით. მომდევნო თავებში საუბარია იმ კონკრეტულ მოვალეობებსა და აქტივობებზე, რომლებიც თითოეულ ეტაპზე და თითოეულ სამეთაურო რანგზე უნდა განხორციელდეს.

თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი აქტივობა ყველა სამეთაურო რანგზე და სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება იქნას განხორციელებული. კონკრეტულად კი, ყველა მეთაურს აქვს პასუხისმგებლობა ჩაერთოონ ღონისძიების ორგანიზატორებთან და სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაში, გამოიყენონ წინა თავში აღწერილი გადაწყვეტილების მიღების მოდელი და რისკების შეფასების პროცესი, ასევე საკუთარი ამოცანების დაგეგმვისა და განხორციელების დროს გამოიყენონ ოთხი ძირითადი პრინციპი.

თავი 5. სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპი

შეკრებისთვის მოსამზადებლად სტრატეგიულმა მეთაურმა ყველა სტრატეგიული განზრახვა წერილობით გეგმაში უნდა მოაქციოს, ეს გეგმა კი ოთხ ძირითად სტრატეგიულ პრინციპს უნდა დაეყრდნოს: ცოდნა, ხელშეწყობა, კომუნიკაცია და დიფერენციაცია. სტრატეგიული გეგმა მოკლე და მკაფიო დოკუმენტია, რომელიც ერთიან მონახაზს წარმოადგენს შემდგომი საოპერაციო და ტაქტიკური პრაქტიკის შესამუშავებლად. ეს დოკუმენტი საოპერაციო და ტაქტიკური მეთაურების სახელმძღვანელოა. სტრატეგიული გეგმა ასევე წარმოადგენს იმ მონახაზს, რომელზეც დაგეგმარებისა და მომზადების პროცესების და შეჯამებაზე და ანგარიშების მიღებაზე მიმართული ყველა შემდგომი აქტივობის წერილობით აღრიცხვას უწყობს ხელს.

ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად სპონტანური შეკრება ან ფლეშ-მობი, პოლიციას შეიძლება არ ჰქონდეს ან ძალიან მწირი ინფორმაცია ჰქონდეს კონკრეტული შეკრების გამართვასთან დაკავშირებული გეგმების შესახებ, ამ დროს კი პოლიციას მოკლე დროში რეაგირება უნდა შეეძლოს. ასეთ სიტუაციებში, ამგვარ შეკრებებზე რეაგირებისას და მათი ხელშეწყობისთვის, პოლიციის მეთაურები მაინც უნდა გამოიყენონ ოთხი ძირითადი პრინციპი (თავი 2) და გადაწყვეტილებების მიღების მოდელი (თავი 3).

ცოდნა

როდესაც სამართალდამცავი ორგანოები პირველად იგებენ იმის შესახებ, რომ შეკრების გამართვა იგეგმება, საჭიროა ინფორმაციის გადამოწმება მისი მოქმედების ვადის და სიზუსტის დასადასტურებლად. ინფორმაციის მიღება რამდენიმე სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი – მაგალითად ოფიციალური შეტყობინების ან განცხადების, პრესის მიერ გაშუქების, სოციალური მედიის (მათ შორის ონლაინ სოციალური ქსელების) ან სარეკლამო პოსტერების სახით. ამიტომ, პოლიცია უნდა დარწმუნდეს, რომ შეკრების გამართვის სერიოზული განზრახვა არსებობს. იმ ქვეყნებში სადაც შეკრების გამართვისთვის ოფიციალური შეტყობინების მიწოდებაა საჭირო, პოლიცია ჩვეულებრივ შეკრების გამართვის შესახებ სწორედ ამ ოფიციალური შეტყობინებების მეშვეობით იგებს. ამის შემდეგ ინფორმაცია სტრატეგიულ მეთაურს მიეწოდება, იმისთვის, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დაიწყოს.

იქ სადაც ოფიციალური შეტყობინების გაკეთება არ არის კანონით მოთხოვნილი, შეკრების გამართვის გეგმები მედიით ან სოციალური

მედიით, პოსტერებით ან ფლაიერებით ან ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით შეიძლება გახდეს ცნობილი. ამ ეტაპზე პოლიციამ აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება უნდა მოახდინოს და ამით ოპერატიული მონაცემები შექმნას. ეს ინფორმაცია დაუმუშავებელი მონაცემებია, ხოლო ოპერატიული მონაცემები კი შემოწმებულ და შეფასებულ ინფორმაციას წარმოადგენს.

ინფორმაციის შეფასება სხვადასხვანაირად შეიძლება, მათ შორის ინფორმაციის ერთი წყაროს მეორე წყაროსთან შედარებით ან სხვადასხვა მსგავსი მოვლენის განხილვით. ეს შეიძლება გულისხმობდეს სხვა საპოლიციო სამსახურებთან თანამშრომლობას (რომლებსაც მსგავსი ღონისძიებების ხელშეწყობა მოუხდენიათ) და წარსული გამოცდილებიდან გაკვეთილების მიღებას. თუმცა, ინფორმაციის გადამოწმების ძირითად საშუალებას პოლიციას, შეკრების ორგანიზატორებსა და სადაც ეს საჭიროა დაინტერესებულ მხარეებს (მაგალითად მუნიციპალური ორგანოები) შორის დიალოგი წარმოადგენს.

პოლიციამ მსგავსი ღონისძიებების წარსულში ჩატარების გამოცდილება უნდა შეისწავლოს წარსულში იდენტიფიცირებული ნებისმიერი საფრთხეებისა თუ რისკების დასადგენად. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეული შეიძლება იყოს მანამდე მომხდარი მოვლენების და მიღებული გაკვეთილების შესახებ ანგარიშების შესწავლა. შეკრების ორგანიზატორებთან წარსულში არსებული ურთიერთობა ასევე შეიძლება დაგვეხმაროს მთავარი ადამიანების იდენტიფიცირებაში და მათი უნარებისა და ძლიერი მხარეების დადგენაში. ხშირად სასარგებლოა ამ ინფორმაციის შესწავლა კონკრეტული პოლიციელს დაევალოს ადრეულ ეტაპზე, რაც სტრატეგიულ მეთაურს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაეხმარება.

ხელშეწყობა

პოლიცია ვალდებულია ხელი შეუწყოს ყველა მშვიდობიან შეკრებას მათი ორგანიზატორების მიერ შერჩეული დროის, ადგილის ან ფორმატის მიუხედავად (იმდენად რამდენადაც ეს შესაძლებელია), ამავე დროს პოლიციამ შეკრების მონაწილეების, პოლიციელების და საზოგადოების უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. ამ ადრეულ ეტაპზე პოლიციამ უნდა გაარკვიოს რამდენი ადამიანი აპირებს სავარაუდოდ აქციაში მონაწილეობას, რა განზრახვები აქვთ შეკრების მონაწილეებს (იქნება ეს მიტინგი თუ მოძრავი შეკრება), უნდა დადგინდეს შეკრების

დრო და ადგილი და ასევე რამდენად სავარაუდოა, რომ შეკრება დაპირისპირების გამომწვევი იქნება. ნებისმიერი დიალოგის მიზანი შეკრების საუკეთესოდ ხელშეწყობის გზების გამონახვა უნდა იყოს. პოლიცია არ უნდა ეცადოს დაარწმუნოს ორგანიზატორები შეკრების გადადებაში და არ უნდა მოახდინოს მათზე ზეწოლა მათი გეგმების შესაცვლელად პოლიციის ინტერესებზე დაყრდნობით.

ზოგიერთ სიტუაციაში შეკრებას სერიოზული შეფერხების გამოწვევა შეუძლია, რის შედეგადაც სიცოცლისთვის საფრთხისშემცველი მდგომარეობა შეიძლება დადგეს. ეს შეიძლება იყოს ისეთი თვალსაჩინო შემთხვევები როგორიცაა საავადმყოფოსკენ მიმავალი მთავარი გზის ან სახანძრო სამსახურის გამოსასვლელის გადაკეტვა ან შესაძლოა ეს ნაკლებად აშკარა შემთხვევები იყოს, მაგალითად სამაშველო/სასწრაფო დახმარების ჯგუფებისთვის ხანშიშესულ ან მოწყვლად ადამიანებამდე მისასვლელის გადაკეტვა. ამ საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა პოლიციასა და შეკრების ორგანიზატორებს შორის ადრეული ეტაპებზე ჩატარებული დიალოგი, რათა ეს პრობლემები ნებაყოფლობით და არა მოგვიანებით დაწესებული შეზღუდვებით იქნას გადაჭრილი. პროაქტიური საპოლიციო სამუშაოს მეშვეობით ასევე შესაძლებელია იმ კონტაქტების ჩამოყალიბება, რომლებზეც დაყრდნობა შეკრების მიმდინარეობისას წარმოქმნილი რთული სიტუაციების დროს იქნება შესაძლებელი.

კომუნიკაცია

"სიურპრიზების გარეშე" პოლიტიკა: შეკრებების მიმდინარეობისას პოლიციამ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისას ე.წ. „სიურპრიზების გარეშე" პოლიტიკა უნდა გამოიყენოს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეკრების ორგანიზატორებს და მონაწილეებს უნდა ეცნობოთ პოლიციის განზრახვების და შესაძლო ტაქტიკის შესახებ. ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა უნდა იცოდნენ პოლიციელთა რუტინული განლაგების შესახებ და მათთვის პოლიციელთა უეცარი გადაადგილებები და სამართალდამცავთა აღჭურვილობის ცვლილება მოულოდნელი არ უნდა იყოს. იდეალურ შემთხვევაში, პოლიცია ასევე უნდა ელოდოს „სიურპრიზების გარეშე" მიდგომას შეკრების დროს თუ ორგანიზატორები წინასწარ შეთანხმებულ გეგმას მიჰყვებიან. ეს რომ მოხდეს, საჭიროა სხვადასხვა მხარეს შორის, განსაკუთრებით კი პოლიციასა და შეკრების ორგანიზატორებს შორის ნდობის ელემენტი არსებობდეს. ამ ნდობის ჩამოსაყალიბებლად შესაძლოა გარკვეული დრო იყოს საჭირო, თუმცა საწყისი წერტილი დიალოგი უნდა

იყოს. ორგანიზატორებისა და პოლიციის ძალისხმევის მიუხედავად, მოულოდნელობებს მაინც შეიძლება ჰქონდეს ადგილი. თუმცა ყველაზე სავარაუდო სცენარებისა და შედეგების გათვალისწინების შემთხვევაში, ამგვარი მოულოდნელობების წარმოქმნის შესაძლებლობა შემცირდება. წესრიგის უზრუნველყოფაზე მიმართული პროაქტიური საპოლიციო სამუშაო ყოველთვის უფრო სასურველია ვიდრე პოლიციის მიერ არეულობაზე რეაგირება.

ას შემდეგ რაც შეკრების გამართვის შესახებ გეგმები გახდება ცნობილი პოლიციამ შეკრების ორგანიზატორებთან დაკავშირება უნდა სცადოს, მაშინაც კი თუ ამ შეკრების თაობაზე ოფიციალური შეტყობინება არ შემოსულა. კომუნიკაცია ორმხრივი ვალდებულებაა – დიალოგი პოლიციას ყველა იმ შეშფოთების ხაზგასმის საშუალებას მისცემს, რომელიც სამართალდამცავებს დაგეგმილი შეკრების თაობაზე შეიძლება ჰქონდეთ და მეორეს მხრივ, პოლიცია ორგანიზატორების საჭიროებებისა და შეშფოთების შესახებ ინფორმაციის მიღებასაც შეძლებს. ერთ-ერთ კარგ პრაქტიკას წამოადგენს სტრატეგიული მეთაურის მიერ ადრეულ ეტაპზევე სპეციალური ოფიცრის გამოყოფას, რომელიც დაგეგმარების მთელი პროცესის მანძილზე შეკრების ორგანიზატორებთან ნდობის განვითარებაზე იმუშავებს; ასევე საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ოფიცერი შეკრების ორგანიზატორებსა და საოპერაციო და ტაქტიკურ სამეთაურო რანგებს შორის დამაკავშირებელი რგოლი იქნება. ასევე შესაძლებელია შეკრების ორგანიზატორის პოლიციის სამეთაურო გუნდთან შეხვედრაზე მიწვევა, რათა ყველა სავარაუდო პრობლემის მოგვარება და მომავალი შეკრებებისთვის მხარეებს შორის ნდობის განვითარება მოხდეს.

ღონისძიების მიმდინარეობისას პოლიციის მეთაურებმა ორგანიზატორებთან კომუნიკაციის, მათ მიერ ადგილზე განხორციელებული დაკვირვების ან კამერების მეშვეობით ინფორმაცია უნდა შეაგროვონ. სოციალური მედიის მეშვეობით მონიტორინგის და კომუნიკაციის განხორციელება (მაგალითად „თვითერის“ ან ფეისბუქის გამოყენებით) სასარგებლო ინსტრუმენტი შეიძლება იყოს პოლიციისთვის. სოციალური მედიის გამოყენება არა მხოლოდ სიტუაციაზე წარმოდგენის შესაქმნელად, არამედ ღონისძიების მიმდინარეობის შესახებ ახალი ინფორმაციის გასავრცელებლად, მოსახლეობის დასამშვიდებლად და პოტენციური დეზინფორმაციის გასაქარწყლებლად შეიძლება იქნას გამოყენებული.

დიალოგი: ზოგ შემთხვევაში შეკრების ორგანიზატორებს შეიძლება არ სურდეთ პოლიციასთან საუბარი ან ამ მხრივ მათ შეიძლება გარკვეული

დისკომფორტი ჰქონდეთ. ამიტომ ამ მხრივ რაიმე ვალდებულება არ უნდა არსებობდეს. იმ დროს როცა პოლიცია ყოველთვის ხაზს უნდა უსვამდეს, რომ იგი მზადაა ისაუბროს ნებისმიერთან ვისაც საუბარი სურს, ორგანიზატორების მხრიდან დიალოგში შემოსვლაზე უარი პოლიციისთვის შეკრების აკრძალვის ან დიდწილად შეზღუდვის საბაბი არ უნდა გახდეს.

თუ შეკრების ორგანიზატორებსა და პოლიციას შორის ნდობა პატარაა, პოლიციის მეთაურები მზად უნდა იყვნენ კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებისთვის, რათა მათ ორგანიზატორებთან დიალოგის დამყარება შეძლონ. აქედან გამომდინარე, პოლიციას შესაძლოა დასჭირდეს კომუნიკაციის ალტერნატიული მეთოდების მოსინჯვა, მაგალითად, დისკუსიები ტელეფონის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ან შუამავლის (მაგალითად იურისტი, პოლიტიკოსი ან არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი) მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს. ეს შესაძლოა კომუნიკაციის იდეალური საშუალება არ არის, მაგრამ უკეთესია ვიდრე კომუნიკაციის საერთოდ არ არსებობა.

თუ შეკრების ორგანიზატორებთან კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელია, შეკრების წინ პოლიციამ, პრესის ან სოციალური მედიის საშუალებით, პოლიციის განზრახვების შესახებ ნათელი გზავნილი უნდა გაავრცელოს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გზავნილი იმაში მდგომარეობდეს, რომ პოლიცია ნებისმიერი მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობას და ამავე დროს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას აპირებს; ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ გზავნილის გაჟღერება იმ ფორმით მოხდეს, რომ ის შეკრების ორგანიზატორებისთვის დამაჯერებელი იყოს. პოლიციის მეთაურებს ასევე შეუძლიათ იმის ახსნა თუ რას ნიშნავს მშვიდობიანი შეკრება და რომ შეკრების ორგანიზატორების ან მონაწილეების მიერ სიძულვილის ან ძალადობის წახალისება შესაბამისი კანონების დარღვევას წარმოადგენს.

მდაინტერესებული მხარეები: ადრეულ ეტაპზე სტრატეგიულმა მეთაურმა იმ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათთან დაკავშირება უნდა მოახდინოს, რომლებსაც კონკრეტული შეკრება შეიძლება შეეხოს. ბიზნესის წარმომადგენლებთან და ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ადრეულ ეტაპზე განხორციელებული კომუნიკაციის შედეგად მათ წინასწარი ზომების მიღება შეუძლიათ იმისთვის, რომ მათი საქმიანობისთვის და ყოველდღიური ცხოვრებისთვის ხელის შეშლა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი; თუმცა ამ დაინტერესებულ მხარეებს უნდა ესმოდეთ, რომ მშვიდობიანი შეკრების

შედეგადაც კი შესაძლოა მესამე მხარეების აქტივობების დროებით შეფერხება და მათთვის ხელის შეშლა; მათ ასევე უნდა ესმოდეთ, რომ ამგვარი შეკრებების დროს ისინი შესაძლოა მათთვის გამაღიზიანებელი ან შეურაცხმყოფელი ქცევის მოწმეებიც გახდნენ.

ასევე სასურველია, რომ პოლიციამ დიალოგი გამართოს პოლიტიკოსებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და სხვა შესაბამის მხარეებთან, რომლებსაც გარკვეული შეკრებების წინ საზოგადოებრივი დაძაბულობის გაზრდაში ან შემცირებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. თუმცა, ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და რომ ამასთანავე საზოგადოებამაც ის დამოუკიდებელ მხარედ აღიქვას. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს, რომ პოლიტიკურ პარტიებთან გამართული ნებისმიერი დიალოგი პოლიტიკურ სპექტრში არსებულ ყველა პუნქტს აკმაყოფილებდეს.

მასმედია: მედიასთან პროფესიონალური ურთიერთობების ქონა ნებისმიერი სამართალდამცავი სტრუქტურისთვის მნიშვნელოვანია. პოლიციას ასევე უნდა ახსოვდეს, რომ მედია ორგანიზაციები დამოუკიდებელი ორგანოებია და რომ ისინი არ არიან ვალდებული პოლიციის მხარდამჭერი პოზიციები გააჟღერონ. თუმცა, თუ მედიას ესმის პოლიციის ლეგიტიმური მიზნები, მისმა გაშუქებამ შესაძლოა მშვიდობიან ღონისძიებას ხელი შეუწყოს. როდესაც ამისი შესაძლებლობა არსებობს, შეკრების წინ მოწყობილმა ბრიფინგმა, სადაც პოლიციის სტრატეგიული გეგმები იქნება აღწერილი, ასევე შეიძლება წვლილი შეიტანოს მშვიდობიანი შეკრების უზრუნველყოფაში. საოპერაციო მეთაურის მიერ პრესასთან ურთიერთობების ოფიცრის მოვალეობების შეთავსება ასევე სასარგებლო შეიძლება იყოს, რადგან ამის მეშვეობით ნებისმიერი მედია სტრატეგიის რეალურ დროში ცვლილება ან განხორციელება იქნება შესაძლებელი.

დიდი ან კომპლექსური ღონისძიებების დროს, საჭიროა მედია მრჩევლის დანიშვნის საკითხი იქნას განხილული; აღნიშნულ პირს სამეთაურო გუნდისთვის მედიის მხრიდან ღონისძიებისადმი დაინტერესების ხარისხზე ინფორმაციის მიწოდება შეუძლია, მას ასევე მედიასთან საკონტაქტო პირის როლის შესრულება და პრესისთვის გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით გარკვეული რჩევების მოცემა შეუძლია.

აქედან გამომდინარე, სტრატეგიულმა მეთაურმა მედია სტრატეგია უნდა შეიმუშავოს და ახსნას როგორ და როდის უნდა მოხდეს პრესისთვის

ინფორმაციის მიწოდება; მან ასევე პრესასთან ურთიერთობისთვის სპეციალური ოფიცერი უნდა დანიშნოს. მედიისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია ზუსტი უნდა იყოს. თუ პრესისთვის მიწოდებული ინფორმაციის რომელიმე ნაწილი არასწორი აღმოჩდნა, მაშინ ყველაფერი რასაც პოლიცია განაცხადებს ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს. თუ პოლიციელი არ არის დარწმუნებული რა პასუხი უნდა გასცეს კითხვას, ჯობია, რომ მან ეს პირდაპირ თქვას ვიდრე პოტენციურად არასწორი პასუხი გასცეს.

მედია სტრატეგია სამ ნაწილად უნდა დაიყოს: შეკრებამდე, შეკრების განმავლობაში და მის შემდეგ. მედია სტრატეგიას შეუძლია:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დახმარების გაწევა;
- საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება;
- პოლიციის მიმართ ნდობის ხელშეწყობა;
- დანაშაულის პრევენცია;
- პოლიციის ქმედებების გაგების ხელშეწყობა.

კარგი პრაქტიკის ფარგლებში პოლიციამ პრესისთვის უნდა უზრუნველყოს:

- ერთი კონკრეტული საკონტაქტო პირი;
- რეგულარული ბრიფინგები სადაც ინფორმაციის გავრცელება მოხდება (იმის მაგივრად რომ მედიისგან კითხვებს დაველოდოთ);
- მედია ბრიფინგებისთვის ერთი კონკრეტული ადგილის გამოყოფა;
- შეკრების გამართვამდე მის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მედია სტრატეგიის შესახებ ყველა სამეთაურო რგოლი იყოს ინფორმირებული და ასევე ის, რომ მათ იცოდნენ კონკრეტული საოპერაციო მეთაურის ან პრესასთან ურთიერთობისთვის გამოყოფილი ოფიცერის შესახებ, რომელსაც ისინი პრესასთან სასაუბროდ გამოიძახებენ.

დიფერენციაცია

მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ ადრეულ ეტაპზე მოახდინოს კონკრეტული შეკრების სავარაუდო მონაწილეების და მათი სპექტრის და მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება. ეს პოლიციას ეფექტური დაგეგმარების პროცესში დაეხმარება, რითაც შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობა და ადრეულ ეტაპზე მთავარ ჯგუფებთან და ორგანიზაციებთან კომუნიკაციის არხების დამყარება იქნება უზრუნველყოფილი.

რისკების შეფასება

პოტენციური რისკების და საფრთხეების შეფასებისას, სტრატეგიულმა მეთაურმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა შესაძლო სცენარი, რომელიც შეკრებამდე ან შეკრების განმავლობაში შეიძლება განვითარდეს. ამ სცენარებზე ზეგავლენის მოხდენა ისეთ ფაქტორებს შეუძლიათ როგორებიცაა მონაწილეების სავარაუდო რაოდენობა, მათი პოლიტიკური მიმდევრობა, შეკრების დანიშნულება (მათ შორის რამდენად ეხება ეს შეკრება იმავე დროს მიმდინარე სხვა მოვლენებს – მაგალითად უცხო ქვეყნის მეთაურების ვიზიტები, სამიტები და ა.შ.), კონტრაქციების არსებობა, აქციის ახლოს სხვა აქტივობების გამართვა, შეკრების ადგილმდებარეობა და მარშრუტი (თუ შეკრების ფარგლებში მსვლელობაც იმართება) და ასევე დღის პერიოდი, ამინდი და სხვა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტორები.

ინფორმაცია და ოპერატიული მონაცემები რისკების მართვის კუთხით მნიშვნელოვან აქტივებს წარმოადგენენ. სტრატეგიული მეთაურის პასუხისმგებლობას იმის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რომ ოპერატიული მონაცემების შეგროვება ღონისძიების მართვის ოპერაციის ნაწილს შეადგენდეს და რომ ინფორმაციის შემგროვებელ და სამეთაურო გუნდებს შორის კარგი კომუნიკაცია არსებობდეს საჭირო ინფორმაციის შეგროვების უზრუნველსაყოფად და ამ ინფორმაციის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რეალურად გამოსაყენებლად.

სტრატეგიული განზრახვები

ღონისძიებისთვის მზადებისას და სტრატეგიული გეგმისთვის სტრატეგიული განზრახვების შემუშავებისას სტრატეგიულ მეთაურს მუდამ უნდა ახსოვდეს ოთხი სტრატეგიული პრინციპი: ცოდნა, ხელშეწყობა, კომუნიკაცია და დიფერენციაცია.

სტრატეგიული გეგმა: მას შემდეგ რაც პირველადი ინფორმაცია იქნება მიღებული და პოტენციური რისკების იდენტიფიცირება მოხდება, სტრატეგიულმა მეთაურმა ზოგადი სტრატეგია სტრატეგიულ გეგმად უნდა ჩამოაყალიბოს. სტრატეგია მოკლე, წერილობითი და დინამიური დოკუმენტია, რომელშიც მიმდინარე საფრთხეების და რისკების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე ცვლილებების შეტანა იქნება შესაძლებელი. სტრატეგიული განზრახვები, რომლებიც პოლიციის როლს და მეთაურის მიერ განსაზღვრულ საპოლიციო სამუშაოს მიმართულებებს ადგენს, უნდა იყოს ნათელი და ზუსტი, რათა რაიმე

გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი. სტრატეგიული განზრახვების გადახედვა რეგულარულად უნდა ხდებოდეს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი გარემოებების ცვლილებების შესაბამისი იყვნენ. სტრატეგიული განზრახვების მაგალითებია: მონაწილეების, პოლიციის და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობა; შეკრებამდე, შეკრების დროს და მის შემდეგ დანაშაულების პრევენცია და აღმოჩენა; იმ ადამიანების დაკავებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომლებმაც შესაძლოა კანონი დაარღვიეს;[21] და სხვების უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის შემცირება.

სტრატეგიული განზრახვების დადგენისას, მეთაურს შეუძლია შემდეგი ფაქტორები გაითვალისწინოს:

- შეკრების ადგილმდებარეობა, მასშტაბი, დრო და სიდიდე;
- შეკრების კონკრეტული სახეობა (მაგალითად მსვლელობა, მიტინგი, აღლუმი);
- შეკრების მონაწილეების მრავალფეროვნება (მაგალითად მამაკაცებსა და ქალებს, ზრდასრულებსა და ბავშვებს, არაშეზღუდულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ბალანსი);
- პოლიციის როლი (მაგალითად მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობა ან ძალადობრივი შეკრებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, შენობების დაცვა);
- მედიის ყურადღების დონე (მაგალითად შესაძლებელია თუ არა მედიის გაშუქების გამო დღის განმავლობაში მონაწილეთა რაოდენობის ზრდა);
- საპოლიციო სამუშაოს უფრო ფართო სახის შესაძლო შედეგები (მაგალითად შესაძლო შედეგები გარკვეული მოსახლეობის ან სხვა ღონისძიებებისთვის);
- შეკრების პოტენციური ზეგავლენა ფართო საზოგადოებრიობაზე და კონკრეტულ უმცირესობებზე;
- მსგავსი ღონისძიებების ისტორია;
- რისკების შეფასებების შედეგები.

როდესაც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განზრახვა არსებობს ან მეთაურს მიაჩნია, რომ ერთს უფრო მეტი რისკები ახლავს თან ვიდრე სხვებს, ამისი ახსნა სტრატეგიული გეგმის შედგენისას უნდა მოხდეს. თითოეული აქცია განსხვავებულია და მისი შეფასება მისი კონკრეტული გარემოებების საფუძველზე უნდა მოხდეს. სტრატეგიული განზრახვები კარგად უნდა ესმოდეს ღონისძიების დაგეგმარებისა და საოპერაციო განლაგებაში მონაწილე ყველა პოლიციელს. სტრატეგიულ განზრახვებში

21 ბევრ ქვეყანაში ამისთვის პროკურატურასთან კონსულტაციების გამართვაა საჭირო.

მოსალოდნელი შედეგები იდენტიფიცირებული უნდა იყოს როგორც „სასურველი“, „მისაღები“ და „მიუღებელი“. პოტენციური შედეგების იდენტიფიცირებით, სტრატეგიულმა მეთაურმა უნდა შეძლოს გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის სპეციალური გეგმების შემუშავება იმ მიუღებელ შედეგებთან გასამკლავებლად, რომლებიც შეიძლება დადგეს.

სურათი 3. სტრატეგიული შედეგების მაგალითები:

სასურველი შედეგი	მისაღები შედეგი	მიუღებელი შედეგები
ღონისძიებამ მშვიდობიანად ჩაიარა, სერიოზულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია.	მცირე არეულობა, რომელზეც რეაგირება მოხდა ისე, რომ შემდგომ ძალადობას ადგილი აღარ ჰქონია.	ფართომასშტაბიანი არეულობა, ქონების ფართომასშტაბიანი დაზიანება, მრავალრიცხოვანი მსხვერპლი პოლიციელებსა და მოქალაქეებს შორის.

ადრეულ ეტაპზე სტრატეგიულ მეთაურს ასევე შეუძლია საოპერაციო მეთაურის შერჩევა, დანიშვნა და მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რომელთანაც შესაბამის მრჩეველებს, შეკრების ორგანიზატორებს და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს კონსულტაციების გამართვა შეეძლებათ რის საფუძველზე სტრატეგიული განზრახვების შემუშავება მოხდება.

საპოლიციო სამუშაოს პარამეტრები: სტრატეგიულ მეთაურს საოპერაციო მეთაურისთვის კონკრეტულ პრობლემებთან გამკლავების მიზნით გარკვეული რჩევების მიცემა შეუძლია. ეს რჩევები შემდეგ საკითხებს შეიძლება ეხებოდეს:

- შეკრების მოსალოდნელზე დიდხანს გაგრძელება (ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივ საჭირო ხოლმე შეკრების ხელშეწყობა), სხვა ფაქტორებზე (მაგალითად სხვა შეკრებები ან საჯარო ღონისძიებები) პოტენციური ზეგავლენის ან სხვათა უფლებებზე ნებისმიერი უარყოფით ზეგავლენის გათვალისწინებით;
- მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობები, მაგალითად სამთავრობო შენობები, სალოცავები, მემორიალური ძეგლები, რომლებსაც სიმბოლური ან სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ;
- მნიშვნელოვანი ადამიანები, რომელობსაც განსაკუთრებული დაცვა შეიძლება სჭირდებოდეთ;

- ტაქტიკა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ უნდა იქნას გამოყენებული, მაგალითად CS გაზის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვები (2-ქლოროობენზალმალონიტრილი ანუ ცრემლსადენი გაზი);
- საგამოძიებო პარამეტრების დადგენა, საგამოძიებო ერთეულის შესაბამისი რესურსებით აღჭურვა და ამ ერთეულის ოპერატიული მონაცემების განყოფილებასთან მჭიდრო კავშირების უზრუნველყოფა;
- სხვა სახის რეაგირება შეკრების დროს ჩადენილ დარღვევებზე.

სტრატეგიულმა მეთაურმა სტრატეგიულ გეგმაში ასევე პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის სტილი უნდა განსაზღვროს (ანუ როგორ უნდა ხდებოდეს შეკრებასთან ურთიერთქმედება – მაგალითად არაკონფრონტაციული, ხელშეწყობაზე მიმართული ურთიერთქმედება). პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის სტილს შეკრების დინამიკაზე და პოლიციასა და მონაწილეებს შორის ურთიერთობაზე პირდაპირი ზეგალენის მოხდენა და მას ან დიალოგის ხელშეწყობის ან ეჭვების წარმოქმნის და დაძაბულობის ზრდის გამოწვევა შეუძლია. პოლიციის მუშაობის კონფრონტაციულ სტილს, რომელიც გადაადგილების შეზღუდვას, სპეცაღჭურვილობით შეიარაღებული პოლიციის გამოყვანას და ა.შ. გულისხმობს, დაძაბულობისა და შესაძლო ესკალაციისა და ძალადობის გამოწვევა შეუძლია მაშინაც კი როდესაც შეკრება მშვიდობიანად იწყება.

რესურსების გამოყოფა: სტრატეგიულ მეთაურს შეკრების დროს პოლიციის მიერ წესრიგის უსაფრთხოდ დაცვისთვის ადეკვატური რაოდენობის პერსონალის (ამაში შედის როგორც ადგილზე მომუშავე ოფიცრები, ისევე დამხმარე ფუნქციების შემსრულებელი პოლიციელები – მაგალითად საგამოძიებო და ოპერატიული მონაცემების განყოფილებები) და აღჭურვილობის გამოყოფის უზრუნველყოფა ევალება. მეთაურმა უნდა განიხილოს ხელმისაწვდომი რესურსები, უნდა გაითვალისწინოს სხვა საპასუხისმგებლო მიმართულებებით პოლიციის წინაშე არსებული მოთხოვნები და უნდა უზრუნველყოს სამართალდამცავების უნარების განვითარებაზე მიმართული წრთვნების/სწავლებების ჩატარება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის პოლიციელები, რომლებიც აქციებზე განლაგდებიან და რომლებსაც ძალის გამოყენების მანდატი ექნებათ (მაგალითად წყლის ქვემეხის ან ცრემლსადენი გაზის გამოყენება) შესაბამისად იყვნენ გაწრთვნილი და მათ სამეთაურო და საკონტროლო სტრუქტურებისგან ეფექტური მხარდაჭერა ჰქონდეთ; გარდა ამისა, მათ ნათელი ინსტრუქციები უნდა გააჩნდეთ იმის შესახებ თუ როდის შეიძლება ძალის გამოყენება.

და ბოლოს, სტრატეგიული მეთაური პასუხისმგებელია საოპერაციო მეთაურისთვის სტრატეგიულ განზრახვებთან დაკავშირებით და სტრატეგიული გეგმის სხვა ელემენტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, რათა საოპერაციო მეთაურმა საოპერაციო გეგმის ჩამოყალიბება შეძლოს. სტრატეგიული მეთაურის მიერ მიღებული ახალი ინფორმაცია სტრატეგიული განზრახვების ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს, ასეთ შემთხვევაში განახლებული ინფორმაცია სხვა პოლიციელებს რაც შეიძლება დროულად უნდა მიეწოდოს.

საკონტროლო სია
სამეთაურო გუნდის პასუხისმგებლობები
სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>

- ✓ შეკრებისთვის მზადებისას ოთხი სტრატეგიული პრინციპი – ცოდნა, ხელშეწყობა, კომუნიკაცია და დიფერენციაცია და ასევე გადაწყვეტილებების მიღების მოდელი უნდა გაითვალისწინოს;
- ✓ ღონისძიებასთან, მის ორგანიზატორებთან და ა.შ. დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება;
- ✓ ორგანიზატორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის გზების გახსნა;
- ✓ მედია სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- ✓ რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების დაწყება;
- ✓ საოპერაციო პარამეტრებისა და საპოლიციო სამუშაოს სტილის დადგენა;
- ✓ სტრატეგიული განზრახვების განსაზღვრა;
- ✓ საოპერაციო მეთაურის იდენტიფიცირება და მისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- ✓ ადეკვატური რესურსების გამოყოფის უზრუნველყოფა;
- ✓ სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

თავი 6. საოპერაციო დაგეგმვის ეტაპი

მას შემდეგ რაც საოპერაციო მეთაურს სტრატეგიული გეგმა გადაეცემა, შეკრებისთვის მოსამზადებელი სამუშაოს შემდგომ ეტაპთან დაკავშირებით მას მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება. საოპერაციო მეთაურმა წერილობითი საოპერაციო გეგმა უნდა შეიმუშავოს, რომელშიც ახსნილი იქნება ის თუ როგორ აპირებს პოლიცია მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობას. ისევე როგორც სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, საოპერაციო მეთაურმა საოპერაციო გეგმა ცოდნის, ხელშეწყობის, კომუნიკაციის და დიფერენციაციის პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოამზადოს. ამ გეგმაში კონკრეტული საპოლიციო რესურსები და პოლიციელები იქნებიან იდენტიფიცირებული და მათ ამ გეგმის ფარგლებში კონკრეტული საოპერაციო ვარიანტების განხორციელება დაევალებათ. ამის შემდეგ საოპერაციო ვარიანტები უნდა იქნას გამოყენებული შესაბამისი საპოლიციო ამოცანების მისაღწევად, რომლებიც თავის მხრივ სტრატეგიულ გეგმასთან უნდა იყვნენ დაკავშირებული.

ზოგ შემთხვევაში ერთზე მეტი საოპერაციო მეთაურის დანიშვნა შეიძლება გახდეს საჭირო. თუ ეს მოხდა, საოპერაციო, სტრატეგიულ და ტაქტიკურ სამეთაურო რგოლებს შორის მოვალეობების და საზღვრების ნათლად ჩამოყალიბება იქნება აუცილებელი. თუ რომელიმე საკითხი ორ სამეთაურო რგოლს მოიცავს, არსებობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეყოვნების საფრთხე; გარდა ამისა, ამ დროს შესაძლოა წარმოიშვას გაურკვევლობა იმის შესახებ თუ ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტულ საპოლიციო ქმედებაზე.

- საოპერაციო გეგმამ უნდა აღწეროს ის თუ როგორ აპირებს პოლიცია საკუთარი სტრატეგიული განზრახვების განხორციელებას და უფრო კონკრეტულად, როგორ უნდა იმოქმედოს პოლიციამ შეკრების დროს.
- საპოლიციო სამუშაოს მიზნები სტრატეგიული განზრახვებიდან მომდინარეობს და მათში შეიძლება შედიოდეს მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობის ან კონკრეტული ადამიანების დაცვა ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების პრევენცია. საწყის ამოცანას ყოველთვის შეკრების ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ასევე უნდა იქნას განხილული ის თუ როგორი პროპორციული რეაგირება შეიძლება ჰქონდეს პოლიციას არეულობაზე ან ძალადობაზე.
- საოპერაციო ვარიანტები ის საშუალებებია, რომლებიც პოლიციის ამოცანების მიღწევისთვის გამოიყენება. მაგალითად შეკრების ხელშეწყობის მხრივ პოლიციის მიზნების მისაღწევად საოპერაციო მეთაურმა საოპერაციო ვარიანტები (სათემო პოლიციელების სახით) შეიძლება გამოიყენოს. ამის საპირისპიროდ, როდესაც საქმე გვაქვს

ძალადობრივ შეკრებასთან, პოლიციის ამოცანა შეიძლება იყოს აქციის დაშლა, ხოლო უკიდურეს შემთხვევებში საოპერაციო ვარიანტებში ცრემლსადენი გაზის და/ან წყლის ქვემეხის გამოყენება შეიძლება შედიოდეს.

სტრატეგიული გეგმის საოპერაციო გეგმად ჩამოყალიბების პროცესში საოპერაციო მეთაურს შესაძლოა ნებისმიერი ახალი ინფორმაციის ან ოპერატიული მონაცემების გამოყენება, ყველა რისკის განხილვა და შესაბამისად სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანა დასჭირდეს. გეგმაში ნებისმიერი აუცილებელი ცვლილება მანამდე უნდა იქნას შეტანილი სანამ პოლიცია საკუთარ მიზნებს განსაზღვრავს ან დაადგენს.

ცოდნა

სიტუაციისთვის ყველაზე კარგად მორგებული საუკეთესო საპოლიციო მიზნების დადგენამდე, საოპერაციო მეთაურმა შესაბამისი და უახლესი ინფორმაცია უნდა შეაგროვოს. სტრატეგიულ მეთაურს მისთვის უკვე უნდა ჰქონდეს მიწოდებული საბაზისო ინფორმაცია, თუმცა ამ ეტაპზე დამატებითი დეტალები იქნება საჭირო. ამაში შეიძლება შედიოდეს ადგილის ფიზიკური მახასიათებლები, შეკრების და მისი დაშლის კონკრეტული დრო, შეკრების გამართვის მიზეზი, საზოგადოებრივი ინტერესი, შეკრების მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა, შესაძლო წინააღმდეგობა და შეკრებაზე დამსწრე პირების ან ჯგუფების განზრახვასთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაცია.

ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით უნდა იქნას შეგროვებული:

- რატომ ტარდება შეკრება? ვის ან რის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ იმართება შეკრება? შესაძლებელია თუ არა პოლიციის ადგილზე ყოფნამ გამოიწვიოს დემონსტრანტების ან მაყურებლების გაღიზიანება? სავარაუდოა თუ არა რომ შეკრების მოთხოვნებმა/თემატიკამ საზოგადოების სხვა ნაწილებისგან (ძალადობრივი) რეაქცია გამოიწვიოს?
- ვინ მიიღებს მონაწილეობას შეკრებაში? როგორია ამგვარი შეკრებების ისტორია? როგორია შეკრებაში მონაწილეთა ასაკობრივი და გენდერული პროფილი? როგორია არსებული ოპერატიული მონაცემები მათ განზრახვებთან დაკავშირებით? ვისგან შედგება ადგილობრივი მაცხოვრებლები? ვინ შეიძლება იყვნენ გამვლელები? იქნება თუ არა კონტრაქციები ან აგრესიულად განწყობილი ელემენტები დამსწრეთა შორის?
- რა განზრახვები აქვთ მონაწილეებს (ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ შეკრების მონაწილეების და ჯგუფების განზრახვები ერთმანეთისგან

განსხვავებული შეიძლება იყოს)? არსებობს თუ არა ოპერატიული მონაცემები მათი სათადარიგო გეგმების შესახებ? შეკრებაში მონაწილე ზოგიერთ ქვეჯგუფს ცალკე საპორტესტო აქციის ან დემონსტრაციის წამოწყების განზრახვა შეიძლება ჰქონდეთ.

- სად ტარდება შეკრება? არის თუ არა ამ ადგილის სიახლოვეს მნიშვნელოვანი ადგილები, რომლებიც ღონისძიების მონაწილეების, მათი ნაწილის ან კონტრაქციის მონაწილეების ინტერესის არეალში შეიძლება მოექცეს? საგზაო მოძრაობის მხრივ რა პრობლემები შეიძლება არსებობდეს? როგორია დემონსტრანტთა გადაადგილების დაგეგმილი მარშრუტი?
- როდის ჩატარდება შეკრება? დღის ან წლის რომელ მონაკვეთში? როგორი იქნება ამინდი? მგზავრობასთან დაკავშირებული საკითხები (აქციის დაშლის დროს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა)?
- როგორ აპირებენ ადამიანები შეკრებაზე მისვლას? როგორ აპირებენ შეკრების დატოვებას? არის თუ არა შესაბამისი გასასვლელები ადგილზე? ხელმისაწვდომია თუ არა შეკრების ადგილიდან მომავალი ტრანსპორტი? შეკრება ერთ ადგილას იქნება თუ მობილური? მოხდება თუ არა კონსტრუქციების გამოყენება (მაგალითად გამომსვლელებისთვის განკუთვნილი სცენა, ხმის გამაძლიერებლები ა.შ.)?

აღნიშნული ინფორმაცია კიდევ უფრო გაამდიდრებს სტრატეგიული მეთაურის მიერ უკვე მოწოდებულ ოპერატიულ მონაცემებს. ახალი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში საოპერაციო მეთაურმა ეს ინფორმაცია არა მხოლოდ ტაქტიკურ მეთაურებს უნდა გაუზიაროს, არამედ მის შესახებ სტრატეგიულ მეთაურსაც უნდა აცნობოს, რათა სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებები იქნას შეტანილი ან დამატებითი რესურსების გამოყოფა იქნას უზრუნველყოფილი.

ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს უშუალოდ შეკრების ადგილის წინასწარ დათვალიერება და არეალის ტოპოგრაფიისა და გეოგრაფიის შესწავლა წარმოადგენს. ამის გარეშე ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი (მაგალითად საგზაო მოძრაობის შეზღუდვა, სამშენებლო და საგზაო სამუშაოები და სხვა დაბრკოლებები) შეიძლება იქნას გამოტოვებული ან იგნორირებული.

რისკების შეფასება

საწყისი რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება სტრატეგიულმა მეთაურმა უნდა მოახდინოს. თუმცა რისკების შეფასება მთელი

მოცულობით სწორედ საოპერაციო დაგეგმვის დროს ხდება ხოლმე. ყველა ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საოპერაციო მეთაურმა უნდა შეძლოს შესაძლო რისკებისა და საფრთხეების უმრავლესობის იდენტიფიცირება, რომლებსაც შეკრების დროს პოლიციის მუშაობაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. რისკებში შედის შეკრებაში ისეთი ადამიანების ან ჯგუფების მონაწილეობა, რომელთა მიზანი შეკრების შეფერხება ან ძალადობის ხელშეწყობა შეიძლება იყოს, ამავე დროს, საფრთხეში იგულისხმება ნებისმიერი რამ რასაც ადამიანების დაშავება ან დაზიანება შეუძლია, მაგალითად საგზაო მოძრაობა დატვირთულ გზაზე ან ადგილები სადაც ადამიანთა წაბორძიკების ან დაცემის საშიშროება არსებობს (მაგალითად კიბეები ან დაბალი ღობეები).

რისკებისა და მათთან დაკავშირებული სცენარების იდენტიფიცირების საფუძველზე, მეთაურს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის პრიორიტეტებად დაყოფა შეუძლია. საუბარია ისეთ პრობლემებზე, რომლებიც დიდი ალბათობით შეიძლება წარმოიშვას შეკრების დროს და რომლებისთვისაც საოპერაციო მეთაურმა შესაბამისი საკონტროლო ზომები უნდა დაგეგმოს, რათა ამ რისკების შემცირება ან ბოლომდე განეიტრალება მოხდეს. ამაში შეიძლება იგულისხმებოდეს მაგალითად ბარიერების გამოყენება საგზაო მოძრაობის მიმართულების გასაკონტროლებლად, რითაც ავარიების რისკი იქნება განეიტრალებული; ან შესაძლოა ამაში შედიოდეს დაცემის საშიშროების შემცირება ან ფორმიანი პოლიციელების განლაგება კონკრეტულ ადგილებში, რითაც კონკრეტული პირების ან მცირე ჯგუფების ძალადობრივი ქმედების ალბათობა იქნება შემცირებული.

შეკრებების დროს ქალთა მიმართ სექსუალური ხასიათის თავდასხმების მიზანი არა მხოლოდ ქალების შეკრებებში მონაწილეობის აღკვეთა არამედ თავად მონაწილეების დისკრედიტაცია შეიძლება იყოს. დამნაშავეები ხშირად ფიქრობენ, რომ მათ ამგვარი ქმედებების ჩადენა დაუსჯელად შეუძლიათ. მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ ნათლად მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ სექსუალური ძალადობა არ იქნება მოთმენილი და რომ ასეთი ინციდენტების მონაწილეები დაისჯებიან. სადაც ამისი შესაძლებლობა არსებობს, პოლიციამ წინასწარ უნდა ითანამშრომლოს ქალთა უფლებების დამცველ ჯგუფებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და მათთან ქალთა უსაფრთხოების საკითხები უნდა განიხილოს; ხოლო მამაკაცმა და ქალმა პოლიციელებმა შეკრებაში მონაწილე ქალბატონების მონიტორინგი უნდა განახორციელონ მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. როდესაც პოლიცია აჩვენებს, რომ ეს რისკები სერიოზულად არის აღქმული, ამგვარი ინციდენტების ალბათობა უფრო ნაკლებია.

ყოფილა შემთხვევები როდესაც პოლიციამ ან უსაფრთხოების ძალებმა თავად წააქეზეს სექსუალური ხასიათის ძალადობა; ასეთ ფაქტებს განსაკუთრებით პატრიარქალურ საზოგადოებებში ჰქონდა ადგილი, სადაც ითვლება, რომ ქალებს ქუჩის საპროტესტო აქციებში არაფერი არ ესაქმებათ. რადგან ეს როგორც ჩანს მზარდი პრობლემაა, ამიტომ ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი საკითხები შეკრების დაგეგმვის ეტაპზე იქნას განხილული, მათ შორის ის თუ რა საშუალებებით შეუძლიათ ქალებს სექსუალური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება როგორც ღონისძიების განმავლობაში ისე მის შემდგომ.

ხელშეწყობა

ოპერატიული მონაცემებისა და რისკების გათვალისწინების საფუძველზე, საოპერაციო გეგმა კონკრეტულად აღწერს იმას თუ როგორ აპირებს პოლიცია მისი სტრატეგიული განზრახვების შესრულებას. საოპერაციო მეთაურმა მთელი ღონისძიება უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს როდის უნდა იქნას ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანები გამოყენებული იმისთვის, რომ შეკრების ხელშეწყობა უსაფრთხოდ განხორციელდეს.

პოლიციისთვის საწყის წერტილს ყოველთვის იმაზე ფიქრი უნდა წარმოადგენდეს თუ როგორ შეიძლება შეკრების ხელშეწყობის ისე დაგეგმვა, რომ მისი მონაწილეებისა და ორგანიზატორების სურვილები იქნას დაკმაყოფილებული. მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობა მთავარ ამოცანად მაშინაც უნდა რჩებოდეს როდესაც მონაწილეები ადგილობრივი კანონმდებლობის ყველა ასპექტს არ იცავენ. შესაძლოა შეკრების ორგანიზატორს კანონის მოთხოვნები არ დაუკმაყოფილებია, თუმცა შეკრების კონკრეტული მონაწილეებისთვის ეს ფაქტი შეიძლება არ იყოს ცნობილი. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო სარჩელი ღონისძიების შემდეგაც შეიძლება იქნას შეტანილი და რადგან შეკრების ორგანიზატორებს აქციის თაობაზე შეტყობინება არ გაუკეთებიათ ამის გამო ძალის გამოყენება არასოდეს არ უნდა მოხდეს.

შეზღუდვების დაწესება: თუ ღონისძიებამდე შესაბამისი სახელისუფლებო ორგანო ან ღონისძიების მიმდინარეობისას პოლიცია შეკრების შეზღუდვის გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ ეს გადაწყვეტილება ზემოთხსენებულ ადამიანის უფლებების პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს. პოლიციამ ყოველთვის ნათლად უნდა განაცხადოს შეზღუდვების შეთავაზების ან დაწესების მიზეზები, ხოლო ორგანიზატორებს ყოველთვის უნდა შესთავაზონ გონივრული ალტერნატივები, როდესაც ამ შეზღუდვების შედეგად შეკრებას სერიოზული პრობლემები ექმნება.

ყოველთვის უფრო სასურველია პოტენციური შეზღუდვების შესახებ ორგანიზატორებთან წინასწარ მოლაპარაკება ვიდრე გაფრთხილების გარეშე ამ შეზღუდვების დაწესება. ზოგიერთი შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკება შედარებით უფრო მარტივი შეიძლება იყოს, მაგალითად საშიში მარშრუტების გამოყენებისგან თავის შეკავება, მნიშვნელოვანი შენობების ბლოკირებისგან თავის შეკავება ან შეკრების დროის ცვლილება. თუმცა სხვა სახის შეზღუდვებს შეიძლება წინააღმდეგობა შეხვდეს და შესაბამისად ორგანიზატორებმა შესაძლოა მათი სასამართლო წესით გასაჩივრება გადაწყვიტონ. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საოპერაციო ეტაპზე იდენტიფიცირებული ნებისმიერი შეზღუდვა რაც შეიძლება სწრაფად იყოს ახსნილი ორგანიზატორებისთვის. შეზღუდვების დაწესებამდე პოლიციამ შემდეგი საკითხები უნდა გაითვალისწინოს:

- *რეგულირებისა და შეზღუდვის კანონიერი საფუძვლები:* შეზღუდვის კანონიერი საფუძვლები ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტებშია გაწერილი. ადგილობრივ კანონმდებლობებში ამ საფუძვლებს დამატებითი მიზეზები არ უნდა დაემატოს. თუმცა, ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, კანონიერი საფუძვლები აუცილებლად იქნება ინტერპრეტირებული ადგილობრივი კანონქვემდებარე აქტების მეშვეობით ან შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ;
- *საჯარო სივრცე:* შეკრებები საჯარო სივრცის გამოყენების ისეთივე კანონიერ ფორმას წარმოადგენს როგორც ნებისმიერი კომერციული აქტივობა ან საგზაო თუ საფეხმავლო მოძრაობა. შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის განხილვისას ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს;
- *აქციის შინაარსთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები:* შეკრებები საერთო აზრის გამოხატვის მიზნით ტარდება და შესაბამისად მათ ამოცანას გარკვეული გზავნილების გაჟღერება წარმოადგენს. აქციაზე გამოყენებული ვიზუალური ან ვერბალური გზავნილების შეზღუდვა გამოხატვის უმაღლეს სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს და ასეთი შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას დაწესებული თუ ძალადობის გარდაუვალი საფრთხე არსებობს;
- *თვალთახედვის არეალი:* საჯარო შეკრებების მიზანს კონკრეტული პირის, ჯგუფის ან ორგანიზაციის მისამართით გარკვეული გზავნილის გაჟღერება წარმოადგენს ხოლმე. ამიტომ, როგორც წესი, შეკრებების გამართვის ხელშეწყობა მათი მიზნობრივი აუდიტორიის „თვალთახედვის არეალში“ უნდა მოხდეს;

სტრატეგიულ მეთაურს ღონისძიებასთან დაკავშირებით ზოგადი პასუხისმგებლობა ეკისრება, ის ვალდებულია სტრატეგიული განზრახვები, სტრატეგიული გეგმა და საოპერაციო პარამეტრები განსაზღვროს.

ღონისძიების წინ დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა სტრატეგიული მეთაურის მოსაზრებებს და შესაბამის გეგმებს უნდა შეესაბამებოდეს. ღონისძიების დროს დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა (მაგალითად ძალადობის ან ინციდენტის შედეგად დაწესებული შეზღუდვა) საოპერაციო მეთაურების გადაწყვეტილებებს უნდა წარმოადგენდეს (და ესეთი შეზღუდვები სამეთაურო გუნდის მიერ წინასწარ უნდა ყოფილიყო გაწერილი გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებულ გეგმებში). გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული აღნიშნული გეგმები სტრატეგიულ მეთაურთან წინასწარ უნდა იქნას განხილული (იმ შემთხვევების გარდა როდესაც სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება), რადგან მათ მთლიან გეგმაზე და პოტენციურად შეკრებასთან დაკავშირებით გამოყოფილ საპოლიციო რესურსებზე აქვთ ზეგავლენა. თუმცა, გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული წინასწარ გაწერილი გეგმების ცვლილიება შესაძლებელია თუ ამას სიტუაცია ითხოვს (მაგალითად სიცოცხლის საფრთხის ქვეშ ყოფნა).

პოლიციას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეკრებების ხელშეწყობა ორგანიზატორების მიმართ შეზღუდვების დაწესების გარეშე უნდა მოხდეს და რომ ნებისმიერი შეზღუდვა აუცილებლობას უნდა ეფუძნებოდეს და მინიმალური უნდა იყოს იმისთვის, რომ სახელმწიფო ორგანოების კანონიერი მიზნები იქნას მიღწეული.

კომუნიკაცია

სტრატეგიული მეთაურის მიერ ინიცირებული დიალოგი საოპერაციო სამეთაურო რგოლის დონეზე უნდა გაფართოვდეს. პოლიციამ მუდამ უნდა უზრუნველყოს კონკრეტულ ორგანიზატორებთან დიალოგში ჩართული პერსონალის განგრძობითობა. ეს პერსონალური ურთიერთობებისა და ურთიერთნდობის განვითარებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, ამ პერსონალმა გარე ორგანიზაციებთან დამაკავშირებელი ერთი, კონკრეტული საკომუნიკაციო არხის არსებობა უნდა უზრუნველყონ იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დამაბნეველი ან ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის გზავნილების გავრცელება.

ოპერაციის დაწყებამდე იმ ტაქტიკური მეთაურების შერჩევა უნდა მოხდეს, რომლებსაც შეკრების ორგანიზატორებთან დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ; გარდა ამისა, უნდა მოხდეს მათი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დადგენა. აღნიშნულ ოფიცრებს დიალოგის ხელშეწყობის, მოლაპარაკებების წარმართვის

და მედიაციის უნარები უნდა გააჩნდეთ. ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენასთან და დიალექტთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებას, რათა მოლაპარაკებების მთელს პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) თარჯიმნების ჩართვა და მონაწილეობა იქნას უზრუნველყოფილი.

პოლიციის მიზანს ორმხრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა უნდა წარმოადგენდეს: ანუ პოლიციამ მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობის მიზნით არა მხოლოდ ინფორმაცია უნდა შეაგროვოს, არამედ სხვა ძირითად მხარეებს შესაბამისი და საკმარისი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რათა მათ მშვიდობიანი შეკრებების ხელშეწყობაში თავიანი წვლილის შეტანა შეძლონ.

პოლიციას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ორგანიზატორებთან თანამშრომლობა შეკრებასთან დაკავშირებით მათი სურვილებისა და განზრახვების დადგენას უწყობს ხელს, ამ ურთიერთობის მეშვეობით შესაძლებელია პოტენციური რისკებისა და საფრთხეების განსაზღვრა და შესაბამისად იმის დადგენა თუ რა დასჭირდება პოლიციას რისკებთან გასამკლავებლად და შეკრების ხელშესაწყობად. ღია და პირისპირ საუბარს ამგვარი დისკუსიების წარმატებულად დასრულება და ორივე მხარისთვის მისაღები შედეგების მოტანა შეუძლია.

უნიფორმა: უნიფორმის მისაღები სტილი მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის სწორი შეტყობინების მიწოდებისთვის. თუმცა ამავე დროს ოფიცრებს ძალადობრივი შეტევებისგან დაცვის უფლება აქვთ. სწორი სახის უნიფორმის სწორ დროს ტარების ეს ფაქიზი ბალანსი ასევე უნდა ეფუძნებოდეს საფრთხეებისა და რისკების ალბათობას, რადგან დამცავი აღჭურვილობის დროზე ადრე ან დაგვიანებით გამოყენებამ ძალადობის ესკალაცია შეიძლება გამოიწვიოს. სხეულის დამცავი საშუალებების უნიფორმის ქვეშ ტარება დასაშვებია. ყველა უნიფორმა და/ან ჩაფხუტი პოლიციელის სამსახურეობრივი ნომრით უნდა იყოს მარკირებული, რათა მის მიერ არასათანადო ქმედებების ჩადენის შემთხვევაში მისი იდენტიფიცირება უფრო მარტივი იყოს; გარდა ამისა ამგვარი მარკირების ქონა უსაფრთხოების, სამედიცინო და სამეთაურო მიზეზების გამო არის აუცილებელი.

დიფერენციაცია

როდესაც სამართალდამცავები წყვეტენ თუ ვინ უნდა ჩართონ საქმეში, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ არსებობს სხვადასხვა ადამიანი და ჯგუფი,

რომლებმაც შეიძლება მიიღონ მონაწილეობა შეკრებაში და რომ ზოგიერთ მათგანს შეიძლება ორგანიზატორებისგან განსხვავებული მიზნები და ინტერესები გააჩნდეს. როდესაც სასაუბროდ ადამიანთა კონკრეტული ჯგუფების შერჩევა ხდება, ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებას, რომლებმაც შესაძლოა ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღონ. ასევე იარსებებენ ისეთი ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებზეც შეკრება სხვადასხვანაირ ზეგავლენას მოახდენს და რომელთა დიალოგში ჩართვა ასევე შეიძლება იყოს საჭირო.

გაუთვალისწინებელი შემთხვევები

სამაშველო სამსახურებთან ადრეულ ეტაპზე დაწყებული თანამშრომლობა პოლიციის მეთაურს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის მომზადებაში დაეხმარება. ამაში იგულისხმება „რა იქნება თუ“-ს ტიპის სცენარების განხილვა ანუ ისეთი მოვლენების განხილვა, რომლებიც შეკრების დროს შეიძლება განვითარდეს და რომლებიც სერიოზულ ინციდენტებში შეიძლება გადაიზარდოს. სერიოზული ინციდენტი არის ისეთი საგანგებო სიტუაცია, რომელიც ერთი ან მეტი სამაშველო სამსახურის ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისგან სპეციალური ზომების მიღებას მოითხოვს. ამისი მაგალითები შეიძლება იყოს:

- დიდი რაოდენობით დაშავებული ადამიანების გადარჩენა და ტრანსპორტირება;
- ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც სამაშველო სამსახურების გაერთიანებულ დიდ რესურსებს მოითხოვს;
- სამაშველო და დამხმარე სერვისების მობილიზება და ორგანიზება დიდი რაოდენობით ადამიანების წინაშე არსებული სიკვდილის ან სერიოზულად დაშავების რისკის გასანეიტრალებლად;
- საზოგადოებისგან და მედიისგან წამოსულ მრავალ კითხვაზე პასუხების გაცემა (ეს კითხვები ჩვეულებრივ პოლიციის მისამართით ისმევა).

პოტენციური რისკები და საფრთხეები, რომელთა გათვალისწინება უნდა მოხდეს:

- სერიოზული ჭყლეტვის შედეგად გამოწვეული ტრავმები;
- ხანძარი გადახურულ ტერიტორიებზე;
- გარკვეული ნაგებობების ჩამოშლა, მაგალითად გამომსვლელებისთვის აგებული დროებითი სცენის ან აუდიტორიისთვის მოწყობილი ტრიბუნების ჩამოშლა;
- ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული სერიოზული ექსტრემალური მდგომარეობა.

პოლიციის მეთაურებს ასევე უნდა ახსოვდეთ, რომ ადგილზე არსებულ მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა გაუთვალისწინებელ გარემოებებს შეუძლიათ, რომლებიც შეკრების დროს პოლიციის მიერ ჩასატარებელ სამუშაოსთან კავშირში არ არის. ამაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები როგორებიცაა:

- ინფრასტრუქტურის დაზიანება;
- გზის მოულოდნელი გადაკეტვა;
- ამინდის სერიოზულად გაუარესება.

საოპერაციო ვარიანტები

მას შემდეგ რაც პოლიციის ამოცანები დადგინდება, საოპერაციო მეთაურმა უნდა გადაწყვიტოს რომელი საპოლიციო ტაქტიკა უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად. კონკრეტული საოპერაციო ვარიანტები ერთნაირად ხელმისაწვდომი შეიძლება არ იყოს, რაც სტრატეგიული მეთაურის მიერ კონკრეტულ რესურსებზე დაწესებული შეზღუდვებით შეიძლება იქნას გამოწვეული. თუმცა საოპერაციო მეთაურმა ყოველთვის ისეთ ვარიანტებს უნდა მიანიჭოს უპირატესობა, რომლებიც დიალოგს და შეკრების მშვიდობიანად ჩატარებას უწყობს ხელს, რაც შეესაბამება ზევით ნახსენებ ფრაზას – „პროაქტიური საპოლიციო სამუშაო ყოველთვის უფრო სასურველია ვიდრე პოლიციის მიერ არეულობაზე რეაგირება.“ შესაძლოა პოლიციას სხვადასხვანაირი რესურსების გამოყენების საშუალება ჰქონდეს, თუმცა, სადაც ეს შესაძლებელია, საპოლიციო პრაქტიკა, სტრატეგიული მიზნების მიღწევისას, ყოველთვის ხელშეწყობისა და კომუნიკაციის საბაზისო პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს.

ძირითადი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება უნდა მოხდეს:

- ჩაცმულობის ეტიკეტი (მაგალითად აცვიათ თუ არა პოლიციელებს ყოველდღიური უნიფორმები ან უკეთიათ სპეც-აღჭურვილობა);
- ადგილზე განლაგებულ პოლიციელთა რაოდენობა;
- პოლიციელთა განლაგების მეთოდი (მაგალითად მცირე რაოდენობით პოლიციელთა კონტინგენტი, რომელიც მოშორებით არის განლაგებული, პოლიციელებით სავსე მრავალი მანქანა, მოწყვლადი შენობების წინ პოლიციელთა მნიშვნელოვანი კორდონები და ა.შ.);
- აღჭურვილობის და მანქანების სახეობები, რომელთა დანახვა შეკრების მონაწილეებს შეუძლიათ;
- თვალსაჩინო ადგილებზე განლაგებული ტაქტიკური საშუალებები (მაგალითად ძაღლები ან წყლის ქვემეხები);

- პოლიციელებისთვის ინფორმაციის მიწოდების მეთოდი (მაგალითად საჭიროა თუ არა ინფორმაციის მიწოდებისას სპეციალური ფოტოების ან ვიდეო კადრების ჩვენება პოლიციელების მიერ ინფორმაციის სრულყოფილად აღსაქმელად);
- გარკვეული მეთოდების გამოყენებას შეკრებაზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია (მაგალითად დაბალ სიმაღლეზე მფრინავი ვერტმფრენები ან საპოლიციო ძაღლების გამოყენება);
- მტკიცებულებების შეგორვება;
- დანაშაულების შესახებ შეტყობინება და მათი გამოძიება;
- თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სტრატეგია.

საოპერაციო მეთაურს უნდა ახსოვდეს, რომ პოლიციის ადგილზე ყოფნას დაძაბულობის ზრდა ან პირიქით ადამიანების დამშვიდება შეუძლია და რომ შესაძლოა პოლიცია ვერბალური კომუნიკაციის გამოყენებაზე აკეთებდეს აქცენტს, მაგრამ მეთაურს უნდა ასევე ახსოვდეს არასიტყვიერი კომუნიკაციის მნიშვნელობა და ის თუ როგორი შთაბეჭდილების შექმნა შეუძლია პოლიციის განლაგებას შეკრების მონაწილეებზე. მაგალითად, დამცავ აღჭურვილობაში (ჩაფხუტები და ფარები) გამოწყობილ პოლიციელთა დიდი ოდენობით განლაგება და წყლის ქვემეხებისა და მსგავსი აღჭურვილობის თვალსაჩინო ადგილებზე განთავსება გაცილებით უფრო სხვანაირ შთაბეჭდილებას შექმნის ვიდრე ჩვეულებრივ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელების ადგილზე ყოფნა. თუ პოლიციას სურს შეკრების ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან თანამშრომლობა, მაშინ საჭიროა პოლიციელების ისეთი რაოდენობა იყოს გამოყოფილი და მათ იმგვარი აღჭურვილობა ჰქონდეთ, რომ შეკრების მონაწილეებს დარჩეთ შთაბეჭდილება რომ სამართალდამცავებს შეკრების ხელშეწყობისთვის მათთან საუბრის და თანამშრომლობის სურვილი გააჩნიათ.

თუ საოპერაციო მეთაური ფიქრობს, რომ არსებობს არეულობის საშიშროება, მაშინ შეკრების სიახლოვეს შესაბამისი რაოდენობის და აღჭურვილობის მქონე საპოლიციო რეზერვი უნდა განლაგდეს, თუმცა აღნიშნული ძალები შეკრების მონაწილეების თვალთახედვის არეალში არ უნდა იმყოფებოდნენ.

საოპერაციო მეთაურმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილზე განლაგებული პირადი შემადგენლობის გენდერულ ბალანსს ყველა არსებული ინფორმაციისა და ოპერატიული მონაცემების გათვალისწინებით. ამის შედეგად ადგილზე შესაბამისი რაოდენობის ქალი პოლიციელების ყოფნა უნდა იქნას უზრუნველყოფილი რათა სხვადასხვა შესაძლო სცენარებზე და სიტუაციებზე შესაბამისი რეაგირება იქნას უზრუნველყოფილი.

შემდგომ განყოფილებაში საუბარია პოლიციის სხვადასხვა სპეციალიზებულ დანაყოფებზე და ასევე აღჭურვილობის და იარაღის სახეობებზე, რომელთა ადგილზე ქონით კონკრეტული საპოლიციო ამოცანების მიღწევაა შესაძლებელი.

პოლიციის დანაყოფები

უბნის ურთიერთობის ოფიცრები/ე.წ. „დიალოგის პოლიცია“

ესენი არიან პოლიციელები, რომლებიც შეკრების წევრებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან პირდაპირ კონტაქტში შედიან. მათ კომუნიკაციაში და მოლაპარაკებების წარმოებაში სპეციალური სწავლება უტარდებათ და ისინი პირდაპირ ექვემდებარებიან საოპერაციო მეთაურს. შეკრების ორგანიზატორებსა და პოლიციას შორის კომუნიკაცია ამ ორგანიზატორების საწინააღმდეგ ოპერატიული მონაცემების შესაგროვებლად არ უნდა იქნას გამოყენებული.

ამ პოლიციელების მეშვეობით შესაძლებელია:

- საზოგადოებისთვის პოლიციის განზრახვების ახსნა;
- საუბნო მედიატორებთან პირდაპირი კავშირის დამყარება;
- ადამიანებს შორის ნდობის გაზრდა;
- ორგანიზატორებსა და პოლიციის ხელმძღვანელობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- „სიურპრიზების გარეშე“ პრინციპის მხარდაჭერა.

თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ:

- არ მოხდეს ამ პოლიციელების ხალხის მასის შიგნით სახიფათო ან იზოლირებულ ადგილებზე განლაგება;
- არ მოხდეს ამ პოლიციელების მასობრივი არეულობების აღკვეთაზე მიმართულ ოპერაციებში გამოყენება.

საველოსიპედე დანაყოფები

ზოგიერთი ქვეყნის მიერ ველოსიპედებით მოძრავი საპოლიციო დანაყოფების გამოყენება ეფექტური აღმოჩნდა შეკრებაში მონაწილე ჯგუფების ბლოკირების ან მათი არააგრესიულად ესკორტირების კუთხით. ამ ტიპის დანაყოფები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საპროტესტო აქციებზე, რომლებშიც ველოსიპედისტებიც იღებენ მონაწილეობას. თუ ისინი კარგად არიან გაწრთვნილი, საველოსიპედე

დანაყოფებს სწარაფად შეუძლიათ ბარიერების ან ფილტრების როლის შესრულება, რათა შეაჩერონ მსვლელობა.

გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ველოსიპედების ნელი სიჩქარით გადაადგილება შესაძლებელი უნდა იყოს;
- პოლიციელები შესაბამისად გაწრთვნილი უნდა იყვნენ;
- პოლიციელები (მინიმუმ ორკაციან) ჯგუფებად უნდა მოძრაობდნენ;
- აღნიშნული პოლიციელები არ უნდა მუშაობდნენ ისეთ შეკრებებზე, რომლებიც შესაძლოა არეულობაში გადაიზარდოს;
- აღნიშნული პოლიციელები არ უნდა მოექცნენ იზოლაციაში.

ხალხის მასის მართვაზე მომუშავე პოლიციელები

ესენი არიან პოლიციელები, რომლებსაც ნორმალური, დაუცველი უნიფორმები აცვიათ, თუმცა ისინი ერთად მუშაობაში არიან გაწრთვნილები, როდესაც მათი ცალკე დანაყოფის სახით განლაგება ხდება, ამ პოლიციელებს მშვიდობიან შეკრებასთან დაკავშირებული ტაქტიკური ვარიანტების განხორციელებაში ჩართვა შეუძლიათ (მაგალითად პოლიციელებისგან შემდგარი ღია რიგები, პოლიციელთა გაძლიერებული რიგები, ე.წ. „მცირეგუნდიანი ტაქტიკა“ და ა.შ.).

აღნიშნული პოლიციელების გამოყენება შემდეგი სახით არის შესაძლებელი: ადგილზე მცირერიცხოვანი ყოფნა, ტერიტორიის პატრულირება, მონაწილეებთან ურთიერთობაში შესვლა და ზოგადად შეკრებასთან დაკავშირებული აქტივობების მხარდაჭერა.

ამგვარ საპოლიციო დანაყოფებს რამდენიმე უპირატესობა გააჩნია. თუ მათი სწორად გაწრთვნა მოხდა, მათ შეუძლიათ:

- შეკრების მონაწილეებთან მარტივად ურთიერთობა;
- პრობლემების მქონე ადამიანების დახმარება (მაგალითად უბედური შემთხვევები ან დაკარგული ბავშვები);
- ნაკლებად აგრესიული იმიჯით წარდგნენ;
- შეკრების მონაწილეების მარტივად გატარება ან შეკრების მონაწილეებს შორის ადვილად მოძრაობა როდესაც სპეციფიკური პრობლემების გადაჭრაა საჭირო;
- ტერიტორიის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებაში დახმარების გაწევა.

თუმცა ამ დანაყოფებს თავისი ნაკლოვანებებიც აქვთ:

- შესაძლოა ისინი ცუდად იყვნენ დაცული ნასროლი საგნებისგან ან თავდასხმის შემთხვევაში;
- ეფექტურობის უზრუნველსაყოფად ისინი თავიანთი დანაყოფის მეთაურის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ.

მასობრივი არეულობის შემაკავებელი პოლიციელები და დანაყოფები

აღნიშნული პოლიციელები სრულიად არიან აღჭურვილი დამცავი საშუალებებით, მათ შორის ჩაფხუტებით, ფარებით, სხეულის დამცავი ჯავშანით და ხელკეტებით, ისინი სერიოზულ არეულობებთან გამკლავებისთვის არიან გაწრთვნილი. ისინი შეკრების მონაწილეების თვალთახედვის არეალიდან მოშორებით რაც შეიძლება დიდხანს უნდა რჩებოდნენ, მათი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს თუ სიტუაცია უარესდება და კონტრდემონსტრანტების ან სხვა ჯგუფების მხრიდან ძალადობის დადასტურებული რისკი არსებობს.

მათ რამდენიმე უპირატესობა გააჩნიათ, მათ შორის ის რომ:
- ისინი ნასროლი საგნებისგან და თავდასხმებისგან კარგად არიან დაცული;
- მათ მასობრივი არეულობების კონტროლის მიმართულებით მაღალი დონის სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ, ისინი ამ მიმართულებით კარგად მომზადებული და აღჭურვილი არიან და წესით ისინი მაღალი დონის დისციპლინით უნდა გამოირჩეოდნენ;
- მათ სწრაფად მოძრაობა და შეკრების უწესრიგო მონაწილეებთან გამკლავება შეუძლიათ;
- მათ წესრიგის დამყარების ზოგად პროცესში ძალის ინდივიდუალურად გამოყენების უნარი აქვთ.

ამგვარი დანაყოფების გამოყენებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებია:
- ხშირ შემთხვევაში მათი უბრალოდ ადგილზე ყოფნა შეკრების მონაწილეებისთვის უარყოფითი გზავნილი შეიძლება იყოს;
- ისინი შესაძლოა ზედმეტად აგრესიული და არადისციპლინირებულები გახდნენ;
- დამცავი ჩაფხუტების გამოყენების გამო მათი კომუნიკაცია როგორც სხვა პოლიციელებთან ისე საზოგადოებასთან მნიშვნელოვნად შეიზღუდება;
- სიტუაცია ვერ გახდება ნორმალური სანამ ამ დანაყოფების გამოყენების საჭიროება იარსებებს. თუმცა ისეთი ქმედებები როგორებიცაა ჩაფხუტების მოხსნა და ფარების ქვევით დაწევა არასიტყვიერი კომუნიკაციის ის ფორმა შეიძლება იყოს, რომელსაც დეესკალაციის ხელშეწყობა შეუძლია;

აღნიშნულ პოლიციელთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა პრობლემატური საკითხი შეიძლება გახდეს, რადგან მთლიანი დამცავი აღჭურვილობის ტარებისას მათ შესაძლოა ძალიან სწრაფად განიცადონ დეჰიდრაცია.

დაკავების განმხორციელებელი ჯგუფები

არეულობის ან პოტენციური არეულობის დროს დაკავების განმხორციელებელი ჯგუფების გამოყენება იმ ადამიანთა დაკავების და შეკრებისგან განრიდების საშუალებაა, რომლებსაც მათ გარშემო მყოფთა ძალადობის აქტების განხორციელებაში აყოლიება შეუძლიათ.

ამ ჯგუფების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებებია:

- ისინი კონკრეტულად ამ მიზნისთვის უნდა იყვნენ გაწრთვნილი და კარგად აღჭურვილები, და ასევე დისციპლინის მაღალი დონით უნდა გამოირჩეოდნენ;
- კონკრეტულ ადამიანებთან ურთიერთობისას ისინი ზუსტი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოქმედებდნენ;
- უნდა გადაწყდეს დაკავებები დაუყოვნებლივ თუ შეკრების დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს (ამ შემთხვევაში შესაძლებელია სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ან მტკიცებულებების შემგროვებელი ჯგუფების ინფორმაციის გამოყენება);
- უნდა გადაწყდეს თუ რა რაოდენობის პოლიციელებმა უნდა დატოვონ წინა ხაზი დაკავებულთა ეფექტურად მართვის ხელშესაწყობად;
- მათმა ქმედებებმა შესაძლოა სოლიდარობის ნაბიჯები ან აღშფოთებაც კი გამოიწვიოს, რასაც შესაძლოა შეკრების მონაწილეებს შორის პოლიციელების მიმართ მტრული და აგრესიული დამოკიდებულების ზრდა მოჰყვეს.

მტკიცებულებების შემგროვებელი ჯგუფები

შეკრების ადგილზე ფოტო ან ვიდეო კამერების განლაგება არა მხოლოდ დანაშაულებების მტკიცებულებების შეგროვების საშუალება შეიძლება იყოს. აღნიშნულ აღჭურვილობას ასევე ფსიქოლოგიური შემაკავებლის როლის შესრულება შეუძლია, რამაც პოტენციურ დამნაშავეებს და პრობლემების შემქმნელ პირებს შესაძლოა კანონის დარღვევა გადააფიქრებინოს. კრიმინალებმა შესაძლოა შეკრებები სხვადასხვა დანაშაულებების ჩასადენად გამოიყენონ (მაგალითად ქურდობა ან სექსუალური ხასიათის დანაშაული).

მტკიცებულებების შემგროვებელი ამგვარი ჯგუფების დანიშნულება ნათლად უნდა იქნას ახსნილი შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებისთვის.

თუმცა ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის ან პრაქტიკის გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოხდეს რაც ადამიანის უფლებების მხრივ ამგვარი აქტივობების გამოყენების ყველა შესაძლო შედეგი იქნება განხილული, ასევე (თუ ეს აუცილებელია) ამგვარი საქმიანობისთვის სასამართლოს ნებართვა უნდა იქნას მიღებული. აქედან გამომდინარე, მტკიცებულებების შემგროვებელი გუნდები მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებების მტკიცებულებების შეგროვებისთვის უნდა იქნან გამოყენებული და:

- მათ ადგილზე ყოველთვის პოლიციის ფორმა უნდა ეცვათ;
- მათ მტკიცებულებები საზოგადოების თვალწინ უნდა შეაგროვონ;
- ისინი შესაბამისად უნდა იყვნენ გაწრთვნილი და აღჭურვილი;
- ისინი შესაბამისად უნდა იყვნენ მართული (მაგალითად ისინი ფუნქციურ მეთაურს უნდა ექვემდებარებოდნენ);
- მათი გამოყენება კანონის მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს;
- მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ზოგ შემთხვევაში ახლო დისტანციიდან კამერის პირდაპირ კონკრეტული ადამიანებისკენ მიშვერა შესაძლოა პროვოკაციულ ნაბიჯად შეფასდეს, რასაც არეულობა შეიძლება მოჰყვეს;
- ფოტოები ან ვიდეო მასალა უსაფრთხოდ უნდა იქნას შენახული, რათა არაუფლებამოსილი პირების მიერ მათზე წვდომა გამოირიცხოს;
- მათ სასამართლოში საკუთარი მტკიცებულებების შესაბამისი წესით წარმოდგენა უნდა შეეძლოთ;
- მათ გადაღებები არა მუდმივ რეჟიმში, არამედ დაძაბულობის ზრდის შემთხვევაში ან დანაშაულის ან ძალადობრივი აქტების ჩადენის საშიშროებისას უნდა მოახდინონ;
- მათ ჩანაწერები და ფოტოები მხოლოდ კანონის აღსრულებისთვის საჭირო პერიოდით ან სასამართლოში მტკიცებულებების წარსადგენად უნდა შეინახონ (ამ ჩანაწერების/ფოტოების გრძელვადიანად შენახვა არ უნდა მოხდეს).

თუმცა უნდა გაითვალისწინოთ, რომ ყველა პოლიციელი, მათი თანამდებობების მიუხედავად, მზად უნდა იყოს წამოადგინონ სრული წერილობითი ანგარიშები ოპერაციების დროს მათი დაკვირვების შედეგების შესახებ და ასევე ისინი მზად უნდა იყვნენ სასამართლოში კრიმინალური ქცევის საწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისთვის.

სამოქალაქო ტანსაცმელში მოქმედი პოლიციელები

სამოქალაქო ტანსაცმელში მოქმედი პოლიციელების გამოყენება კარგად გააზრებულ მენეჯმენტს საჭიროებს (იქნება ეს მზვერავი პოლიციელები თუ დაკავებების განმხორციელებელ ჯგუფებში მომუშავე პოლიციელები). პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში მოქმედი პოლიციელების გამოყენების შემთხვევაში საქმე გვექნება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებასთან[22] (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 17), ამიტომ სამოქალაქო ტანსაცმელში მოქმედი პოლიციელების ქმედებები პროპორციულობისა და აუცილებლობის სტანდარტების მიხედვით უნდა იქნას შემოწმებული.[23]

მეთაურებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ:

- პოლიციელთა უსაფრთხოება და მათ მიერ შეკრების მონაწილეების შორის უსაფრთხოდ გადაადგილების უნარი;
- ოპერაციის დროს ნებისმიერი სახის საპოლიციო აღჭურვილობის დაკარგვის ან მოპარვის შედეგები (მაგალითად ცეცხლსასროლი იარაღი და რაციები);
- ის, რომ პოლიციელებმა არასოდეს არ უნდა იმოქმედონ "აგენტი პროვოკატორების" როლში, მათ არასოდეს არ უნდა მოახდინონ შეკრების ფარგლებში რაიმე სახის უკანონო ქმედებების წახალისება ან მათში მონაწილეობა.

ცხენოსანი პოლიციელები

ეუთოს ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში ცხენოსანი პოლიციელების გამოყენება დიდი და პოტენციურად პრობლემური შეკრებების გაცილებისა და მართვისთვის ხდება, გარკვეულ გარემოებებში ეს დანაყოფები ქვეით საპოლიციო დანაყოფებზე უფრო ეფექტური შეიძლება იყოს. თუმცა, საპოლიციო დანიშნულებით ცხენების გამოყენება

---

22 მარკ კენედის, ფარული აგენტი – გაერთიანებული სამეფოს პოლიციის ოფიცერი, შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ პოლიციელებმა აქტივისტებთან გრძელვადიანი, ინტიმური ურთიერთობები დაამყარეს, მათთან ერთად საერთო შვილებიც იყოლიეს და მათი ოჯახების წევრებადაც იქცნენ. სხვა შემთხვევებში, ფარულად მოქმედ სამართალდამცავთა „ლეგენდებისთვის" გარდაცვლილი ბავშვების სახელები იქნა გამოყენებული. იხილეთ პოლ ლიუსის და რობ ევანსის „გაეროს ოფიციალური პირები მოუწოდებენ ბრიტანეთის მთავრობას გამოიძიონ ფარულ აგენტებთან დაკავშირებული სკანდალი", გარდიანის ვებ გვერდი, 2013 წლის 23 იანვარი <http:// www.theguardian.com/uk/2013/jan/23/un-official-undercover-police-scandal>.

23 მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის განცხადება გაერთიანებულ სამეფოში ვიზიტის შემდეგ. იხილეთ მეტი: <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=12 945&LangID=E#sthash.gUJ3z9To.dpuf>.

გავრცელებულ პრაქტიკას არ წარმოადგენს და შესაძლოა ცხენოსანი პოლიციელების გამოჩენა შეკრების მონაწილეებმა მუქარად აღიქვან.

- ცხენოსანი პოლიციის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:
- ცხენოსან პოლიციელებს შეკრების მონაწილეებისა და დამკვირვებლების უკეთესად დანახვა და ადგილზე არსებული ადამიანების რაოდენობის დათვლა, მონაწილეთა ქცევაზე დაკვირვება და პოტენციური პრობლემების აღმოჩენა შეუძლიათ;
- შეკრების მონაწილეებთან კომუნიკაციის დამყარების მხრივ ეს დანაყოფები სასარგებლო ინსტრუმენტს შეიძლება წარმოადგენდეს, რადგან ამ პოლიციელებს ყველა ხედავს და მათ ხალხის მასასთან უკეთესი წვდომა გააჩნიათ;
- ცხენოსანი საპოლიციო დანაყოფების შეკრებაზე ნებისმიერი კოორდინირებული განლაგება საოპერაციო მეთაურის მიერ უნდა იყოს ნებადართული, რადგან ზოგ შემთხვევაში ცხენებს ფეხით მოსიარულეთა შემთხვევით დაზიანება შეუძლიათ;
- პოლიციამ ცხენები იარაღად ან ძალის გამოყენების ინსტრუმენტად არასოდეს არ უნდა აღიქვას;
- ცხენოსანი პოლიციელების ადგილზე გამოყენებამდე შეკრების მონაწილეებს ამის შესახებ გაფრთხილება უნდა მიეცეთ;
- ცხენებს განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ და ამ მხრივ რჩევები საცხენოსნო დანაყოფის უფროსისგან უნდა იქნას მიღებული;
- ცხენებს ახლოომდებარე თავლები და ვეტერინარული მომსახურება დასჭირდებათ, გარდა ამისა მათ არ შეუძლიათ ადგილზე იმდენივე ხანი მუშაობა რამდენიც ადამიანებს;
- დამცავი საშუალებებით სრულად აღჭურვილი ცხენოსანი პოლიციელები იმდენივე ხანში განიცდიან დეჰიდრაციას რამდენშიც ქვეითი პოლიციელები;
- ცხენოსან პოლიციელებს მტკიცებულებების შეგროვება შეუძლიათ, რადგან თავიანთი პოზიციიდან მათ ტერიტორიის კარგად დათვალიერების საშუალება აქვთ. ამ შემთხვევაში ისინი ჩაფხუტზე დამაგრებული კამერებით უნდა იყვნენ აღჭურვილი;

სამომსახურეო ძაღლები

ბევრ ქვეყანაში საპოლიციო ორგანოები ძაღლებს სხვადასხვა სახის საპოლიციო საქმიანობისთვის იყენებენ; ძაღლების ცალ-ცალკე და ასევე ჯგუფურად გამოყენება შეიძლება. თუმცა, რადგან ძაღლების ადგილზე ყოფნა შემაშინებელი ან პროვოკაციული შეიძლება იყოს, მათი გამოყენება არა რუტინულად არამედ კონკრეტულ სიტუაციებში უნდა ხდებოდეს. ძაღლების გამოყენება ფართომასშტაბიანი შეკრებების დროს არ არის რეკომენდებული.

სამომსახურეო ძაღლების გამოყენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ხალხის მასის გასაკონტროლებლად, შესაკავებლად ან დასაშლელად ძაღლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს;
- ძაღლები და მათი მომვლელები უმაღლესი სტანდარტებით უნდა იყვნენ გაწრთვნილი;
- ძაღლების მომვლელები ქვეითი პოლიციელების მუდმივი მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ;
- ძაღლების და მათი მომვლელების ადგილზე განლაგებამდე შეკრების მონაწილეების გაფრთხილება უნდა მოხდეს;
- ძაღლებს სამართალდამრღვევებისა და არასამართალდამრღვევების ერთმანეთისგან გარჩევა არ შეუძლიათ;
- ძაღლების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პროვოკაციულად, მუქარისშემცველად ან შეურაცხმყოფელად და მათი ადგილზე განლაგებას სიტუაციის პროვოცირება შეიძლება მოჰყვეს;
- ძაღლებს შესაბამისი ტრანსპორტი და ვეტერინარული მომსახურება სჭირდებათ, ამიტომ მათ გამოყენებამდე შესაბამისი კონსულტაციები უნდა იქნას გავლილი;

ძაღლების გამოყენებას არაპროპორციული რეაქციების გამოწვევა შეუძლია ზოგიერთ რელიგიურ ჯგუფებში, რომლებსაც ძაღლების გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული ისტორიული აღქმები გააჩნიათ.

რესურსები და აღჭურვილობა

ბარიერები

მშვიდობიანი შეკრების მართვის დროს სხვადასხვა სახის ბარიერების გამოყენება შეიძლება, ამ დროს „თვალთახედვის არეალის“ პრინციპი უნდა იქნას გათვალისწინებული. არსებობს მზა, სპეციალური ან ადაპტირებული ბარიერები, რომლებიც ძალადობრივი დემონსტრაციების გადაადგილების ან ზოგ შემთხვევაში ერთმანეთთან დაპირისპირებული ჯგუფებისთვის ერთმანეთის თვალთახედვის შეზღუდვისთვის გამოიყენება:

- მზა ბარიერებში შედის კედლები, შენობები, ბუჩქნარი, ფოთლებიანი ხეები ან კონკრეტული თემების ერთმანეთისგან განმცალკევებელი სპეციალური კედლები. ზოგიერთი შენობები (მაგალითად საელჩოები) სპეციალურ ბარიერებით არის აღჭურვილი.
- სპეციალურ ბარიერებში შედის ხალხის მასის გაკონტროლებისთვის განკუთვნილი ბარიერები (რომლებსაც ზოგჯერ „ფრანგულ ბარიერებს“

უწოდებენ), ე.წ. „მოჯიო" ბარიერები (რომლებიც კონცერტების და სასცენო წარმოდგენების დროს გამოიყენება), „ჩიკანის" ბარიერები (რომლებიც ხალხის მასის მოძრაობის შესანელებლად გამოიყენება), „ჰერას" ტიპის ღობეები (სხვადასხვანაირი სახის) და ლენტები;
- ადაპტირებულ ბარიერებში შედის მანქანები, პოლიციელები, საველოსიპედე დანაყოფები, ცხენოსანი დანაყოფები და ლითონის კონტეინერები.

ბარიერების გამოყენებისას გასათვალისწინებელი ძირითადი გარემოებებია:
- ბარიერები ადგილზე შეკრების დაწყებამდე საკმაო ხნით ადრე უნდა იყოს განლაგებული;
- ფიზიკური ბარიერები შეკრებებს გარკვეულწილად ზღუდავს, ასე რომ შეკრების ორგანიზატორები ინფორმირებული უნდა იყვნენ პოლიციის მიერ შეკრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ბარიერების გამოყენების განზრახვის შესახებ, ეს ზემოთხსენებული „სიურპრიზების გარეშე" პრინციპის ნაწილია;
- ბარიერები გადაადგილებას არა მხოლოდ დემონსტრანტებს, არამედ პოლიციასაც შეუშლის;
- პოლიციამ შესაბამისი გასასვლელების და შესასვლელების არსებობა უნდა უზრუნველყოს;
- ადამიანებისგან შემდგარი ბარიერები დიალოგის საშუალებას აჩენს, თუმცა მათ ასევე რეაქციის და აგრესიის გამოწვევაც შეუძლიათ;
- ფიზიკურ ბარიერებს შესაძლოა დიალოგის შეზღუდვას ნიშნავდეს, თუმცა მათ შეკრებების დროს პოლიციის ან მონაწილეების მხრიდან ზედმეტი რეაქციის პრევენცია შეუძლიათ, რადგან ამ დროს მხარეებს შორის ფიზიკური კონტაქტი შეზღუდულია;
- გამოყენებული ბარიერის სახეობა რისკების შესაბამისი უნდა იყოს. მაგალითად, ხალხის მასის მაკონტროლებელი ბარიერები შეკრების აგრესიული მონაწილეების ხელში მარტივად შეიძლება იქცეს იარაღად;
- ფიზიკური ბარიერების მარტივად გადაადგილება შეუძლებელია, რაც პოლიციელების ადგილზე სწრაფად განლაგებას შეუშლის ხელს;

ბარიერების უმრავლესობა ადამიანების გადაადგილებას ზღუდავს და ფეთქებადსაშიშ სიტუაციებში შესაძლოა ადამიანები ამ ბარიერების გარშემო გაიჭედონ ან ჭყლეტვაშიც კი მოჰყვნენ.

კვამლის საფარი

კვამლის გამოყენებას ვიზუალური ბარიერის შექმნა შეუძლია, რის შედეგადაც პოლიციის გადაჯგუფება ან დემონსტრანტების

თვალთახედვის არეალიდან მოწყვლადი ადამიანების მოშორებაა შესაძლებელი.

კვამლის საფარის გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- კვამლის საფარი მხოლოდ პოლიციის ძალებზე ძალადობრივი თავდასხმების დროს უნდა იქნას გამოყენებული (საუბარია პოლიციაზე ცეცხლსასროლი იარაღით, ალებადი ან ასაფეთქებელი მოწყობილობებით განხორციელებულ თავდასხმაზე);
- კვამლის საფარი მხოლოდ საოპერაციო სარდლობის ნებართვით უნდა იქნას გამოყენებული;
- ქარის გავლენით კვამლის მიმართულების ცვლილებაა შესაძლებელი, ძლიერი ქარის დროს კვამლი შესაძლოა არაეფექტური იყოს;
- კვამლმა შეიძლება შეკრების მონაწილეებს პოლიციის დანახვა გაურთულოს, თუმცა შეიძლება პირიქითაც მოხდეს (პოლიციას გაურთულოს მონაწილეების დანახვა);
- შეკრების მონაწილეებს კვამლის საფარი შესაძლოა ცრემლსადენი გაზი ეგონოთ, რამაც ხალხის მასის აგრესიული ქმედებები ან პანიკა გამოიწვიოს;
- პანიკური ქცევის შემთხვევაში შეკრების მონაწილეებისთვის ტერიტორიის დატოვების გზები უნდა იქნას გათვალისწინებული;
- შესაძლოა გაჟღერდეს ბრალდებები იმის შესახებ, რომ კვამლის საფარის გამოყენება პოლიციის საეჭვო ქმედებების დასაფარად მოხდა;
- კვამლის საფარის გამოყენებამდე შესაბამისი გაფრთხილება უნდა მოხდეს (საგანგებო სიტუაციების გარდა);
- საკვამლე კოჭები ადამიანების მიმართულებით არასოდეს არ უნდა იქნას გასროლილი;
- კვამლს უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს პოლიციის ქმედებებზე.

პოლიციის მანქანების გამოყენება

პოლიციის მანქანების ტაქტიკურ საშუალებად გამოყენება საგულდაგულოდ უნდა აიწონ-დაიწონოს.

პოლიციის მანქანების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:

- მანქანები მობილური ბარიერების სახით შეიძლება იქნას გამოყენებული;
- მანქანები ერთგვარ მაუწყებლობის სისტემად შეიძლება იქნას გამოყენებული, რათა შეკრების მონაწილეებთან კომუნიკაცია შედგეს;
- მანქანების მეშვეობით განათების უზრუნველოფაა შესაძლებელი;

- მანქანების მეშვეობით დიდი რაოდენობით პოლიციელთა გადაყვანა და ასევე დაკავებულთა ან აღჭურვილობის ტრანსპორტირებაა შესაძლებელი;
- მანქანების მეშვეობით ნასროლი საგნებისგან თავის დაცვაა შესაძლებელი;
- მანქანები ძალის დემონსტრირებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული, რათა უკანონო ქმედებება აღიკვეთოს;
- მძღოლებს შესაბამისი წრთვნები უნდა ჰქონდეთ გავლილი და მათ შესაბამისი ლიცენზიები უნდა გააჩნდეთ;
- საყვირების ან განათების გამოყენებამ შესაძლოა გარკვეული ზეგავლენა იქონიოს შეკრების მონაწილეებზე.

ხელოვნური განათება

ხელოვნური განათების მეშვეობით ტერიტორიის განათება შეიძლება, რითაც ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების კუთხით არსებული რისკების შემცირებაა შესაძლებელი; გარდა ამისა, ხელოვნური განათების გამოყენებით გარკვეული პირების საკუთარი ანონიმურობის შეგრძნება არ იქნება.. განათება ოპერატიული მონაცემებისა და მტკიცებულებების შეგროვების პროცესს უწყობს ხელს. თუ შეკრების ჩატარება დღის საათებში არ იგეგმება, ამ შემთხვევაში ხელოვნური განათების გამოყენების შესაძლებლობა უნდა იქნას განხილული.

ხელოვნური განათების გამოყენება შეიძლება განიხილოს როგორც:
- მიღებული საჰაერო ხომალდიდან (ე.წ. „ღამის მზე“);
- დამონტაჟებული ავტომობილზე;
- დამონტჟებული მიწაზე;
- ხელით განათებული;
- ზოგიერთ განათებას გარვეული გარე კვების წყაროები შეიძლება დასჭირდეს.

საჰაერო მხარდაჭერა

ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, საჰაერო მხარდაჭერა ნებისმიერი სამეთაურო გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს, რადგან ამ საშუალებებით შესაძლებელია მთლიანი ტერიტორიის დანახვა და ასევე მტკიცებულებებისა და ინფორმაციის შეგროვების ეფექტურობის ზრდა. არსებობს საჰაერო მხარდაჭერის სხვადასხვა სახეობა, რომელთა გამოყენებაც არის შესაძლებელი, მათ შორისაა:
- ვერტმფრენები;
- თვითმფრინავები;

- საჰაერო ხომალდები;
- საჰაერო ბუშტები;
- დისტანციურად კონტროლირებადი დრონები.

საჰაერო მხარდაჭერის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:
- ხარჯი;
- ხელმისაწვდომობა;
- საწვავით გაწყობის და ფრენის დრო;
- საჰაერო მხარდაჭერამ შეიძლება ხელი შეუწყოს რესურსების ეფექტურად გამოყენება;
- საჰაერო თვალთვალი პროვოკაციულად შეიძლება იქნას აღქმული და მან ადგილზე დაძაბულობის ესკალაცია შეიძლება გამოიწვიოს;
- მფრინავების წინააღმდეგ შესაძლოა ლაზერები იქნას გამოყენებული;
- საფრენი საშუალებით გამოწვეულმა ხმაურმა შესაძლებელია კომუნიკაციას ხელი შეუშალოს;
- საფრენი აპარატის დასაჯდომად და ასაფრენად შესაბამისი ინფრასტრუქტურაა საჭირო.

იარაღი

პოლიციის მიერ ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებამდე, ყოველთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის, რომ კონკრეტულ მომენტში ძალის გამოყენება აუცილებელი იყოს და რომ გამოყენებული ძალა ყოველთვის პროპორციული იყოს, ანუ გამოყენებული ძალის ფორმა და დონე სასურველი მიზნის მიღწევისთვის საჭირო მინიმალურ აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს და მისმა უარყოფითმა შედეგებმა კანონიერი ამოცანები არ უნდა გადასწონოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალის გამოყენება არ უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ძალის საჭირო რაოდენობა მეტისმეტად დააზიანებს იმ ადამიანებს, რომელთა წინააღმდეგაც ამ ძალის გამოყენება ხდება; ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მაყურებლებს და მშვიდობიან მონაწილეებს ზიანი არ მიადგეთ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ძალის გამოყენება პოტენციურად სასიკვდილო შედეგების მომტანია და რომ იარაღის ნებისმიერი სახით გამოყენება განსაკუთრებით დამაზიანებელი გარკვეული სახის მოწყვლადი ჯგუფებისთვის შეიძლება იყოს, მათ შორის ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის, ხანშიშესულებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

იარაღის ნებისმიერი სახით გამოყენება, ნებართვის გამცემი პირები და გაცემული გაფრთხილებები ყოველთვის სრულად უნდა იქნას დოკუმენტირებული, რათა აღნიშნული მოვლენების დასრულების შემდეგ ამ ქმედებების მოკვლევა იყოს შესაძლებელი.

ფარებით აღჭურვილი პოლიციელები

ჩაფხუტებით, ფარებით და სხვა დამცავი საშუალებებით აღჭურვილი პოლიციელები ერთგვარ ბარიერს ქმნიან; მათი სახით ძალის დემონსტრირება ხდება, რამაც გარკვეულ პირებს ან ჯგუფებს ძალადობრივი ქმედებების ჩადენა შეიძლება გადააფიქრებინოს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ამგვარი ბარიერის შექმნას საპირისპირო შედეგი შეიძლება მოჰყვეს – ადგილზე ფარებით აღჭურვილი პოლიციელების განლაგებამ ძალადობრივი რეაქციებისა და არეულობის პროვოცირება შეიძლება მოახდინოს. ფარების გამოყენება ძირითადად თავდაცვის მიზნით ხდება, მათი მეშვეობით პოლიციელები ნასროლი საგნებისგან იცავენ თავს. პოლიციის შეტევის დროს ფარები ხელკეტებთან ერთად შეიძლება იქნას გამოყენებული (იხილეთ ქვემოთ), გარდა ამისა, ფარების მეშვეობით პოლიციელებს შეუძლიათ მიაწვნენ მომიტინგეებს. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ შეტევის დროს პოლიციელებმა ფარების კიდეები არ გამოიყენონ, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია ადამიანის სეიოზულად დაშავება, განსაკუთრებით თუ მას ფარის კუთხე თავში ან კისერში მოხვდება – ასეთ ქმედებებმა სიკვდილიც შეიძლება გამოიწვიოს.

ფარებით აღჭურვილი პოლიციელების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ყველა პოლიციელი შესაბამისად უნდა იყოს აღჭურვილი;
- ამ ტაქტიკისთვის საჭიროა შესაბამისად გაწრთვნილი და შესაბამის ფიზიკურ ფორმაში მყოფი პოლიციელების შერჩევა;
- ადგილზე მკაცრი სამეთაურო და კონტროლის სისტემა უნდა მოქმედებდეს, ადგილზე მყოფი ზედამხედველი ოფიცრები მზად უნდა იყვნენ იმ პოლიციელების შეკავებისთვის, რომლებიც ზედმეტი რეაგირება შეიძლება მოახდინონ;
- ამ ტაქტიკის გამოყენებისას პოლიციას შეკრების მონაწილეებთან მოლაპარაკებების და კომუნიკაციის საშუალება ეზღუდება;
- მას შემდეგ რაც ფარებით აღჭურვილი პოლიციელების საჭიროება აღარ იარსებებს მათი ადგილიდან გაყვანა უნდა მოხდეს;
- შეკრების მონაწილეების მხრიდან შეტევის განხორციელების შემთხვევაში, თავდამსხმელებმა ფარები შესაძლოა მანქანის საჭის მსგავსად დაატრიალონ, რასაც პოლიციელთა სერიოზული დაშავება შეიძლება მოჰყვეს.

ხელკეტები

პოლიციის მიერ ხელკეტების კოორდინირებულად და დისციპლინირებულად გამოყენების შედეგად შესაძლებელია შეკრების ძალადობრივი მონაწილეების გადაადგილება ან დაშლა ან პოლიციელების თავდასხმისგან დაცვა. ხელკეტით განხორციელებული ნებისმიერი დარტყმა პროპორციულობის მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ხელკეტები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული როდესაც ნაკლებად დამაზიანებელი ძალის ფორმები უშედეგოდ იქნა გამოყენებული ან როდესაც ამგვარი ფორმების გამოყენება არაპრაქტიკულია.

ხელკეტების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებებია:

- ხელკეტები ძალის სადემონსტრაციოდ შეიძლება იქნას გამოყენებული; გარდა ამისა, ხელკეტები ვიზუალური გაფრთხილების ფორმას წარმოადგენს, რომლის გამოც ადამიანებმა შეიძლება გადაიფიქრონ ძალადობრივი ქმედებების ჩადენა ან მათ ადგილის დატოვება გადაწყვიტონ;
- ხელკეტების პროვოკაციულად გამოყენება არ უნდა მოხდეს; ანუ ხალხის მასის „წაქეზების“ მიზნით არ უნდა მოხდეს ხელკეტების ფარებზე რტყმა;
- ხელკეტების გამოყენება აგრესიულ და მუქარისშემცველ ქცევად იქნება აღქმული და ამას დაძაბულობის ზრდა და ძალადობის ესკალაცია შეიძლება მოჰყვეს;
- ხელკეტების გამოყენების შესახებ გაფრთხილება უნდა გაიცეს, თუმცა თუ გარემოებები ამის საშუალებას არ იძლევა ან საფრთხის გასანეიტრალებლად ხელკეტების სასწრაფოდ გამოყენებაა აუცილებელი, მაშინ ეს ვალდებულება უქმდება;
- იმ შემთხვევების გარდა როდესაც სიცოცხლის ან სერიოზული დაშავების რისკი არსებობს, ხელკეტების თავზე ან მხრებზე და ასევე გენიტალიებზე, ზურგზე და სხეულის სხვა მოწყვლად ნაწილებზე დარტყმა თავიდან უნდა იქნას აცილებული, რადგან ეს შესაძლოა სასიკვდილო ძალის გამოყენებად იქნას ჩათვლილი ან ამგვარ ქმედებებს სერიოზული დაშავება შეიძლება მოჰყვეს;
- მას შემდეგ რაც ხელკეტების გამოყენების კანონიერი საფუძველი აღარ იარსებებს, ძალის გამოყენება უნდა შეწყდეს;
- ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მეთაურს, რომელიც ხელკეტების მომზადების ან გამოყენების ბრძანებას იძლევა და ასევე იმ პოლიციელს, რომელიც უშუალოდ იყენებს ხელკეტს;
- ხელკეტების ამგვარად გამოყენება უმაღლესი სტანდარტის მომზადებას, ძალიან ეფექტურ მეთაურობას და კონტროლს და ასევე პერსონალურ დისციპლინას მოითხოვს.

წყლის ქვემეხი

პოლიცია სხვადასხვა ტიპის წყლის ქვემეხს იყენებს და მათ მრავალი სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ. ზოგიერთ დანადგარს მტკიცებულებების შემგროვებელი კამერები აქვთ დამონტაჟებული (იხილეთ „მტკიცებულებების შემგროვებელი ჯგუფები“), ზოგ მათგანს ერთდროულად წყლის და ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შესაძლებლობა გააჩნიათ (იხილეთ „ქიმიური ნივთიერებები“). შეკრებების დროს წესრიგის დაცვის ფარგლებში მხოლოდ საპოლიციო დანიშნულების (და არა სახანძრო) წყლის ქვემეხები უნდა იქნას გამოყენებული. წყლის ქვემეხების ნებისმიერი გამოყენება პროპორციულობის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

წყლის ქვემეხის ძირითად დანიშნულებას შეკრების მონაწილეების წინააღმდეგ საკმაოდ დიდი ძალით მნიშვნელოვანი ოდენობის წყლის მიმართვა წარმოადგენს. მშვიდობიანი შეკრებების დასაშლელად წყლის ქვემეხების გამოყენება დაუშვებელია.

წყლის ქვემეხების გამოყენებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელი გარემოებებია:

- წყლის ქვემეხის ადგილზე გამოყენება იერარქიულად უფროსი საოპერაციო მეთაურის მიერ უნდა იქნას ნებადართული;
- წყლის ქვემეხს დაცული წყაროდან წყლის ხელმისაწვდომი მარაგი სჭირდება, ამ დროს წყლის წნევა საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ქვემეხის დროულად შევსება მოხდეს;
- წყლის ქვემეხი ძალის გამოყენების შედარებით უფრო მიზანმიმართულ ფორმას წარმოადგენს ვიდრე ცრემლსადენი გაზი, თუმცა სხვადასხვა სახის ამუნიციებთან შედარებით (მაგალითად პლასტმასის ტყვიები, რეზინის ტყვიები, პლასტმასის ტყვიები შლადი თავაკებით, ქაფის ტყვიები, რეზინის ბურთულები ან საფანტის ჩანთები) ეს უფრო განურჩეველი სახის ძალისმიერი მეთოდია;
- შეკრების მონაწილეებმა წყლის ქვემეხის ადგილზე ყოფნა დაშინების მეთოდად ან პროვოკაციად შეიძლება ჩათვალონ;
- მის გამოყენებამდე შეკრების მონაწილეების გაფრთხილება უნდა მოხდეს;
- წყლის ქვემეხის გამოყენებას რისკების შექმნა შეუძლია (მაგალითად სველი ზედაპირების წარმოქმნა); გარდა ამისა, მაღალი წნევით გაშვებულ წყალს ადამიანების წაქცევა და დაზიანება შეუძლია;
- წყლის ქვემეხები უფრო მიტინგების დროს გამოიყენება ვიდრე მობილური ან მოძრავი აქციების დროს (მარშები, დემონსტრაციები და ა.შ.);
- ადამიანებს ტერიტორიის დასატოვებლად შესაბამისი გასასვლელები უნდა ჰქონდეთ, რათა ადგილის სწრაფად დატოვება შეძლონ;

- წყლის ქვემეხები არასოდეს არ უნდა იქნას გამოყენებული იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთა შენობებიდან გადმოვარდნის საშიშროება არსებობს;
- სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის ვინც ამას საჭიროებს;
- წყლის ქვემეხებს მხოლოდ შესაბამისად გაწრთვნილი პერსონალი უნდა მართავდეს;
- მეთაურებს უნდა ახსოვდეთ, რომ საჭიროა პოლიციელების გამოყოფა წყლის ქვემეხის დასაცავად;
- წყლის ქვემეხები არასოდეს არ უნდა იქნას გამოყენებული ყინვის დროს.

ქიმიური ნივთიერებები

ცრემლსადენი აირის გამოყენება ხალხის მასის კონტროლის მიმართულებით ალბათ ყველაზე ცნობილ ტაქტიკას წარმოადგენს (ზოგ ქვეყანაში შედარებით ნაკლები სიძლიერის, მაგრამ უფრო ტოქსიკურ ქლოროოაცეტოფენონს ანუ CN-ს იყენებენ). ქლოროობენზალმალონიტრილის კრისტალები აირის ღრუბელშია გაფანტული და როდესაც ხდება ამ კრისტალების შესუნთქვა ან როდესაც ისინი თვალების ან პირის გარშემო სველ კანთან შედიან კონტაქტში, ისინი წვის შეგრძნებას და ასევე ცემინებასა და ხველას იწვევენ. შემთხვევების უმრავლესობაში ეს სიმპტომები 10-20 წუთში ქრება. თუმცა, გაზის მოქმედების არეალში დიდი ხნით ყოფნას ან მის კონცენტრირებულ ზემოქმედებას კანზე მტკივნეული ბუშტუკების წარმოქმნა შეუძლია.

ცრემლსადენი გაზი ჩვეულებრივ გვხვდება ყუმბარაში, რომლებიც სპეციალურად ადაპტირებული იარაღით არის გათავისუფლებული, თუმცა შესაძლებელია აღნიშნული ყუმბარების ხელის მეშვეობით ტყორცნაც. ორივე შემთხვევაში შეკრების მონაწილეებს ამ ყუმბარების მიწიდან აღებისა და უკან პოლიციელების მიმართულებით სროლის შესაძლებლობა აქვთ. ცრემლსადენი გაზის გავრცელების კიდევ ერთი მეთოდია მცირე ზომის ბურთულების გასროლა, რომლებიც მიწაზე დაცემისთანავე ორთქლდებიან. არცერთ შემთხვევაში აღნიშნული საგნები აქციის მონაწილეებზე დამიზნებით არ უნდა იყოს ნასროლი.

ზოგ შემთხვევაში ცრემლსადენი გაზის წყალში შერევა და შეკრების მონაწილეების მიმართულებით წყლის ქვემეხის მეშვეობით გაფრქვევა ხდება. ეს ძალის გამოყენების უფრო ფოკუსირებული მეთოდია, რადგან ამ დროს წყლის ჭავლი კონკრეტულ ადამიანზე შეიძლება იქნას

მიმართული. ამ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა რომ ზემოქმედების ქვეშ ზოგადად მოსახლეობა მოხვდება, რადგან კრისტალები ჰაერში არ გადაადგილდება. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენების შედეგად ცრემლსადენი გაზის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანები უფრო დიდხანს განიცდიან ცრემლსადენი გაზით გამოწვეულ სიმპტომებს, რადგან კრისტალები მათ ტანსაცმელში ხვდება.

საოპერაციო მიზანს მხოლოდ შეკრების დაშლა უნდა წარმოადგენდეს; ცრემლსადენი გაზი არასდროს არ უნდა იქნას გამოყენებული ისეთ ადგილებზე საიდანაც ადამიანებს გაქცევის საშუალება არ აქვთ (მაგალითად დახურული სივრცეები). შეკრების დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს როგორც აუცილებელი ისე პროპორციული. ცრემლსადენი გაზის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება თუ შეკრების მონაწილეების გაფრთხილება მოხდა და მათ ეს მოთხოვნა დააიგნორეს. გარდა ამისა, თავდაპირველად აქციის დაშლის შედარებით ნაკლებად დამაზიანებელი მეთოდები უნდა იქნას გამოყენებული. ცრემლსადენი გაზის ნებისმიერი სახით გამოყენებამდე გაფრთხილება უნდა გაიცეს. როგორც შეკრების მშვიდობიანი მონაწილეების ისე სხვა (აქციაში არ ჩართული) მოქალაქეების წინაშე არსებული რისკები გულდასმით უნდა იქნას შეფასებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ რისკებმა არ გადასწონოს ის ზიანი, რომლის ასარიდებლადაც იქნა შეკრების დაშლის გადაწყვეტილება მიღებული.

OC გაზი – ანუ წიწაკის აეროზოლი – გამაღიზიანებელი მოქმედების კიდევ ერთი ქიმიური ნივთიერებაა, რომელსაც განსხვავებული დანიშნულებით იყენებენ; აღნიშნული ნივთიერება კონკრეტული ადამიანის სახეზე მისაფრქვევად გამოიყენება. წიწაკის აეროზოლი შეკრების დასაშლელად არ გამოიყენება; გარდა ამისა, ამ საშუალებით შეკრების მონაწილეების იძულება დაემორჩილონ პოლიციის მოთხოვნებს არამიზანშეწონილია; ის მხოლოდ აგრესიული პირებისგან დასაცავად გამოიყენება. ჩვეულებრივ წიწაკის აეროზოლი პისტოლეტისებრი სახელურით აღჭურვილ, ხელში დასაჭერი კონტეინერების სახით რიგდება (ეს კონტეინერი პატარა ცეცხლმაქრობს წააგავს). აეროზოლის წნევის გამო, მისი გამოყენება ერთი მეტრზე ნაკლებ დისტანციაზე დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში OC გაზს სახის ან თვალების დაზიანება შეუძლია.

მართალია სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები ფართოდ იყენებენ ქიმიურ ნივთიერებებს, არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლებშიც მათი გამოყენება დაუშვებელია; მაგალითად, მათი გამოყენება არ უნდა მოხდეს მშვიდობიანი შეკრების დასაშლელად,

რომელშიც ხანშიშესული ადამიანები, ბავშვები ან სხვა პირები იღებენ მონაწილეობას, რომლებსაც შესაძლოა გაუჭირდეთ ამ ნივთიერებებისგან თავის არიდება; აღნიშნული ნივთიერებები არ უნდა იქნას გამოყენებული დახურულ სივრცეებში ან სტადიონებზე სადაც გასასვლელების ნაკლებობაა და შესაბამისად ჭყლეტვის საშიშროება არსებობს. მხოლოდ შესაბამისად შემოწმებული და დამტკიცებული ქიმიური ნივთიერებების გამოყენება უნდა ხდებოდეს; პოლიციელებს მათ გამოყენებასთან დაკავშირებით მკაფიო ინსტრუქციები უნდა მიეცეთ, ასევე მიღებული უნდა იყოს აუცილებელი ზომები ზედმეტი დაზიანების ან დაშავების თავიდან ასაცილებლად.

ქიმიური ნივთიერებების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:

- ქიმიური ნივთიერებების ნებისმიერი სახით გამოყენება მინიმუმ საოპერაციო დონეზე უნდა იყოს დამტკიცებული;
- ქიმიური ნივთიერებების შემცველი სასროლი საგნების ან კონტეინერების ადამიანების მიმართულებით დამიზნებით გასროლა დაუშვებელია;
- პოლიციას ეფექტური დამცავი აღჭურვილობა უნდა გააჩნდეს, რადგან ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას პოლიციელების დაზიანება ან მათ ქმედებებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია;
- ის პოლიციელები, რომლებსაც შესაბამისი იარაღი ურიგდებათ, მათ სწორ გამოყენებაში უნდა იყვნენ გაწრთვნილები;
- აღნიშნული აღჭურვილობის ადგილზე გამოყენებას საოპერაციო მეთაური უნდა აკონტროლებდეს;
- სასურველი მიზნის მიღწევის შემდეგ საოპერაციო და ტაქტიკურმა მეთაურებმა ქიმიური ნივთიერებების გამოყენება უნდა შეწყვიტონ და მათი ადგილიდან გატანა უნდა უზრუნველყონ;
- ამინდის პირობებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ქიმიური ნივთიერებების გამოყენებაზე;
- ეს ძირითადად შეკრების დაშლაზე მიმართული ტაქტიკური საშუალებებია და მათი გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოხდეს რაც სხვა მეთოდებმა არ გაამართლეს ან თუ მათი გამოყენება სავარაუდოდ უშედეგო იქნებოდა; გარდა ამისა, ქიმიური ნივთიერებების გამოყენება მხოლოდ ფართომასშტაბიანი არეულობის დროს არის შესაძლებელი;
- ქიმიური ნივთიერებების გამოყენებამდე შესაბამისი გაფრთხილება უნდა გაიცეს;
- ეს საშუალებები არ უნდა იქნას გამოყენებული ისეთ ადგილებზე საიდანაც ხალხის მასიურად გასვლა რთულია (მაგალითად საფეხბურთო სტადიონებზე ან ჩიხებში);

- პანიკის შემთხვევაში გასასვლელი ადგილები უნდა იყოს დატოვებული;
- საევაკუაციო მარშრუტი შესაფერისი უნდა იყოს, ამ დროს ქარის და ქიმიური ნივთიერების გაშვების ადგილი უნდა იყოს გათვალისწინებული;
- საევაკუაციო მარშრუტი მკაფიო და თვალსაჩინო უნდა იყოს შეკრების მონაწილეებისთვის, რათა მათი დაშავების პრევენცია ან შემცირება იყოს უზრუნველყოფილი;
- საევაკუაციო მარშრუტი პირდაპირ პოლიციელების განლაგების ადგილისკენ არ უნდა მიდიოდეს (თუ გვერდითი გასასვლელი გზები არ არსებობს);
- ჰაერში გაფანტული ქიმიური ნივთიერებების გამოყენების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილზე მცხოვრები მოსახლეობა, მაგალითად გაზის გამოყენება საავადმყოფოსთან ახლოს ან მის გარშემო არ უნდა ხდეობდეს;
- სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის ვინც ამას საჭიროებს;
- ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შესახებ დეტალური ანგარიშების მომზადება სავალდებულო უნდა იყოს (რატომ, როგორ, წარმატების დონე, დანაკარგები და ა.შ.).

ამუნიცია

მსოფლიოში მრავალი სხვადასხვა ნაკლებად ლეტალური ამუნიციის გამოყენება ხდება. ამ საშუალებებში შედის ხის ბურთულები, რეზინის ტყვიები, პლასტმასის ტყვიები შლადი თავაკებით, ქაფის ტყვიები, რეზინის ბურთულაკები და საფანტის ჩანთები. ამ საშუალებების სიჩქარე და კალიბრი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და წინამდებარე სახელმძღვანელოში სხვადასხვა სახეობის ამუნიციის გამოყენებასთან დაკავშირებით დეტალური ინსტრუქციები მოცემული არ არის. თუმცა, შეკრებების დროს აღნიშნული საშუალებების საპოლიციო ოპერაციებში გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული საკითხები უნდა იქნას გათვალისწინებული.

ამ სახის ამუნიცია ძალის გამოყენების მეთოდების იერარქიაში ერთ-ერთ უმაღლეს ადგილს იკავებს (ცეცხლსასროლი იარაღის შემდეგ მეორე ადგილი). ამის გათვალისწინებით, პოლიციას უნდა ესმოდეს, რომ ეს ამუნიცია ნაკლებად ლეტალურია, მაგრამ თუ მისი არასწორად გამოყენება მოხდა, ამას მაინც შეიძლება მოჰყვეს სიკვდილი ან სერიოზული დაშავება. ამიტომ, საჭიროა რისკების შემცირებაზე მიმართული ზომების დაცვა.

ამ საშუალებების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:

- აღნიშნული ამუნიციის მხოლოდ შემოწმებული და დამტკიცებული სახეობები უნდა იქნას გამოყენებული;
- გამოყენების დისტანციასთან და სამიზნეებთან დაკავშირებით მკაფიო ინსტრუქციები უნდა არსებობდეს;
- პოლიციელებს უნდა ახსოვდეთ ამ სახის ამუნიციასთან დაკავშირებული რისკები და ასრულებდნენ შესაბამის ინსტრუქციებს;
- ამ საშუალებების ადგილზე განლაგების ნებართვას საოპერაციო მეთაური ხოლო მისი გამოყენების ბრძანებას ტაქტიკური მეთაური უნდა გასცემდეს;
- ამ ამუნიციის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს თუ ადამიანის სერიოზულად დაშავების ან სიკვდილის უშუალო რისკი არსებობს;
- აღნიშნული ამუნიცია მხოლოდ შესაბამისად აღჭურვილმა და გაწრთვნილმა პერსონალმა უნდა გამოიყენოს;
- გასროლა მხოლოდ იმ ადამიანების მიმართულებით უნდა მოხდეს, რომლებიც სიცოცხლისთვის ან ჯანრმთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ;
- ამგვარი ამუნიციის ხალხის მასის მიმართულებით, განურჩევლად გასროლა არ უნდა მოხდეს;
- ამგვარი ამუნიციის გასროლა მხოლოდ ტორსის ქვედა ნაწილისკენ ან ფეხებისკენ უნდა იყოს მიმართული (გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სიცოცხლის ან ჯანრმთელობის გადარჩენაა აუცილებელი);
- ამუნიცია გამიზნულად არ უნდა იქნას ნასროლი მიწაზე, რადგან ამ შემთხვევაში ასხლეტვის საშიშროება არსებობს;
- ამ საშუალებების ადგილზე გამოყენებას საოპერაციო მეთაური უნდა აკონტროლებდეს;
- სასურველი მიზნის მიღწევის შემდეგ, ამ ამუნიციის ადგილზე განლაგების და გამოყენების საკითხი საოპერაციო და ტაქტიკური მეთაურების მიერ უნდა იქნას განხილული;
- ადეკვატური გასასვლელი და საევაკუაციო გზები უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რათა ადამიანებს ტერიტორიის უსაფრთხოდ დატოვების საშუალება ჰქონდეთ;
- სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის ვინც ამას საჭიროებს;
- ამგვარი ამუნიცია მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნას გამოყენებული რაც სხვა მეთოდებმა არ გაამართლეს ან თუ მათი გამოყენება სავარაუდოდ უშედეგო იქნებოდა;
- სადაც ეს შესაძლებელია, ამ საშუალებების გამოყენებამდე შესაბამისი გაფრთხილება უნდა გაიცეს.

ცეცხლსასროლი იარაღი

„გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“-ის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ იმ პირების წინააღმდეგ უნდა იქნას გამოყენებული, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს უშუალო და პირდაპირ საფრთხეს უქმნიან. ცეცხლსასროლი იარაღი ძალის გამოყენების მეთოდების იერარქიის სათავეში დგას და იგი ლეტალურ საშუალებას წარმოადგენს. ცეცხლსასროლი იარაღი საჯარო შეკრებების მართვის საოპერაციო ინსტრუმენტად არასოდეს არ უნდა იქნას ჩათვლილი. დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის შეკრების დასაშლელად გამოყენება, მაშინაც კი როდესაც სახეზეა ძალადობრივი ქმედებები.

თუ სხვა ვარიანტის გამოყენებაა შესაძლებელი, რომლის მეშვეობით იმავე ან მსგავსი შედეგების მიღება შეიძლება, მაშინ ცეცხლსასროლის იარაღის მაგივრად აღნიშნული ვარიანტი უნდა იქნას გამოყენებული. ადამიანის სიცოცხლის მოსპობა საპოლიციო სამუშაოს პირველ პრინციპს (სიცოცხლის დაცვა) ეწინააღმდეგება და ის სიცოცხლის უფლების დარღვევას წარმოადგენს. ამიტომ ადამიანის სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაღები თუ ეს სხვა ადამიანის სიცოცხლის დასაცავად ან გადასარჩენად კეთდება.

თუ ადგილზე ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი სპეციალიზებული საპოლიციო დანაყოფების (და არა ჩვეულებრივად აღჭურვილი პოლიციელების) განლაგების საჭიროება არსებობს, რაც საჯარო ღონისძიების კონკრეტულ ასპექტებთან მიმართებით წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად არის საჭირო (მანამდე მიღებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე), მაშინ ეს პოლიციელები კარგად უნდა იყვნენ გაწრთვნილი და აღჭურვილი და მათ მთელი ღონისძიების მანძილზე მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფუნქცია უნდა ჰქონდეთ (ამ იარაღის გამოყენების აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში).

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები:

- საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პოლიციელები მხოლოდ პისტოლეტებით უნდა იყვნენ შეიარაღებული, რომლებიც შესაბამის ბუდეში უნდა იყვნენ მოთავსებული და დამაგრებული;
- ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება როდესაც რომელიმე ადამიანის ან თვითონ პოლიციელის სიცოცხლე უშუალო საფრთხის წინაშე დგება;

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პოლიციელებს მხარს უნდა უმაგრებდნენ ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული პოლიციელები, რომლებსაც უფრო ზუსტი (დასამიზნებელი მოწყობილობებით აღჭურვილი) ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ჰქონდეთ (სადაც ეს შესაძლებელია);
- ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი დანაყოფები მხოლოდ საოპერაციო სარდლობის ბრძანებით, კონკრეტული საფრთხეების საფუძველზე, უნდა იყვნენ გამოყენებული; ადგილზე მათ კონტროლს კი ტაქტიკური მეთაურები უნდა ახორციელებდნენ;
- ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა სარდლობას და ასევე ამ იარაღის გამომყენებელ პოლიციელებს ეკისრება;
- ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ მას შემდეგ უნდა იქნას გამოყენებული რაც სხვა მეთოდები უშედეგოდ იქნა გამოყენებული ან მათი გამოყენების შემთხვევაში სასურველი შედეგის მიღწევა ნაკლებად სავარაუდო იქნებოდა;
- დასაშვებია მხოლოდ მიზანმიმართული, ცალ-ცალკე და თანმიმდევრულად განხორციელებული გასროლები მანამ სანამ საფრთხე არ იქნება განეიტრალებული; ავტომატური იარაღის გამოყენება არასოდეს არ არის მისაღები;
- ხალხის მასის მიმართულებით განურჩეველი ცეცხლის გახსნა არასოდეს არის ლეგიტიმური ან მისაღები;
- სროლა მხოლოდ იმ პირების მიმართ უნდა იყოს მიმართული, რომლებიც რომელიმე ადამიანის, მათ შორის პოლიციელის, სიცოცხლეს უშუალო და რეალურ საფრთხეს უქმნიან;
- ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ პოლიციელებს უნდა ახსოვდეთ, რომ შემთხვევითი ტყვიით უდანაშაულო ახლოსმდგომი ადამიანების დაშავების ან მოკვლის შესაძლებლობა არსებობს;
- სასურველი მიზნის მიღწევის შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა შეწყდეს და მათი ადგილზე ყოფნის საკითხი საოპერაციო და ტაქტიკური მეთაურების მიერ უნდა იქნას განხილული. ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა შემთხვევების მსგავსად, კონკრეტულმა პოლიციელმა უნდა შეწყვიტოს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მას შემდეგ რაც მიზანი იქნება მიღწეული ან იარაღის გამოყენების საჭიროება აღარ იარსებებს;
- პანიკის შემთხვევაში გასასვლელი ადგილები უნდა იყოს დატოვებული;
- სამედიცინო დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის ვინც მას საჭიროებს;
- პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა უნდა განიხილოს და მის შესახებ ანგარიში უნდა მოამზადოს.

საკონტროლო სია

სამეთაურო გუნდის მოვალეობები ოპერაციების დაგეგმვის ეტაპზე

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>

- ✓ საოპერაციო მეთაურს სტრატეგიული გეგმა უნდა მიაწოდოს;
- ✓ საოპერაციო გეგმის მომზადებას უნდა უხელმძღვანელოს, მან უნდა უზრუნველყოს, რომ აღნიშნული გეგმა სტრატეგიულ განზრახვებს შეესაბამება;
- ✓ უნდა გააგრძელოს ორგანიზატორებთან დიალოგი;
- ✓ შეკრების დროს წესრიგის დასაცავად ადეკვატური რესურსები უნდა გამოყოს.

<u>საოპერაციო მეთაურმა:</u>

- ✓ ორგანიზატორებთან კონკრეტულ თემებზე დიალოგი უნდა აწარმოოს;
- ✓ უნდა ჩამოაყალიბოს სტრატეგიული განზრახვების შესაბამისი საოპერაციო გეგმა და ასევე უნდა მოახდინოს გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო პროცესების დემონსტრირება;
- ✓ ზუსტად უნდა დაადგინოს სხვადასხვა სიტუაციაში რომელი საოპერაციო ვარიანტი უნდა იქნას გამოყენებული და როგორ უნდა მოხდეს ამ ვარიანტების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების განეიტრალება;
- ✓ ყველა საჭირო ინფორმაცია სტრატეგიულ მეთაურს უნდა აცნობოს;
- ✓ უნდა მოახდინოს საპოლიციო სამუშაოს შესაბამისი ამოცანების იდენტიფიცირება;
- ✓ უნდა მოახდინოს იმ ტაქტიკის იდენტიფიცირება, რომელიც ამ ამოცანების მისაღწევადაა საჭირო (რისკების შეფასების გათვალისწინებით);
- ✓ უნდა შეარჩიოს საოპერაციო მეთაურები.

თავი 7. ტაქტიკის დაგეგმვის ეტაპი

საოპერაციო გეგმის შემუშავების შემდეგ, საოპერაციო მეთაურმა თითოეული კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად ან თითოეული გეოგრაფიული არეალისთვის შესაბამისი რაოდენობის პერსონალი უნდა გამოყოს. ამ პროცესში საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა, რათა შესაბამისი დავალებების განხორციელება შესაბამისად გაწრთვნილ და აღჭურვილ პოლიციელებს დაევალოთ.

ტაქტიკური მეთაურების შერჩევას და მათი კონკრეტული როლებისა და ფუნქციების დადგენას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ტაქტიკურ მეთაურებს საკმარისი მოსამზადებელი დრო უნდა მიეცეთ იმისთვის, რომ მათ თავიანთი მოვალეობების შესრულება შეძლონ და ასევე განახორციელონ ყველა აუცილებელი ინსპექცია და შემოწმება იმის უზრუნველსაყოფად, რომ რაიმე საბის გაუთვალისწინებელ პრობლემებს არ ჰქონდეთ ადგილი. ტაქტიკურმა მეთაურებმა მათ როლებზე მორგებული, სპეციალური ტაქტიკური გეგმები უნდა შეიმუშავონ.

შეკრებების დროს საკუთარი პროფესიული მოვალეობების შემსრულებელ ყველა პოლიციელს თავიანთი ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უფლება აქვთ. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს პოლიციელების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პოლიციელთა ეფექტური მომზადება და შესაბამისი რესურსებით აღჭურვა. ქვემოთ ჩემოთვლილია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც პოლიციის მეთაურებმა უნდა გაითვალისწინონ.

ცოდნა

ინსტრუქტაჟი: პოლიციელთა ინსტრუქტაჟი ნებისმიერი ოპერაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და მისი გამოყენება იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამსახურეობრივი მოვალეობების შემსრულებელმა თითოეულმა პოლიციელმა იცოდეს კონკრეტულ ღონისძიებასთან დაკავშირებული სტრატეგიული განზრახვები და ასევე ტაქტიკური პარამეტრები. ყველა პოლიციელს ბოლომდე უნდა ესმოდეს მათი კონკრეტული როლები და მათი კონკრეტული პასუხისმგებლობები. ინსტრუქტაჟი ასევე იმისთვის უნდა იქნას გამოყენებული, რომ პოლიციელებს შეახსენონ მათი ვალდებულებები ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში, ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და ზემდგომი

მეთაურისთვის ძალის გამოყენების ნებისმიერი შემთხვევის შესახებ ანგარიშის ჩაბარების აუცილებლობა.

საოპერაციო მეთაური პასუხისმგებელია ყველა ტაქტიკური მეთაურისთვის ინსტრუქტაჟის ჩატარების უზრუნველყოფაზე, ხოლო ტაქტიკურმა მეთაურებმა კი, თავის მხრივ, მათ დაქვემდებარებაში მყოფ ყველა პოლიციელს ადგილზე განლაგებამდე შესაბამისი ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარონ. საოპერაციო გეგმა ყველა პოლიციელს წინასწარ უნდა მიეწოდოს მათი კარგი ინფორმირებულობისა და მომზადების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთ ვარიანტს დაცული არხების მეშვეობით საოპერაციო გეგმის ყველა პოლიციელისთვის წინასწარ მიწოდება წარმოადგენს. ჩანაწერების წარმოება ყველა ინსტრუქტაჟის შინაარსის შესახებ უნდა ხდებოდეს. დიდი ოდენობით პოლიციელის ადგილზე განლაგების ან რთული ღონისძიებების დროს, საოპერაციო მეთაურს, ყველა ტაქტიკურ მეთაურთან ერთად, სამაგიდო სავარჯიშოს ჩატარება შეუძლია, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სცენარის ან გაუთვალისწინებელი სიტუაციების გათამაშებაა შესაძლებელი.

კარგი ინსტრუქტაჟის მახასიათებლებია:

- მასში მონაწილე პირთა რაოდენობის გათვალისწინებით მისი შესაბამის ადგილზე ჩატარება;
- მისი ისეთ დროს და ადგილას გამართვა, რომ მისი შეწყვეტა არ მოხდეს;
- პოლიციელებს ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი ოფიცრისთვის კითხვების დასმის საშუალება უნდა ჰქონდეთ, რათა ისინი უკეთ გაეცნონ საკუთარ მოვალეობებს;
- ინსტრუქტაჟს ტაქტიკური მეთაურების წერილობითი მითითებები უნდა მოჰყვებოდეს, რათა არავითარი ეჭვი არ არსებობდეს იმის შესახებ თუ რა მოეთხოვება თითოეულ პოლიციელს;
- ოპერაციის სიდიდიდან გამომდინარე რამდენიმე ინსტრუქტაჟის ჩატარების აუცილებლობისას, ისინი თანმიმდევრულად უნდა ტარდებოდეს.

ტაქტიკურ მეთაურებს ასევე ევალებათ პოლიციელებისთვის შეკრების მიმდინარეობისას მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ფასილიტაცია

ქვემოთჩამოთვლილი ნაბიჯები ნებისმიერი შეკრების ეფექტურად ხელშეწყობის წინაპირობებია.

სწავლება: შეკრებების დროს პროფესიული მოვალეობების შემსრულებელ პოლიციელებს შესაბამისი წრთვნა უნდა ჰქონდეთ გავლილი და ისინი მათი კონკრეტული მოვალეობების შესაბამისად უნდა იყვნენ აღჭურვილი.

აღჭურვილობის შემოწმება: ყველა პოლიციელი თავად არის პასუხისმგებელი საკუთარი აღჭურვილობის შემოწმებაზე, რის შედეგადაც ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ აღნიშნულ აღჭურვილობას შესაბამისი ფუნქციების შესრულება შეუძლია. როდესაც პოლიციელებს ნაკლებად ლეტალური სპეციალიზებული იარაღი ან ცეცხლსასროლი იარაღი ურიგდებათ, შემდეგი სახის ინფორმაცია კარგად უნდა იყოს აღრიცხული: თითოეული ამ იარაღის სერიული ნომერი, ვის და როდის გადაეცა ეს აღჭურვილობა და ამუნიციის გამოყენების შემთხვევაში რა რაოდენობის ამუნიცია გადაეცა კონკრეტულ პოლიციელს. ამ ყველაფერს ზედამხედველი ოფიცერი უნდა აკონტროლებდეს და შესაბამის დოკუმენტაციას მისი ხელმოწერა უნდა ერთვოდეს.

ტაქტიკურ მეთაურებსა და საოპერაციო მეთაურს შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, შეკრების დღეს საკმარისი რაოდენობის, მუშა მდგომარეობაში მყოფი რადიო აღჭურვილობა (მათ შორის სათადარიგო ელემენტები) უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ პოლიციელებს, რომლებიც შედარებით მოშორებით იქნებიან განლაგებული და რომლებიც შესაძლოა საკუთარი კოლეგებისგან იზოლირებული აღმოჩნდნენ. უნდა არსებობდეს მობილური ტელეფონის ნომრების სათადარიგო სია, რათა რადიო აღჭურვილობის გაუმართაობის შემთხვევაში კომუნიკაცია მაინც შედგეს. რადიო და ტელეფონის მეშვეობით განხორციელებული ყველა საუბარი უნდა იწერებოდეს და ინახებოდეს (თუ ამისი შესაძლებლობა არსებობს), რათა მომავალში მოკვლევის ჩატარების შემთხვევაში ამ ჩანაწერების შემოწმების საშუალება არსებობდეს.

დინამიკები უნდა შემოწმდეს რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი შეკრების სიდიდისა და ადგილმდებარეობის შესაბამისია; ელექტრონული აბრებით ინფორმაცია შესაბამის ენაზე უნდა ვრცელდებოდეს და მათ კვების დამოუკიდებელი წყარო უნდა გააჩნდეთ.

ტრანსპორტი: შეკრების ფარგლებში პოლიციელების შესაბამის ლოკაციებზე გადასაყვანად საკმარისი სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, შესაბამისი სახის მანქანები უნდა იყოს გამოყოფილი დაკავებულთა ტრანსპორტირებისთვის, ხოლო ადგილზე სამედიცინო ჯგუფების განლაგების შემთხვევში მათ შესაბამისი სახის

სატრანსპორტო საშუალებები უნდა გააჩნდეთ შეუძლოდ გამხდარი ან დაშავებული ადამიანების გადასაყვანად. როდესაც დახმარებას ისეთი პოლიციელებისგან ითხოვენ, რომლებიც კარგად არ იცნობენ კონკრეტულ ადგილს, ადგილობრივი მძღოლების გამოყოფის შესაძლებლობა უნდა იქნას განხილული.

კვება: ადგილზე ხანგრძლივი დროით განლაგებულ პოლიციელებს საკვები და ტუალეტები დასჭირდებათ, ამიტომ მეთაურებმა საკმარისი რაოდენობის საკვები უნდა გამოყონ და ასევე ტუალეტების დამონტაჟებაზე უნდა იზრუნონ ან მოკლე პერიოდებით პოლიციელების ჩანაცვლება უნდა უზრუნველყონ, რათა მათ ტუალეტში გასვლის შესაძლებლობა მიეცეთ. წყალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პოლიციელებისთვის, რომლებიც ცხელ ამინდში მუშაობენ; წყლის საჭიროება კიდევ უფრო იზრდება, როდესაც პოლიციელები დამცავი საშუალებებით არიან აღჭურვილი. ანალოგიურად, ცივ ამინდში მომუშავე პოლიციელებს ცხელი სასმელები როგორც შეკრებაზე ყოფნისას ისე მის შემდეგაც უნდა მიეწოდოთ.

დასვენება და ძალების აღდგენა: ადგილზე ხანგრძლივი პერიოდით განლაგებული პოლიციელების დროდადრო ჩანაცვლება უნდა ხდებოდეს და მათ შესაბამისი პერიოდების მანძილზე დასვენების საშუალება უნდა მიეცეთ. საუბარია როგორც მეთაურებზე ისე წინა ხაზზე მომუშავე პოლიციელებზე. დაღლილობა ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღების უნარს ამცირებს, ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ პოლიციელები კარგად დასვენებულები იყვნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სათადარიგო ნაწილები ხელმისაწვდომი უნდა იყოს. წინასწარი დაგეგმვის მეშვეობით პოლიციელთა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობა თავიდან უნდა იყოს აცილებული.

დაინტერესებული მხარეები: ღონისძიების დაწყებამდე სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მათთან კონტაქტების დამყარება უნდა მოხდეს. შეკრების მიმდინარეობისას ადგილზე სანანძრო, სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები მუდმივად უნდა მუშაობდნენ, რადგან მათ საქმიანობაში რაიმე სახის ჩარევას ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს. შეკრებამ ზეგავლენა მომსახურების მომწოდებელ სხვა მონაწილეებზეც შეიძლება მოახდინოს, ამიტომ მათთან ადრეულ ეტაპზე დამყარებულ კონტაქტებს პრობლემების დროულად გადაწყვეტა შეუძლია.

კოორდინაციის უზრუნველყოფა ძალზედ მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული ოპერაციების დროს.

ამაში იგულისხმება მკაფიო სამეთაურო ჯაჭვის ჩამოყალიბება, ამ უწყებებს შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად ერთი და იმავე რადიო სიხშირეების გამოყენება და ა.შ. შესაძლებელია საერთო ტაქტიკური საკონტროლო ოთახის მოწყობა სადაც სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეები პირდაპირ კონტაქტში იქნებიან საოპერაციო მეთაურთან, რათა საზოგადოების საჭიროებები იქნეს დაკმაყოფილებული. თუმცა, ღონისძიების კონტროლზე მთავარი პასუხისმგებლობა მაინც პოლიციას ხელმძღვანელობას უნდა დაეკისროს.

კომუნიკაცია

"სიურპრიზების გარეშე": მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე დიალოგის გზების ჩამოყალიბებით და შენარჩუნებით, შესაძლებელია საინფორმაციო კავშირის გახსნა არა მხოლოდ შეკრების ორგანიზატორებსა და პოლიციას შორის, არამედ სხვა დაინტერესებულ მხარეებთანაც. ეს პოლიციას კარგად გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების და დეზინფორმაციისა და გაუგებრობების გაფანტვის საშუალებას აძლევს. პოლიციას უნდა ახსოვდეს, რომ სამართალდამცავთა ქმედებები და განლაგება სხვების მიერ არასწორად შეიძლება იყოს აღქმული, ამიტომ კონკრეტული ქმედების განხორციელებამდე მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას დაძაბულობის შემცირება და განმუხტვა შეუძლია. სამართალდამცავებმა სამოქალაქო დაინტერესებულ მხარეებთან კონტაქტი შეკრების დაწყებამდე უნდა დაამყარონ, მათ შორის კონტაქტი მუდმივ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს ღონისძიების წინა პერიოდში. ზოგ შემთხვევაში, ამ კონტაქტების შენარჩუნება ღონისძიების განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგაც არის საჭირო. ეს შესაძლოა იმას გულისხმობდეს, რომ პოლიცია კონტაქტზე უნდა დარჩეს ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რომლებზეც შეკრებამ ზეგავლენა მოახდინა ან ადგილობრივ სათემო შუამავლებთან, რათა კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირება მოხდეს და ინფორმაცია იქნას გავრცელებული.

ორგანიზატორები: შეკრების წინა პერიოდში და მის განმავლობაში შეკრების ორგანიზატორებთან კავშირები შენარჩუნებული უნდა იყოს. ერთმანეთთან მობილური ტელეფონის ნომრების გაცვლა კავშირის შენარჩუნების საუკეთესო გზა შეიძლება იყოს. ღონისძიების დაგეგმვის ყველაზე ადრეულ ეტაპზე კონკრეტული საკომუნიკაციო ოფიცრის დანიშვნა, რომელიც თავის პოსტზე მთელი პროცესის მანძილზე დარჩება, კარგ პრაქტიკას წარმოადგენს.

შეკრებებზე დაკვირვება: შეკრების ორგანიზატორების მიერ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნებით აღჭურვილი სტიუარდების გამოყოფა კარგი პრაქტიკაა (თუმცა ეს იურიდიულ ვალდებულებას არ უნდა წარმოადგენდეს). აღნიშნული სტიუარდები შეკრების ხელშეწყობას ახდენენ და ნებისმიერი კანონიერად დაწესებული შეზღუდვის აღსრულებას უზრუნველყოფენ. სტიუარდებს სამართალდამცავების უფლებამოსილებები არ გააჩნიათ და მათ ძალა არ უნდა გამოიყენონ, ამის მაგივრად, ისინი საჭიროების შემთხვევაში შეკრების მონაწილეებს რჩევებით უნდა დაეხმარონ ან მათი დარწმუნება უნდა სცადონ.

ადამიანის უფლებების დამცველები: ადამიანის უფლებების დამცველები არიან პირები, რომლებიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ადამიანის უფლებების ხელშეწყობას ან დაცვას მშვიდობიანი მეთოდებით ახდენენ. მათი როლი აღიარებულია დოკუმენტში „გაეროს დეკლარაცია ადამიანების, ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებაზე და პასუხისმგებლობაზე განახორციელონ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ხელშეწყობა და დაცვა“. ადამიანის უფლებების დამცავ ჯგუფებთან ადრეულ ეტაპზე დამყარებულ კავშირებს დაძაბულობის განმუხტვა და ნდობის გაზრდა შეუძლია. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, ადამიანის უფლებების დამცველ ჯგუფებს ასევე დამატებითი ინფორმაციის მოცემა შეუძლიათ. „სიურპრიზების გარეშე“ მიდგომის ფარგლებში პოლიციის მეთაურებმა ადამიანის უფლებების დამცველ შესაბამის ორგანიზაციებთან მუდმივ თანამშრომლობაზე უნდა აკეთებდნენ აქცენტს, რათა ხელი შეეწყოს მოსაზრებების გაცვლას და პოლიციას მიეცეს ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიერ შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე რეაგირების საშუალება.[24] ადამიანის უფლებების დამცველები შეკრებების მონიტორინგში შეიძლება ჩაერთონ, ხოლო პოლიციამ უნდა ითანამშრომლოს მათთან და ხელი შეუწყოს მათ მუშაობას.

ბიზნეს წრეები: ღონისძიების დაწყებამდე პოლიციამ კონტაქტები უნდა დაამყაროს ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რომლებზეც შეკრება მოახდენს ზეგავლენას, რათა შეთანხმდეს მათი ბიზნესების მუშაობის ალტერნატიული საათები, პერსონალის ტრანსპორტირების და საქონლის ადგილზე მიტანის დროები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც კონკრეტული ბიზნესი შეკრების ყურადღების ცენტრში შეიძლება მოექცეს.

---

24 „ადამიანის უფლებების დამცველთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“, (ვარშავა: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2014 წ.), <http://www.osce.org/odihr/119633>.

ადგილობრივი მოსახლეობა: ადგილზე მცხოვრებ ან მომუშავე ადამიანებს ალტერნატიული მარშრუტების მოძებნის შესაძლებლობა ექნებათ იმ შემთხვევაში თუ მათ მიეწოდებათ წინასწარი ინფორმაცია შეკრების სიდიდესა და მასშტაბების შესახებ. ინფორმაციის მიწოდების შედეგად ადამიანებს საკუთარი მგზავრობის მარშრუტების შეცვლის, ბავშვთა მოვლასთან დაკავშირებით ალტერნატიული გზების მოძიების ან შეკრების დაწყებამდე მნიშვნელოვანი პროდუქტების შეძენის შესაძლებლობა მიეცემათ. ამ ინფორმაციის მიწოდებით პოლიციის მეთაურები ადგილობრივ მოსახლეობასა და შეკრების მონაწილეებს შორის დაპირისპირების ალბათობას შეამცირებენ.

დიფერენციაცია

საოპერაციო და ტაქტიკურმა მეთაურებმა უნდა უზრუნველყონ პოლიციელების ინფორმირება იმის შესახებ, რომ შეკრებაში სავარაუდოდ სხვადასხვა ტიპის ადამიანები მიიღებენ მონაწილეობას, პოლიციელებს უნდა ესმოდეთ, რომ შეკრების მანძილზე საჭიროა ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიების საჭიროებების დანახვა და მშვიდობიანი და აგრესიული მონაწილეების ერთმანეთისგან გარჩევა, ამით ისინი შეკრების მშვიდობიანად ჩატარებას შეუწყობენ ხელს.

საკონტროლო სია

სამეთაურო გუნდის მოვალეობები საბოლოო მოსამზადებელ ეტაპზე

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>

- ✓ საოპერაციო გეგმა უნდა შეამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ის სტრატეგიულ განზრახვებს შეესაბამება;
- ✓ უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსების გამოყოფა;
- ✓ უნდა უზრუნველყოს მედია სტრატეგიის განხორციელება;
- ✓ უნდა მიაწოდოს ახალი ინფორმაცია საოპერაციო მეთაურს.

<u>საოპერაციო მეთაურმა:</u>

- ✓ ორგანიზატორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკომუნიკაციო გზები უნდა შეინარჩუნოს;
- ✓ უნდა დანიშნოს ტაქტიკური მეთაურები და ინსტრუქტაჟი ჩაუტარდეს მათ;
- ✓ უნდა უზრუნველყოს, რომ ტაქტიკური გეგმები საოპერაციო და სტრატეგიულ გეგმებს შეესაბამებოდეს;
- ✓ უნდა დაადგინოს პოლიციელთა ინსტრუქტაჟის დრო და ადგილი;
- ✓ ტაქტიკურ მეთაურებთან ერთად სამაგიდო ან სიმულაციური სავარჯიშოების ორგანიზება უნდა მოახდინოს;[25] რისკების შეფასების საფუძველზე პოლიციის ამოცანებისა და საოპერაციო ვარიანტების მუდმივი გადაფასება უნდა მოახდინოს მათი რელევანტურობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ სტრატეგიულ მეთაურს ახალი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.

<u>ტაქტიკურმა მეთაურებმა:</u>

- ✓ საოპერაციო მეთაურთან და სხვა ტაქტიკურ მეთაურებთან კონსულტირების გზით ტაქტიკური გეგმები უნდა შეადგინონ;
- ✓ უნდა შეამოწმონ ნებისმიერი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ან აღჭურვილობა, რომელზეც ისინი აგებენ პასუხს, რათა გაუთვალისწინებელი პრობლემების ადრეულ ეტაპზევე მოგვარება იყოს შესაძლებელი;
- ✓ უნდა უზრუნველყონ საკმარისი რაოდენობის პერსონალის ყოლა იმ დავალების შესასრულებლად, რომელიც მათ მისცეს;
- ✓ უნდა შეამოწმონ არიან თუ არა მათი თანამშრომლები შესაბამისად გაწრთვნილი და აღჭურვილი;
- ✓ ახალი ინფორმაციის მიღებისთანავე მისი საოპერაციო მეთაურისთვის მიწოდება უნდა უზრუნველყონ;
- ✓ ადგილზე განლაგებული პოლიციელების კარგად ყოფნა უნდა უზრუნველყონ.

---

25 სამაგიდო სავარჯიშო ღონისძიების წინ ტარდება ხოლმე და მისი დანიშნულებაა გეგმების სისწორის შემოწმება, ეს სავარჯიშო ხშირად დიდი საკონფერენციო მაგიდის გარშემო იმართება.

ნაწილი III

შეკრებების დროს

თავი 8. მშვიდობიანი შეკრებების ხელშეწყობა

ნებისმიერი შეკრების წარმატებით ხელშეწყობის უმთავრეს წინაპირობას სწორი დაგეგმარება წარმოადგენს. როდესაც გეგმა მკაფიო საპოლიციო ამოცანების საფუძველზეა მომზადებული, შემთხვევების უმრავლესობაში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სტრატეგიული და საოპერაციო მეთაურების ჩარევა არ არის ხოლმე აუცილებელი. შეკრებების უმრავლესობა (როგორც დიდი ისე მცირე შეკრებები) სერიოზულ პრობლემებს არ ქმნის, და სხვა ადამიანების ყოველდღიური რუტინის დარღვევა მცირე ხანს გრძელდება ხოლმე. შეკრებების ძალიან მცირე რაოდენობა იწვევს რაიმე სახის ძალადობას ან უკანონო ქმედებებს.

პოლიცია ვალდებულია ხელი შეუწყოს შეკრებას მის შესახებ შემოტანილი შეტყობინების ან ორგანიზატორებთან შეთანხმებული პირობების შესაბამისად; სამართალდამცავი ორგანოები ყოველთვის უნდა ეცადონ, რომ ადგილზე რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის საპოლიციო რესურსები განალაგონ, რითაც ღონისძიების მშვიდობიანად ჩატარებას შეეწყობა ხელი. შეკრების მიმდინარეობისას ტაქტიკურმა მეთაურებმა მუდმივად უნდა შეიტანონ კორექტივები საპოლიციო ოპერაციაში; ღონისძიების მანძილზე მათი პრაქტიკული ქმედებები გადაწყვეტილებების მიღების მოდელზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ამ დოკუმენტის წინამდებარე თავი იმ ძირითად აქტივობებს აღწერს, რომლებიც პოლიციამ მშვიდობიანი შეკრებების ხელშესაწყობად უნდა განახორციელოს. განყოფილება იწყება იმ შეკრებების აღწერით, რომელთა შესახებ პოლიციას წინასწარი ინფორმაცია გააჩნია (ორგანიზატორების მიერ ხელისუფლების წინასწარ ფორმალურად ან არაფორმალურად გაფრთხილების ან პოლიციის მიერ მოპოვებული ოპერატიული მონაცემების გამო). ამის შემდეგ აღწერილია ის თუ როგორ უნდა იმოქმედოს პოლიციამ, როდესაც შეკრებები სპონტანურად ან წინასწარი შეტყობინების ან გაფრთხილების გარეშე ტარდება. გარდა ამისა, ამ განყოფილებაში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც შეკრებაში მონაწილე ადამიანების ქცევაზე ახდენენ ზეგავლენას და ასევე მოცემულია იმის ანალიზი თუ რა შემთხვევაში შეიძლება ღონისძიებები არეულობაში ან ძალადობაში გადაიზარდოს.

ცოდნა

პოლიციის მეთაურებმა უნდა ეცადონ, რომ შეკრებასთან დაკავშირებით მუდმივად უახლეს ინფორმაციას ფლობდნენ; გარდა ამისა, ღონისძიების,

შეკრების მონაწილეების ან სხვა მოვლენების შესახებ მიღებული ნებისმიერი ახალი ინფორმაცია შესაბამის ოფიცრებს უნდა მიეწოდოს.

ფასილიტაცია

ადგილზე ყოფნა: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როდესაც ამისი შესაძლებლობა არსებობს, პოლიცია ადგილზე მანამდე განლაგდეს სანამ იქ შეკრების მონაწილეები დაიწყებენ შეგროვებას. პოლიციას უნდა ჰქონდეს პოლიციელებისა და აღჭურვილობის ყველაზე მისაღებ პოზიციებზე განლაგების, ბარიერების აღმართვის, გზების გადაკეტვის, რისკების შეფასების და ყველა სხვა იმ ნაბიჯის გადადგმის საშუალება, რომლებიც შეკრების ხელშესაწყობად და მონაწილეების დასაცავად არის აუცილებელი.

ადგილზე პოლიციელების ადრე განლაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც შეკრების ადგილმდებარეობა ან მარშრუტი საკამათო ან მგრძნობიარე ადგილებს მოიცავს. თუ მნიშვნელოვანია, რომ შეკრების მონაწილეები არ შეიკრიბონ კონკრეტულ ადგილზე, მაშინ აუცილებელია რომ ამ ადგილზე მათზე ადრე პოლიციელები განლაგდნენ. ეს იმედგაცრუების ან პოლიციის მიერ შეკრების ყველა მონაწილის ან მათი ნაწილის ამ ადგილიდან გასაყვანად ძალის გამოყენების საჭიროებას თავიდან აგვაცილებს ან შეამცირებს.

ადგილზე ადრე მისვლა პოლიციის უფროს ოფიცერს საშუალებას მისცემს დახვდეს შეკრების ორგანიზატორებს ან სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (მათ შორის მედიას) და მათ დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდოს („სიურპრიზების გარეშე“ პრინციპის მიხედვით).

პოლიციის მეთაურებს უნდა შეეძლოთ პოლიციის ადგილზე ხილული ყოფნასა და პოლიციის რეალურ ყოფნას შორის განსხვავების დანახვა. სადაც ეს შესაძლებელია, პოლიციელთა უმრავლესობა და აღჭურვილობის დიდი ნაწილი შეკრების ადგილთან ახლოს, მაგრამ ღონისძიებაზე მოსულ პირთა თვალთახედვის არეალისგან მოშორებით უნდა იყოს განლაგებული. ამის ალტერნატივას ადგილზე კარგად გაწრთვნილი დანაყოფების განლაგება წარმოადგენს, რომლებსაც სპეცსაშუალებების სრული კომპლექტი არ ექნებათ ჩაცმული, თუმცა მათ, საჭიროების შემთხვევაში, დამცავი საშუალებების სწრაფად მორგება უნდა შეეძლოთ.

ტოლერანტობა: პოლიციას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მართალია მათ პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის და კანონის

დაცვა წარმოადგენს, მაგრამ მათი როლი გარკველი ხარისხის დისკრეციის საშუალებას აძლევს. შეკრებების დროს წესრიგის დაცვის პროცესში პოლიცია მზად უნდა იყოს კანონის მცირე დარღვევები ან არამართლზომიერი ქცევები მოითმინოს. კანონის ზედმეტად მკაცრ გამოყენებას შეკრების მონაწილეების გაღიზიანება შეიძლება მოჰყვეს, რამაც დაძაბულობის ესკალაცია და პოლიციის მიმართ ანტაგონიზმის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს. ეს ყველაფერი საოპერაციო გეგმებში უნდა იყოს მითითებული და სწავლების დროს ხაზგასმული.

მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვა: პოლიციის მეთაურებმა მათ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების თუ მათ მიერ გაცემული ყველა ბრძანების რეალურ დროში აღრიცხვა უნდა უზრუნველყონ; აღნიშნული ჩანაწერები ღონისძიების შეჯამების დროს ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

კომუნიკაცია

ისევე როგორც პროცესის სხვა ეტაპებზე, შეკრების მონაწილეებთან ღია დიალოგი ამ ეტაპზეც უნდა გაგრძელდეს. თუ შეკრების ორგანიზატორები მოხალისე ან პროფესიონალი სტიუარდების მომსახურებას იყენებენ, შესაძლებელია სპეციალური მეკავშირე ოფიცრის გამოყოფა, რომელიც სტიუარდებს ან (სტიუარდების არ ყოფნის შემთხვევაში) შეკრების ორგანიზატორებს ინფორმაციას მიაწვდის. ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებთან საპოლიციო ოპერაციის შესახებ გამართული შეხვედრის დროს უნდა იქნას გაცემული, ამის შემდეგ მთავარ სტიუარდთან კავშირი შეკრების მთელს მანძილზე უნდა იყოს შენარჩუნებული.

ტაქტიკურ მეთაურს ღონისძიების მიმდინარეობისას ორგანიზატორებთან დიალოგის ხაზის შენარჩუნება, მათი მოთხოვნების საოპერაციო მეთაურისთვის გადაცემა და პოლიციის შეთავაზებების ორგანიზატორებისთვის მიწოდება უნდა დაევალოს.

პოლიცია მუდამ უნდა ეცადოს, რომ სამართალდამცველებმა იმ ადამიანებს, რომლებთანაც ისინი ღონისძიების მთელს მანძილზე არიან კავშირში, გულახდილი და თანმიმდევრული გზავნილები მიაწოდონ. ამ ადამიანებში იგულისხმება შეკრების ორგანიზატორები, მონაწილეები, შეკრების მოწინააღმდეგეები, მედია საშუალებები და ადამიანის უფლებების დამცველები. „სიურპრიზების გარეშე“ პრინციპის შესაბამისად, პოლიციამ ასევე უნდა უზრუნველყოს ღონისძიების

მიმდინარეობისას ინფორმაციის უწყვეტი მოძრაობა და ყველა მხარის ინფორმირება სიტუაციაში და გარემოებებში მომხდარი იმ ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ადგილი.

პოლიცია ასევე უნდა ეცადოს შეინარჩუნოს ორმხრივი კომუნიკაცია შესაბამის მხარეებთან, იმის მაგივრად რომ უბრალოდ შეაგროვოს ინფორმაცია, რომელიც მას ოპერაციის განხორციელებაში დაეხმარება. ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ პოლიცია უნდა ეცადოს რეალურ დროში მოისმინოს ღონისძიების ორგანიზატორებისა და მონაწილეების მოსაზრებები და უპასუხოს მათ შეშფოთებებს, არამედ პოლიციამ ასევე თავად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ორგანიზატორებს, რათა მათ საკუთარი ქცევის ადაპტირება და დაძაბულობის ნებისმიერ ზრდაზე რეაგირება მოახდინონ. კონკრეტულად, ინფორმაციის ორმხირვი გაცვლა შეკრების დროს წარმოშობილი ჭორების ეფექტურად გაქარწყლებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული. ჭორები განსაკუთრებით პრობლემატური შეიძლება იყოს იმ სიტუაციაში როდესაც შეკრების ორგანიზატორებსა და პოლიციას შორის შეკრებამდე ცუდი ურთიერთობა არსებობს და მხარეებს შორის ნდობის ნაკლებობაა.

პოლიციის მეთაურებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას თუ რა ტიპის უნიფორმა აცვიათ და რა ტიპის აღჭურვილობას ატარებენ პოლიციელები. გარდა ამისა, შეკრების ადგილზე პოლიციელთა ხილული რაოდენობა და მონაწილეთა თვალთახედვის არეალში მყოფი საპოლიციო მანქანების და სხვა ტიპის აღჭურვილობის სახეობასაც უნდა მიექცეს ყურადღება. პოლიციელთა და საპოლიციო რესურსების გარეგნობა არასიტყვიერი კომუნიკაციის ფორმას წარმოადგენს; ხილული პოლიციელების რაოდენობა შეკრების ორგანიზატორებისთვის და შეკრებაზე მოსული ადამიანებისთვის პოლიციის განზრახვების და მოლოდინების შესახებ ნათელი და მკაფიო გზავნილი იქნება. ყოველდღიურ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელების დანახვას იმის შთაბეჭდილების შექმნა შეუძლია, რომ პოლიცია სიტუაციას აკონტროლებს და ექსცესებს არ ელოდება; მაშინ როცა სრულად აღჭურვილი პოლიციელების გამოჩენა მათ უფრო აგრესიულად წარმოაჩენს და ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ პოლიცია არეულობას ელის. სრული დამცავი აღჭურვილობის მქონე პოლიციის დანახვას მონაწილეებში დაძაბულობის ზრდა ან პოლიციელების მიმართ ძალადობრივი ქმედებების ალბათობის შემცირება შეუძლია, რადგან მონაწილეები ხედავენ, რომ პოლიციელები კარგად არიან დაცული. თუმცა რეალურად ამას უფრო პოლიციის მიმართ აგრესიის ზრდა და სამართალდამცავებთან თანამშრომლობის სურვილის შემცირება შეიძლება მოჰყვეს.

დიფერენციაცია

პოლიციის მეთაურები მუდამ უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ პოლიციელებს ახსოვდეთ მონაწილეების განსხვავებულობა და მრავალფეროვნება, პოლიციელები რეაგირებას უნდა ახდენდნენ შეკრების მიმდინარეობისას მონაწილეთა სხვადასხვა კატეგორიების ცვალებად საჭიროებებს. სამართალდამცავებს ასევე უნდა შეეძლოთ შეკრებილთა სხვადასხვა ქვეკატეგორიების ერთმანეთისგან განსხვავება, კონკრეტულად, პოლიციელები ყურადღებას უნდა აქცევდნენ იმ პირებს, რომლებსაც საკუთარი სიტყვებით თუ ქმედებებით დაძაბულობის ზრდის გამოწვევა შეუძლიათ და რომელთა მიმართ სწრაფი და ადრეული პრევენციული ზომები უნდა გატარდეს.

პოლიციის ქცევა

პოლიციის მეთაურებს უნდა ახსოვდეთ, რომ პოლიციელები ისევე მგრძნობიარეები არიან ხალხის მასის დინამიკისადმი როგორც თავად შეკრების მონაწილეები. პოლიციელების დემოგრაფიული პროფილი ხშირად შეკრების მონაწილეების დემოგრაფიული პროფილის მსგავსია და შესაძლებელია სამართალდამცავებმა სხვადასხვა ემოცია განიცადონ, მათ შორის აღელვება, გაურკვევლობის შეგრძნება, ბრაზი ან შიში (განსაკუთრებით დაძაბულობის ზრდის შემთხვევაში). ძირითადი განსხვავება პოლიციელებსა და დემონსტრანტთა ჯგუფს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პოლიციელებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებში წრთვნები აქვთ გავლილი, მათ სპეციალიზირებული აღჭურვილობა გააჩნიათ და ზემდგომი ოფიცრის დაქვემდებარებაში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საოპერაციო და ტაქტიკურმა მეთაურებმა პოლიციელების დისციპლინირებული ქცევა და მათი ქმედებების გაკონტროლება უზრუნველყონ მაშინაც კი როდესაც ადგილი აქვს სიტყვიერი შეურაცხყოფის ან პროვოცირების სხვა ფორმების ცალკეულ შემთხვევებს.

პოლიციის მეთაურები მუდმივად უნდა ფიქრობდნენ შეკრების მონაწილეებთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზებზე. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ შეკრების დინამიკა მონაწილეებსა და პოლიციას შორის ურთიერთობის ნიადაგზე და ასევე აქციის მონაწილეების აღქმით პოლიციის მიერ შეკრების ხელშეწყობის კუთხით შესრულებული როლის საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს. ყველა შეკრებაში სხვადასხვანაირი ტიპის ადამიანი მონაწილეობს, მათ პოლიციისა და ერთმანეთის მიმართ განსხვავებული შეხედულებები და მიდგომები

შეიძლება გააჩნდეთ. იშვიათია ისეთი შეკრებები, რომელთა ყველა მონაწილე მტრულად არის განწყობილი პოლიციისადმი. პოლიციის ქმედებების საპასუხოდ პოლიციისადმი მტრული განწყობა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ამავე დროს იგივე პოლიციის ქმედებების შედეგად სამართალდამცავების მიმართ სიმპათიისა და პატივისცემის გრძნობა შეიძლება გაძლიერდეს. პოლიციელების მიერ განხორციელებულ ტოლერანტულობისა და ადამიანურობის აქტებს (მაგალითად გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარება) მათსა და დემონსტრანტებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება, შეკრების მონაწილეების მიერ აქციის უფრო მეტად გაკონტროლება და დაძაბულობის შემცირება შეუძლია მაშინ როცა პოლიციის მიერ ძალის ნებისმიერ გამოყენებას უარყოფითი ზეგავლენა შეუძლია იქონიოს მონაწილეების ქცევაზე; ამან შეკრების სხვა ადგილებში არეულობის ალბათობის ზრდა შეიძლება გამოიწვიოს. მეთაურები პოლიციელებს მუდამ უნდა მოუწოდებდნენ იმ მოქალაქეებისადმი დადებითი ქმედებების განხორციელებისკენ, რომელთა დაცვასაც ისინი ახორციელებენ.

როდესაც პოლიცია კონფრონტაციულად იქცევა, მონაწილეების თვალში მისი ლეგიტიმურობა შეიძლება შემცირდეს ან დაზიანდეს. თუმცა, როდესაც პოლიცია ხელშემწყობ როლს ასრულებს და ადამიანებთან კონტაქტში შედის, მაშინ შეკრების მონაწილეების მხრიდან პოლიციელების მიმართ უფრო ღია დამოკიდებულება შეიძლება გაჩნდეს. უფრო მეტი ალბათობაა იმის, რომ შეკრების ის მონაწილეები, რომლებიც პოლიციის ქმედებების ლეგიტიმურობას აღიარებენ, მშვიდობიანად მოიქცევიან, რაც არეულობის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. უფრო სავარაუდოა, რომ ასეთი მონაწილეები სხვებსაც მოუწოდებენ სიმშვიდისკენ და აქციაში მონაწილე ზოგიერთი ადამიანის მიუღებელ ან ძალადობრივ ქცევას გაემიჯნებიან. ასე რომ, შეკრების ყველა ეტაპზე კომუნიკაციის შენარჩუნება და აქციის ხელშეწყობის გაგრძელება ღონისძიების მშვიდობიანად და წარმატებით დასრულების მთავარ გზას წარმოადგენს.

სპონტანური შეკრებები

ზოგიერთ შემთხვევაში შეკრებების ორგანიზება კონკრეტული, მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენის ან განსაკუთრებული შემთხვევის საპასუხოდ ტარდება ხოლმე, რის გამოც შესაძლებელია, რომ აქციის ორგანიზატორებმა და/ან მონაწილეებმა კონკრეტულ ადგილზე სასწრაფოდ შეკრება მოისურვონ. ასეთ სიტუაციებში შეკრების შესახებ შეტყობინების შემოტანასთან დაკავშირებული იურიდიული მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია ხოლმე. სხვა შემთხვევებში, შეკრების

ორგანიზება შეიძლება ისე მოხდეს, რომ მისი მიზანი დამსწრეთათვის სურპრიზი იყოს. ე.წ. „ფლეშმობი“ სპონტანური შეკრების ნაირსახეობაა, რომლის დროსაც ადამიანთა ჯგუფი კონკრეტული განცხადების ან აზრის გამოსახატად სწრაფად იკრიბება (ხშირად ასეთი აქციები ტექსტური შეტყობინებებისა და სოციალური მედიის გამოყენებით იგეგმება) და შემდეგ ასევე სწრაფად იშლება. ზოგიერთი შეკრება პოლიციისთვის შესაბამისი შეტყობინების მიწოდების გარეშე ტარდება, რადგან ორგანიზატორები არ ენდობიან სამართალდამცავებს ან შიშობენ, რომ აქცია აიკრძალება და ამიტომ მათ არ სურთ შეკრების ჩატარების შესახებ წინასწარ განცხადების გაკეთება.

შესაძლოა ამგვარი ღონისძიებები ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებს არღვევენ, მაგრამ პოლიციამ მაინც უნდა შეუწყოს ხელი მშვიდობიან შეკრებებს. თუ პოლიციას არ ჰქონდა ღონისძიებისთვის მომზადების და შესაბამისი რესურსების გამოყოფის საშუალება, მაშინ შესაძლოა პოლიციის მხრიდან სასწრაფო რეაგირება გახდეს საჭირო. ზოგადად, პოლიციას ასეთი შემთხვევებისთვის შესაბამისი გეგმები წინასწარ უნდა ჰქონდეს მომზადებული.

სოციალური მედიის, მობილური ტელეფონების და ინტერნეტის მიმართულებით არსებული ბოლოდროინდელი მიღწევები ადამიანებს ძალიან უადვილებს კონკრეტულ ადგილზე მოკლე დროში შეკრებას და მათ აღარ უწევთ შეკრების ორგანიზების ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობა. რეალურად, ბევრი სპონტანური შეკრება ოფიციალური ორგანიზატორის გარეშეც კი შეიძლება ტარდებოდეს, ასეთი შეკრებების ორგანიზება მრავალი სხვადასხვა არაფორმალური სოციალური ქსელის მეშვეობით ხდება ხოლმე.

როდესაც ისეთი შეკრება ტარდება, რომლის შესახებ პოლიციას წინასწარი შეტყობინება არ მიუღია, ადგილზე მისულმა პირველმა საპოლიციო დანაყოფმა თვითონ უნდა მიმართოს გარკვეულ ზომებს. ამ დანაყოფის უმთავრესი მიზანი მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობა და სიტუაციის მაქსიმალურად სტაბილიზაცია უნდა წარმოადგენდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილზე მისულმა პირველმა სამართალდამცავებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველაფერი ჩატარდეს მშვიდობიანად, რომ მონაწილეების უსაფრთხოება იყოს დაცული და თუ არეულობას აქვს ადგილი, ეს ქცევა სხვა მონაწილეებზე არ გავრცელდეს და მან სხვებს საფრთხე არ შეუქმნას.

თუ პოლიცია დაუგეგმავ შეკრებაზე ახდენს რეაგირებას, პოლიციის მეთაურებმა (საოპერაციო თუ ტაქტიკურმა მეთაურებმა) პირველ

რიგში სიტუაცია უნდა შეაფასონ და ამ სახელმძღვანელოს მესამე თავში მოცემული გადაწყვეტილებების მიღების მოდელი უნდა გამოიყენონ იმის დასადგენად თუ როგორ უნდა მოხდეს სიტუაციაზე რეაგირება და შეკრების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ შეკრების ორგანიზატორებთან დიალოგის გამართვა სცადოს, რათა როგორც პოლიციის ისე ორგანიზატორების განზრახვები ორივე მხარისთვის ნათელი გახდეს. პოლიციამ არ უნდა გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებსაც არეულობის პროვოცირება ან შეკრების მონაწილეებისთვის საფრთხის შექმნა შეუძლიათ. სიტუაციის ვიზუალურად შეფასებით პოლიცია შესაბამისი რესურსების გამოყოფას მოახერხებს, რითაც შეკრების მაქსიმალურად ეფექტურად ხელშეწყობა იქნება შესაძლებელი. თუ შეკრება ძალადობრივია, მაშინ მთავარ პრიორიტეტს ძალადობის შეკავება უნდა წარმოადგენდეს. დაუგეგმავი შეკრებების უმრავლესობა მშვიდობიანად ტარდება და მათ პოლიციის მხოლოდ ზედაპირული ყურადღება სჭირდებათ.

პოლიციის პირველ პრიორიტეტს საზოგადოებრივი უსაფრთხოება უნდა წარმოადგენდეს, შეკრებების უმრავლესობის დროს საჭირო იქნება საგზაო მოძრაობის გაკონტროლება როგორც შეკრების განმავლობაში ისე მისი დასრულების შემდეგ (როდესაც ადამიანები იშლებიან). ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მათ ვინც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს შეკრებას და ასევე იმას თუ რამდენად სავარაუდოა რომ ისინი დაძაბულობის ესკალაციას მოახდენენ ან ძალადობრივ ქმედებებს მიმართავენ.

ამის შემდეგ პოლიციამ იმ ადამიანების უსაფრთხოების საკითხიც უნდა განიხილოს, რომლებიც შესაძლოა შეკრებაში ირიბად იყვნენ ჩართული. საჭიროა საგზაო მოძრაობის ამ კონკრეტული ადგილიდან სხვა მიმართულებით გადამისამართება და ასევე სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელება. საჭიროა ისეთი სამსახურების გაფრთხილება როგორებიცაა სახანძრო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურები, რადგან მათი მუშაობის ნებისმიერი სახით შეფერხებას კონკრეტულ ინციდენტზე დროულად რეაგირების ხელშეშლა შეუძლია. პოლიციამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ადგილობრივი მოსახლეობა და იქ განლაგებული სხვადასხვა ბიზნესი. ფართომასშტაბიანმა შეკრებებმა ოპორტუნისტულად განწყობილი კრიმინალური ელემენტები შეიძლება მოიზიდოს. და ბოლოს, პოლიციამ უნდა გაითვალისწინოს შეკრების მონაწილეთა და ახლოს მყოფთა ასაკი და სქესი.

თუ შეკრება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, პოლიციას შესაძლოა სამეთაურო სტრუქტურის, სტრატეგიული

განზრახვების და საპოლიციო სამუშაოს ამოცანების ჩამოყალიბება, საოპერაციო ვარიანტების განსაზღვრა და რესურსების გამოყოფა და ასევე შეკრების ორგანიზატორებთან ჩამოყალიბებული კომუნიკაციის ოფიციალური არხების მუშაობის გაგრძელება დასჭირდეს. ნებისმიერი მშვიდობიანი შეკრების ხელშეწყობისას, შესაძლებელია, რომ მოსახლეობას გარკვეული პრობლემები შეექმნას; თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიმართ რაიმე მკაფიო საფრთხე არ არსებობს, პოლიციის თავდაპირველი ქმედება შეკრების სხვაგან გადატანაში ან დაშლაში არ უნდა მდგომარეობდეს. შეკრების შეზღუდვის ან დაშლის შესახებ ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო განხილვას მოითხოვს, ამ დროს უნდა მოხდეს ყველა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების აწონ-დაწონვა და შეკრების დაშლის შემთხვევაში ესკალაციისა და ზიანის რისკების გათვალისწინება.

შეკრების მონაწილეებისთვის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობის მიცემა

გარკვეულ მომენტში აქციის მონაწილეები შეკრების ადგილის დატოვებას გადაწყვეტენ. შეკრებაში მონაწილეებს ბუნებრივად დაშლის და პოლიციის ჩარევის გარეშე ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა უნდა მიეცეთ. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მონაწილეებს შეკრების დასატოვებლად უსაფრთხო გასასვლელები ჰქონდეთ, და მათ მიმართ აგრესიულად განწყობილი ადამიანების თავდასხმებისგან დაცული უნდა იყვნენ.

თუ პოლიცია აქციის აქტიურად დაშლის რაიმე ფორმას მიმართავს, აუცილებელია გარკვეული ფაქტორების გათვალისწინება:

- აქციის დასატოვებლად შესაბამისი გასასვლელები ან საევაკუაციო გზები უნდა არსებობდეს, რათა ადამიანებს ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ;
- მცირე ჯგუფებად დაშლილი მონაწილეების გაკონტროლება შესაძლოა უფრო რთული იყოს ვიდრე ადამიანთა ერთი დიდი ჯგუფის;
- აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლის შემდეგ ადამიანებს სახლში წასვლის შესაძლებლობა უნდა მიეცეთ;
- ადგილზე პოლიციელთა დიდი რაოდენობით უბრალოდ ყოფნამაც კი შეიძლება ხელი შეუშალოს შეკრების ბუნებრივად დაშლას, ამიტომ საჭიროა პოლიციელების აქციის მონაწილეების თვალთახედვის არეალიდან მოშორება, თუმცა ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენება კვლავ შესაძლებელი იყოს;

- პოლიციამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ძალისმიერ დაშლასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები, რათა ამ პროცესში ქალებზე, ბავშვებზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე არაპროპორციული ზეგავლენა არ მოხდეს.

თუ შეკრებას არავითარი ან მცირე ზეგავლენა აქვს სხვების უფლებებსა და თავისუფლებებზე ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და თუ იგი უსაფრთხო ადგილზე მიმდინარეობს, მაშინ პოლიციამ ნება უნდა დართოს მონაწილეებს გააგრძელონ აქცია; გარდა ამისა, პოლიცია უნდა მოემზადოს შეკრების მონაწილეების ადგილზე დიდი ხნის მანძილზე დარჩენისთვის.

საკონტროლო სია
სამეთაურო გუნდის მოვალეობები შეკრების ხელშეწყობის ეტაპზე

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>
- ✓ უნდა აწარმოოს, პოლიციის მუშაობაზე დაკვირვება ღონისძიების დროს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებების დაცვა;
- ✓ უნდა გადახედოს სტრატეგიულ განზრახვებს, რათა მათი ოპერაციასთან შესაბამისობა იყოს უზრუნველყოფილი;
- ✓ უნდა ითანამშრომლოს საოპერაციო მეთაურთან საკმარისი რესურსების უზრუნველსაყოფად;
- ✓ საოპერაციო მეთაურს ანგარიში ჩააბაროს.

<u>საოპერაციო მეთაურმა:</u>
- ✓ ყველა ტაქტიკური მეთაურისთვის ოპერაციის შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარება უნდა უზრუნველყოს;
- ✓ სტრატეგიულ მეთაურთან ინფორმაცია უნდა გაცვალოს;
- ✓ ღონისძიების მართვა ადამიანის უფლებებისა და სტრატეგიული განზრახვების მიხედვით უნდა მოახდინოს;
- ✓ რისკების შეფასებისა და ახალი ინფორმაციის საფუძველზე მუდმივად უნდა მოახდინოს საპოლიციო ამოცანების ან საპოლიციო ტაქტიკის გადახედვა, ცვლილება და ა.შ.;
- ✓ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი კრიმინალური ქმედების სათანადოდ გამოძიება;
- ✓ უნდა გააგრძელოს პოლიციელთა კეთილდღეობაზე მონიტორინგი.

<u>ტაქტიკურმა მეთაურებმა:</u>
- ✓ ინსტრუქტაჟი უნდა ჩაუტარონ მათ დაქვემდებარებაში მყოფ ყველა პოლიციელს;
- ✓ უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა პოლიციელი ადამიანის უფლებების სტანდარტების მიხედვით მოქმედებდეს; ნებისმიერ არასათანადო ქმედებაზე ან ქცევაზე შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინონ;
- ✓ ძალის გამოყენების ნებისმიერ შემთხვევაზე ინფორმაცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიაწოდონ ზემდგომ მეთაურებს;
- ✓ უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი (მათ შორის პოლიციელების მიერ განხორციელებული) კრიმინალური ქმედების მტკიცებულება იყოს დაცული, შენახული და გადაცემული საგამოძიებო ჯგუფისთვის;
- ✓ საოპერაციო მეთაურთან ინფორმაციის გაცვლა უნდა უზრუნველყონ;
- ✓ უნდა გასცენ ნებართვა ან უარი თქვან კონკრეტული საპოლიციო ტაქტიკის გამოყენებაზე;
- ✓ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელების კეთილდღეობაზე მონიტორინგი უნდა განახორციელონ.

თავი 9. არეულობის და ძალადობის მართვა

პოლიციას უნდა ახსოვდეს, რომ შეკრებების დიდი უმრავლესობა მშვიდობიანად ტარდება, მათი მონაწილეები კანონს და სხვა შეზღუდვებს იცავენ და ღონისძიების დასრულების შემდეგ ისინი მშვიდად იშლებიან. არეულობა და ძალადობა შედარებით იშვიათი მოვლენებია, თუმცა რადგან არეულობის შემთხვევები ყოველთვის შუქდება, მარტივად შეიძლება შეიქმნას იმის შთაბეჭდილება, რომ არეულობა ხშირი მოვლენაა, როდესაც რეალურად ეს ასე შეიძლება საერთოდ არ იყოს.

პოლიცია მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს იმას, თუ რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს მის ქმედებებს (ან უმოქმედობას) და მის განცხადებებს (ან სიჩუმეს) დაძაბულობის ესკალაციაზე (როგორც ღონისძიების წინ, ისე მისი მიმდინარეობის დროს). პოლიცია ვერ აკონტროლებს შეკრებაზე მოსულ ადამიანთა რაოდენობას, თუმცა მას შეუძლია კომუნიკაციის სიხშირის და ოდენობის კონტროლი, სწორედ ამიტომ ეფექტური კომუნიკაცია (არა მხოლოდ შესაბამის მონაწილეებთან და ორგანიზატორებთან, არამედ მაგალითად სოციალური მედიის მეშვეობით წარმოებული კომუნიკაცია) და „სიურპრიზების გარეშე“ პრინციპი ასეთი მნიშვნელობის მატარებელია. კარგი ქცევის წახალისებით, პოლიცია გაცილებით უფრო კარგ პირობებს ქმნის იმისთვის, რომ შეკრება მშვიდობიანად წარიმართოს, ვიდრე ისინი ცუდ ქცევაზე რეაგირების მოლოდინში იქნებიან.

თუ შეკრება მშვიდობიანად მიმდინარეობს (მაშინაც კი როდესაც იგი უკანონოდ ტარდება) პოლიციამ ძალის გამოყენებისგან თავი უნდა შეიკავოს. როგორც ზევით ავღნიშნეთ, ძალის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, თუ არცერთი სხვა ალტერნატივა უშედეგოა. ნებისმიერ შემთხვევაში, ძალის ნებისმიერი სახით გამოყენება მინიმალურად უნდა მოხდეს და იგი აუცილებელი უნდა იყოს საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად. პოლიციას ყოველთვის უნდა გააჩნდეს სხვადასხვა საოპერაციო ვარიანტები, რომელთა მეშვეობით ძალის გამოყენების აუცილებლობა იქნება არიდებული; ძალის გამოყენებამდე სამართალდამცავებმა, ინტერვენციის მაგივრად, ისეთი მეთოდები და ვარიანტები უნდა გამოიყენონ რომლებშიც შედის კომუნიკაცია, დიალოგი და მტკიცებულებების შეგროვება. როდესაც ამისი შესაძლებლობა არსებობს, პოლიციამ მოთმინება უნდა გამოიჩინოს და დაელოდოს სანამ დაძაბულობისა და არეულობის შემცირების არაფორმალური მეთოდები შედეგებს გამოიღებენ.

დეესკალაცია

ტერმინი „დეესკალაცია“ ხშირად არასწორად არის ხოლმე გაგებული. დეესკალაცია უმოქმედობას ან პასიურობას არ გულისხმობს. დეესკალაცია, კომუნიკაციის დამყარებისა და დიფერენცირებული ქმედებების განხორციელებით, დაძაბულობის აქტიურად შემცირებას და არა არეულობის ან ძალადობის დაწყების დალოდებას ნიშნავს. დეესკალაცია პოზიტიურ და პროაქტიურ საპოლიციო ტაქტიკად და არა ცვალებად სიტუაციაზე უბრალო რეაგირებად უნდა იქნას გამოყენებული. როდესაც სიტუაციის ესკალაცია და ძალის გამოყენება ხდება, პოლიცია რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეეცადოს სიტუაციის დამშვიდებას, რათა ვითარება ჩვეულებრივ ყოფას დაუბრუნდეს.

როგორც უკვე ბევრჯერ ავღნიშნეთ ამ სახელმძღვანელოში, პოლიციის მეთაურებმა კომუნიკაციის ფორმები დაძაბულობის შემცირებისთვის და სიტუაციის დეესკალაციისთვის უნდა გამოიყენონ (სადაც ამისი შესაძლებლობა იქნება). კონკრეტულად კი, პოლიციის მეთაური შეკრების ორგანიზატორთან და შესაბამის მონაწილეებთან მთელი შეკრების მანძილზე უნდა იყოს კავშირზე, ეს კავშირი პირისპირ კონტაქტის ან მობილური ტელეფონების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. იმ შემთხვევაში თუ კომუნიკაცია შეწყდა, კომუნიკაციის არხების აღდგენა, დიალოგის და მედიაციის ან დარწმუნების ფორმების გამოყენება ყოველთვის მნიშვნელოვანია და ეს ნორმად უნდა იქცეს..პოლიცია მზად უნდა იყოს საკუთარი ქმედებების ან უმოქმედობის ახსნისთვის და თუ საჭიროა საკუთარი ბრალეულობის აღიარებისთვისაც. დიალოგს და კომუნიკაციას მთავარი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია დაძაბულობის შემცირების კუთხით. პოლიციის განზრახვას ყოველთვის სიტუაციის გონივრულ ჩარჩოებში დაბრუნება და დაძაბულობის მინიმუმამდე დაყვანა უნდა წარმოადგენდეს. თუმცა პოლიციას უნდა ახსოვდეს, რომ სამართალდამცავი ორგანოების და მოსახლეობის აღქმები ერთმანეთისგან განსხვავებული შეიძლება იყოს.

დაძაბულობის დეესკალაცია ასევე შეიძლება გულისხმობდეს არასიტყვიერ კომუნიკაციასაც, რომლის მეშვეობით პოლიციის განზრახვების დემონსტრირება ადამიანთა ფართო ჯგუფისთვის ხდება, მაგალითად წყლის ქვემეხის ან პოლიციის მანქანების გაყვანა მას შემდეგ რაც მათი საჭიროება აღარ არსებობს. ეს ასევე შეიძლება გულისხმობდეს სრული დამცავი აღჭურვილობის მქონე სპეცდანიშნულების რაზმების სტანდარტულ ფორმებში გამოწყობილი ადგილობრივი პოლიციელებით ჩანაცვლება. თუმცა, პოლიციის მეთაურს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი ვალდებულია მის დაქვემდებარებაში მყოფ პოლიციელებს დამცავი საშუალებები გამოუყოს.

შეკავება

არეულობასთან ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდს იმ ადამიანების შეკავება წარმოადგენს, რომლებიც რეალურად ძალადობრივ ქმედებებს მიმართავენ. შეკავების ბევრი ფორმა არსებობს. ყველაზე მარტივ ფორმას შეკრების მონაწილეების მართვა წარმოადგენს, რათა ისინი საგზაო მოძრაობის შედეგად არ დაზარალდნენ. შეკავების უფრო რთული ფორმებიც არსებობს, რომელთა ფარგლებშიც მნიშვნელოვანი საპოლიციო რესურსების გამოყენება ხდება საჭირო, მაგალითად მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეების ესკორტირება აგრესიულად განწყობილი მოწინააღმდეგების გვერდით ჩავლისას.

პოლიციის მიერ გამოყენებული ერთ-ერთ საკამათო შეკავების მეთოდს ხანდახან „შეჯგუფებას“ უწოდებენ. ამაში იგულისხმება პოლიციის მიერ შეკრების მონაწილეების მთლიანად ან ნაწილობრივ შეყოვნებას ერთ კონკრეტულ ადგილზე. თეორიის მიხედვით, ასეთი ქმედებებით პოლიციას აგრესიულად მოქმედი ადამიანების ჯგუფების შეჩერება ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან ქონების სერიოზული დაზიანების რეალური რისკის თავიდან აცილება შეუძლია. გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ დროებით შეყოვნებულ ადამიანებს თანდათანობით, ჯგუფ-ჯგუფად აძლევა ტერიტორიის დატოვების უფლება.

პოლიციის მეთაურებს უნდა ახსოვდეთ, რომ არსებობს შეკავების ხანგრძლივობის მხრივ დისპროპორციულობის მაღალი რისკი (განსაკუთრებით თუ შეკავების ოპერაცია ცუდად არის დაგეგმილი ან კოორდინირებული), ასევე არსებობს იმის დიდი რისკი, რომ შეკავებულთა შორის უმრავლესობას ის ადამიანები წარმოადგენდნენ, რომლებიც მშვიდობიანად იქცეოდნენ; გარდა ამისა, შესაძლებელია ამ შეკავებული ადამიანების მხარდასაჭერად სოლიდარობის აქციები დაიწყოს. აქედან გამომდინარე, შეკავება შესაძლოა კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს. უნდა არსებობდეს მეთოდები, რომელთა ფარგლებშიც იმ ადამიანებს, რომლებიც შეკავების ოპერაციაში შემთხვევით მოხვდნენ, ტერიტორიის დატოვების საშუალება მიეცემათ. თუ შეკრების მონაწილეთა მხოლოდ ერთი ნაწილი იქცევა აგრესიულად, დანარჩენებს აქციის მშვიდობიანად გაგრძელების საშუალება უნდა მიეცეთ. შეკავების მიზანს ყოველთვის ძალადობის გაგრძელების აღკვეთა ან ესკალაციის პრევენცია და მშვიდობიანი აქციის გაგრძელება უნდა წარმოადგენდეს.

მნიშვნელოვანია შეკრების ორგანიზატორების და შეკავების ოპერაციაში მოხვედრილი შეკრების მონაწილეების მუდმივად ინფორმირება შეკავების მიზეზებსა და სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ.

შეკავების არეალში მოხვედრილებს ისეთ აუცილებელ საჭიროებებზე უნდა ჰქონდეთ წვდომა როგორებიცაა ტუალეტი და წყალი (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც ამინდი ძალიან ცივი ან ძალიან ცხელია). პოლიციას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ შეკრება სხვადასხვანაირი ადამიანებისგან შედგება და შესაბამისად დიდია იმის ალბათობა, რომ შეკავების არეალში არააგრესიულად განწყობილი ადამიანებიც მოხვდნენ; ტერიტორიიდან გასვლის საშუალება განსაკუთრებით მოწყვლად ადამიანებს უნდა ჰქონდეთ, მაგალითად ორსულ ქალებს, ბავშვებს, ხანშიშესულებს და დაავადებულ ან დაშავებულ პირებს. შეკავების ოპერაცია რაც შეიძლება მინიმალური დროითა უნდა ხორციელდებოდეს და მისი მიმდინარეობის შემოწმება რეგულარულად უნდა ხდებოდეს.

შეჯგუფების მეთოდმა შეკრებების მონაწილეებისგან, ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციებისგან და ზოგიერთი სასამართლოსგან მნიშვნელოვანი კრიტიკა დაიმსახურა. გარკვეულ შემთხვევებში პოლიციის მიერ შეკრების მონაწილეთა ერთ კონკრეტულ ადგილზე შეყოვნება უკანონოდ იქნა მიჩნეული. „შეჯგუფების“ ოპერაცია ხშირად განურჩეველია; პოლიცია ერთმანეთისგან არ ანსხვავებს შეკრების მონაწილეებს და სხვა პირებს ან შეკრების მშვიდობიან და არამშვიდობიან მონაწილეებს. ზოგიერთი ადამიანისთვის ტერიტორიის დატოვების უფლების მიცემას, მაშინ როდესაც სხვებს ამის საშუალებას არ აძლევენ, დაძაბულობის გამოწვევა შეუძლია; ხოლო პოლიციის კორდონი, რომელიც ადამიანებს ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობას არ აძლევს, პოტენციურად თავისუფლებასთან და თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ უფლებებს არღვევს.[26] ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში სახელად „ევროპის კონკრეტულ ქვეყნებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგი“ საუბარია იმაზე, რომ „ხალხის მასის კონტროლის სტრატეგიები, რომლებიც შეკავებას (შეჯგუფებას) ეფუძნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ისინი აუცილებელია სერიოზული ზიანის ან დაშავების აღსაკვეთად და როდესაც პოლიციის სხვა ალტერნატიული ტაქტიკური მეთოდების გამოყენება (რომლებიც თავისუფლების და თავისუფლად გადაადგილების უფლების კუთხით ნაკლებად შემზღუდავი იქნებოდა) შეუძლებელია.“[27]

---

26 „მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები“, ციტირებულ ნამუშევარში: შენიშვნა 1, გვ.

27 „ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ანგარიში ევროპის კონკრეტულ სახელმწიფოებში მშვიდობიანი შეკრებები მონიტორინგის შედეგების შესახებ“, ვარშავა, 2014 წლის 17 დეკემბერი, <http://www.osce.org/odihr/132281?download=true>.

შეჯგუფების ოპერაცია ასევე დიდი ოდენობით პერსონალს საჭიროებს, რის გამოც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ დიდი რაოდენობის პოლიციელების გამოყენება შეიძლება გახდეს საჭირო.

შეკრების დაშლა

პოლიციისთვის ყველაზე სასურველ ვარიანტს შეკრებისთვის თავისით დაშლის შესაძლებლობის მიცემა უნდა წარმოადგენდეს. პოლიციის მიერ შეკრების დაშლა ყოველთვის უკანასკნელ ზომას უნდა წარმოადგენდეს და იგი მხოლოდ ძალადობაზე ან ძალადობის გარდაუვალ საშიშროებაზე რეაგირებას უნდა წარმოადგენდეს.

რაიმე სხვა საოპერაციო ვარიანტის გამოყენებამდე პოლიციამ შეკრების მონაწილეებს სიტყვიერად და ვიზუალურად უნდა სთხოვოს ტერიტორიის დატოვება; ასევე პოლიციამ უნდა სცადოს ორგანიზატორებთან ან ზეგავლენის მქონე პირებთან და სტიუარდებთან მოლაპარაკება და აქციის მონაწილეების კონკრეტული ადგილიდან გასვლის ხელშეწყობა. ეს უნდა იყოს რუტინულად გამოყენებული მეთოდი როდესაც ადამიანები კონკრეტული ადგილის დატოვებაზე უარს აცხადებენ, იმ შემთხვევების გარდა როდესაც ფართომასშტაბიან ძალადობრივ ქმედებებს უკვე აქვთ ადგილი და აქციის დაშლის გადადებას პოლიციისთვის გარდაუვალი საფრთხის შექმნა შეუძლია.

მას შემდეგ რაც ძალადობრივი შეკრების დაშლის გადაწყვეტილება იქნება მიღებული, დაშლის ოპერაციის დაწყების ნებართვა საოპერაციო მეთაურმა უნდა გასცეს. ეს გადაწყვეტილება სრულად უნდა იყოს დოკუმენტირებული, ხოლო კონკრეტული ტაქტიკური ვარიანტების შერჩევის მიზეზები სრულად ახსნილი.

ძალის ნებისმიერი სახით გამოყენებამდე შეკრების მონაწილეთა გაფრთხილება უნდა მოხდეს. ამ წესის ერთადერთ გამონაკლისს ისეთი სიტუაცია წარმოადგენს, როდესაც ძალის გამოყენების დაყოვნებას სიცოცხლის მოსპობა ან სერიოზული დაშავება შეიძლება მოჰყვეს. გაფრთხილება შესაბამისი სახის ხმის გამაძლიერებელი აპარატურის მეშვეობით შესაბამის ენაზე რამდენჯერმე უნდა გაკეთდეს. გაფრთხილება უნდა იყოს მკაფიო და გასაგები და იგი არ უნდა იყოს გადაფარული სხვა ბგერებით, მათ შორის ძლიერი ძრავის ხმით. შესაძლოა საჭირო გახდეს გაფრთხილების რამდენიმე სხვადასხვა ადგილიდან გაკეთება იმისთვის, რომ იგი ყველა მონაწილემ გაიგოს. თუ შეკრებაში სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები იღებენ მონაწილეობას, პოლიციამ გაფრთხილების

სხვადასხვა ენაზე გაკეთების შესაძლებლობა უნდა განიხილოს და თუ ამისი შესაძლებლობა არსებობს პოლიციას წერილობითი აბრების ან ელექტრონული დაფების გამოყენებაც შეუძლია.

მეორე გაფრთხილების გაცემამდე ან ძალის გამოყენების დაწყებამდე პოლიციამ შეკრების მონაწილეებს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გარკვეული დრო უნდა მისცეს. თუ შესაძლებელია გაფრთხილების და მასზე შეკრების მონაწილეების რეაქციის ამსახველი ვიდეო და აუდიო ჩანაწერი უნდა იქნას ნაჩვენები.

თუ პოლიცია მაინც გადაწყვეტს ძალის გამოყენებას, მაშინ საჭიროა მიზანმიმართული ქმედებების იმ ადამიანების მიმართ განხორციელება, რომლებიც ძალადობას მიმართავენ; გამოყენებული ძალა უნდა იყოს რაც შეიძლება მინიმალური და აუცილებელი ძალადობის შესაჩერებლად და საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად. პოლიციას ასევე უნდა ახსოვდეს, რომ შეკრებაში სხვადასხვა ადამიანები მონაწილეობენ და ასევე ის თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს განსაკუთრებით მოწყვლადი პირების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას.

როდესაც შეკრების მონაწილეთა მცირე ნაწილი აგრესიულ ქმედებებს მიმართავს, ძალა კონკრეტულად ამ ადამიანების წინააღმდეგ უნდა იქნას გამოყენებული, ხოლო შეკრების დანარჩენ მონაწილეებს აქციის მშვიდობიანად გაგრძელების ან საკუთარი ნებით დაშლის საშუალება უნდა მიეცეთ. აქციის დაშლის გადაწყვეტილება შეკრების მონაწილეთა უმრავლესობის ქმედებების და არა ცალკეული პირების ქცევის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული.

საკონტროლო სია
სამეთაურო გუნდის მოვალეობები

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>

- ✓ უნდა გააგრძელოს ღონისძიების დაშლაზე დაკვირვება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს პროცესი ადამიანის უფლებების სტანდარტებს აკმაყოფილებდეს;
- ✓ უნდა გადაწყვიტოს რამდენად აუცილებელია ძალის გამოყენება აქციის დაშლის ხელშესაწყობად;
- ✓ უნდა ჩაიბაროს კონტროლი იმ რესურსებზე, რომლებიც აღარ სჭირდება საოპერაციო მეთაურს;

- ✓ უნდა გამოყოს შესაბამისი რესურსები პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტების გამოსაძიებლად ან თუ გამოძიებას სხვა უწყება ახორციელებს, მან ამ უწყებას შესაბამისი ინფორმაცია და ყველა მტკიცებულება დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს.

<u>საოპერაციო მეთაურმა:</u>

- ✓ ხელი უნდა შეუწყოს შეკრების მშვიდობიანად დაშლას;
- ✓ უნდა გააგრძელოს დიალოგი ორგანიზატორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ თუ შეკრების მშვიდობიანად დაშლა შეუძლებელია, უნდა მიიღოს უფლებამოსილება ან გასცეს ბრძანება ძალის გამოყენების შესახებ (მხოლოდ როდესაც ეს აუცილებელია);
- ✓ უნდა უზრუნველყოს საოპერაციო ვარიანტების გამოყენების უფლებამოსილების რეგულარულად გადახედვა და შესაბამისი გარემოებების ცვლილების შემთხვევაში, ამ უფლებამოსილების გაუქმება უნდა მოახდინოს;
- ✓ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი რესურსი, რომლის გამოყენების საჭიროებაც აღარ არსებობს, სტრატეგიული მეთაურის კონტროლში გადავიდეს;
- ✓ უნდა გააგრძელოს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება სტრატეგიული და ტაქტიკური მეთაურებისთვის.

<u>ტაქტიკურმა მეთაურებმა:</u>

- ✓ უნდა გააგრძელონ ინფორმაციის მიწოდება საოპერაციო მეთაურისთვის;
- ✓ უნდა აღრიცხონ პოლიციის მიერ ძალის გამოყენების ნებისმიერი ფაქტი და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია საოპერაციო მეთაურს უნდა მიაწოდონ;
- ✓ უნდა უზრუნველყონ პოლიციელების პროფესიონალური, კანონიერი და ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისი ქცევა და მათ მიერ საოპერაციო გეგმის მიხედვით მოქმედება;
- ✓ უნდა გააგრძელონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელების კეთილდღეობაზე მონიტორინგი;
- ✓ უნდა განახორციელონ იმ ადამიანების უსაფრთხოებაზე მონიტორინგი, რომლებიც შეკრებას ტოვებენ, განსაკუთრებული ყურადღება სპეციფიკური რისკ ფაქტორების მატარებელ პირებს უნდა მიექცეთ, მაგალითად ქალებს, რომლებიც სახლში მარტო ბრუნდებიან, ადამიანებს, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ, შეკრების ლოგბტ მონაწილეებს და ა.შ.

ნაწილი IV

შეკრების შემდეგ

თავი 10. პრაქტიკული საკითხების მოგვარება

შეკრება განმარტებულია როგორც დროებითი მოვლენა, თუმცა არ არსებობს თანხმობა იმის შესახებ თუ კონკრეტულად რამდენი ხანი უნდა გრძელდებოდეს შეკრება იმისთვის, რომ ის დროებით ღონისძიებად ჩაითვალოს. ბოლო წლებში სულ უფრო იმატა გრძელვადიანი ტიპის შეკრებებმა, რომლებიც ხშირად მათი მონაწილეების კონკრეტულ ადგილებზე მუდმივად ყოფნას მოიცავს, ამ მიზნით ისინი კარვებისმაგვარ ნაგებობებს და სხვა სახის აღჭურვილობას იყენებენ ხოლმე.

წინამდებარე თავში აღწერილი ძირითადი პრინციპები და ქმედებები შეკრებების ყველა სახეობის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული იმის მიუხედავად ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე სახის ძალადობას ან არეულობას. ის ადამიანები, რომლებიც ტერიტორიას ტოვებენ, უნდა იყვნენ დაცული, განსაკუთრებით თუ შეკრების მონაწილეებს აგრესიული მოწინააღმდეგეები უპირისპირდებიან და არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებების ჩადენის საშიშროება.

ხშირად, დიდი შეკრებების შემდეგ, მოწყვლადი პირები, მათ შორის დაკარგული ბავშვები ან კერძო დანაშაულის მსხვერპლები, პოლიციის ყურადღები ცენტრში ხვდებიან და ამოტომ ადგილზე შესაბამისად მომზადებული პირები უნდა იმყოფებოდნენ, რომლებსაც ამგვარ პირებთან მუშაობის შესაძლებლობა ექნებათ. შეკრების სრულად დაშლამდე ადგილზე სამედიცინო პერსონალი და აღჭურვილობა უნდა რჩებოდეს.

რესურსების მართვა

შეკრების დასრულების შემდეგ რესურსები თანდათანობით უნდა გადაეცეს ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელებს, რომლებმაც ამ ადგილის ყოველდღიური პატრულირება უნდა გააგრძელონ. ის თუ რა სიჩქარით მოხდება აქციის გამართვის ადგილიდან საპოლიციო რესურსების გაყვანა კონკრეტულ გარემოებებზე იქნება დამოკიდებული. თუმცა, პირველ ეტაპზე პოლიციელები თავიანთ განყოფილებებს უნდა დაუბრუნდნენ და გარკვეული პერიოდით მზადყოფნაში უნდა დარჩნენ სანამ მათი დათხოვნა მოხდება. ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ თუ შეკრების დაშლისას რაიმე ინციდენტს ექნება ადგილი, პოლიციის მეთაურებს კვლავ ეყოლებათ საკმარისი პირადი შემადგენლობა ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

მზადყოფნის და დათხოვნის პერიოდებს შორის ინტერვალში სტრატეგიურმა მეთაურმა უნდა გამოყოს რესურსები იმ შესაძლო ინციდენტებზე რეაგირებისთვის რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეთ; მათ შორის არის:

- დანაშაულის ჩადენის ადგილები;
- ბარიერებისა და საგზაო ნიშნების აღება;
- დაკავებულებზე ზრუნვა, მათი ტრანსპორტირება და მათ მიმართ შესაბამისი პროცედურების გატარება;
- მტკიცებულებების განკარგვა;
- საპოლიციო აღჭურვილობის დაბრუნება და აღრიცხვა.

ძალის გამოყენების აღრიცხვა

ნებისმიერი პოლიციელის მიერ ძალის გამოყენების ფაქტი რაც შეიძლება მალე უნდა ეცნობოს ზემდგომ ოფიცერს და ასევე ამ ფაქტის ამსახველი წერილობითი დოკუმენტიც რაც შეიძლება მალე უნდა იქნას შედგენილი. თუ ეს ზემდგომი ოფიცერი ჩათვლის, რომ ძალის გამოყენება არ იყო გამართლებული ან თუ კონკრეტული პოლიციელის წინააღმდეგ საჩივარი იქნება შემოტანილი, სტრატეგიულმა მეთაურმა უნდა უზრუნველყოს საკმარისი რესურსების გამოყოფა ყველა მტკიცებულების მოსაპოვებლად და გამოძიების ჩასატარებლად ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. სასურველია საოპერაციო მეთაურის დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც ინციდენტის განსახილველად შესაბამის მასალებს შეაგროვებს.

პოლიციელთა დაშავება

დაშავებულ პოლიციელებს სამედიცინო მომსახურება უნდა გაეწიოთ. ამ მომსახურებაში ასევე იგულისხმება გრძელვადიანი ფსიქოლოგიური დახმარების და სტრესის საწინააღმდეგო მკურნალობის უზრუნველყოფა ისეთი ჩივილებისთვის როგორებიცაა მწვავე სტრესული რეაქცია და პოსტტრავმული სტრესული აშლილობა. შესაძლოა ტრავმატულ ინციდენტებში მონაწილე პოლიციელებს აშკარა ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებოდეთ, მაგრამ ისინი მაინც შეიძლება იტანჯებოდნენ ემოციური ტრავმის გამო, რამაც რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება იჩინოს თავი. ამგვარ შემთხვევებში, პოლიციელებს პროფესიონალური მკურნალობა დასჭირდებათ მანამ სანამ ისინი თავიანთი მოვალეობების შესრულებას დაუბრუნდებიან.

აღჭურვილობის დაბრუნება

ცეცხლსასროლი და ნაკლებად ლეტალური იარაღის დაბრუნებისას მნიშვნელოვანია, რომ ზედამხედველებმა შეამოწმონ რომ ზუსტად იმ რაოდენობის აღჭურვილობა და ამუნიცია ბრუნდება რამდენიც ღონისძიების დაწყებამდე იქნა გაცემული. ნებისმიერ შეუსაბამობას წერილობითი ანგარიში უნდა ახლდეს თან, და სადაც საჭიროა, ძალის გამოყენების შემთხვევებიც უნდა იყოს მითითებული. აღჭურვილობის დაკარგვის ან არდაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი გამოძიება უნდა ჩატარდეს.

დაკავებულები

შეკრების დროს ადამიანთა დაკავება (მათ მიერ ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებლივი ან სხვა სახის დანაშაულების ჩადენის საფუძველზე) მკაცრ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების გათვალისწინებით, და რადგან შეკრების თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა დროის მიმართ მგრძნობიარე მოვლენაა. დაკავება მხოლოდ ყველაზე გადაუდებელ სიტუაციებში უნდა მოხდეს, როდესაც ნათელია, რომ კონკრეტული ადამიანების არდაკავება სისხლის სამართლის სერიოზული დანაშაულების ჩადენას გამოიწვევს.[28]

შეკრების დროს კანონიერად დაკავებულ და დაპატიმრებულ ადამიანებს პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. ისინი ზედმეტი შეფერხების გარეშე პოლიციის შესაბამის განყოფილებაში უნდა იყვნენ გადაყვანილი და დაპატიმრების განმხორციელებელმა და განყოფილებაში მიმღებმა პოლიციელებმა დაპატიმრებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დროულად უნდა მოამზადონ.

დაკავებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა აუხსნან მისი დაპატიმრების მიზეზი; იგი რაც შეიძლება მალე უნდა გათავისუფლდეს ან წარდგეს სასამართლოს წინაშე, სადაც მისი დაკავების კანონიერება იქნება განხილული. უნდა მომზადდეს დოკუმენტაცია, რომელშიც აღწერილი იქნება ამ პირის დაკავება და მის მიმართ პატიმრობის განმავლობაში განხორციელებული მოპყრობა. დაკავებულს აქვს უფლება აცნობოს

28 „სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებების დამცველთა დაცვის შესახებ“, ციტირებულ სამუშაოში: შენიშვნა 1.

მესამე მხარეს მისი დაპატიმრების შესახებ, მიიღოს იურიდიული რჩევა და ექიმის მიერ გასინჯვის უფლება.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა კატეგორიის დაკავებულთა ცალ-ცალკე განთავსება, მათი ასაკის, სქესის ან მათი დაკავების მიზეზების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე და ასევე ბავშვები და ზრდასრულები ცალ-ცალკე უნდა იყვნენ განთავსებულები. დაკავებულები კომფორტულ, ჰიგიენურ და შესაბამისად განათებულ ოთახებში უნდა მოთავსდნენ და მათ სამოძრაოდ საკმარისი სივრცე უნდა ჰქონდეთ. მათთვის შესაბამისი სველი წერტილები (მათ შორის დასაბანი ადგილები) უნდა იქნას გამოყოფილი და მათ უნდა მიეწოდოთ შესაბამისი სახის და ოდენობის საკვები. მოთხოვნის შემთხვევაში მათ ასევე უნდა მიეწოდოთ სასმელი წყალი და სამედიცინო დახმარება.

უნდა არსებობდეს შეკრების მონაწილეთა გაჩერების, ჩხრეკის და დაკავების ან დაპატიმრების წესები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევთოს წევრმა სახელმწიფოებმა შეკრების მონაწილეთა გაჩერების და ჩხრეკის მკაფიო წესები შეიმუშავონ. ამგვარ წესებში ნათლად უნდა იყოს გაწერილი ის თუ როდისაა ამ ზომების გამოყენება მისაღები და როდის არა, როგორ უნდა მოხდეს ამ ქმედებების განხორციელება და როგორ უნდა მოექცნენ ადამიანებს მათი დაპატიმრების შემდეგ. ამ წესების შედგენისას ყურადღება უნდა მიექცეს კერძო და საოჯახო ცხოვრების, თავისუფლების და თავისუფალი გადაადგილების უფლებებთან დაკავშირებულ საერთაშორისო კანონმდებლობას.[29]

29 იხილეთ იქვე.

საკონტროლო სია
სამეთაურო გუნდის ვალდებულებები

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>

- ✓ ყოველდღიური საპოლიციო სამუშაოს თანდათანობით დელეგირება უნდა მოახდინოს;
- ✓ უნდა გამოყოს რესურსები გამოძიებებისთვის;
- ✓ უნდა უზრუნველყოს ეფექტური გამოძიებების ჩატარება.

<u>ტაქტიკურმა მეთაურმა:</u>

- ✓ ზედამხედველობა უნდა განახორციელოს დაკავებულების მიმართ მოპყრობაზე, მათ ტრანსპორტირებაზე და მათ მიმართ შესაბამისი პროცედურების გატარებაზე;
- ✓ ზედამხედველობა უნდა განახორციელოს მტკიცებულებების შეგროვების და გამოძიების პროცესებზე.

<u>საოპერაციო მეთაურებმა:</u>

- ✓ პოლიციელების მიერ ძალის გამოყენების შესაბამისად აღრიცხვა უნდა უზრუნველყონ;
- ✓ იმ შემთხვევაში თუ სავარაუდო კრიმინალურ ქმედებებს ჰქონდა ადგილი, უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ანგარიშების მომზადება და სისხლისსამართლებლივი პროცედურების დაცვა;
- ✓ უნდა უზრუნველყონ დაკავებულებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხვა;
- ✓ უნდა უზრუნველყონ დაკავებულთა და დაპატიმრებულთა მიმართ სწორი მოპყრობა;
- ✓ დანაშაულის ჩადენის ადგილების შესაბამისად მართვა უნდა უზრუნველყონ;
- ✓ უნდა დააბრუნონ აღჭურვილობა;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში პოლიციელებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყონ.

თავი 11. მომხდარის დეტალური შეჯამება და მიღებული გაკვეთილები

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ გამოიტანოს დასკვნები როგორც მიღწეული წარმატებებისგან ისე წარუმატებლობებისგან. შეკრების ბოლოს ყოვლისმომცველი მიმოხილვის განხორციელებაა საჭირო, რათა მომხდარის და მიღებული შედეგების განხილვა სტრატეგიული გეგმის და კონკრეტული სტრატეგიული განზრახვების შესაბამისად მოხდეს.

მაშინაც კი როდესაც ერთი შეხედვით ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ღონისძიების დასრულების შემდეგ საჭიროა პოლიციელთა და ძირითადი გარე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა. ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც წარმატებული ისე წარუმატებელი ქმედებების აღრიცხვა. ყველა საჭირო ინფორმაციის შეგროვება პოლიციელებს, დაინტერესებულ მხარეებს და (სადაც ეს შესაძლებელია) შეკრების ორგანიზატორებს საკუთარი შეხედულებებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას აძლევს, რითაც ხდება იმ გაკვეთილების მიღება, რომლებსაც სამომავლო გეგმების ან საორგანიზაციო მიდგომების ცვლილება შეუძლიათ ან რომელთა მეშვეობით, სამომავლოდ შეკრებების მართვის კუთხით პოლიციის უნარების გასაუმჯობესებლად, წრთვნების მოდიფიცირება იქნება შესაძლებელი.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა პოლიციელს, მათი წოდების მიუხედავად, ესმოდეს, რომ ღონისძიების შემდგომ შეჯამების და გამოკითხვის პროცესის მიზანს მოვლენების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის მოპოვება და სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება და არა ვინმეს დადანაშაულება წარმოადგენს. ამ პროცესში მონაწილეობის მიღება ყველა იმ პოლიციელს უნდა შეეძლოს, რომელმაც საპოლიციო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. ამ მოვლენის შესახებ დაინტერესებულ მხარეებს და ასევე პროცესში ჩართულ სხვა მხარეებს უნდა ეცნობოს, და თუ საჭიროა ინფორმაცია მედიის საშუალებითაც უნდა გავრცელდეს.

შეჯამების სახეობები

შეჯამების მოსმენის სამი ძირითადი სახეობა არსებობს: „ცხელი“ (ანუ დაუყოვნებლივ ჩატარებული) შეჯამება, შიდა საორგანიზაციო შეჯამება და უწყებათაშორის ფორმატში განხორციელებული შეჯამება. ცხელი შეჯამება ყველა ტიპის ღონისძიების დასრულების შემდეგ ტარდება;

საორგანიზაციო შეჯამება შედარებით ფართომასშტაბიანი ღონისძიებების შემდეგ ტარდება; ხოლო უწყებათაშორის ფორმატში შეჯამება მაშინ ტარდება, როდესაც ღონისძიების მართვაში მრავალი სხვადასხვა უწყების მნიშვნელოვანი ელემენტები გამოიყენება ან როდესაც პროცესში სხვადასხვა თემებია ჩართული.

შეჯამების დროს შემდეგი ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული:
- პროცესი ღიად და პატიოსნად უნდა ჩატარდეს;
- იგი პერსონალურ, ჯგუფურ ან საორგანიზაციო გაგებაზე ან სწავლაზე უნდა იყოს მიმართული;
- იგი პროფესიულ მოვალეობებს უნდა შეესაბამებოდეს;
- იგი ყველა მონაწილე მხარეს თანაბრად უნდა აფასებდეს;
- შეჯამების პროცესი სათანადოდ უნდა იყოს ჩაწერილი და შედეგები პოლიციის სამეთაურო ჯგუფის წევრებს უნდა მიეწოდოს.

„ცხელი“ (ანუ დაუყოვნებლივ ჩატარებული) შეჯამება: შეჯამების ეს სახეობა ღონისძიების და აქციის მონაწილეების დაშლისთანავე ტარდება. ყველა მეთაურმა მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელებისგან მიღებული ინფორმაციის შეჯერება უნდა მოახდინოს, ხოლო საუბნე ან დიალოგის მწარმოებელმა პოლიციელებმა შეკრების ორგანიზატორებისგან მიღებული ინფორმაციის შეჯერება უნდა უზრუნველყონ. ამის შემდეგ აღნიშნული მონაცემები სტრატეგიულ მეთაურს შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა.

ისეთი შეკრებების დროს, რომელთა მიმდინარეობისას ძალადობრივი ფაქტები და/ან დიდი რაოდენობით ადამიანთა დაკავებაა მოსალოდნელი, სასურველია სპეციალიზებული ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც მორიგეობიდან დათხოვნამდე ყველა პოლიციელს გამოკითხავს. ამ ჯგუფის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ:
- ძალის ნებისმიერი გამოყენება შესაბამისად იქნა აღრიცხული;
- პოლიციელებისთვის ხელმისაწვდომი მტკიცებულებები შეგროვდა და საგამოძიებო ჯგუფს გადაეცა;
- იმ პოლიციელების იდენტიფიცირება მოხდა, რომლებსაც მხარდაჭერა სჭირდებათ, მაგალითად ტრავმატულ მოვლენებთან დაკავშირებით ფსიქოლოგიური დახმარება.

ცხელი შეჯამება:
- მასში მონაწილე პირებისგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის სწრაფად მიღებას უზრუნველყოფს;
- ნებისმიერი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და აღრიცხვას ახდენს;

- სხვადასხვა საკითხებისა და პრობლემების სწრაფად განხილვის საშუალებას იძლევა;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს განიხილავს;
- პერსონალისა და დაინტერესებული მხარეებისთვის მადლობის გადახდის შესაძლებლობას წარმოადგენს.

საკუთარი დასკვნების საოპერაციო მეთაურისთვის გაცნობამდე, თითოეულმა ტაქტიკურმა მეთაურმა თავის პერსონალთან მცირე შემაჯამებელი შეხვედრა უნდა ჩაატაროს.

ღონისძიების შემდგომ ჩატარებული მიმოხილვა „ცხელი“ შეჯამების შედარებით მარტივი და ეფექტური სახეობაა, რომლის მიზანს სამომავლოდ გასათვალისწინებელი გაკვეთილების იდენტიფიცირება წარმოადგენს.[30] ეს პროცესი შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემას გულისხმობს:

- *რის გაკეთებას ვაპირებდით?* რა იყო ჩვენი განზრახვა? რა უნდა მომხდარიყო? განსხვავდებოდა თუ არა მეთაურის და პოლიციელების განზრახვები ერთმანეთისგან? რაზე ფიქრობდით?
- *რა გავაკეთეთ რეალურად?* რას აჩვენებს ვიდეო კამერის ჩანაწერი? არავის არ ვადანაშაულებთ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილოთ მთავარი მოვლენები და როლები.
- *რა ვისწავლეთ?* მიღებულ გაკვეთილებზე და არა შემდგომ ნაბიჯებზე ფოკუსირება. რა ვისწავლეთ ისეთი რაც აქამდე არ ვიცოდით? რა ძლიერი და სუსტი მხარეები აღმოვაჩინეთ? რა რჩევას მივცემდით მათ ვინც ეხლა იწყებს ამ ტიპის სამუშაოს განხორციელებას?

სწავლო მეთოდს კოლეგებისგან შემდგარი შემფასებელი გუნდების გამოყენება წარმოადგენს. ამ ჯგუფებში სხვადასხვა მიმართულებებით მომუშავე გამოცდილი პოლიციელები შევლენ, რომლებიც, კარგი პრაქტიკის და მიღებული გაკვეთილების იდენტიფიცირების მიზნით, მკვლევარებთან ერთად საველე სამუშაოებზე დაკვირვებას განახორციელებენ.[31]

---

30 იხილეთ: „პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები ღონისძიების შემდგომი მიმოხილვისთვის“: <http://www.commonknowledge.org/ docs/Nancy%20Dixon%20-%20 After%20Action%20Review%20(AAR)%20Guidelines.pdf>.

31 *GODIAC* – „კარგი პრაქტიკა დიალოგისთვისა და კომუნიკაციისთვის როგორც ევროპაში ჩატარებული პოლიტიკური მანიფესტაციების დროს წესრიგის დაცვის სტრატეგიული პრინციპები, – საველე კვლევის შედეგად შექმნილი სახელმძღვანელო“ *(Good practice for dialogue and communication as strategic principles for policing political manifestations in Europe Field study Handbook)*, (Stockholm: Polisen, 2013 წ.), <http:// polisen.se/PageFiles/321996/Field_study_Handbook_2013.pdf>.

საორგანიზაციო შეჯამება: საორგანიზაციო შეჯამება მაშინ უნდა ჩატარდეს, როდესაც ღონისძიების შესახებ უფრო კონკრეტული ინფორმაციაა საჭირო ან როდესაც ღონისძიება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა. შეჯამების ეს სახეობა იმავე ფორმატს იყენებს როგორსაც „ცხელი" ტიპის შეჯამება, თუმცა ინფორმაცია წერილობითი ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი.

საორგანიზაციო შეჯამება:

- ღონისძიების დასრულებიდან ოთხი კვირის განმავლობაში უნდა გაიმართოს (განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება უფრო გვიანაც);
- იმავე ძირითად მონაწილეებს მოიცავს როგორსაც „ცხელი" ტიპის შეჯამება;
- საორგანიზაციო და არა პერსონალურ საკითხებს უნდა განიხილავდეს;
- როგორც ძლიერ ისე სუსტ მხარეებს და ასევე სამომავლო იდეებს უნდა განიხილავდეს;
- პერსონალისა და დაინტერესებული მხარეებისთვის მადლობის გადახდის შესაძლებლობას წარმოადგენს.

უწყებათაშორისი შეჯამება: როდესაც შეკრების ხელშეწყობის პროცესში მრავალ სხვადასხვა უწყებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ან როდესაც პროცესში სხვადასხვა თემი ან დაინტერესებული მხარეა გარეული, სასურველია უწყებათაშორისი შეჯამების განხორციელება. ამ შეჯამების ფორმატი უცვლელი რჩება. თუმცა, მასში რამდენიმე სხვადასხვა პროცესი შეიძლება იგულისხმებოდეს, ანუ სხვადასხვა უწყებაში ერთი და იგივე სახის შემაჯამებელი შეხვედრები იმართება, რის შემდეგაც მიღებული მონაცემები ერთ ცენტრალურ უწყებაში იყრის თავს, სადაც ამ ინფორმაციის შედარება და დამუშავება ხდება.

უწყებათაშორისი შეჯამება:

- ღონისძიების დასრულების შემდეგ ექვსი კვირის მანძილზე უნდა გაიმართოს (განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება უფრო გვიანაც);
- უწყებებს შორის კოორდინაციაზე ან თემზე განხორციელებულ ზეგავლენაზე უნდა ახდენდეს ფოკუსირებას;
- სამომავლოდ როგორც ძლიერ ისე სუსტ მხარეებს უნდა იხილავდეს;
- ძირითადი გარე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის შესაძლებლობას მოიცავს და მასში საჯარო დიალოგის ან ღონისძიებების ფორმების გამოყენებაა შესაძლებელი;
- პერსონალისა და დაინტერესებული მხარეებისთვის მადლობის გადახდის შესაძლებლობას წარმოადგენს.

სასურველია დამოუკიდებელი ორგანოს მიერ შეჯამების ჩატარების შესაძლებლობის განხილვა იმ შემთხვევაში თუ:

- შეკრების ან მისი დაშლის დროს მნიშვნელოვან ინციდენტს ჰქონდა ადგილი;
- ფართომასშტაბიან ძალადობას ჰქონდა ადგილი;
- პოლიციის მნიშვნელოვანი ძალების გამოყენება მოხდა;
- პოლიციის მიერ კანონის დარღვევის შესახებ სერიოზული ბრალდებები იქნა გაჟღერებული;
- სტრატეგიული მეთაური თვლის, რომ ეს სამომავლოდ წაადგება პოლიციას.

თუ დამოუკიდებელი ორგანოს მიერ შეჯამების ჩატარება გადაწყდა, მის ფარგლებში საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა შეკრების ორგანიზატორებს და მონაწილეებს და ასევე სხვა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს მიეცემათ.

მიღებული გაკვეთილები

მას შემდეგ რაც საორგანიზაციო და „ცხელი“ შეჯამება ჩატარდება და ყველა ჩანაწერის განახლება და შედარება მოხდება, სტრატეგიული მეთაური ვალდებული იქნება მოამზადოს ანგარიში, რომელიც ღონისძიების შედეგად მიღებული გაკვეთილების იდენტიფიცირების საფუძველს წარმოადგენს.

ამ ანგარიშმა:

- მოვლენების თანმიმდევრობა უნდა შეაჯამოს;
- ღონისძიებაში ჩართული სხვადასხვა საპოლიციო დანაყოფის იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს;
- პოლიციელების ქმედებები უნდა აღწეროს;
- ინდივიდუალურ ქმედებებთან დაკავშირებულ კრიტიკისგან თავი უნდა შეიკავოს;
- მოვლენები ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით უნდა დაალაგოს;
- უნდა იყოს ფაქტებზე დაფუძნებული, მოკლე და ობიექტური.

აღნიშნული ანგარიში:

- მოახდენს დემონსტრირებას თუ სად იყო პოლიციის ქმედებები ეფექტური და სად არა; ასევე ობიექტურად იქნება განხილული ის თუ რატომ იყო ესა თუ ის ქმედება ეფექტური თუ არაეფექტური;

- რეკომენდაციას გაუწევს პოლიციას სამომავლოდ მისი მუშაობის გაუმჯობესებაზე;
- ხელს შეუწყობს ღია კულტურის ჩამოყალიბებას.

საზოგადოების ჩართულობა: მართალია მიღებული გაკვეთილების შესახებ დოკუმენტი პოლიციის სტრუქტურებში შიდა სწავლების პროცესს უნდა უწყობდეს ხელს, ამავე დროს ეს დოკუმენტი გარე დაინტერესებული მხარეების (მათ შორის შეკრების ორგანიზატორების, მონაწილეების, პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების, მედიის და ადამიანის უფლებების დამცავი ორგანიზაციების) პროცესში თავიდან ჩასართავად უნდა იქნას გამოყენებული – ეს შეიძლება ხდებოდეს კომუნიკაციის და ნდობის თავიდან დამყარების მიზნით ან შესაძლოა ეს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პროცესის შემადგენელი ნაწილი იყოს.

ასეთი დიალოგი და კომუნიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუ შეკრების დროს ადგილი ჰქონდა ძალადობის ფაქტებს ან არეულობას ან თუ საზოგადოებამ შეკრების დროს პოლიციის ქმედებები გააკრიტიკა. ეს დადებითი, მოსახლეობაზე ორიენტირებული, ანგარიშვალდებული საპოლიციო სამუშაოს არსებითი ელემენტია და იგი საპოლიციო საქმიანობის ადამიანის უფლებების მიმართულების ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს. როდესაც პოლიციის მუშაობა უარყოფითად არის აღქმული და კონკრეტულად თუ პოლიციამ ძალა გამოიყენა (ან ვერ შეძლო შეკრების მონაწილეების სხვა ადამიანებისგან დაცვა), ეს პრობლემატურ მემკვიდრეობას და მომავალში ჩასატარებელი შეკრებებისთვის ერთგვარ ტვირთს წარმოადგენს, ამ დროს იმედგაცრუების, აგრესიულობის ან ბრაზის წარმოშობის უფრო მაღალი რისკი არსებობს. ამ ყველაფერს მომავალი შეკრების დროს პოლიციასთან დაპირისპირების მარტივად გამოწვევა შეუძლია. იმისათვის რომ ეს თავიდან ავიცილოთ საჭიროა საზოგადოებასთან შესაბამისი სახის ურთიერთობა, გამჭვირვალე შეფასება და (თუ საჭიროა) გამოძიების ჩატარება.

აღრიცხვა: ინფორმაცია დაგეგმვის პროცესის, როლებისა და პასუხისმგებლობების და ასევე პოლიციის სტრატეგიული განზრახვების შესახებ, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს და ამ გადაწყვეტილებების შედეგებს განსაზღვრავენ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს. განსაკუთრებით ეს იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას ეხება, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს უკავშირდება. წინამდებარე სახელმძღვანელოში აღწერილი მოდელებისა და დაგეგმვის ჩარჩოს გამოყენებით, პოლიციის

სამეთაურო გუნდმა უნდა შეძლოს სტრუქტურირებული გეგმებისა და გადაწყვეტილებების აღმწერი ჟურნალების შექმნა, რომლებიც შეჯამების პროცესის ნაწილს შეადგენენ და ასევე შემდგომი ღონისძიებების თავდაპირველი დაგეგმვის პროცესს წაადგებიან.

შეკრების დასრულების შემდეგ (ან თუ შეკრება დღეების მანძილზე გრძელდება, კონკრეტული ცვლის დასრულების შემდეგ), ყველა პოლიციელმა საკუთარი ქმედებები უნდა განიხილოს და უზრუნველყოს მათი და სხვების ქმედებების აღმწერი ზუსტი ჩანაწერების წარმოება. ყველა ჩანაწერი უნდა იყოს ხელმოწერილი, თან უნდა ახლდეს თარიღი და დრო და ზედამხედველს შესამოწმებლად და ხელმოსაწერად უნდა წარედგინოს.

ყველა პოლიციელმა სისხლისსამართლებლივი ან დისციპლინარული დარღვევის ფაქტი და მტკიცებულება უნდა აღრიცხოს. პოლიციელებმა ასევე ყველა ის ინციდენტი უნდა აღრიცხონ, რომელთა ფარგლებშიც მათ ძალის გამოყენება მოუხდათ, ასეთი ინციდენტების შესახებ ზემდგომ ოფიცრებს რაც შეიძლება დროულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია.

ამას გარდა, მეთაურებმა მიღებული ინფორმაცია და საკუთარი მოვალეობების შესრულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები წერილობითი სახით უნდა აღრიცხონ. საოპერაციო მეთაურმა ყველა შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა აღრიცხოს, მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ხელმისაწვდომი ვარიანტები და გადაწყვეტილების შედეგი. გადაწყვეტილებების მიღების მოდელის ჩარჩოს გამოყენებით, მეთაურები შეიძლება დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ ნამდვილად აღრიცხეს ყველა რელევანტური ფაქტი. ტაქტიკურმა მეთაურებმა ასევე უნდა აღრიცხონ მათ მიერ მიღებული და საოპერაციო მეთაურისთვის გადაცემული ყველა ინფორმაცია, რადგან ეს ასევე შეიძლება იყოს მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ნაწილი. იმ შემთხვევაში თუ ტაქტიკურ მეთაურს ჩანაწერების ან ჟურნალის წარმოებაში სხვა ოფიცერი ეხმარება, მან, ამ ჩანაწერების სიზუსტის უზრუნველსაყოფად, მათი წარმოების პროცესზე ზედამხედველობა უნდა განახორციელოს.

საოპერაციო მეთაური ასევე პასუხისმგებელია იმაზე, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმა ყველა პოლიციელმა ჩანაწერები აწარმოოს. საოპერაციო მეთაურმა უნდა დაათარიღოს ეს ჩანაწერები და დაადასტუროს ისინი საკუთარი ხელმოწერით, მანამ სანამ პოლიციელები დაასრულებენ თავიანთ ცვლას. ამ წესიდან გამონაკლისს მხოლოდ ის პოლიციელები წარმოადგენენ, რომლებიც სამედიცინო

დახმარებას იღებენ ან რომლებიც, მათი სამსახურის უკიდურესი საჭიროებებიდან გამომდინარე, ადგილზე არ იმყოფებიან. ასეთ შემთხვევებში, ამ პოლიციელების წერილობითი მოხსენებები პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა იქნას შევსებული და საოპერაციო მეთაურის ხელმოწერით დადასტურებული.

საოპერაციო მეთაურმა კონკრეტული ღონისძიების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის აღმწერი წერილობითი დოკუმენტი უნდა აწარმოოს, ამ დოკუმენტში უნდა იქნას ასახული მიღებული ინფორმაცია, პოლიციის განლაგება, ქმედებები, ინციდენტები და პოლიციის რეაგირება. საოპერაციო მეთაურს უნდა ჰყავდეს გუნდი, რომელიც ამ დეტალების აღრიცხვაში დაეხმარება, თუმცა ამ ჩანაწერების სიზუსტის უზრუნველყოფა საოპერაციო მეთაურის პასუხისმგებლობას წარმოადგენს და მან ამ დოკუმენტის სიზუსტის დადასტურება საკუთარი ხელმოწერით უნდა მოახდინოს. საოპერაციო მეთუარმა შესაბამისი გადაწყვეტილებების და მის მიერ სტრატეგიული მეთაურისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის შესახებ პერსონალური ჩანაწერები უნდა აწარმოოს. მას ასევე ევალება ტაქტიკური მეთაურების ჩანაწერების შემოწმება და მათი საკუთარი ხელმოწერით დადასტურება.

სტრატეგიულმა მეთაურმა ასევე უნდა აწარმოოს საკუთარი გადაწყვეტილებების აღრიცხვა; გარდა ამისა, მან სტრატეგიულ განზრახვებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების მიზეზებიც უნდა მიუთითოს. სტრატეგიული მეთაური პასუხისმგებელია საოპერაციო მეთაურისგან მიღებული ჩანაწერების შემოწმებაზე და მათი საკუთარი ხელმოწერით დამოწმებაზე.

ეს ჩანაწერები ძალიან მნიშვნელოვანია მტკიცებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის; მათი მეშვეობით სახელმწიფოს, მის მოქლაქეებს ან მაკონტროლებელ ორგანოებს პოლიციის ქმედებების შემოწმება შეუძლიათ. აღნიშნული ჩანაწერები ასევე შეჯამების პროცესში სხვადასხვა ინფორმაციის ერთმანეთთან შესადარებლად უნდა იქნას გამოყენებული. უნდა გვახსოვდეს, რომ მგრძნობიარე სახის ინფორმაცია ფრთხილად უნდა იქნას გამოყენებული, რათა აუცილებლობის გარეშე ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა არ მოხდეს. პოლიციამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა რამდენიმე სხვადასხვა მიზეზის გამო უნდა დაიცვას, მაგალითად პირთა ხელშეუხებლობის პრინციპი, დანაშაულის გამოძიება, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი და სახელმწიფოს უსაფრთხოება. თუმცა, პოლიციამ უნდა განიხილოს ინფორმაცია და იპოვოს სწორი ბალანსი ამ ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ

გამჟღავნებასა და მისი მთლიანად საიდუმლოდ შენახვას შორის (რათა კონკრეტული პირის ან პირების პირადი ცხოვრების უფლება არ იქნას დარღვეული). პოლიციამ არასოდეს არ უნდა დაფაროს ინფორმაცია მხოლოდ იმ მიზნით, რომ პოლიციის შეცდომები, დარღვევები ან ცუდი საქციელი იქნას დამალული.

სამოქმედო გეგმა: მიღებული გაკვეთილების შესახებ ანგარიშის საბოლოო ნაწილში უნდა შევიდეს ის რეკომენდაციები, რომლებიც სამომავლოდ საპოლიციო სამუშაოს გააუმჯობესებს. ეს რეკომენდაციები სამოქმედო გეგმებად უნდა ჩამოყალიბდეს, რომლებშიც პოლიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების გეგმები იქნება გაწერილი.

სამოქმედო გეგმა უნდა იყოს:

- **კონკრეტული** — მასში აქტივობები, წარუმატებლობები, საუკეთესო პრაქტიკა ან შეცდომები დეტალურად უნდა იყოს აღწერილი; მასში მოცემული უნდა იყოს ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა იქნას გადადგმული გაუმჯობესების მისაღწევად;
- **გაზომვადი** — მასში უნდა იყოს აღწერილი ის თუ როგორ უნდა მოხდეს გაუმჯობესების დემონსტრირება;
- **მიღწევადი** — მასში ის მიზნები უნდა იყოს მოცემული, რომელთა მიღწევა შეუძლია პოლიციას;
- **რელევანტური** — მასში ის გასაუმჯობესებელი მხარეები უნდა იყოს მოცემული, რომლებიც რეალურად აქტუალურია პოლიციისთვის; გარდა ამისა, სხვა უწყებებს მათთვის განკუთვნილი რეკომენდაციები განსახილველად გადაეცემათ;
- **დროში გაწერილი** — მასში პროგრესის მისაღწევად საჭირო რეალური პერიოდი უნდა იყოს მითითებული.

ანგარიში და მისი დასკვნები სხვა უწყებებთან უნდა იქნას გაზიარებული ან გამოქვეყნებული (იმ შემთხვევაში თუ მასში რაიმე კონფიდენციალური ინფორმაცია არ არის შესული). შესაძლებელია ანგარიშებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის ამოღება და მათი დარჩენილი ნაწილის გასაჯაროვება. ყველა მიღებული გაკვეთილი ყველა რანგის პოლიციელებისთვის განკუთვნილ სწავლებებში შესულ ცვლილებებში უნდა გადაიზარდოს, ამ დროს განსაკუთრებული აქცენტი პოლიციის მეთაურებზე უნდა გაკეთდეს.

საკონტროლო სია
სამეთაურო გუნდის მოვალეობები შეჯამებისა და შეფასების დროს

<u>სტრატეგიულმა მეთაურმა:</u>

- ✓ თითოეული ღონისძიებისთვის შესაბამისი შემაჯამებელი შეხვედრების ჩატარება უნდა უზრუნველყოს;
- ✓ საოპერაციო მეთაურისგან მიღებული ინფორმაციები ერთმანეთთან უნდა შეადაროს და მას საკუთარი შეფასება და კომენტარი მიაწოდოს;
- ✓ შემაჯამებელი შეხვედრის საფუძველზე უნდა მოამზადოს და შეადგინოს ანგარიში, რომელშიც შევა რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა;
- ✓ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების აღრიცხვა მოხდეს და შეამოწმოს და საკუთარი ხელმოწერით დაადასტუროს საოპერაციო მეთაურის მიერ მოწოდებული ჩანაწერები.

<u>საოპერაციო მეთაურმა:</u>

- ✓ ტაქტიკური მეთაურებისგან შემაჯამებელი შეხვედრის შედეგები უნდა მიიღოს და მათ საკუთარი შეფასება და კომენტარი მიაწოდოს;
- ✓ უნდა მოამზადოს ინფორმაციები და სტრატეგიული მეთაურისთვის მიწოდებამდე მათი ერთმანეთთან შედარება უნდა უზრუნველყოს;
- ✓ უნდა უზრუნველყოს რომ ღონისძიების დროს მომხდარი მოვლენები ქრონოლოგიურად იყოს აღწერილი; გარდა ამისა, მან ასევე უნდა უზრუნველყოს პოლიციის განლაგების, ინციდენტებისა და ქმედებების აღწერა;
- ✓ უნდა აღრიცხოს ყველა საჭირო გადაწყვეტილება;
- ✓ უნდა შეამოწმოს და საკუთარი ხელმოწერით დაადასტუროს ტაქტიკური მეთაურების ჩანაწერები.

<u>ტაქტიკურმა მეთაურებმა:</u>

- ✓ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაცია უნდა მოისმინო და შეაგროვონ;
- ✓ უნდა მოამზადონ ინფორმაციები და საოპერაციო მეთაურისთვის მიწოდებამდე, მათი ერთმანეთთან შედარება უნდა უზრუნველყონ;
- ✓ უნდა უზრუნველყონ, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფმა პოლიციელებმა აწარმოონ ჩანაწერები; გარდა ამისა, ტაქტიკურმა მეთაურებმა ამ ჩანაწერების შემოწმება და მათი საკუთარი ხელმოწერებით დადასტურება უნდა მოახდინონ;
- ✓ უნდა აწარმოონ ჩანაწერები მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის შესახებ;
- ✓ ღონისძიების შემდეგ პოლიციელებს შესაბამისი დახმარება უნდა გაუწიონ (დასვენება, დამატებითი სამუშაო საათების კომპენსირება, ჭრილობების მკურნალობა, სტრესის მართვა, ფსიქოლოგიური დახმარება, მათი სამუშაოს შეფასება, ჯილდოები და ა.შ.).

დანართი

ტერმინების განმარტება

ქვემოთ მოცემულია ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები. აღნიშნული განმარტებები მხოლოდ ამ სახელმძღვანელოს ეხება და ისინი ეუთოს ოფიციალურ განმარტებებს არ წარმოადგენენ.3

შეკრება	საჯარო ადგილზე გარკვეული რაოდენობის ადამიანთა გამიზნულად ყოფნა, რომლებსაც აზრის გამოხატვის საერთო მიზანი აერთიანებს
კონტრაქცია	შეკრება, რომელიც იმისთვის იმართება, რომ მისმა მონაწილეებმა გამოხატონ თავიანთი უთანხმოება იმ შეხედულებებთან, რომლებიც სხვა (პირველად) შეკრებაზე გამოითქმევა; ეს შეკრება იმავე ადგილას ან თითქმის იმავე ადგილას იმართება სადაც პირველადი შეკრება
საფრთხე	ნებისმიერი რამ, რასაც ადამიანის დაშავება შეუძლია
კანონიერი შეკრება	შეკრება, რომელიც ყველა ადგილობრივი კანონების და წესების მოთხოვნებს აკმაყოფილებს
ნაკლებად ლეტალური ძალა	იარაღი ან საოპერაციო ვარიანტი, რომელიც მართალია არ არის სასიკვდილო შედეგის მისაღებად შექმნილი, მაგრამ სავარაუდოა, რომ მისი გარკვეული მეთოდით გამოყენების შედეგად ფატალური დაზიანებები იქნას მიყენებული
შეტყობინება	განცხადება, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მომავალი შეკრების შესახებ და რომელიც არ წარმოადგენს თხოვნას შეკრების გამართვის ნებართვის მისაღებად
საოპერაციო მეთაური	დაბალი რანგის ოფიცერი, რომელსაც კონკრეტული გეოგრაფიული არეალი აქვს ჩაბარებული ან კონკრეტული ფუნქციის შესრულება აქვს დავალებული
ორგანიზატორი	პირი ან ადამიანები, რომლებსაც შეკრების ორგანიზებასთან დაკავშირებით ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია
მშვიდობიანი შეკრება	შეკრება, რომლის დროს მთლიანად ხალხის მასის და ასევე შეკრების ინდივიდუალურ მონაწილეთა ქმედებები მშვიდობიან ხასიათს ატარებენ (მაშინაც კი, როდესაც აქციის ცალკეული მონაწილეები ძალადობრივ ქმედებებს მიმართავენ)

საპოლიციო სამუშაოს ამოცანები	შეკრებების დროს პოლიციის წინაშე არსებული ლეგიტიმური ამოცანები, რომელთა მიღწევა საოპერაციო ვარიანტების მეშვეობით ხდება იმისთვის, რომ სტრატეგიული განზრახვები იქნას განხორციელებული
პროპორციულობის პრინციპი	პრინციპი, რომლის მიხედვით ხელისუფლების წინაშე არსებული ლეგიტიმური ამოცანების მისაღწევად ყველაზე ნაკლებად ძალისმიერი ვარიანტები უნდა იქნას გამოყენებული
პროტესტი	პიროვნების, ჯგუფის ან ორგანიზაციის მიერ უთანხმოების ან წინააღმდეგობის ოფიციალურად გაცხადება, პროტესტში შეიძლება იგულისხმებოდეს შეკრებები, არაძალადობრივი პირდაპირი ქმედებები ან სამოქალაქო დაუმორჩილებლობა
მიტინგი	დემონსტრაცია რომელიც ერთ ადგილას მომდინარეობს
რისკი	კონკრეტული საფრთხის მიერ ადამიანების დაშავების ან ქონების დაზიანების ალბათობა
სინქრონული შეკრებები	შეკრება, რომელიც სხვა შეკრების პარალელურად იმავე ადგილზე და დროს ტარდება, თუმცა მათ ერთმანეთთან არაფერი საერთო არ აქვთ
სპონტანური შეკრება	შეკრება, რომელიც კონკრეტულ მოვლენაზე ან ახალ ამბავზე გადაუდებელად რეაგირების მიზნით ტარდება
სტიუარდი; მარშალი	პიროვნების, ჯგუფის ან ორგანიზაციის მიერ უთანხმოების ან წინააღმდეგობის ოფიციალურად გაცხადება, პროტესტში შეიძლება იგულისხმებოდეს შეკრებები, არაძალადობრივი პირდაპირი ქმედებები ან სამოქალაქო დაუმორჩილებლობა
სტრატეგიული მეთაური	დემონსტრაცია რომელიც ერთ ადგილას მომდინარეობს
სტრატეგიული განზრახვები	კონკრეტული საფრთხის მიერ ადამიანების დაშავების ან ქონების დაზიანების ალბათობა
ტაქტიკური მეთაური	შეკრება, რომელიც სხვა შეკრების პარალელურად იმავე ადგილზე და დროს ტარდება, თუმცა მათ ერთმანეთთან არაფერი საერთო არ აქვთ
ტაქტიკური ვარიანტები	შეკრება, რომელიც კონკრეტულ მოვლენაზე ან ახალ ამბავზე გადაუდებელად რეაგირების მიზნით ტარდება
უკანონო შეკრება	შეკრება, რომელიც შეკრებების მარეგულირებელი ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარეობს
ძალადობა	ფიზიკური ძალის უკანონოდ ან ბოროტად გამოყენება
ძალადობრივი ქცევა	ქცევა, რომელიც იწვევს ფიზიკურ ან ემოციურ ზიანს (ან ამგვარი ზიანის მიყენების მუქარა)
ძალადობრივი შეკრება	შეკრება, რომლის მონაწილეთა კოლექტიური ქცევა სხვა ადამიანების ფიზიკურ ან ემოციურ ზიანს იწვევს (ან ამგვარი ზიანის მიყენების საფრთხეს ქმნის)

შეკრებამდე, შეკრების დროს და მის შემდეგ სხვადასხვა სამეთაურო რგოლების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მიმოხილვა

შეკრებამდე

სტრატეგიული მეთაური:

- ადგენს სტრატეგიულ გეგმას, რომელშიც შეკრებასთან მიმართებით პოლიციის სტრატეგიული განზრახვები იქნება აღწერილი; გარდა ამისა, სტრატეგიულ გეგმაში საპოლიციო სამუშაოს სტილი და მედია სტრატეგია უნდა იყოს განსაზღვრული;
- ქმნის სტრატეგიულ გეგმას, რომელიც ოთხ ძირითად პრინციპს: ცოდნას, ფასილიტაციას, კომუნიკაციას და დიფერენციაციას ეყრდნობა;
- სტრატეგიულმა მეთაურმა უნდა იცოდეს რა ინფორმაციაა საჭირო სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად, სად შეიძლება ამ ინფორმაციის მოძიება და როგორ შეიძლება ინფორმაციის ოპერატიულ მონაცემებად ქცევა; მან უნდა იცოდეს როგორ უნდა მოხდეს შეკრების ხელშეწყობა, რა არის ამისთვის საჭირო და რა რისკები არსებობს;
- გეგმავს როგორ უნდა მოხდეს შეკრების ორგანიზატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია და ვინ იქნება ამაზე პასუხისმგებელი;
- იყენებს „სიურპრიზების გარეშე“ პრინციპს და მიზნად ისახავს დიალოგის დამყარებას;
- ზრდის ნდობას და ამისთვის მედია სტრატეგიას ამზადებს;
- ერთმანეთისგან ანსხვავებს შეკრების სხვადასხვა მონაწილეებს და მათ (სავარაუდო) ამოცანებს;
- უზრუნველყოფს, რომ საოპერაციო და ტაქტიკური მეთაურები კარგად იყვნენ ინფორმირებული სტრატეგიული გეგმის შესახებ (მათ შორის მედია სტრატეგიის შესახებ);
- ქმნის კარგად ინტეგრირებულ სამეთაურო სტრუქტურას (გარდა ამისა, როდესაც ერთზე მეტი საოპერაციო მეთაურია საჭირო, იგი უზრუნველყოფს რომ მკაფიო სამეთაურო ჯაჭვი და კომუნიკაცია არსებობდეს), რომელიც მოიცავს აუცილებელ ფუნქციებს, მათ შორის ოპერატიულ მონაცემებს, გამოძიებას და დამხმარე ფუნქციებს;
- ადგენს საოპერაციო ვარიანტეთან დაკავშირებულ შეზღუდვებს;
- ამ შეზღუდვების შესახებ ინფორმაციას აწვდის საოპერაციო მეთაურს(ებს);
- იღებს გადაწყვეტილებებს რესურსების გამოყოფის თაობაზე;

- ამყარებს კავშირებს შეკრების ორგანიზატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ამტკიცებს საოპერაციო გეგმას(ებს);
- აღრიცხავს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საოპერაციო მეთაური:

- სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ახორციელებს პრაქტიკულ წრთვნებს შეკრებისთვის და ადგენს საოპერაციო გეგმას, რომელშიც ახსნილი იქნება ის თუ როგორ უნდა მოხდეს სტრატეგიული გეგმის განხორციელება და უფრო ზოგადად, როგორ უნდა იმუშაოს პოლიციამ შეკრების დროს;
- სტრატეგიული განზრახვების საფუძველზე ადგენს საპოლიციო სამუშაოს ამოცანებს და ასევე განსაზღვრავს საოპერაციო ვარიანტებს; ახორციელებს პერსონალის ინსტრუქტაჟს, ადგილზე განალაგებს პოლიციელებს და ადგენს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს რესურსების მართვა ღონისძიების მიმდინარეობისას;
- სტრატეგიულ მეთაურთან გამართული კონსულტაციების შედეგად უზრუნველყოფს, რომ საოპერაციო გეგმები სტრატეგიულ განზრახვებს შეესაბამებოდეს;
- ადგენს სტრატეგიულ სტრუქტურას საოპერაციო დონიდან საველე დონემდე;
- უზრუნველყოფს, რომ პოლიციელთა რაოდენობა შეკრების და ოპერატიული მონაცემების საფუძველზე დადგენილი საფრთხის(ების) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროპორციული იყოს;
- აღრიცხავს მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- ამზადებს ინსტრუქტაჟს ტაქტიკური დონისთვის და განმარტავს სტრატეგიულ განზრახვებს, ასევე ტაქტიკურ რგოლს აწვდის ინფორმაციას სტრატეგიული და საოპერაციო გეგმებით განსაზღვრულ ნებისმიერ შეზღუდვებზე (მათ შორის საპოლიციო სამუშაოს ამოცანებთან და საოპერაციო ვარიანტებთან დაკავშირებულ შეზღუდვებზე).

ტაქტიკური მეთაური:

- ტაქტიკურ მეთაურებს ესმით სტრატეგიული განზრახვები და ახორციელებენ საოპერაციო გეგმას;
- ტაქტიკური მეთაურები აკონტროლებენ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში განლაგებულ რესურსებს ან ფუნქციებს;
- ტაქტიკური მეთაურები მათ დაქვემდებარებაში მყოფ პოლიციელებს სტრატეგიული განზრახვებისა და საოპერაციო გეგმის შესახებ ინსტრუქტაჟს უტარებენ.

შეკრების განმავლობაში

სტრატეგიული მეთაური:

- ახდენს ღონისძიების მონიტორინგს, ახორციელებს ოპერაციის ზოგად ზედამხედველობას;
- ახორციელებს სტრატეგიული განზრახვების გადასინჯვას (როდესაც ამისი საჭიროება არსებობს);
- თანამშრომლობს საოპერაციო მეთაურთან;
- აღრიცხავს მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- რჩება კონტაქტზე დაინტერესებულ მხარეებთან (მათ შორის ორგანიზატორებთან).

საოპერაციო მეთაური:

- ხელს უწყობს ღონისძიებას;
- მიმოიხილავს და საჭიროების შემთხვევაში ცვლის საპოლიციო ამოცანებს და გამოყენებულ ტაქტიკას;
- უზრუნველყოფს ტაქტიკური მეთაურების მიერ სტრატეგიული განზრახვებისა და საოპერაციო გეგმის მიხედვით მოქმედებას;
- ყურადღებას აქცევს ადგილზე განლაგებული პოლიციელების კეთილდღეობას;
- აღრიცხავს მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- უზრუნველყოფს ყველა კრიმინალური შემთხვევის გამოძიებას (მოცემულ მომენტში ან მომავალში);
- უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის სტრატეგიული მეთაურისთვის მიწოდებას;
- უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის ტაქტიკური მეთაურებისთვის მიწოდებას.

ტაქტიკური მეთაური:

- ახორციელებს პოლიციელების ზედამხედველობას;
- პასუხისმგებლობას იღებს მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელების ქმედებებზე;
- რაც შეიძლება სწრაფად აწვდის ინფორმაციას ზემდგომ მეთაურს ძალის ნებისმიერი სახით გამოყენების შესახებ;
- უზრუნველყოფს, რომ დანაშაულის ნებისმიერი მტკიცებულება (მათ შორის პოლიციის მიერ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება) იქნას დაცული, შენახული და საგამოძიებო გუნდისთვის გადაცემული;
- იღებს გადაწყვეტილებებს მისი კომპეტენციის ფარგლებში (მათ შორის გარკვეული საპოლიციო ტაქტიკის გამოყენების ან არგამოყენების თაობაზე);

- უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის საოპერაციო მეთაურისთვის მიწოდებას;
- უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის პოლიციელებისთვის მიწოდებას;
- ყურადღებას აქცევს მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლიციელების კეთილდღეობას.

შეკრების შემდეგ

სტრატეგიული მეთაური:

- უზრუნველყოფს შესაბამისი შემაჯამებელი შეხვედრის გამართვას;
- ერთმანეთს ადარებს საოპერაციო მეთაურისგან მიღებულ ინფორმაციებს;
- ამზადებს და ადგენს ანგარიშს, რომელშიც მიღებული გაკვეთილები იქნება აღწერილი;
- უზრუნველყოფს ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების აღრიცხვას;
- ამტკიცებს საოპერაციო მეთაურისგან მიღებულ ანგარიშს.

საოპერაციო მეთაური:

- აგროვებს ინფორმაციას ტაქტიკური მეთაურების მიერ ორგანიზებული შემაჯამებელი შეხვედრების საფუძველზე;
- ერთმანეთს ადარებს ტაქტიკური მეთაურებისგან მიღებულ ინფორმაციებს და გადასცემს მათ სტრატეგიულ მეთაურს;
- უზრუნველყოფს ღონისძიების დროს მომხდარი მოვლენების ქრონოლოგიურად აღწერას და ასევე პოლიციელთა განლაგების, ინციდენტებისა და ქმედებების აღრიცხვას;
- უზრუნველყოფს შესაბამისი გადაწყვეტილებების აღრიცხვას;
- ამტკიცებს ტაქტიკური მეთაურების მიერ მოწოდებულ ანგარიშებს.

ტაქტიკური მეთაური:

- აწყობს ოპერაციაში ჩართულ პოლიციელებთან შემაჯამებელ შეხვედრას;
- აგროვებს შემაჯამებელი შეხვედრების შედეგებს (მათ შორის დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შედეგებს) და გადასცემს მათ საოპერაციო მეთაურს;
- უზრუნველყოფს, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმა ყველა პოლიციელმა აწარმოოს ჩანაწერები, რომლებიც მის მიერ უნდა შემოწმდეს და ხელმოწერით დადასტურდეს;
- აღრიცხავს მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- უზრუნველყოფს ღონისძიების შემდგომ სამედიცინო და სხვა სახის დახმარებას იმ პოლიციელებისთვის ვინც ამას საჭიროებენ.

გამოყენებული ლიტერატურა და სხვა სასარგებლო ბმულები

ბეჭდური მასალები

“საპოლიციო საქმიანობის განხორციელება შეკრებების დროს” (“Policing Assemblies”), Amnesty International, 2013 წ., <https://www.amnesty.nl/sites/default/files/ainl_phrp_short_paper_policing_assemblies.pdf>.

“საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების სახელმძღვანელო” (“Manual of Guidance on Keeping the Peace”), პოლიციის მეთაურთა ასოციაცია (ACPO), 2010 წ., <http://www.acpo.police.uk/ProfessionalPractice/UniformedOperations.aspx>.

ალექსანდერ ე. ბერლონგი (Alexander E. Berlonghi) “სხვადასხვა ტიპის მაყურებლებისგან შემდგარი ხალხის მასების გაგება და ამგვარი ღონისძიებებისთვის მომზადება“ (“Understanding and planning for different spectator crowds”), *Safety Science* („უსაფრთხოების მეცნიერება“), Vol. 18, No. 4, 1995 წ., გვ. 239-247.

ჯ. ბლისი, ს. ფალონი, ნ. ჰედენი და რ. გასკინსი (J. Bliss, C. Fallon, N. Headen, and R. Gaskins) „ხალხის მასის რეაქციები არალეტალური იარაღის გამოყენებაზე: მასობრივი არეულობის გამომწვევი საყოველთაო მიზეზები“ (“Crowd Reactions to Sublethal Weapons: Universal Triggers for Crowd Violence”), ადამიანური ფაქტორებისა და ერგონომიკის საზოგადოების ყოველწლიური შეხვედრის დეტალები (*Proceedings of the Human Factors and Ergonomics Society Annual Meeting*), Vol. 48, 2004 წ., გვ. 243-254.

“პოლიციის ევროპული ეთიკის კოდექსი”, ევროპის საბჭო, 2001 წ., <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=223251>.

“ხალხის მასის ქცევების გაგება და მიღებული გაკვეთილები“ (Understanding Crowd Behaviours Guidance and Lessons Identified), Emergency Planning College (ლიდსი: ლიდსის უნივერსიტეტი, 2009 წ.), <https://www.gov.uk/government/publications/understanding-crowd-behaviours-documents>.

“ეგვიპტე – ქალების ადგილიდან მორიდება: საზოგადოებრივ ადგილებში ქალების წინააღმდეგ მიმართული სექსუალური ძალადობა“ (Egypt – Keeping Women Out: Sexual Violence Against Women in the Public Sphere), FIDH, 2014 წ., <http://www.fidh.org/en/north-africa-middle-east/egypt/15140-egypt-epidemic-of-sexual-violence-continues>.

"რეკომენდაციები ევროპაში ჩატარებული პოლიტიკური მანიფესტაციების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის თაობაზე" (Recommendations for Policing Political Manifestations in Europe), Godiac 2013 წ., <http://polisen.se/en/Languages/The-Swedish-Police/ International-cooperation/ Cooperation-in-Europe/The-Godiac-Project/>.

"საველე კვლევის სახელმძღვანელო"(Field study Handbook), Godiac, 2013 წ., <http://polisen.se/PageFiles/321996/Field_study_Handbook_2013.pdf>.

"პროტესტთან ადაპტირება" (Adapting to Protest), მისი უდიდებულესობის პოლიციის ინსპექტორი (Her Majesty's Inspector of Constabulary), 2009 წ., <http://www.hmic.gov.uk/publication/adapting-to-protest/>.

"პროტესტთა ადაპტირება – საპოლიციო სამუშაოს ბრიტანული მოდელის განვითარება", მისი უდიდებულესობის პოლიციის ინსპექტორი (Her Majesty's Inspector of Constabulary), 2010 წ., <http://www.hmic.gov.uk/ publication/adapting-to-protest-nurturing-the-british-model-of-policing/>.

ჯ. ჰოგეტი და ს. სტოტი (J. Hoggett, and C. Stott), "ხალხის მასის ფსიქოლოგია, საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პოლიციის ორგანოების წრთვნა და ფეხბურთის მაყურებლების მიმართ საპოლიციო სამუშაოს განხორციელება" (Crowd psychology, public order police training and the policing of football crowds), საპოლიციო სამუშაო: პოლიციის სტრატეგიებისა და მართვის საერთაშორისო ჟურნალი (*Policing: An International Journal of Police Strategies & Management*), Vol. 33 # 2, 2010 წ., გვ.218–235.

"როგორ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის დემონსტრირება? საპროტესტო აქციების დროს ადამიანის უფლებების კუთხით დანახული საპოლიციო სამუშაო" (Demonstrating respect for rights? A human rights approach to policing protest), პარლამენტის პალატები, ადამიანის უფლებების გაერთიანებული კომიტეტი (Houses of Parliament, Human Rights Joint Committee) 2009 წ., <http://www.publications.parliament.uk/pa/jt200809/jtselect/jtrights/47/4702.htm>.

ჯ. ლენსინგი (J. Lansing), დაბრუნების რიტუალი: პროფესიული მოვალეობების შესრულების შედეგად მიღებული პოსტტრავმული სტრესული აშლილობისგან მობრუნება (*The Rite of Return: Coming Back from Duty-Induced PTSD*) (USA: High Ground Press, 2012 წ.).

ტ.დ. მედენსენი და ჯ. კნუტსონი (T.D. Madensen, and J.Knutsson), მასობრივი ძალადობის პრევენცია (*Preventing Crowd Violence*) (ლინ რინერი, ბოლდერი, კოლორადოს შტატი, 2011 წ.).

"მედიასთან მუშაობა პოლიტიკური დემონსტრაციების დროს; შენიშვნები და რეკომენდაციები" (Handling of the Media during political demonstrations, Observations and recommendations), ეუთოს სპეციალური ანგარიში, 2007 წ., <http://www.osce.org/fom/25744>.

"პოლიციასთან დაკავშირებულ საკითხებში ეუთოს გენერალური მდივნის უფროსი მრჩევლის მიერ მომზადებული დემოკრატიული საპოლიციო სამუშაოს სახელმძღვანელო" (Guidebook on Democratic Policing by the Senior Police Adviser to the OSCE Secretary General), ეუთო, *SPMU*-ს პუბლიკაციების სერია ტომი 1, მეორე გამოცემა, 2008 წ., <http://www.osce.org/spmu/23804>.

"მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები" (Guidelines on Freedom of Peaceful Assembly) (მეორე გამოცემა), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი და ვენეციის კომისია, 2010 წ., <http://www.osce.org/odihr/73405>.

"მშვიდობიანი შეკრებების მონიტორინგის სახელმძღვანელო" (Handbook on Monitoring Freedom of Peaceful Assembly), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2011 წ., <http://www.osce.org/odihr/82979>.

"ადამიანის უფლებების დამცველთა დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები" (Guidelines on Protection of Human Rights Defenders), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2014 წ., <http://www.osce.org/odihr/119633>.

ს. რეიქერი (S. Reicher), ხალხის მასების დინამიკის ფსიქოლოგია (*The psychology of crowd dynamics*), მ. ა. ჰოგი და რ. ს. თინდეილი (M.A. Hogg and R.S. Tindale (Eds.), ბლექველის სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო: ჯგუფური პროცესები (*Blackwell handbook of social psychology: Group processes*). (ოქსფორდი: ბლექველი, 2001 წ.).

ს. რეიქერი, ს. სტოტი, ჯ. დრური, ო. ადანგი, პ. ქრონინი და ა. ლივინგსტოუნი (S. Reicher, C. Stott, J. Drury, O. Adang, P. Cronin, and A. Livingstone), "ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა: პრინციპები და პრაქტიკა" (Knowledge Based Public Order Policing: Principles and Practice), საპოლიციო სამუშაოს განხორციელება (Policing), ტომი 1, # 4, 2007 წ., გვ. 403-415.

ს. რეიქერი, ს. სტოტი, პ. ქრონინი და ო. ადანგი (S. Reicher, C. Stott, P. Cronin, & O.Adang), "ინტეგრირებული მიდგომა ხალხის მასის ფსიქოლოგიისადმი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისადმი" საპოლიციო სამუშაო: პოლიციის სტრატეგიებისა და მართვის საერთაშორისო ჟურნალი (*Policing: An International Journal of Police Strategies & Management*), 2004 წ., გვ. 558-572.

რობერტსი და ტ. გარტონ-ეში (Roberts, and T. Garton Ash, (eds)), „სამოქალაქო წინააღმდეგობა და ძალისმიერი პოლიტიკა: არაძალადობრივი აქციების გამოცდილება განდის დროიდან დღემდე" (*Civil Resistance & Power Politics: The Experience of Non-Violent Action from Gandhi to the Present Day*) (ოქსფორდი: Oxford University Press, 2011 წ.).

ს. სტოტი და ო. ადანგი (C.Stott, & O. Adang) „რისკის გაგება და მართვა. „ევროპის კავშირში საერთაშორისო საფეხბურთო მატჩებზე წესრიგის დაცვა", (*Understanding and managing risk. Policing football matches with an international dimension in the European Union*) (UK: Bavnebanke Press, Slagelse, 2009 წ.).

"დიალოგის მწარმოებელი პოლიცია: გამოცდილება, შენიშვნები და შესაძლებლობები" (Dialogue Police: Experiences, Observations and Opportunities), შვედეთი ეროვნული საპოლიციო საბჭო (Swedish National Policing Board), 2010 წ., <http://polisen.se/en/Languages/Service/Publications/Hallare/Dialogue-Police/>.

"პატიმრობაში მყოფი პირებისადმი მოპყრობის მინიმალური სტანდარტები" (Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners), გაერო, 1977 წ., < http://www.refworld.org/docid/3ae6b36e8.html>.

"სამართალდამცავთა ქცევის კოდექსი" (Code of Conduct for Law Enforcement Officials), გაერო, 1979 წ., <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/LawEnforcementOfficials.aspx>.

“გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“ (Basic principles on the use of force and firearms by law enforcement officials”, United Nations), 1990 წ., <http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/ UseOfForceAndFirearms.aspx>.

“გაეროს სამშვიდობო ოპერაციების მართვა, მეთაურობა და კონტროლი“ (Authority, Command and Control in United Nations Peacekeeping Operations), გაერო, სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი/საველე მხარდაჭერის დეპარტამენტი, Ref. 2008.4, თებერვალი 2008 წ., <http://www.peacekeepingbestpractices.unlb.org/PBPS/Library/Authority,%20Command%20and%20Control%20in%20UN%20PKOs%20FINAL%20SIGNED%2015%20Feb%2008.pdf>.

“გაეროს სამშვიდობო ოპერაციების ფარგლებში ჩამოყალიბებული საპოლიციო დანაყოფები“, გაერო, სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი/საველე მხარდაჭერის დეპარტამენტი, Ref. 2009, 32, 2009 წ. <http://www.un.org/en/peacekeeping/sites/police/documents/formed_police_unit_ policy_032010.pdf>.

ინტერნეტ რესურსები

ორგანიზაცია	ვებ გვერდი
ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი (American Civil Liberties Union)	https://www.aclu.org/
საერთაშორისო ამნესტია (Amnesty International)	www.amnesty.org
მუხლი 19 (Article 19)	http://www.article19.org/
გაერთიანებული სამეფოს პოლიციის მაღალი რანგის ოფიცერთა ასოციაცია (Association of Chief Police Officers (UK))	www.acpo.police.uk
კანადის სამოქალაქო თავისუფლებების ასოციაცია (Canadian Civil Liberties Association)	http://ccla.org/
თანამეგობრობის ადამიანის უფლებების ინიციატივა (Commonwealth Human Rights Initiative)	www.humanrightsinitiative.org
ევროპის საბჭო	www.coe.int
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	www.echr.coe.int
ადამიანის უფლებების საერთორისო ფედერაცია (Federation Internationale des Ligues des Droits de l'Homme)	http://www.fidh.org/en/
ადამიანის უფლებების დამცველი (Human Rights Watch)	www.hrw.org
პოლიციის მეთაურთა საერთაშორისო ასოციაცია (International Association of Chiefs of Police)	www.theiacp.org/
სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო	www.un.org/law/icc/index
წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაცია	www.ifrc.org
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი	www.osce.org/odihr
ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია	www.osce.org
ამერიკის შტატების ორგანიზაცია (Organization of American States)	www.oas.org
გაერო	www.un.org
გაეროს ოფიციალური დოკუმენტაციის სისტემა	http://documents.un.org